ჟან ჟენე

ნოტრ-დამ-დე-ფლერი

მთარგმნელი: გიორგი კახაბერი

გამომცემლობა „დიოგენე“

2010

ნოტრ-დამ-დე-ფლეერი

ჟან ჟენე

ნოტრ-დამ-დე-ფლერი

მორის პილორჟი რომ არ ყოფილიყო, რომლის სიკვდილმაც საბოლოოდ გამიმწარა სიცოცხლე, ამ წიგნს არასოდეს დავწერდი. იგი მის ხსოვნას ეძღვნება. ჟ. ჟ.

ვაიდმანი დილის ხუთსაათიან გამოშვებაში გამოჩნდა - თეთრი ბანდით თავშეხვეული - მონაზონი ან უფრო სექტემბრის ერთ დღეს ჭვავის ყანაში ჩამოვარდნილი თვითმფრინავის დაჭრილი მფრინავი გეგონებოდათ. ეს დღე კი იმ დღეს ჰგავდა, როცა საყოველთაოდ ცნობილი გახდა ნოტრ-დამ-დე-ფლერის სახელი. სტამბის მანქანებით გამრავლებული მისი მშვენიერი სახე პარიზსა და მთელ საფრანგეთს - შორეულ, ღვთისგან დავიწყებულ სოფლებს, ციხე-კოშკებსა და ქოხმახებს - დაატყდა თავს და ბურჟუებს სევდით აგრძნობინა, რომ მათ ყოველდღიურ ერთფეროვან ცხოვრებაში არაჩვეულებრივი მკვლელები შეჭრილიყვნენ; მალულად, უკანა კიბიდან ძილში შეჰპარვოდნენ და ახლა სიზმრების აფორიაქებას უპირებდნენ; კიბეს, მათ თანამზრახველს, ერთხელაც არ გაუჭრაჭუნია. ვაიდმანის პორტრეტის ქვეშ მისივე დანაშაულებანი კაშკაშებდა: პირველი მკვლელობის, მეორე მკვლელობის, მესამე მკვლელობისა და ასე - ექვსამდე. ეს საზარელი მკვლელობები მის იდუმალ სიდიადეზე ღაღადებდა და მომავალ დიდებას უწინასწარმეტყველებდა.

ცოტა უფრო ადრე ზანგმა, სახელად ანჟ სოლეიმ, საყვარელი მოკლა. მოგვიანებით რიგითმა ჯარისკაცმა, მორის პილორჟმა, თავისი საყვარელი, ესკუდერო გამოასალმა სიცოცხლეს, მისთვის სულ რაღაც ათასიოდე ფრანკი რომ მოეპარა; მერე, ოცი წელი რომ შეუსრულდა, თვითონაც თავი მოჰკვეთეს; ალბათ, გემახსოვრებათ გააფთრებული ჯალათი, რომელსაც მაშინ დამცინავად დაეჯღანა.

დაბოლოს, სამხედრო გემის ჯერ კიდევ უწვერულმა ოფიცერმა ღალატი ჩაიდინა მარტო იმისთვის, რომ ეღალატა. და დახვრიტეს. სწორედ მათ დანაშაულებს ვუძღვნი ჩემს წიგნს.

როგორ იფურჩქნებოდა ეს ლამაზად გადაპენტილი მშვენიერი, ნაღვლიანი ყვავილები, უცბად არ გამიგია: მხოლოდ აქა-იქ, ნაწყვეტ-ნაწყვეტად წავკარი ყური მათ თავგადასავლებს: ერთის ამბავი გაზეთის ნაგლეჯზე ამოვიკითხე, მეორისა დაუფიქრებლად წამოსცდა ჩემს ადვოკატს, მესამისა პატიმრებისგან მოვისმინე თითქმის სიმღერით, - მათი სიმღერა ფანტასტიკურ სულთათანას ჰგავდა (როგორც

De Profundis);

იმ ნაღვლიანი ჰანგებივით, საღამოობით რომ მღერიან ხოლმე პატიმრები; მათი ხმა სატუსაღოს საკნებს შორის მდორედ მოედინება, ჩემამდე ნაწყვეტ-ნაწყვეტ, დამახინჯებულად, სასოწარკვეთით სავსე აღწევს; ფრაზების ბოლოს ხმა წყდება, იკარგება და სიმღერას ისეთ საამო ხიბლს ანიჭებს, გეგონება, ბანს ანგელოზები აძლევენო. ანგელოზებისა მეშინია. ძრწოლა მიპყრობს, როგორც კი წარმოვიდგენ, რომ არც სულიერნი არიან, არც ხორციელნი და თეთრები და მსუბუქები არიან, მოჩვენებათა ნახევრად გამჭვირვალე სხეულებივით.

ეს მკვლელები, აწ უკვე მიცვალებულნი, მაინც მოდიან ჩემთან და მუდამ, როცა ერთი ამ მწუხარე ვარსკვლავთაგან ჩემს საკანში ეცემა, გული მიჩქარდება და იმ დოლივით ბაგუნებს, ქალაქის დაცემას რომ იუწყება. ისეთი მღელვარება მეუფლება, ზუსტად ისევე ვიკრუნჩხები და რამდენიმე წუთს უაზროდ ვგდივარ, როგორც მაშინ, სატუსაღოს თავზე გერმანული თვითმფრინავის გადაფრენისა და იქვე ახლოს ბომბების აფეთქების ხმა რომ შემომესმა. წამიერად ბავშვი დავლანდე. მარტო იყო, თავის რკინის ფრინველს დააქროლებდა, სიკვდილს თესავდა და იცინოდა. ამ ბიჭის გამო გააფთრდნენ სირენები და ზარები, ას ერთჯერ გავარდა ქვემეხი დოფინის მოედანზე. სიძულვილისა და შიშის ყვირილი ატყდა. ყველა საკანი აზანზარდა, აძაგძაგდა, შიშისგან შეიშალა. პატიმრები კარებს აწყდებოდნენ, აბრახუნებდნენ, იატაკზე გორავდნენ, ღრიალებდნენ, ტიროდნენ, უფალს გმობდნენ და ევედრებოდნენ. ვიმეორებ, დავინახე ან დავიჯერე, რომ დავინახე თვრამეტიოდე წლის ყმაწვილი თვითმფრინავში და ჩემი 426-ე საკნის სიღრმიდან სიყვარულით გავუღიმე.

არ ვიცი, მართლა მათი სახეებია თუ არა, ჩემი საკნის კედელს ალმასისდარი ტალახივით რომაა შეშხეფებული, მაგრამ არც შემთხვევით ამომიჭრია ჟურნალებიდან ეს ცარიელთვალებიანი მშვენიერი თავები.

ცარიელი-მეთქი, ვამბობ, რადგან ღია ფერის თვალები აქვთ, არადა, ცისფერი უნდა ჰქონდეთ, ლითონის ძაფზე დაკიდებული მანათობელი გამჭვირვალე ვარსკვლავივით - ცისფერი და ცარიელი, დაუმთავრებელი სახლების ფანჯრებივით, საიდანაც მოპირდაპირე სახლის ფასადის ფანჯრებიდან ცის დანახვა შეიძლება, დილაობით ყველა ქარისთვის ღია ყაზარმებივით ცარიელი და სუფთა რომ გვგონია, სინამდვილეში კი თავიანთ საწოლებზე დაუდევრად გადაშხლართული საშიში მამრებითაა დასახლებული. ცარიელი-მეთქი ვამბობ, მაგრამ თვალს თუ დახუჭავენ, მათი შესახედაობა უფრო მეტად შემაშფოთებს; როგორც მოწიფულ გოგოს შეაშფოთებს იმ ადგილების გვერდით ჩავლა, სადაც რკინის გისოსებით აჭედილფანჯრებიანი უზარმაზარი ციხეებია, რომელთა მიღმაც სძინავს, ოცნებობს, იგინება და იფურთხება მთელი ტომი მკვლელებისა, ყოველი საკანი მოსისინე ასპიტთა ბუდედ და იმავე დროს სარჟის მტვრიანფარდებიან სააღმსარებლოდაც რომ უქცევიათ. ამ თვალებში, ერთი შეხედვით, მისტიკური და იდუმალი არაფერია, როგორც ზოგიერთ ძველ გამაგრებულ ციხე-ქალაქში - ლიონში თუ ციურიხში - მაგრამ, რომლებიც ისევე მნუსხავენ, როგორც ცარიელი თეატრები, მიტოვებული სატუსაღოები, გაჩერებული მანქანები და უდაბნოები, რადგან უდაბნოც გამაგრებულია, ჩაკეტილი და უსასრულობასთან ურთიერთობა არა აქვს. ასეთსახიანი ადამიანებისა მეშინია, როცა მათ შორის ალალბედზე მიხდება გავლა. სამაგიეროდ, რა საუცხოო მოულოდნელობაა, როცა მათ სამყოფელში, უკაცრიელი ჩიხის მოსახვევთან, რომელსაც გულის კანკალითვუახლოვდები, მაგრამ მხოლოდ დიდი ბატონის ხელის შეხებასავით ქედმაღლურ სიცარიელეს ვაწყდები!

როგორც უკვე გითხარით, დარწმუნებული არა ვარ, რომ სწორედ ესენია ჩემი მეგობრების გილიოტინით მოკვეთილი თავები, მაგრამ ზოგიერთი აშკარა ნიშნით ვხვდები, მათია: ისინი, კედელზე ჩამოკიდებულნი, მათრახივით მოქნილნი და მინის დანებივით მაგარნი, იმ ბავშვებივით განსწავლულნი, ექიმობანას რომ თამაშობენ, და კესანესავით ნორჩები, - იმისათვის არიან არჩეული, რომ საზარელ სულთა სამფლობელოდ იქცნენ.

ჩემს საკნამდე გაზეთები იშვიათად აღწევს და ხვადების სურათებიანი ყველაზე ლამაზი გვერდებიც უკვე ამოხეულია, როგორც მაისის ბაღშია ხოლმე ყველაზე ლამაზი ყვავილები დაკრეფილი; ეს დიდი, უდრეკი, მკაცრი ხვადები, გაფურჩქნილი ასოთი; თუმცა უკვე ვეღარც ვხვდები, იქნებ შროშანებია, ანდა შროშანებიცაა და ასოც, ანდა იქნებ არც ერთია და არც მეორე, იმდენად ვეღარ ვიგებ, რომ, როცა საღამოობით მუხლებზე მდგარი, ფიქრებში ფეხებზე ვეხვევი, ამ ფეხების სიმკვრივე მაოცებს, მაბნევს და ერთმანეთში მერევა. და მოგონება, რომელსაც ჩემი ღამეების საძოვარს სიამოვნებით ვუთმობ, შენზეა, უძრავად რომ იწექი, ვიდრე გეფერებოდი; და მხოლოდ შენი ამდგარი, მოცახცახე ასო მეჭრებოდა ხახაში იმ მაწანწალას მოულოდნელი გამხეცებით, რომელიც შლაპის ქინძისთავით იჩხვლეტს გულმკერდზე სისხლიან ხორცმეტს; შენ არც ინძრეოდი, არც გეძინა, არც ოცნებობდი, სადღაც შორს იყავი, უმოძრაო და გაფითრებული, გაშოტილი იყავი განიერ საწოლზე, რომელიც ზღვის ზედაპირზე მოტივტივე კუბოს ჰგავდა. ეჭვი არ შემპარვია ჩვენს უმანკოებაში, მაშინაც კი, როცა ვიგრძენი, როგორ ჩამენთხიე რამდენიმე ბიძგით თხელ სითეთრედ. შეიძლება სიამოვნებასაც თამაშობდი, რადგან იმ წუთში ნეტარების მშვიდმა ექსტაზმა გაგაცისკროვნა, შენი სხეული უჩვეულო ნათებით შეიმოსა და იქიდან მხოლოდ თავი და ფეხები გიჩანდა.

მოკლედ, ოციოდე სურათის მოგროვება შევძელი და კედელზე გაკრული მუყაოზე დაწერილი შინაგანაწესის უკუღმა მხარეს დაღეჭილი პურის გულებით მივაწებე. ზოგიც თითბრის მავთულით დავამაგრე. თითბრის მავთული ოსტატს მოაქვს ხოლმე, რომ ზედ სხვადასხვა ფერის მინის მძივები ავასხა.

ამ მძივებისგან სხვა პატიმრები სამგლოვიარო გვირგვინებს ამზადებენ, მე კი ვარსკვლავის ფორმის ჩარჩოები დავამზადე იმათთვის, ვინც, ალბათ, მართლა დამნაშავეა. საღამოობით, როგორც თქვენ ქუჩაში გამავალ ფანჯარას აღებთ, ისე მე შინაგანაწესს გადმოვაბრუნებ ხოლმე. მათი სურათებიდან მომდინარე დამთრგუნველი ღიმილი, უკმაყოფილო, ამრეზილი გრიმასა ულმობლად შემოდის ჩემს ყოველ ნახვრეტში; მათი ენერგია მავსებს, მამაღლებს და მათ მორევში ვცხოვრობ. ისინი წარმართავენ ჩემს პატარ-პატარა ჩვევებს, რომლებიც, მათთან ერთად, ჩემი დიდი ოჯახიცაა და ერთადერთი მეგობრებიც.

ამ ოცეულიდან რამდენიმე ჯეელს შეიძლება გზაც აერია და ციხესაც არაფრით იმსახურებს - ვინმე ჩემპიონი, ათლეტი. მაგრამ მისი სურათი თუ ჩემს კედელს უკვე მივაკარი, მაშასადამე, რამით - ტუჩის აგრეხით ან თვალის მოჭუტვით - მასში ურჩხულის იდუმალი ნიშანი შევიცანი. მათ სახეებზე აღბეჭდილი რაღაც ნაკლი ან შეყინული ჟესტი მიმანიშნებს, რომ შეუძლიათ შემიყვარონ, რადგან უკვე ვუყვარვარ და მხოლოდ იმიტომ, რომ ურჩხულები არიან. შეიძლება ისიც ითქვას, რომ ამ შემთხვევით დაკარგულმა თავად გააკეთა არჩევანი და აქ აღმოჩნდა. ამალად თუ კარისკაცად სხვადასხვა სათავგადასავლო რომანების გარეკანებიდან მათ ერთი ახალგაზრდა მექსიკელი მეტისი შევურჩიე, ერთიც გაუჩო, ერთი კიდევ კავკასიელი ჯიგიტი, იმ წიგნების გვერდების არეებიდან კი, სეირნობისას ხელიდან ხელში რომ გადადის, რამდენიმე უხეირო ნახატი ამოვიღე - პირში აბოლებულ სიგარეტგაჩრილი ავაზაკებისა და სუტენიორების პროფილები და ვიღაც ტიპის ამდგარასოიანი სილუეტი.

ღამღამობით ისინი მიყვარს და ჩემი სიყვარული მათ სიცოცხლეს შთაბერავს. დღისით ჩემი წვრილმანი საზრუნავით ვარ მოცული; დიასახლისივით, რომელიც თვალს ადევნებს, პურის ნამცეცები ან ფერფლი პარკეტზე არ დაცვივდეს. მაგრამ ღამით! შიში საპატიმროს ზედამხედველისა, რომელმაც შეიძლება უცბად აანთოს სინათლე და კარში გამოჭრილ ნახვრეტში შემოიჭვრიტოს, მაიძულებს, სიფრთხილის საძაგელი ზომები მივიღო; ზეწრის გაშრიალებისაც კი მეშინია, რომ ეს ჩემი სიამოვნების გაცემის ნიშანი არ გახდეს; მაგრამ ჩემი კეთილშობილების წყალობით საიდუმლოდ ქცეული ჩემი ჟესტები ტკბობას კიდევ უფრო მიძლიერებს. თითქოს დავხეტიალებ, დავცურავ. ზეწრის ქვეშ ჩემი მარჯვენა ხელი არარსებული სახის მოსაფერებლად ჩერდება, მერე იმ ტუსაღის ტანზე ნაზად მიცოცავს, რომელიც ამ საღამოს ბედნიერებისთვის ავირჩიე. მარცხენა ხელის თითები არარსებულ ორგანოს უჭერს, რომელიც ჯერ ვითომ წინააღმდეგობას სწევს, მერე ნებდება, იხსნება და მძლავრი სხეული კედლიდან გადმოდის, მიახლოვდება, ზედ მეცემა, იმ ლეიბზე მასრესს, რომელზეც უკვე ასზე მეტი პატიმრის ლაქაა დარჩენილი. ამასობაში ბედნიერებაც მეუფლება, რომელშიც ვიძირები, და აღარც ღმერთი მახსოვს და აღარც მისი ანგელოზები.

ვერავინ იტყვის, აქედან გავალ თუ არა. ვერც იმას მეტყვის ვინმე, თუ გავალ - როდის.

სწორედ ჩემი უცნობი საყვარლების დახმარებით დავწერ ამ ისტორიას. აგე ისინიც, კედელზე ჩამწკრივებული ჩემი გმირები, ერთად ვართ ამ გისოსებს მიღმა ჩამწყვდეული. იმისდა მიხედვით, როგორ წაიკითხავთ ამ წიგნს, მისი პერსონაჟები, დივინიცა და კიულაფრუაც კედლიდან წიგნის გვერდებზე გადმოინაცვლებენ და ჩემს ნაამბობს გაანოყივრებენ, როგორც მკვდარი ფოთლები. ან საჭიროა კი მათი სიკვდილის ამბავს მოგიყვეთ? ალბათ, ამას ყველა ისევე ჩვეულებრივად მიიღებს, როგორც იმის სიკვდილს, ვინც გაიგო თუ არა სასამართლოზე თავისი განაჩენი, რაინული აქცენტით თქვა: „ეს უკვე გავიარე“ (ვაიდმანი).

შეიძლება ისეც მოხდეს, ეს ისტორია ყველაფრით გამონაგონს არ ჰგავდეს, და მასში, ჩემი განზრახვის მიუხედავად, სისხლის ყივილიც შემოგესმათ. ეს მაშინ, როცა ღამით მტანჯველი ფიქრებისგან გასათავისუფლებლად, რომლებიც სამყაროს შექმნის დღიდან მაწვალებს, კარზე თავს მივაბრახუნებ. ამიტომ გთხოვთ მომიტევოთ. ეს წიგნი მხოლოდ ჩემი შინაგანი ცხოვრების ნაწილი იქნება.

რბილჩუსტებიანი ზედამხედველი საკნის კარის სარკმლიდან ხანდახან სალამს გადმომიგდებს ხოლმე, ლაპარაკს მიწყებს და ისე, რომ თვითონაც არ სურს, დაწვრილებით მიყვება ჩემს მეზობლებზე: ყალთაბანდებზე, ცეცხლის წამკიდებლებზე, ყალბი ფულის მჭრელებზე, მკვლელებზე, მცირეწლოვან დამნაშავეებზე, რომლებიც იატაკზე გორავენ და ყვირიან: „დედიკო, მიშველე!“ მერე სარკმელს მომიჯახუნებს, სარკმელი ღრჭიალებს, და მე იმ სასიამოვნო ბატონების პირისპირ ვრჩები, რომლებიც ჩემთან შემოძურწულან და რომლებსაც თბილი საწოლი და მშვიდი დილა ბნედასა ჰგვრის, ცდილობენ, როგორმე მიაგნონ ძაფის ბოლოს, გახსნან სასტიკი და მოქნილი ხრიკების ხლართი, რომლის დახმარებითაც, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, რამდენიმე ვარდისფერლოყება გოგო გაფითრებულ მიცვალებულად იქცა. მინდა, მათი თავები და ფეხები ჩემს კედელზე გაკრულ მეგობრებს შევუერთო და ისინიც თავის ადგილს დაიკავებენ ბავშვის ისტორიაში. ხოლო ისტორიას ჩემს გემოზე გადავაკეთებ, რომ ჩემი საკანი

მომაჯადოებელი ხიბლით შევამკო (მინდოდა მეთქვა, მომაჯადოებელი მისი წყალობით გახდება-მეთქი). დივინზე ცოტა რამ ვიცი, მაგრამ მაინც დავწერ მის ამბავს; ნოტრ-დამ-დე-ფლერის ამბავსაც დავწერ, და ეჭვიც არ შეგეპაროთ - ჩემს საკუთარსაც. ნოტრ-დამ-დე-ფლერის ნიშნები: სიმაღლე - 1,71 სმ, წონა - 71 კგ, სახე - ოვალური, თმა - ქერა, თვალები - ცისფერი, კანი - გადატკეცილი, კბილები - მშვენიერი, ცხვირი - სწორი.

გუშინ დივინი საკუთარი მკერდიდან ამოხეთქილი სისხლის გუბეში ჩაკვდა; ბოლოჯერ შეცდა - სული ისე აღმოხდა, რომ სისხლი ის ხილული შავი სიცარიელე ეგონა, რომელზეც ტრაგიკული დაჟინებით მიანიშნებდა დამსხვრეული ვიოლინო, გამომძიებელთან რომ ნახა ნივთმტკიცებების გროვაში. ალბათ, ასე მიუთითებდა იესოც თავის ოქროსფერ იარაზე, რომლის შიგნითაც მისი ანთებული წმიდა გული ძგერდა. ეს მისი სიკვდილის ღვთაებრივი მხარე გახლდათ. მეორე, ჩვენი მხარე, წარმოჩნდა სისხლის ნიაღვარში, ღამის პერანგი და ზეწრები რომ დაუსვარა (შეუბრალებელი მზე მისი საწოლის სისხლიან ზეწრებზე დაესვენა), და მისი სიკვდილი მკვლელობას გაუთანაბრა.

დივინი წმინდანად მოკვდა; მოკლეს - ჭლექმა მოკლა.

იანვარია და ჩვენ ციხეში დილის სეირნობისას მალულად, თავშეკავებით ერთმანეთს ბედნიერ ახალ წელს ვუსურვებთ. ალბათ, ასე იქცევან სამუშაოზე მისული შინამოსამსახურეებიც. უფროსმა ზედამხედველმა საახალწლო საჩუქრად ყველას მარილის პატარა, ოცგრამიანი პაკეტები დაგვირიგა. დღის სამი საათია. გუშინდელს აქეთია, გისოსებს მიღმა გადაუღებლად წვიმს და ქარი ქრის. როგორც ოკეანის ფსკერზე, ისე ვეშვები პირქუში კვარტალის სიღრმეში, რომელიც ჩვეულებრივი თვალისთვის მძიმე და მზერაშეუღწეველი სახლებითაა გადაჭედილი, მაგრამ მოგონებათა შინაგანი ხედვისათვის მაინც საკმაოდ მსუბუქია. თვითონ მოგონებები ხომ ფოროვანი ნივთიერებებისგან შედგება. და დივინი სწორედ ერთ-ერთი ამ სახლის სხვენში ცხოვრობდა დიდხანს. უზარმაზარი ფანჯრიდან მონმარტრის პატარა სასაფლაო იტაცებს თვალს (და აჯადოებს კიდეც). აკლდამამდე მისასვლელი პირამიდის დერეფნებივით სხვენში ამავალი მიხვეულ-მოხვეული კიბე დღეს მნიშვნელოვან როლს ასრულებს და წინა ოთახამდე მიდის, რომელიც ახლა

დივინის დროებით განსასვენებლადაა ქცეული. მიწისქვეშა გასასვლელი მაღლა მიემართება და თავისი სუფთა ხაზებით ველოსიპედისტის მარმარილოს მკლავს მოგვაგონებს, სიბნელეში ოდნავ რომ მოჩანს თეთრად. ქუჩიდან კიბეს სიკვდილთან მიჰყავხარ; ბოლო განსასვენებლის სამრეკლომდე აღწევს, სადაც ყვავილების ხრწნის, ცვილის სანთლებისა და საკმევლის სუნი დგას. კიბე წყვდიადში ადის, ყოველ სართულზე პატარავდება და ბნელდება, თითქმის ქრება, ბოლოს კი ლაჟვარდს ერევა. ეს დივინის კიბის ბაქანია. ამ დროს ქვევით, ქუჩაში, პატარა, ბრტყელი ქოლგების შავი შარავანდედის ქვეშ, რომლებიც ყვავილების თაიგულებივით უჭირავთ, დგანან მიმოზა ი, მიმოზა ii, მიმოზა ნახევრად ივ, პირველი ზიარება, ანჟელა, მონსენიორი, კასტანიეტა, რეგინა, მოკლედ, მთელი კრებული. კიდევ შეიძლებოდა გაგვეგრძელებინა ეს გრძელი და მოსაწყენი ჩამოთვლა არსებებისა, მაღალფარდოვანი სახელები რომ ჰქვიათ. ისინი დგანან და ელიან; მეორე ხელს, როგორც ქოლგებს, ისე უჭერენ იების პატარა თაიგულებს; ზმანებებში ჩაძირულან. მერე რომელიმე, ვთქვათ, პირველი ზიარება, დამკრძალავი ცერემონიის სილამაზით შეძრული და გაბრუებული, პირველი გამოერკვევა, იმქვეყნიურ ნელსურნელოვან და ამაღელვებელ გალობასავით გაახსენდება საღამოს გაზეთის სტრიქონები: „სასტუმრო „კრიიონის“ პარმული იებით მოფენილ შავ ხალიჩაზე ვერცხლით შემკული შავი ხის კუბო იდგა, რომელშიც მონაკოს პრინცესას დაბალზამებული სხეული ესვენა“. პირველი ზიარება ნაზი ქმნილება გახლდათ. ინგლისელი ლედის მანერით ნიკაპი მაღლა ასწია, მერე გაისწორა და საკუთარ წარმოდგენაში წარმოშობილი უმშვენიერესი ისტორიის ნაკეცებში გაეხვია, სადაც მისი უფერული ცხოვრების ყოველი მოვლენა მნიშვნელობას იძენდა, თავად კი მკვდარი პრინცესა იყო.

მის გაქცევას წვიმამაც შეუწყო ხელი.

ამ გოგო-პედერასტებს მინის მძივების გვირგვინები ედგათ. ზუსტად ასეთებს ვაკეთებ ჩემს საკანში. მათ მოგონებები მოაქვთ ზღვის ქაფის სუნსა და ჩემი სოფლის სასაფლაოს თეთრ ქვებზე ლოკოკინებსა და ლოქორების დატოვებულ ნაკვალევზე.

ყველა პედერასტი ქვევით, კიბესთან შეგროვილა, ერთმანეთს ეხუტებიან,

ყბედობენ, ჭიკჭიკებენ. გოგო-პედერასტები ლამაზ, მაღალ, მდუმარე და ხის ტოტებივით გაშეშებულ ბიჭ-პედერასტებს ეხვევიან. ყველას შავი ტანსაცმელი აცვია: შარვალი, ქურთუკი, პალტო, მაგრამ მათი სახეები, ახალგაზრდა თუ ბებერი, ნაოჭიანი თუ უნაოჭო, გერბებივით ფერად კვადრატებადაა დაყოფილი. წვიმს. წვიმის ხმაურს ხმები ერთვის:

- საცოდავი დივინი!
- დამიჯერე, ძვირფასო! მის ასაკში ეს გარდაუვალი იყო.
- უწინდელივით ხომ ვეღარ შოულობდა ფულს!
- მინიონი არ მოვიდა?
- ჩუმად!
- ერთი ამას უყურე!

დივინს არ უყვარდა, როცა მის ზემოთ ვინმე დადიოდა. ამიტომ ერთი რიგიანი კვარტალის ბურჟუაზიული სახლის ბოლო სართულზე ცხოვრობდა. ამ სახლის შესასვლელთან ირეოდა მთელი ეს მოჩურჩულე, აზრარეული კომპანია.

წუთი წუთზე კატაფალკი მოვა, ალბათ, შავცხენშებმული იქნება, დივინის ნეშტს ეკლესიაში გადაასვენებს, მერე აქვე, სულ ახლოს - მონმარტრის პატარა სასაფლაოზე, სადაც რაშელის ქუჩით ავა.

ხვადისსახიანი უზენაესი გამოჩნდა. ყბედობა შეწყდა. თავშიშველი და ძალზე ელეგანტური, თავდაჯერებული და მოღიმარი, ლაღი და მოქნილი მინიონ-პაწია-ფეხი მოვიდა. მიუხედავად მისი დახვეწილობისა, მის სვლას მძიმე დიდებულების იერი დაჰკრავდა, იმ ბარბაროსივით, ძვირფასი ბეწვის ჩექმებით რომ მიალაჯებს ტალახში. სხეულის ზედა ნაწილი ბარძაყებზე ისე ეჯდა, როგორც ხელმწიფე ზის ხოლმე ტახტზე. საკმარისია წარმოვიდგინო, და ჩემი მარცხენა ხელი შარვლის გახეულ ჯიბეში მიძვრება... და მინიონის სახება არ მტოვებს, ვიდრე ჩემს საქმეს არ მოვრჩები. ერთ დღეს ჩემი საკნის კარი გაიღო და ის გამოჩნდა. წამით საპატიმროს გასაოცრად სქელი კედლების ჩარჩოდან გადმოსული სიკვდილივით მოზეიმე მეჩვენა. სახე ისეთი სათუთი ჰქონდა, გეგონებოდა, მიხაკებით მოფენილ მინდორზე შიშველი წევსო. ერთ წამში მთლიანად მისი ვიყავი, თითქოს პირიდან (ნეტა ვინა თქვა პირველად ეს სიტყვა) ჩემში შემოვიდა და ყელამდე ამავსო. შემოვიდა და ისე ამავსო, რომ ჩემთვის ადგილი აღარ დარჩა, გამომდევნა. ახლა განგსტერებს, ქურდებს და ხვადებსა ვარ შერეული და პოლიცია შემთხვევით მიჭერს. სამ თვეს, როგორც უნდოდა, ისე ისიამოვნა ჩემი სხეულით და მაწამა. მის ფეხებთან ვეგდე და იატაკის საწმენდი ჩვარივით მთელავდა. მერე გაათავისუფლეს და ისევ ქურდობას დაუბრუნდა, მე კი მისი დავიწყება ვერ შევძელი. ვერ დავივიწყე მისი ჟესტები, იგი ხომ მათში ისე ვლინდება, როგორც ბროლის წახნაგებში ჩანს ხოლმე საგანი. ისეთი გამოუცნობი ჟესტები ჰქონდა, არა მგონია, ისინი ხანგრძლივი ფიქრის შედეგი ყოფილიყო. აღარაფერი დამრჩა მისი უზარმაზარი თაბაშირის ამდგარი ფალოსის გარდა, რომელიც დივინმა თვითონ გააკეთა. ყველაზე მეტად მისი სიმაგრე მაოცებს, მაშასადამე, იმ ნაწილის სილამაზე, რომელიც უკანა ტანიდან იწყება და პენისის თავით მთავრდება.

კიდევ ვიტყოდი, რომ მაქმანივით რბილი თითები ჰქონდა და ყოველი გაღვიძებისას მისი წინ გაწვდილი ხელები ისე იხსნებოდა, თითქოს მთელი სამყარო უნდა ჩაიკრას გულშიო. ეს მოძრაობა ბაგაში მწოლიარე ყრმა იესოს იერს ანიჭებდა - ცალი ფეხის ქუსლი მეორე ფეხის კოჭზე ედო, ყურადღებით აღვსილი მზერა ზეცისკენ ჰქონდა აპყრობილი. ფეხზე მდგარს კი მკლავები კალათივით ჰქონდა მოხრილი და ძველ ფოტოებზე გამოსახულ ნიჟინსკის ჰგავდა, სადაც ვარდის ფურცლების ტანისამოსი აცვია. ხელი მევიოლინის მოქნილ მაჯასავით მოხდენილად მოედრიკა, ზოგჯერ კი ტრაგიკული როლების შემსრულებელი ქალივით მთრთოლარე ხელით თავს იხრჩობდა...

ეს თითქმის ზუსტი პორტრეტია მინიონისა. იგი ხომ - ამას კიდევ ვნახავთ - ჟესტების გენია იყო; ერთი გახსენება და, ვნებას ვეღარ ვითოკავ, ვიდრე ჩემი ხელი გამოთავისუფლებულ სიამოვნებას არ შეეწებება.

ბერძენი ისე მოვიდა, თითქოს გამჭვირვალე ჰაერზე აბიჯებდა. ასე შევიდა სიკვდილთანაც. ბერძენი-მეთქი და თაღლითსაც ეძახიან. ჩაიარა და ყველა „ცისფერმა“ - მონსენიორმა, მიმოზებმა, კასტანიეტამ - შეუმჩნევლად შეარხია წელი. ბურღივით დაატრიალეს ბიუსტები და ასე ეგონათ, ამ ლამაზ მამაკაცს ხვიარასავით გარს შემოვეტმასნეთო. ჩაიარა გულგრილმა, საქონლის დასაკლავი ფოლადის დანის პირივით მბრწყინავმა და შეკრებილები ორ ნაწილად გააპო. მერე ორივე მხარე ისევ უხმაუროდ შეერთდა. ჩაიარა და

დატოვა სასოწარკვეთის მსუბუქი სურნელი, რომელიც არაფერში აგერევა. მინიონი კიბეზე ავიდა. ორ-ორ საფეხურს აბიჯებდა, ფართოდ და თავდაჯერებით ვიდოდა, ასეგეგონებოდათ, სახურავს რომ მიაღწევს, არ შეჩერდება და გამჭვირვალე ჰაერის საფეხურებით ზევით, ზეცისკენ წავაო. მანსარდა, მას შემდეგ, რაც სიკვდილმა აკლდამად აქცია, აღარ იყო იდუმალებით მოცული (თავისი ორაზროვანი გაგება დაკარგა, სისუფთავესთან ერთად უმიზეზო აბნეული სახე დაიბრუნა, რომელსაც ეს გასაოცარი სამგლოვიარო საგნები აძლევდა: თეთრი ხელთათმანები, ლამპიონი, არტილერისტის ქურთუკი, დაბოლოს, ყველაფერი, რასაც ქვემოთ მოვიხსენიებთ). იქ მხოლოდ დივინის დედა, ერნესტინი იჯდა და სამგლოვიარო პირბადის ქვეშ ოხრავდა. უკვე ხანშია შესული, მაგრამ, როგორც იქნა, ის საუცხოო შესაძლებლობა მიეცა, რომელსაც ამდენ ხანს ელოდა. დივინის სიკვდილი საშუალებას მისცემს, გლოვის გარეგნული გამომჟღავნებით, თვალსაჩინო ცხარე ცრემლისღვრით, ყვავილებით, შუბლზე სამგლოვიარო ლენტით გათავისუფლდეს ასობით სხვა როლისაგან, რომლის თამაშიც აქამდე უწევდა. ავადმყოფობის გამო - რასაც ახლავე გიამბობთ - ერნესტინს წარმატება ხელიდან დაუსხლტა. მაშინ დივინ-ჯამბაზი მხოლოდ სოფლელი ბიჭი იყო და ლუი კიულაფრუა ერქვა. ავადმყოფი ბიჭი საწოლიდან მთელ ოთახს ხედავდა, სადაც ანგელოზს (ისევ ეს სიტყვა, რომელიც მაღელვებს, მიზიდავს და იმავ დროს, მძაგს კიდეც! ფრთები კი აქვთ, მაგრამ კბილები? ნუთუ ამ ბუმბულიანი მძიმე ფრთებით, „მისტიკური ფრთებით“, დაფრინავენ? ახლა კიდევ ეს საუცხოო ანგელოზური სახელები: ნეტა სახელს იცვლიან, როცა ეცემიან?), სადაც ანგელოზს, ლურჯფორმიან ჯარისკაცსა და ზანგს (ჩემი წიგნები ხომ მხოლოდ საბაბი იქნება იმისათვის, რომ ლურჯფორმიანი ჯარისკაცი, ანგელოზი და ზანგი დავხატო, ძმურად რომ აგორებენ კამათელს თუ კოჭაობენ ციხის ჩაბნელებულსა თუ ნათელ საკნებში) საიდუმლო საზოგადოება ჰქონდათ, საიდანაც თვითონ ის გამოაძევეს. ანგელოზი, ზანგი და ჯარისკაცი რიგრიგობით იღებდნენ მისი სკოლის ამხანაგებისა და გლეხების სახეებს, მაგრამ გველმჭერი ალბერტოს სახე არასოდეს მიუღიათ. მას ელოდა კიულაფრუა თავის უდაბნოში, რომ ვარსკვლავურ ხორცს პირით დასცხრომოდა და მხურვალე წყურვილი

მოეკლა. თავის სანუგეშებლად, მიუხედავად ასაკისა, ბედნიერების პოვნას იქ ცდილობდა, სადაც სასიამოვნო არაფერი იყო, - მინდორში, სუფთა, უდაბურ, სევდიან მინდორში, ლაჟვარდოვან ან ქვიშიან მინდორში, მაგნიტურ მინდორში, უტყვ და უსიცოცხლო მინდორში, სადაც აღარც სითბო იყო, აღარც ყვავილი და აღარც ხმა. უფრო ადრე, როცა სოფლის შარაზე შავ კაბაში გამოწყობილი პატარძალი გამოჩნდა, რომელსაც თავზე თეთრი ფატა ეხურა და ელვარებდა, როგორც შეჭირხლული ჭაბუკი მწყემსი, როგორც გაფქვილული ქერათმიანი მეწისქვილე ან როგორც ნოტრ-დამ-დე-ფლერი, რომელსაც გვიან გაიცნობს, და, რომელიც მე თვითონ აქ, ჩემს საკანში, ვნახე ერთ დილას ფეხსადგილთან მიმდგარი - საპნის ქაფის ქვეშ ნამძინარევი სახე ვარდისფრად უჩანდა და თმაც გასჩეჩვოდა - მისი წარმოდგენა სამყაროზე ორად გაიყო, რამაც კიულაფრუას აღმოაჩენინა, რომ პოეზია სხვა რამეა - არა მელოდია ტკბილხვეულებისა, რადგან ფატა მკვეთრ, მკაფიო, მკაცრ და ყინულოვან ნაოჭებად ეშვებოდა დაბლა. ეს უკვე გაფრთხილება გახლდათ.

ალბერტოს ელოდა, ის კი არ მოდიოდა. ყოველი შემოსული გლეხი - ქალი თუ კაცი - რაღაცით გველმჭერს ჰგავდა. შემოსულები თითქოს მაცნეები იყვნენ, მოციქულები, წინამორბედნი, მის მოსვლას ამზადებდნენ, წინ მისი ნიჭის ნაწილი მოჰქონდათ, მის გასავლელ გზას ტკეპნიდნენ, ალილუიას გალობდნენ. ერთს ალბერტოს სიარული ჰქონდა, მეორეს - მისი მანერები, ან მისი შარვლისფერი შარვალი ეცვა, ანდა მისი ხმით ლაპარაკობდა. და კიულაფრუას, როგორც ადამიანს, რომელიც რაღაცას ძალიან ელოდება, ეჭვი არ ეპარებოდა, რომ ბოლოს და ბოლოს ყველა ეს გაფანტული დეტალი შეერთდებოდა, შესაძლებელი გახდებოდა დიდი ხნის ნანატრი, გასაოცარი და საზეიმო გამოჩენა უკვე მთლიანი ალბერტოსი; ასე გამოჩნდა ჩემს საკანში მინიონ-პაწია-ფეხი, ერთსა და იმავე დროს მკვდარიცა და ცოცხალიც.

სოფლის მღვდელმა, ახალი ამბების გასაგებად რომ შეიარა, ერნესტინს უთხრა:

- ქალბატონო, ბედნიერებაა, მოკვდე ახალგაზრდა.

ქალმა უპასუხა:

- დიახ, ბატონო ჰერცოგო, - და რევერანსი მიაგება.

მღვდელმა ყურადღებით შეხედა. ქალი ღიმილით დასცქეროდა მბზინავ

იატაკზე საკუთარ გამოსახულებას, რომელიც მისი ანტიპოდი გახლდათ, და რომელმაც ყვავის ქალად, გაბოროტებულ ქვრივად აქცია.

- მხრებს ნუ იჩეჩავთ, ძვირფასო მეგობარო, არა ვარ გიჟი.

არც იყო გიჟი.

- ლუ კიულაფრუა კვდება. ვგრძნობ. ახლა მოკვდება, ვიცი.

„ახლა მოკვდება, ვიცი“ - ეს გამოთქმა ერთი წიგნიდან ამოფრინდა ცოცხალი და სისხლმდინარე ბეღურას ფრთასავით (ან ანგელოზისა, თუკი, რა თქმა უნდა, ანგელოზებს ალისფერი სისხლი აქვთ). ეს იმ იაფფასიანი რომანის მთავარი პერსონაჟი ქალის შიშით ნათქვამი სიტყვებია, წვრილი შრიფტით რომაა დაბეჭდილი ფოროვან ქაღალდზე, რომელიც, როგორც ამბობენ, უზნეო კაცის სინდისსა ჰგავს, პატარებს რომ რყვნის.

- სამგლოვიარო გალობის ხმაზე ვიცეკვებ.

მაშ ასე, საჭირო იყო მისი სიკვდილი. და იმისათვის, რომ ამ მოვლენის პათოსი უფრო მძაფრი გამოჩენილიყო, ეს სიკვდილი თვითონ უნდა გამოეწვია. რა შუაშია აქ მორალი და ციხისან ჯოჯოხეთის შიში, არა? ერნესტინმა (და, მაშასადამე, მეც) გონებაში დრამის მექანიზმი სულ დაწვრილებით წარმოიდგინა. თვითმკვლელობად გაასაღებს: „ვიტყვი, რომ თავი მოიკლა“. ერნესტინის ლოგიკა სცენის ლოგიკა გახლდათ და საერთო არაფერი ჰქონდა იმასთან, რასაც დამაჯერებელს ეძახიან; დამაჯერებლობა ხომ ნათელი მოტივების არსებობას გულისხმობს. ნუ გაგვიკვირდება. ჯობია, აღტაცებული დავრჩეთ.

უჯრის სიღრმეში უზარმაზარი რევოლვერი დევს, რამაც განსაზღვრა კიდეც მისი ქცევა. პირველად როდია, რომ საგნები წამქეზებლად გამოდიან და მოქმედებისკენ უბიძგებენ. ამიტომ პასუხისმგებლობაც ასეთ საშინელ დანაშაულზე მათ ეკისრებათ. ეს რევოლვერი - ვინ წარმოიდგენდა! - მისი ქცევის აუცილებელ დანამატად იქცა. იგი პიესის გმირი ქალის დაჭიმული ხელის გაგრძელება გახდა; მოსვენებას არ აძლევდა, ბოლოს და ბოლოს, ესეც უნდა ითქვას, მბრძანებლური დაჟინებით მოითხოვდა, რის გამოც ლოყები უხურდა და იმ დაჟინებითაც, როგორითაც ალბერტოს სქელი ხელები, ჯიბეებს რომ უბერავდა, მოსვენებას არ აძლევდა სოფლის გოგოებს. მაგრამ ზუსტად ისევე, როგორც მე დავყაბულდებოდი სათუთი მოზარდის მოკვლას, ოღონდ იმ პირობით, თუ სიკვდილის შემდეგ მისი გვამი, ჯერ კიდევ თბილი გვამი, და აჩრდილიც, რომლის გულში ჩაკვრაც ასე სასიამოვნოა, მე მერგებოდა, ერნესტინიც მზად იყო მკვლელობისთვის, ოღონდ იმ პირობით, რომ თავიდან აირიდებდა შიშს, რომელსაც ამქვეყნად ვერსად გაექცევი (კრუნჩხვებს, ბავშვის თვალებში საყვედურსა და სასოწარკვეთას, სისხლისა და ტვინის შხეფებს), და შიშს ანგელოზურს, მიღმურს. იქნებ სწორედ ამიტომ, და იქნებ იმისთვისაც, რომ უფრო საზეიმო სახე მიეცა მომენტისათვის, სამკაულები გაიკეთა. ოდესღაც მეც ასე ვიკეთებდი კოკაინის ინექციას - საგანგებოდ ვირჩევდი გრაფინის ნატიფი საცობის ფორმის შპრიცს და საჩვენებელ თითზე უზარმაზარ ბრილიანტისთვლიან ბეჭედს ვიკეთებდი. ასე იქცეოდა ისიც და ვერ ხვდებოდა, თავის ქცევას როგორ ართულებდა, განსაკუთრებულობის, უცნაურობის სახეს ანიჭებდა, რაც ყველაფერს წახდენით ემუქრებოდა. ასეც მოხდა. ოთახი ქვემოთ ეშვებოდა და ნელ-ნელა დიდებულად გაწყობილ, ოქროთი მორთულ, კედლებზე ძოწისფერ ხავერდგადაკრულ, ძვირფასი ავეჯით დამშვენებულ, წითელი ფაის ქსოვილის ფარდებით დამყუდროებულ, ბროლისსაკიდებიანი შანდლებით, დაკუთხული დიდი სარკეებით მოკაზმულ ბინად იქცა. ჭერიდან (მნიშვნელოვანი დეტალია) უზარმაზარი ჭაღი ეშვებოდა, იატაკზე კი ლურჯი, იისფრად აელვარებული ფაფუკი ხალიჩა ეგო.

პარიზში საქორწინო მოგზაურობის დროს, ერთ საღამოს ერნესტინმა, ქმართან ხელგაყრილი რომ მიდიოდა, ფარდებს შორის დარჩენილ ღიობში ასეთ დიდებულსა და თბილ აპარტამენტებს მოჰკრა თვალი და გაუბედავად, ჯერ კიდევ გაუბედავად, ოცნებობდა, აქ მომკვდარიყო, გარდენალითა და ყვავილებით, ვინმე ტევტონი რაინდის სიყვარულში!

და როცა მოასწრო და ამგვარად ოთხჯერ თუ ხუთჯერ მოკვდა, ბინა იმაზე უფრო საზარელი დრამისათვის გამოთავისუფლდა, ვიდრე მისი საკუთარი სიკვდილი იყო.

მე ვართულებ, ვხლართავ. თქვენ იტყვით, ბავშვობაოო. დიახ, ბავშვობაა. ყველა ტუსაღი ბავშვია და მხოლოდ ბავშვები არიან ასე მოხერხებულები, გულჩათხრობილები, მიხვედრილები და არათანამიმდევრულები. „უკეთესი იქნებოდა, - გაიფიქრა ერნესტინმა, - რომელიმე დიდებულ ქალაქში

მომკვდარიყო, კანში ან ვენეციაში. იქ მოგზაურობის საშუალება მაინც მომეცემოდა“.

ადრიატიკის ზღვის სანაპიროს რომელიმე სასტუმროში, ვთქვათ „რიცში“, დაბინავდებოდა, როგორც დოჟის მეუღლე ან საყვარელი, მერე ყვავილებით ხელდამშვენებული ციცაბო ბილიკით სასაფლაომდე ავიდოდა, იქ ამობურცულ თეთრი ქვის ფილასთან ჩამოჯდებოდა, გაირინდებოდა, მოიკუნტებოდა და ტანჯვის სურნელით დატკბებოდა.

მერე სინამდვილეს არ დაჰბრუნებია. თუმც სინამდვილე არც დაუტოვებია, სპექტაკლისთვის დეკორაციის მომზადებამ აიძულა, ეს ხილვა თავიდან მოეშორებინა. რევოლვერის მოსაძებნად წავიდა, რომელიც თავაზიანი განგების მიერ დიდი ხნის დატენილი იყო, და როცა ხელი მოჰკიდა ამდგარ ასოსნაირ სიმძიმეს, მაშინვე მიხვდა, რომ ორსულად იყო მკვლელობით, ორსულად იყო სიკვდილით.

თქვენ არ იცნობთ იმ დაბრმავებული მკვლელის ზეადამიანურ, ექსტაზურ მდგომარეობას, რომელსაც ხელში დანა, თოფი ან საწამლავით სავსე შუშა უჭირავს, ანდა მკვლელს, რომელმაც უფსკრულისკენ მიმავალი ნაბიჯი უკვე გადადგა.

ერნესტინს შეეძლო, ბოლო მოძრაობა სწრაფად შეესრულებინა, მაგრამ კიულაფრუასავით ისიც ტექსტს მიჰყვება, რომელსაც არ იცნობს, რომელსაც მე ვწერ და რომლის კვანძიც თავის დროზე გაიხსნება. ერნესტინმა თავისი საქციელის მხოლოდ სუფთა ლიტერატურული მხარე იცის, მაგრამ ის გარემოება, რომ ცუდ ლიტერატურას უნდა დაემორჩილოს, მას უფრო გულის ამაჩუყებელს ხდის საკუთარ თვალშიც და ჩვენს თვალშიც. დრამაში, ისევე როგორც ცხოვრებაში, იგი ქედმაღლურ სილამაზეს გაურბის.

ყოველგვარ წინასწარგანზრახულ მკვლელობას წინ მოსამზადებელი ცერემონიალი უძღვის და მერე კვალდაკვალ მონანიების ცერემონიალი მოსდევს. ვერც ერთისა და ვერც მეორის აზრი დამნაშავის გონებას ვერ სწვდება. ყველაფერი თავისი წესით მიდის. ერნესტინს ზუსტად იმდენი დრო ჰქონდა, რამდენიც სამგლოვიარო ოთახის წინ გავლას სჭირდებოდა. მან გაისროლა. ტყვიამ მინა გახვრიტა, რომლის იქითაც მისი განსვენებული ქმრის საპატიო დიპლომი იყო ჩარჩოში ჩასმული. საშინელი ხმა გაისმა.

დასაძინებელი წამლებით გაბრუებულმა ბავშვმა ვერაფერი გაიგო. ერნესტინმა - მით უფრო: მან ძვირფასი ძოწისფერი ხავერდით გამოკრულ ბინაში ისროლა, ტყვიამ დაკუთხული სარკეები, დაკიდებული სამშვენისები, ბროლი, ხელოვნური მარმარილო, ვარსკვლავები დაამსხვრია, შპალერი გახვრიტა, დაბოლოს, მთელი გამოგონილი კონსტრუქცია წაქცევისას ერნესტინს თავზე დაემხო მბრწყინავი სისხლის, ბროლის, ჭაღების, ჩამოსაკიდებელი სამშვენისების ნამსხვრევებისა და ნაცრისფერი მტვრის ნაცვლად.

გონს საკუთარი დრამის ნამსხვრევებს შორის მოეგო. ხელში რევოლვერი აღარ ეჭირა; იგი საწოლის ქვეშ გაქრა, როგორც ნაჯახი ტბორის სიღრმეში, როგორც მაწანწალა კედელში. ფიქრებზე მსუბუქი ხელები მის ირგვლივ დაფარფატებენ. მერე ის ელოდება.

აი ასეთი, მწუხარებით მთვრალი ნახა იგი მინიონმა. დაფრთხა მინიონი: ქალი ლამაზი იყო, გიჟსაც ჰგავდა, უფრო იმიტომ, რომ ლამაზი იყო. თვითონაც ლამაზს, აბა, რისა უნდა შინებოდა? სამწუხაროდ, ცოტა რამ ვიცი (უფრო სწორად, თითქმის არაფერი) იმ ლამაზი ადამიანების ფარულ ურთიერთობებზე, რომლებმაც იციან, რომ ლამაზები არიან; და საერთოდ არაფერი ვიცი ლამაზი ბიჭების ურთიერთობებზე, რომლებიც მეგობრებს ჰგვანან, სინამდვილეში კი შეიძლება ერთმანეთი სძულდეთ კიდეც. როცა ერთმანეთს უღიმიან, გულისხმობენ ამ ღიმილში შეუგნებლად რამე სინაზეს, ან როგორ გავლენას ახდენს ეს მათზე? კუბოსთან მინიონმა მოუხერხებლად გადაიწერა პირჯვარი. მისი მოკრძალება შეიძლება ღრმა ჩაფიქრებადაც ჩაგეთვალათ, მაგრამ ზუსტად ამ მოკრძალებაში მდგომარეობდა მისი მომხიბვლელობა.

სიკვდილმა ყველაფერს - ფარდებს, კედლებს, ნოხებს, თავისი დაღი დაასვა ისევე, როგორც ძველ ეტრატებს აზის ხოლმე ლუქი. განსაკუთრებით ფარდებს. ისინი ხომ ძალიან მგრძნობიარენი არიან, ძაღლებივით გრძნობენ სიკვდილს და გვაგებინებენ კიდეც მის მოახლოებას; სიკვდილს უყეფენ თავიანთი ნაკეცებით, რომლებიც იხსნებიან, შავ-შავნი, სოფოკლეს ტრაგედიების ნიღბების თვალ-პირივით ანდა ქრისტიანი ასკეტების ქუთუთოებივით იბერებიან. დარაბები დახურული იყო, სანთლები ანთებული.

მინიონმა ვეღარ იცნო მანსარდა, სადაც დივინთან ერთად ცხოვრობდა, და ახლა ისე თავშეკავებულად იქცეოდა, როგორც სტუმრად მოსული ახალგაზრდა კაცი.

როგორი გრძნობა ჰქონდა კუბოსთან? არანაირი. უკვე დაივიწყა დივინი.

დამკრძალავი ბიუროს თანამშრომელი თითქმის მაშინვე მოვიდა და გაჭირვებისგან იხსნა.

ნაირფრად მოხატული სახეების, ნელსაცხებლებისა და ყვავილების სუნით გაჟღენთილი ეს შავი პროცესია წვიმაში ნელა მიჰყვა კატაფალკს. მრგვალი და ბრტყელი ქოლგები ნაბიჯის ტაქტზე რიტმულად ირხეოდა და ცასა და დედამიწას შორის აკავებდა მას. ისეთი მსუბუქი გახდა, გამვლელებიც ვეღარ ხედავენ, რადგან მიწიდან ათ მეტრზე მაინც აიწია; მხოლოდ მოახლეები და ლაქიები თუ შეძლებდნენ მის დანახვას. პირველები იმ შემთხვევაში, თუ დილის ათ საათზე თავიანთი დიასახლისების საწოლ ოთახებში არ იყვნენ შესული ფინჯანი შოკოლადის შესატანად, მეორენი კი, თუ დილის სტუმარს კარს არ უღებდნენ. თანაც პროცესია ისე სწრაფად მოძრაობდა, რომ თითქმის უხილავი გახდა. კატაფალკის ბორბლების ღერძებს ფრთები ჰქონდა. წვიმაში პირველი მღვდელი გავიდა დიეს ირაე-ს გალობით. ანაფორის კალთები აიკრიფა. სემინარიაში ასწავლეს, ცუდ ამინდში ასე მოიქეციო. ამ ჟესტმა, თუმცაღა უნებურმა, მასში კეთილშობილების პლაცენტიდან უამრავი საიდუმლოებით მოცული, დამწუხრებული არსება გამოათავისუფლა. შავი ხავერდის შესამოსლის კალთააფარებული, რომელიც ისეთივე ხავერდისაგან იყო შეკერილი, როგორისგანაც ფანტომასის ან ვენეციელი დოჟის მეუღლის შავი ნახევარნიღბები კარნავალზე, შეეცადა, ჩუმად გაპარულიყო, მაგრამ მიწა თავად გამოეცალა ფეხქვეშ, და ახლა ვნახავთ, როგორ მახეში გაება. ერთი წამით სახის დაფარული ქვედა ნაწილი გამოუჩნდა. სრულიად ახალგაზრდა აღმოჩნდა ეს მღვდელი; სამგლოვიარო სამოსლის ქვეშ ვნებიანი ათლეტის მთრთოლარე სხეული იგრძნობოდა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სხვისი ტანსაცმელი ეცვა.

ეკლესიაში სულის მოსახსენიებელი ცერემონია მხოლოდ „ამას ჰყოფდით მოსახსენებლად ჩემდათი“ შემოიფარგლა, შემდეგ კი მღვდელი მგლის ნაბიჯით საკურთხეველს მიუახლოვდა, ლუსკუმა მდუმარედ გახსნა, დაფარნა იმგვარივე ჟესტით გადააძრო, როგორითაც საწოლის ორმაგ ფარდებს სწევენ ხოლმე შუაღამისას, მერე, სუნთქვაშეკრულმა, უხელთათმნო ბინის ქურდის სიფრთხილით ლუსკუმიდან საეჭვო შესახედაობის სეფისკვერი ამოიღო, გატეხა და გადაყლაპა.

ეკლესიიდან სასაფლაომდე გრძელი გზა იყო, ხოლო კურთხევანის ტექსტი კარგად ნაცნობი. თუმცა სულის მოსახსენიებელი გალობა და ვერცხლით მოსირმული შავი სამოსი მშვენიერი იყო. მღვდელი ტალახში ისე მიდიოდა, თითქოს ტყეში დადისო. რომელ ტყეში? - ჰკითხა საკუთარ თავს. ვთქვათ, რომელიმე უცხო ქვეყნის, თუნდაც ბოჰემიის, ტყეში. ალბათ, უფრო უნგრეთისა. ეჭვი არ არის, მაინცდამაინც ამ ქვეყნის არჩევისაკენ უბიძგა ბრძნულმა ვარაუდმა, რომ უნგრელები ერთადერთი აზიელები არიან ევროპისა. ჰუნები. ატილა ბალახს წვავს, მისი ჯარისკაცები, ვიდრე უმ ხორცს შეჭამენ, ბაძაყებს შორის ათბობენ, შეიძლება იმაზე უფრო მძლავრ ბარძაყებს შორისაც, ვიდრე ალბერტოს, მინიონის, გორგის ბარძაყებია, და იქნებ მათი ცხენების ბარკლებზე მძლავრიც! შემოდგომაა. უნგრეთის ტყეში წვიმს.

ტოტებიდან ჩამონადენი წყალი მღვდელს შუბლს უსველებს. მხოლოდ სველ ფოთლებზე ისმის წვეთების წკაპუნი. საღამოვდება. ტყე სულ უფრო შიშის მომგვრელი ხდება. მღვდელი თავის დიდებულ ბარძაყებზე ნაცრისფერ გრძელ ოპლანდს უფრო მჭიდროდ იხვევს; ოპლანდი ისეთივე ფართოა, როგორიც ის შესამოსელი, რომელშიც ახლაა გახვეული.

ტყეში ხეტყის სამხერხაოა. სამხერხაოს ორი ბიჭი ამუშავებს და ნადირობს. ამ მხარეში მათ არავინ იცნობს. ისინი - მღვდელმა ამის შესახებ, მგონი, ერთი თავისი სიზმრიდან შეიტყო - ამ ცოტა ხნის წინ დედამიწის ირგვლივ მოგზაურობიდან დაბრუნდნენ. მღვდელი, როგორც აქ, იქაც სულის მოსახსენიებელს კითხულობდა, როცა ერთ-ერთ ამ უცხოელს გადააწყდა, უფრო ახალგაზრდას, რომელსაც ჩემი სოფლის ყასბის სახე ჰქონდა. ის ნადირობიდან ბრუნდებოდა. ტუჩის კუთხეში ნამწვი ჰქონდა გაჩრილი. სიტყვა „ნამწვმა“ და სველი თამბაქოს გემომ მღვდელს ზურგი აუბურძგლა და სამი პატარა მკვეთრი მოძრაობით გაათავა; სიამოვნება ყველა კუნთის კანკალით გამოიხატა, ბოლო კუნთის ჩათვლით, რომელიც შეირხა და ვარსკვლავური თესლი ამოანთხია.

მხერხავი მღვდლის ტუჩებს დააკვდა და ენით სიგარეტის ნამწვი ჩასჩარა შიგ. და ეს ჟესტი მეფის ბრძანებაზე უფრო მბრძანებლური იყო. მღვდელი დამარცხდა, დარეტიანდა და, სიყვარულის ალშენთებული, წყლით გაჟღენთილ ხავსზე უგრძნობლად დაეცა. უცნობმა თითქმის მთლიანად გააშიშვლა, მადლიერებით ეალერსა და, როგორც მღვდელს მოეჩვენა, გულაჩუყებითაც კი. მერე ერთი აქნევით გადაიკიდა მხარზე თავისი აბგა, რომელშიც ტყის კატა ედო, თოფი აიღო და ავარული სტვენით უდარდელად გაუდგა გზას.

მღვდელმა აკლდამებს შემოუარა, დეიდა-პედერასტები უკან მიჰყვებოდნენ, ქვებზე ბორძიკობდნენ, ბალახით სველდებოდნენ და საფლავებს შორის ანგელოზებს ჰგავდნენ. შეუხედავმა სირსველიანმა მგალობელმა ბიჭმა, რომელსაც აზრადაც არ მოსვლია, რა თავგადასავალი გადახდა სულ ახლახან მის მღვდელს, ჰკითხა, შეიძლება, არახჩინი მეხუროსო. მღვდელმა - შეიძლებაო, უთხრა. სიარულისას ჯიბიდან ხელი არ ამოუღია და ფეხით მოცეკვავის ისეთი მოძრაობა შეასრულა, რითაც ტანგო მთავრდება - ოდნავ წინ წაწეულ ფეხის წვერზე მსუბუქად ჩაიმუხლა და მკვეთრად წააგდო მუხლი, რის გამოც ანაფორა ისე შეერხა, როგორც რწევა-რწევით მიმავალ მეზღვაურსა თუ გაუჩოს უფრიალებს ფართო შარვალი. მერე ფსალმუნის გალობა დაიწყო.

როცა პროცესია საფლავთან მივიდა, რომელიც, ალბათ, იმ მესაფლავემ გათხარა, ოდესღაც დივინი თავისი ფანჯრიდან რომ უყურებდა, თეთრ მაქმანში გახვეულცხედრიანი კუბო შიგ ჩაასვენეს. მღვდელმა საფლავი აკურთხა და უსუპი პირველად მინიონს მიაწოდა, რომელიც გაწითლდა, როცა ხელში ამ საგნის სიმძიმე იგრძნო (იგი ხომ დივინისგან უკვე შორს იყო, შუა გზაზე თავისი მოდგმის ხალხისაკენ, ახალგაზრდა ბოშათა ტომისაკენ, რომლებიც მზად არიან, დაგინძრიონ, ოღონდ მარტო ფეხებით), მერე პედერასტები და ირგვლივ ყველა სასაცილოდ აწრიპინდა, აფრუტუნდა. იქნებ დივინი ასეთ წასვლაზე, ერთმანეთში უცნაურად არეულ ფანტაზიისა და საძაგლობის ასეთ ნაზავზე ოცნებობდა კიდეც.

დივინი მოკვდა. მოკვდა და დამარხეს.

...მოკვდა და დამარხეს.

რადგან დივინი მოკვდა, პოეტს შეუძლია უმღეროს და ხოტბა შეასხას, მოჰყვეს ლეგენდას, საგას ან თქმულებას დივინზე. საგა დივინზე უნდა იცეკვო, მიმიკით გამოხატო, იშვიათად მსუბუქი რემარკებითაც ახსნა მოქმედების განვითარება. რადგან მისი საბალეტო აქტებით გამოხატვა შეუძლებელია, ამიტომ იძულებული ვარ, მრავალსიტყვაობას მივმართო, რათა საჭირო შთაბეჭდილება შევქმნა. ამასთან, ვეცდები, თავიდან ავიცილო ბანალური, ცარიელი, უშინაარსო და უფერული გამოთქმები.

რა მსურს მე, ვინც ამ ისტორიას ვქმნი? საკუთარი ცხოვრების გზის აღდგენით, მისი მსვლელობის თვალის მიდევნებით ვისწრაფვი, ჩემი საკანი სიამოვნებით ავავსო, იმად ვიქცე, რადაც კინაღამ ვიქეცი, ისევ ვიპოვო ის წამი, როცა მიწისქვეშა ცის უამრავი ხაფანგის ძნელად გასაკვლევ ლაბირინთში დავყიალებდი და შიგ ისე გადავეშვი, როგორც შავ სიცარიელეში, მყრალი ჰაერის მასები ნელა გადავაადგილო, ჩავჭრა ძაფები, რომლებზეც ჩემი გრძნობები კიდია თაიგულებად; თვალყური რომ ვადევნო, იქნებ ის ბოშაც გამოჩნდეს, რომელსაც ვეძებ, ოღონდ, კაცმა არ იცის, საიდან, ვარსკვლავთა რომელი ნაკადიდან გამოჩნდება, სველი, თმააზვინული, ვიოლინოზე დაკვრითა და ღამის კაბარეს ალისფერი ხავერდის ფარდის იქით სატანური მოხერხებით მიმალული.

დივინზე ლაპარაკისას, ჩემი განწყობისდა მიხედვით, მამრობით და მდედრობით სქესს ერთმანეთში ავურევ, და თუ თხრობის მსვლელობისას რომელიმე ქალის ციტირება მომიწევს, რამეს ვიღონებ, ვიეშმაკებ, არეულობა რომ არ შეიქმნას.

დივინი პარიზში ოცი წლის წინ გამოჩნდა და სიკვდილამდე იქ იცხოვრა. მუდამ გამხდარი და მოძრავი იყო, თუმცა სიცოცხლის ბოლოს მისმა ნაკვთებმა ცოტა მოუხეშავი იერი მიიღო. ღამის ორი საათი იქნებოდა დივინი მონმარტრზე, გრაფის კაფეში რომ შევიდა. კაფეს კლიენტები ერთიანად ჯერ კიდევ სველი, უფორმო თიხისანი იყვნენ. დივინი კი უკვე სუფთა წყალი გახლდათ. ფანჯრებდახურული, ამოზნექილი კარნიზებიდან ფარდებდაშვებული დიდი კაფე სიგარეტის კვამლში ჩაფლული ხალხით იყო გატენილი; დივინმა იქ რაღაცნაირი სკანდალური სიგრილე შეიტანა, სიგრილე დილის ნიავისა და ტაძრის ქვის იატაკზე ფეხსაცმლის ქუსლების

კაკუნის საოცარი სიტკბო; და როგორც ქარი ატრიალებს ფოთლებს, ისე აიძულა ყველა: ბანკირები, კომერსანტები, ალფონსები, გარსონები, მმართველები, პოლკოვნიკები, საფრთხობელები, უცბად ამსუბუქებული (და სულელი) თავები მისკენ შემოეტრიალებინათ.

ცარიელ მაგიდას მიუჯდა და ჩაი მოითხოვა.

- უმჯობესია ჩინური, ჩემო ბიჭო, - თქვა მან.

ღიმილით. კაფეს კლიენტებს მისი ღიმილი აღმაშფოთებლად თავხედური ეჩვენათ. ჩვეულებრივ, ასეთ ღიმილზე ლაპარაკისას თავს აქნევენ ხოლმე. მაგრამ მოდი პოეტისა და მკითხველისათვის მისი ღიმილი გამოცანად დარჩეს.

იმ საღამოს შამპანურისფერი აბრეშუმის ბლუზა ეცვა, მოპარული მეზღვაურის შარვალი და ტყავის სანდლები. ერთ თითზე, უფრო ნეკზე, ქვა უელავდა განგრენოზულ იარასავით. მოტანილ ჩაის ისე სვამდა, როგორც სახლში - პატარა ყლუპებად (მტრედივით), ფინჯანს ისე იღებდა და დგამდა, ნეკა თითი სულ გაშვერილი ეჭირა. აი, მისი პორტრეტი: წაბლისფერი თმა და დახვეული კულულები თვალებსა და ლოყებზე ჰქონდა ჩამოშლილი, ასეთი ვარცხნილობისთვის შეიძლება „შვიდკუდა კატა“ გვეწოდებინა. ოდნავ მრგვალი და გამობერილი შუბლი. თვალები, მიუხედავად შიგ ჩაბუდებული სასოწარკვეთისა, უმღეროდა, მელოდია თვალებიდან კბილებზე გადასდიოდა და აცოცხლებდა მათ, კბილებიდან კი იქით - მთელ მის მოძრაობაში, უმცირესი ჟესტის ჩათვლით. თვალებიდან მომდინარე ხიბლი ტალღებად მოგორავდა მის შიშველ ფეხებთან. ქარვასავით ფაქიზი სხეული ჰქონდა. როცა აჩრდილებს უნდა გაჰქცეოდა, ფეხები ქარივით სწრაფი უხდებოდა, შიშისგან ფრთები ესხმებოდა. ძალიან სწრაფია, მოჩვენებებს გზა-კვალი რომ აურიოს, საკუთარ ფიქრზე სწრაფად უნდა იქროლოს. სვამდა ჩაის ოცდაათი წყვილი თვალის მზერის თანხლებით, რომელთა გამომეტყველებაც აშკარად ეწინააღმდეგებოდა იმას, რაც დამცინავი, გაჯავრებული, განაწყენებული და დამჭკნარი პირებით ითქმებოდა.

მოხდენილი იყო დივინი და მაინც ბაზრის გასართობებს დახარბებულ უსაქმო მაწანწალას ჰგავდა, იშვიათი შეგრძნებების საძიებლად რომ დაყიალებს, თან ათასგვარ ხარახურას დაათრევს, უკვე გავლილი ზღაპრული ქალაქებიდან გამოყოლილს. ერთი უმცირესი მოძრაობა - ჰალსტუხის გამონასკვა თუ სიგარეტის დაფერფლება, და მაშინვე ქურდული იარაღი ერთვება საქმეში. დივინი საძილე არტერიებს კვანძავდა. იგი მაცდუნებელი ბრძანდებოდა, მეტისმეტად მაცდუნებელი. ჩემი ნება რომ იყოს, მისგან საბედისწერო გმირს შევქმნიდი, ისეთს, როგორიც მე მიყვარს. საბედისწერო ჩემთვის იმას ნიშნავს, რაზეც დამოკიდებულია ყველა იმათი ბედი, ვინც მას დარეტიანებული შესცქერის. მე მას ქვის ბარძაყებით, გლუვი, ამოზნექილი ლოყებით, მძიმე ქუთუთოებით, წარმართული მუხლისთავებით გამოვაქანდაკებდი, თანაც ისეთ მშვენიერს, რომ მათში მისტიკოსების უსასოო ბრძნული სახეები არეკლილიყო. ყოველგვარ მგრძნობიარე მიმზიდველობას ჩამოვაშორებდი. დაე, დათანხმდეს და ყინულის ქანდაკად იქცეს. მაგრამ მე ხომ მშვენივრად ვიცი, რომ საცოდავი დემიურგი იძულებული იყო, თავისი ქმნილება მსგავსად თავისა შეექმნა და რომ მას ლუციფერი არ გამოუგონია. საჭიროა, ჩემი სხეულის თრთოლვა ნელ-ნელა ჩემი საკნის გრანიტის კედლებს გადაედოს. მასთან მარტო ვიქნები დიდხანს და ვაიძულებ, ჩემს სუნთქვაში, ჩემი გაზების სუნში იცხოვროს, ასე საზეიმოსა და სანუგბაროში. წიგნის წერისას თანდათან გავათავისუფლებ ქვისაგან, ცოტას ჩემს ტანჯვას გადავცემ, ცოტას ბოროტებისაგან გავათავისუფლებ და ხელჩაკიდებულს სიწმინდესთან მივიყვან.

ბიჭს, რომელიც დივინს ემსახურებოდა, ერთი სული ჰქონდა, მისთვის დაეცინა, მაგრამ ვერ გაუბედა. მმართველმა გადაწყვიტა, როგორც კი დივინი ჩაის დალევას მორჩებოდა, მის მაგიდასთან მისულიყო და კაფედან წასვლა ეთხოვა, რათა ამგვარად შემდეგში მისი მოსვლა თავიდან აერიდებინა.

ბოლოს დივინმა თოვლივით ქათქათა შუბლზე ფერადი ცხვირსახოცი მოისვა, მერე ფეხი ფეხზე გადაიდო. ყველამ დაინახა, კოჭზე ძეწკვი ეკეთა მედალიონით; როგორც ვიცით, ასეთ მედალიონებში თმის კულულს ინახავენ ხოლმე. მან ყველას გაუღიმა, მაგრამ პასუხის ნაცვლად ზურგი შეაქციეს, თუმცა ესეც პასუხი იყო. კაფეში ისეთი სიჩუმე ჩამოვარდა, უმცირესი ხმაც გარკვევით ისმოდა. ყველამ მიიჩნია, რომ ეს ღიმილი (პოლკოვნიკისთვის ეს ჰომოსექსუალისტის ღიმილი იყო; კომერსანტისთვის - ცისფრისა, ბანკირისა და ოფიციანტებისთვის - მეტრაკისა; ალფონსებისთვის კი - „იმისი“)

საზიზღარი იყო. დივინმა აღარ დაიჟინა; შავი ატლასის პატარა საფულიდან რამდენიმე მონეტა ამოიღო და მარმარილოს მაგიდაზე უხმაუროდ დადო. კაფე გაქრა. დივინი ერთ-ერთ იმ ცხოველად იქცა, კედლებზე რომ ხატავენ - ქიმერად თუ გრიფონად, რადგან რომელიღაც ჩაფიქრებულ კლიენტს უნებურად მაგიური სიტყვა წამოსცდა:

- პიდარასტი.

იმ საღამოს მონმარტრზე იგი პირველად ეძებდა კლიენტს. ბედმა არ გაუღიმა. და აი, მაშინ გამოგვეცხადა გაუფრთხილებლად; კაფეს მუდმივ კლიენტებს დრო არ ეყოთ და, განსაკუთრებით გულგრილობა, რომ გადაერჩინათ საკუთარი რეპუტაცია და რეპუტაცია თავიანთი დედლებისა. ჩაი დალეულია და დივინი წავიდა, გულგრილი (ერთი შეხედვით ასე ჩანდა), რხევა-რხევით ყვავილთა დიდ თაიგულში გაიარა, უკან კილიტები და უხილავი კაბის ფურჩალის შრიალი დატოვა. ის იყო სახლში დაბრუნებაც გადაწყვიტა, რომ კვამლის სვეტმა მანსარდაში აიყვანა, რომლის კარზეც გახუნებული მარმაშის უზარმაზარი ვარდი იყო მიკრული.

მის სუნამოს მძაფრი და ვულგარული სუნი ჰქონდა. ამითაც უცბად მიხვდებოდა კაცი, ვულგარულობა რომ უყვარდა საერთოდ. დივინს კარგი და უტყუარი გემოვნება ჰქონდა; ის, რომ მას, ასეთ დახვეწილს, ცხოვრება მაინც გარყვნილებისკენ, ყოველგვარი სიბინძურისკენ უბიძგებდა, ამაში გასაოცარი არაფერია. მას ვულგარულობა უყვარდა, რადგან ყველაზე დიდი სიყვარული ცხოვრებაში შავტუხა მაწანწალას მიმართ განიცადა. როცა ზემოდან იყოთუ ქვეშ და ის, ტუჩი ტუჩზე შეწებებული, ბოშურ სიმღერებს მღეროდა, დივინის სხეულში რომ იჭრებოდა, მაშინ ისწავლა ვულგარული ქსოვილების სიმშვენიერის დაფასება, ისეთისა, როგორიცაა, მაგალითად, აბრეშუმი, და ყოველგვარი ოქრომკედი, რაც, ჩვეულებრივ, ძალიან უხდებათ ხოლმე უსირცხვილო არსებებს. მონმარტრი გიზგიზებდა. დივინმა ნაირფეროვანი ცეცხლი გადაკვეთა და, უვნებელი, კლიშის ბულვარის ღამეს დაუბრუნდა, ღამეს, რომელიც ღარიბ, ბებერ, მახინჯ სახეებს ფარავს. ღამის სამი საათი იყო. ერთხანს პიგალის მოედნისკენ იარა, ღიმილით აშტერდებოდა მარტო მომავალ ყველა მამაკაცს. მაგრამ ისინი ყოყმანობდნენ, ან იქნებ თვითონ არ იყო ჯერ კიდევ მიჩვეული რიტუალს: კლიენტის თავის მობრუნებას, მის ყოყმანს, გაუბედაობას, როცა ის იმ ბიჭისკენ მიდის, რომელმაც სურვილი აღუძრა. დაიღალა, სკამზე ჩამოჯდა და უცბად მოიხიბლა ღამის სითბოთი, დაღლილობაც სადღაც გაუქრა; გულის ერთი დარტყმის მომენტში თითქოს უცებ გრძნობა დაკარგა და მღელვარება თავის თავს ასე აუხსნა: „ეს ღამეები ჩემთვის ჭკუას კარგავენ სულთნის ცოლებივით. ღმერთო ჩემო, თვალებს მიჟუჟუნებენ! აჰ! ჩემს თმას თითებზე იხვევენ (ღამეების თითები ხომ კაცების სირეებია!), ლოყაზე ხელს მითათუნებენ და დუნდულებზე მეფერებიან“. ასე ფიქრობდა. არ ამდგარა და არც მიწიერი სამყაროს დაკოდილ პოეზიაში ჩაძირულა. პოეზია მის მდგომარეობაზე ვერასოდეს აისახება. ის მუდამ საშოვრის ძიებით შეწუხებულ მეძავად დარჩება.

ყოველ მამაკაცს გამოუცდია დილაობით დაღლილობის კვალდაკვალ სინაზის აღმგზნები მოზღვავებაც. ერთხელ გამთენიისას სიყვარულის დაუძლეველი შეტევა დამემართა და ბერტის ქუჩაზე გაყინულ მოაჯირს დავაკვდი ტუჩებით, სხვა დროს საკუთარი ხელი დავიკოცნე. ისეც ხდება ხოლმე, რომ ემოციების შეკავება აღარ შეგიძლია და გინდა, საკუთარი თავი გადაყლაპო, უზომოდ დაღებული პირით მთელი სხეული შთანთქა და ზედ სამყაროც მიაყოლო; ბურთად იქცე იმისგან, რაც გადაყლაპე, ბურთად, რომელიც ნელა დნება და ქრება - ასეთად წარმომიდგება სამყაროს აღსასრული. დივინი ღამეს დანებდა, რათა მას სინაზისგან გადაეყლაპა და უკან აღარასოდეს ამოენთხია. ის მშიერია. ირგვლივ სიცარიელეა. ბულვარების საპირფარეშოები ცარიელია, ბულვარის მიწაც უდაბნოდ ქცეულა. აგერ მოდის ჯგუფი ახალგაზრდა მუშებისა, მთელი მოუწესრიგებელი სიჭაბუკე ცუდად განასკვულ თასმებში აქვთ, რომლებიც მიწაზე მოსთრევთ - ბიჭები სიამოვნების სამყაროს ტოვებენ და სწრაფი ნაბიჯით სახლებში ბრუნდებიან. ძალიან განიერმხრებიანი პიჯაკები, ბექთარივით ან მყიფე ბაკნებივით რომ ადგათ, მათ გამოუცდელ სხეულებს იცავს; მაგრამ თავიანთი ვაჟკაცობის წყალობით, ჯერჯერობით იმედივით მსუბუქი რომაა, დივინისთვის ხელშეუხებლები არიან.

ამაღამ დივინი არაფერს იზამს. ძალიან უკვირს, რომ შესაძლო კლიენტებმა ვერც კი შეამჩნიეს. შიმშილის გრძნობა აიძულებს, მანსარდაში დაბრუნდეს. წასასვლელად ადგა. ამ დროს ვიღაც კაცი ბარბაცით

მიუახლოვდა; გაუსწორდა თუ არა, მოულოდნელად იდაყვში სტაცა ხელი:

- ოო, მაპატიეთ, - უთხრა, - გთხოვთ, მომიტევოთ!

ღვინის სუნად ყარდა.

- არაფერია, - უპასუხა დივინმა.

ეს გამვლელი მინიონ-პაწია-ფეხი იყო.

მინიონის დამახასიათებელი ნიშნები: სიმაღლე - 175 სმ, წონა - 75 კგ, სახე - ოვალური, თმა - ქერა, თვალები - მომწვანო-მოლურჯო, კანი - გლუვი, კბილები - თანაბარი, ცხვირი - სწორი.

ისიც ახალგაზრდა იყო, თითქმის ისევე ახალგაზრდა, როგორც დივინი და, მინდა, წიგნის ბოლომდე ასეთადვე დარჩეს. ზედამხედველები ჩემი საკნის კარს ყოველდღე აღებენ, რომ საპატიმროს ეზოში სუფთა ჰაერზე გამოვიდე. რამდენიმე წუთის განმავლობაში ვასწრებ და დერეფნებსა და კიბეებზე ვხვდები ქურდებსა და ხულიგნებს. მათი სახეები ჩემში შემოდიან, მათი სხეულები - შორიდან - თავგზას მიბნევს. ძალიან მინდა, მათ მოვეხვიო, ოღონდ არც ერთი არ მაგონებს მინიონ-პაწია-ფეხს.

როცა დივინი ფრესნის ციხეში გავიცანი, მასზე ბევრი რამ მიამბო. ციხეში მის ნაკვალევსა და მოგონებებს ყველგან ეძებდა, მაგრამ მე მისი სახის წარმოდგენა ვერ შევძელი, და ახლა მაცდუნებელი შემთხვევა მეძლევა, ჩემს წარმოსახვაში ის როჟეს სახესა და ტანს შევურიო.

ამ კორსიკელისაგან ჩემს მეხსიერებას ცოტა რამ შემორჩა: უჩვეულოდ მსხვილცერიანი ხელი, რომელიც პაწაწინა გასაღებს ათამაშებს და ქერათმიანი ბიჭის გაურკვეველი სახე (ის კანებიერის ქუჩით ამოდის); კიდევ ძეწკვი, უეჭველად ოქროსი, შარვალზე ჩამოკიდებული, თითქოს შარვლის შესაკრავიაო. აგერ, მამლების ჯგუფშია და მოძრავი ტყეების შეუბრალებელი სიმტკიცით მოიწევენ ჩემკენ. ჩემს ხილვებში მას როჟე ჰქვია, ეს სახელი ბავშვურადაც ჟღერს და რიხიანი სოლიდურობითაც. როჟე რიხიანი იყო. ის-ის იყო შავის ციხიდან გამოვედი და გაოცებული ვიყავი, იქ რომ ვერ შევხვდი. რა უნდა ჩამედინა ისეთი, მისი სილამაზის ღირსი რომ გავმხდარიყავი? გამბედაობა იმისთვისაც კი არ მყოფნიდა, რომ მისით აღვფრთოვანებულიყავი. როცა ფული არ მქონდა, ღამის გასათევად ქვანახშირის გროვის უკან ვწვებოდი დოკებში და ყოველ საღამოს ჩემთან

მიმყავდა. მერე მასზე მოგონებებმა სხვა კაცებზე მოგონებებს დაუთმო ადგილი. და ახლა ისევ, უკვე მეორე დღეა, ჩემს ხილვებში მის ცხოვრებას (გამოგონილს) ჩემს ცხოვრებაში ვურევ. მინდა ვუყვარდე და, ბუნებრივია, გულწრფელადაც ვეყვარები, რომელშიც, ალბათ, გარყვნილების წილიც იქნება, აბა, სხვანაირად როგორ შევუყვარდები? ორი დღეა, მისი ხატებით ვკვებავ ხილვას, რაც, ჩვეულებრივ, ოთხ-ხუთ საათს მყოფნის, და ეს ისეთი მშვენიერია, რომ მსხვერპლად ბიჭიც შევწირე. ახლა, უბრალოდ, იმ გარემოებების გამოგონებაც აღარ შემიძლია, როცა ჯერ კიდევ არ ვუყვარდი. დავიტანჯე ამდენი გამოგონილი მოგზაურობით, ქურდობით, გაუპატიურებით, ძარცვით, დაპატიმრებით, ღალატით, რომლებშიც ჩვენც ვერიეთ, ერთმანეთისთვის რომ ვჩადიოდით და არასოდეს - საკუთარი თავისთვის. ეს თავგადასავლები ჩვენ თვითონ ვიყავით და სხვა არავინ. ძალა გამომელია, ხელები მეკრუნჩხება. სიამე ბოლო წვეთამდე ამოიწურა. ჩემს ოთხ შიშველ კედელს შორის მისით და მასთან ერთად ვცხოვრობდი, და ამ ორი დღის განმავლობაში ყველაფერი, რაც შეიძლება ცხოვრებამ მომცეს, ერთი ოცჯერ მაინც განმეორდა და იმდენად ამავსო, რომ ეს ცხოვრება უფრო რეალური მეგონა, ვიდრე ნამდვილი ცხოვრებაა. ოცნებებზე უარი ვთქვი. შეყვარებული ვიყავი. უარს ვამბობდი, როგორც „ტურ-დე-ფრანსის“ ველოსიპედელი ამბობს რბოლაზე უარს. მაგრამ მახსენდება თუ არა მისი თვალები და დაღლილი გამოხედვა, ბორდელიდან გამოსული ვინმე ჭაბუკისთვის რომ შემიმჩნევია, გამახსენდება თუ არა მისი მომრგვალებული წვივის კუნთები, მძლავრი „იარაღი“, ისეთი მაგარი, რომ კინაღამ ვთქვი, დაკორძილი-მეთქი და სახე, რომელიც არაფრით არა აქვს დაფარული და მოხეტიალე რაინდივით თავშესაფარს ითხოვს, მივხვდი, ამ მოგონებებს გაქრობა არ უწერია, ისე, როგორც გაქრა მოგონებები ჩემს გამოგონილ სხვა თანამგზავრებზე. იგი უფერულდება. მართალია, ისეთივე მკაფიო აღარ არის, როგორიც ჩვენი თავგადასავლების ჟამს იყო, მაგრამ მაინც ჩემში ცხოვრობს. ზოგიერთი დეტალი გონებას ჯიუტად, მთელი ძალით ებღაუჭება და დარჩენას ცდილობს: მაგალითად, გასაღები, რომელსაც პატარა ღრუ აქვს, რომლითაც ზოგჯერ უსტვენს ხოლმე, მისი ხელის ცერი, სვიტერი, ცისფერი თვალები... და თუ თავს ძალას დავატან, მოულოდნელად გამოჩნდება და ისე დამეუფლება,

სხეულზე სულ სტიგმები გამიჩნდება. ძალა აღარ შემწევს, შიგნით გავიჩერო. ამიტომ მისგან პერსონაჟს შევქმნი და მე თვითონ დავტანჯავ. და ეს იქნება მინიონ-პაწია-ფეხი. იგი ოცი წლისავე დარჩება, თუმცა მას ნოტრ-დამ-დე-ფლერის მამადაც უწერია გახდომა და საყვარლადაც.

მან დივინს უთხრა:

- გთხოვთ, მომიტევოთ.

მინიონს სიმთვრალემ შეუშალა ხელი და ვერ შეამჩნია ამ გამვლელის უცნაური შესახედაობა და თავაზიანი აგრესიულობა:

- რა გჭირს, მეგობარო.

დივინი შეჩერდა. თავშესაქცევი და მუქარიანი რეპლიკების გაცვლა-გამოცვლის შემდეგ ყველაფერი ისე გამოვიდა, როგორც სასურველი იყო. დივინმა მინიონი თავისთან მიიყვანა, კოლენკურის ქუჩაზე, იმ მანსარდაში, სადაც მოკვდა და საიდანაც, როგორც გემის ანძაზე ასული მეთვალყურის თვალწინ იშლება მთელი ზღვა, ისე იშლება სასაფლაო და საფლავები. მომღერალი კვიპაროსები. მთვლემარე აჩრდილები. დივინი ყოველ დილით ფანჯრიდან მტვრიან ჩვარს გადაბერტყავს და აჩრდილებს დაემშვიდობება. ერთ დღეს, ბინოკლით ყურებისას, ახალგაზრდა მესაფლავესაც აღმოაჩენს. „უფალო, მომიტევე, - შეჰყვირებს, - საფლავზე ბოთლით ღვინო დგას“. ეს მესაფლავე დივინთან ერთად დაბერდება და მერე ისე დაასაფლავებს, მასზე ეგრევე ვერაფერს შეიტყობს.

მაშ ასე, ის მინიონთან ერთად ზევით ავიდა. მერე სხვენში კარი დაკეტეს და დივინმა ტანსაცმელი გახადა. უშარვლოდ, უქურთუკოდ, უპერანგოდ მინიონი მდნარი თოვლივით თეთრი და დუნე აღმოჩნდა. საღამოს ერთ საწოლში მოვიდნენ გონს, ნესტიან, ერთმანეთში ალინთულ, დასრესილ ზეწრებში.

- რა ფული! რას ამბობ? გუშინ საღამოს ხომ ვერ ვაზროვნებდი!

არაბუნებრივად გადაიხარხარა და სხვენში მოთავსებული ბინა მოათვალიერა. ოთახი პირდაპირ ჭერის ქვეშ იყო. იატაკზე გაქუცული ნოხები ეგო, კედლები ჩემი საკნის კედელზე დაკიდებული მკვლელების სურათებით მოეფინა და მშვენიერი ბიჭების დიდებული გამოსახულებებით, რომლებიც დივინს ფოტოატელიეების ვიტრინებიდან მოეპარა და რომლებიც წყვდიადის ნიშნებით იყვნენ დადაღულნი.

- მაგარი გამოფენაა!

ბუხარზე, ხის პატარა შეღებილ აფრიან გემზე, გარდენალიანი სინჯარა იდგა, რომლის მეშვეობითაც ოთახს ქვით ნაშენი ამ მასიური სახლისაგან გამოყოფა და ცასა და დედამიწას შორის გალიასავით დაკიდება შეეძლო.

ლაპარაკის, ასანთის ანთებისა და სიგარეტის მოწევის მანერაზე დივინმა შეატყო, რომ მინიონი სუტენიორი ბრძანდებოდა. დივინი ჯერ შეშფოთდა, უცბად არ მცემოს, გამქურდოს ან შეურაცხყოფა მომაყენოსო. მერე სიამაყე მოეძალა, რომ გამოადგა და ასიამოვნა ხვადს. არც უფიქრია, რა შეიძლებოდა ამას მოჰყოლოდა, უფრო უნებურად, იმ ჩიტივით, გველის ხახაში რომ მიძვრება, მოჯადოებულივით თქვა: „დარჩი“, მერე ოდნავ ყოყმანით დაამატა:

- თუ გინდა.

- ხუმრობ? ხომ არ შეგიყვარდი?

მინიონი დარჩა.

ამ მონმარტრული დიდი მანსარდის პატარა ფანჯრიდან, საკუთარი ხელით შეკერილი ვარდისფერი მუსლინის ფარდებს შუა დარჩენილი ღრიჭოდან დივინი თვალს ადევნებს მშვიდი და ლურჯი ზღვის ზედაპირზე მოტივტივე თეთრ აკვნებს, ისე ახლოს ხედავს, რომ მათში ჩაწყობილ ყვავილებს არჩევს, საიდანაც საბალეტო პაში გაშეშებული ფეხია ამოშვერილი; მალე ამ სხვენში მინიონი თავის ლურჯ სამგზავრო ქურთუკს, ყალბი გასაღებების აცმას, ინსტრუმენტებს მიათრევს და მთელ თავის ავლადიდებას იატაკზე დაახორავებს, ზემოდან თეთრ, საგარეოსნაირ რეზინის ხელთათმანებს დაადებს. აი, ასე დაიწყო მათი ერთად ცხოვრება მოპარული რადიატორის, მოპარული რადიოსა და მოპარული ლამპების მავთულებით შემოხლართულ ოთახში.

შუადღის შემდეგ საუზმობენ. დღისით სძინავთ ან რადიოს უსმენენ. მერე იღებებიან და საღამოს ქუჩაში გადიან. როგორც წესი, დივინი ბლანშის მოედანზე მუშაობს, მინიონი კი კინოში მიდის. დივინს დიდხანს ექნება წარმატებები. მინიონის მფარველობისა და რჩევების წყალობით იცის, ვინ გაფცქვნას და ვინ როდის დააშანტაჟოს. კოკაინის ბურუსში მიცურავს მათი

და ვინ როდის დააშანტაჟოს. კოკაინის ბურუსში მიცურავს მათი ცხოვრების კონტურები, მიცურავენ მათი სხეულებიც; ისინი მოუხელთებლები არიან.

მინიონი ნაძირალა კი იყო, მაგრამ სახეზე მაინც ნათელი გადასდიოდა. ვაჟკაცურად ლამაზი, ფიცხ და სათუთ „ხვად კატად“ იყო დაბადებული; ისეთი კეთილშობილური მანერები ჰქონდა, მუდამ შიშველი მეგონა, ერთი სასაცილო და მეტად გულის ამაჩუყებელი მოძრაობის გამოკლებით: შარვლისა და ტრუსის გახდისას ზურგს რკალად ღუნავდა და ფეხიდან ფეხზე ინაცვლებდა. დაბადებამდე, დედის თბილ მუცელშივე მონათლეს, შეიძლება ისიც კი ითქვას, რომ წმინდანად შერაცხეს, ლამის კანონიზებაც მოახდინეს. ეს იყო რაღაც „თეთრი“ ნათლობის მსგავსი, რაც სიკვდილის შემდეგ პირდაპირ სამოთხის კარამდე მიიყვანდა; მოკლედ, ჩაკეტილი საზოგადოების ერთი ის სწრაფი, მაგრამ იდუმალებით აღვსილი მეტისმეტად დრამატული რიტუალი, დიდებული ცერემონიალი, სადაც ანგელოზებიც მოფრინავენ, ყველა ღვთაებრივი ძალა იკრიბება, თვით ღვთაებაც კი მობრძანდება. მინიონმა ეს იცის და არც იცის, ყურმოკრულად იცის, მთელი სიცოცხლის მანძილზე ამ საკრალური საიდუმლოს შესახებ მისთვის ხმამაღლა და მკაფიოდ არავის არაფერი უთქვამს; და როგორც ეტყობა, ვიღაცამ მაინც ისე, უბრალოდ ჩასჩურჩულა ეს საიდუმლო. და ეს ნათლობა, საიდანაც მისი ცხოვრება იწყება, თავისი თბილი და სუსტი ოქროსფერი ნათებით ამკობს, მისი სუტენიორული ცხოვრება კვარცხლბეკზე აჰყავს, რომელიც ყვავილწნულებით ისეა მორთული, როგორც ვინმე ყმაწვილი გოგოს საფლავია ხოლმე შავ სუროშემოხვეული; კვარცხლბეკი მასიურია და თან მსუბუქი და თხუთმეტი წლის შესრულების შემდეგ მინიონი იქიდან ასეთ პოზაში აფსამს: დგას ფეხებგაჩაჩხული, მუხლებში ოდნავ მოხრილი. შარდის ნაკადი ისეთი ძლიერი აქვს, როგორიც მხოლოდ თვრამეტი წლის ასაკშია შესაძლებელი. ამას განსაკუთრებით აღვნიშნავ - უნაზესი ნათელი მას მუდამ იცავს თავისივე მახვილ კუთხეებთან მძლავრი შეხებისაგან. თუ ამბობს: „მარგალიტი გამოვუშვი“ ან „ერთი მარგალიტი დამივარდაო“, ეს ნიშნავს, რომ სხვა, განსაკუთრებული ხერხით გააკუა - ძალიან რბილად, ისე, რომ გაზები უხმაუროდ გამოუვიდა. გასაოცარია, მაგრამ ეს მართლაც მქრქალ მარგალიტს გვაგონებს: მისი დახშული გამოდინება, თითქოს იდუმალი გაქცევაო, რძისფერი გვგონია მარგალიტივით. ამასთან მინიონი საოცრად ნატიფ ალფონსადაც წარმოგვიდგება, ან ინდუსად, ანდა სულაც მარგალიტების მოყვარულ პრინცესად. მარგალიტისებრ მქრქალი სუნი, რომელსაც ციხეში ჩუმად უშვებდა, თავიდან ფეხებამდე შიგ ხვევდა ნათებასავით, ყველა დანარჩენისგან აცალკევებდა, მაგრამ უფრო ნაკლებად, ვიდრე ის სიტყვები, რომელთა თქმისაც, მიუხედავად მთელი თავისი არაჩვეულებრივი სილამაზისა, არ ეშინოდა. „მარგალიტი დამივარდა“ იმას ნიშნავდა, რომ უხმაუროდ გააკუა. თუ გაზი ხმაურით გამოვიდოდა, ეს უხამსობა იყო და როცა ამას ვინმე მაწანწალა ჩაიდენდა, მინიონი ამბობდა:

- აი, ტრაკიც გასკდა!

რაღაც საოცრებით, თავისი მაღალი და ნათელი სილამაზის მაგიით მინიონს, ჩემი აზრით, უფრო მბრძანებლურად, ვიდრე ამას ზანგი მკვლელი იზამდა, სავანაში, შავი კონტინენტის გულში გადავყავართ. მინიონი უმატებს:

- საშინლად ყარს. ჩემ გვერდით ყოფნა აღარ შემიძლია...

მოკლედ, თავის სიმდაბლეს ისე ატარებს, როგორც გავარვარებული რკინით კანზე ამოდაღულ სტიგმას, მაგრამ ეს უძვირფასესი სტიგმები ისე აკეთილშობილებს, როგორც უწინდელი დროის არამზადას მხარზე ამოშანთული შროშანა. მუშტით ჩალურჯებული თვალი ხვადისთვის სამარცხვინოა, მინიონისთვის კი:

- ჩემი იების ორი პაწია თაიგული, - ასე ამბობდა.

და კიდევ, როცა მოეჯმებოდა, ამბობდა:

- პირში სიგარა მაქვს გაჩრილი.

მეგობრები ძალიან ცოტა ჰყავს. თუ დივინი მეგობრებს კარგავს, მინიონი თავისებს პოლიციელებთან ჩაუშვებს ხოლმე - დივინმა ამაზე ჯერ არაფერი იცის: მინიონს ღალატი უყვარს და გამცემის საკუთარ სახეს თავისთვისვე ინახავს. დივინი ზუსტად იმ დღეს შეხვდა, როცა ის ციხიდან გამოვიდა, საიდანაც, მიუხედავად ბრალდებებისა, სულ მცირე, ძარცვასა და ნაქურდალის შენახვაში, მაინც გამოუშვეს, რადგან თავისი თანამზრახველები და მეგობრებიც კი, რომლებიც თანამზრახველები არ იყვნენ, სრულიად გულგრილად ჩაუშვა.

ერთ საღამოს, ვიდრე მინიონს განყოფილებიდან გამოუშვებდნენ, სადაც

იმიტომ აღმოჩნდა, რომ ალყაში მოჰყვა, ინსპექტორმა უცბად ისეთი ბუზღუნა ხმით უთხრა, თითქოს მის სიტყვებში არაფერი იგულისხმებოდა: „მაშ, იქ საქმე არაფერი გაქვს, ხომ? მაშინ ჩვენთვის იმუშავე და ყველაფერი მოგვარდება“. მინიონმა იგრძნო, როგორც თქვენ იტყოდით, რაღაც სათაკილოსიამოვნება, მით უფრო ტკბილი, რომ თავადვე მიაჩნდა სათაკილოდ. უტიფარი სახის მიღებას ეცადა და უთხრა:

- ეგ ხომ სარისკოა.

ამასთან შეამჩნია, რომ ჩვეულებრივზე დაბალი ხმით ალაპარაკდა.

- ჩემთან შეგიძლია მშვიდად იყო, ჰატიოსან სიტყვას გაძლევ, - განაგრძო ინსპექტორმა, - და ყოველ ჯერზე ას ფრანკს მიიღებ.

მინიონი დათანხმდა. სხვების დაბეზღება მოსწონდა, რადგან ეს ულმობელს ხდიდა. ულმობლობა - აი, რისკენ ვისწრაფვი შინაგანად. ის ისევ და ისევ საღამოს გაზეთის პირველ გვერდზე მოთავსებულ ახალგაზრდა საზღვაო ლეიტენანტის ფოტოს დასცქერის, რომელზეც უკვე გელაპარაკეთ და, ალბათ, გახსოვთ, ღალატისთვის დახვრიტეს. მინიონმა გაიფიქრა: „მეგობარო! ძმაო!“

ბავშვურმა აღტაცებამ შეიპყრო: „ყალბი ჟეტონი ვარ!“. დანკურის ქუჩაზე ჩამოსვლისას, თითქოს განძი ეპოვოს, მთვრალმა თავისი ფარული დიდების განცდით და თავისი სიმდაბლითაც (რადგან ჯობია, ამან დაგვათროს, თუკი არ გვინდა, რომ მისმა სიმძაფრემ მოგვკლას), თვალი მაღაზიის სარკეს შეავლო, სადაც იდუმალი სიამაყით გაბრწყინებული, ამ სიამაყით აკაშკაშებული მინიონი დაინახა. უელსის პრინცის ტანსაცმელში გამოწყობილი მინიონი დაინახა, გვერდზე მოგდებული რბილი ქუდით, უმოძრაო მხრებით. სიარულისას ცდილობდა, მხრები არ ემოძრავებინა და ამგვარად პიერო-დიუ-ტოპოლს დამსგავსებოდა. პიერო კი მხრებს არ ამოძრავებდა, რათა პოლო-ლა-ვაშს ჰგვანებოდა, ხოლო პოლო - ტიუის რომ ჰგვანებოდა... და ასე შემდეგ: წუნდაუდებელი, ნამდვილი „ხვადი კატების“ სია მინიონ-პაწია-ფეხით - „ყალბი ჟეტონით“ მთავრდებოდა, და მათში ჩაკარგვით, მათი მანერების მითვისებით, როგორც თქვენ იტყოდით, თავისი სიბილწით დასვარა ისინი. მე მინდა, რომ ის ზუსტად ასეთი იყოს: მაჯაზე ძეწკვით, ცეცხლის ალის ენასავით რბილი ჰალსტუხით და ის სასწაული ფეხსაცმელი უნდა ეცვას, რომელსაც მარტო ნამდვილი ხვადები ატარებენ - ღია ყვითელი, თხელი და ძალიან წვეტიანი. დივინის წყალობით მინიონმა ციხეში თვეობით ნატარები, ხმარებისგან გაცვეთილი სამოსი წმინდა შალის ტანსაცმლითა და სუნამონაპკურები საცვლებით შეცვალა. ასეთი გარდასახვით აღფრთოვანებული იყო. ის ხომ ჯერ კიდევ „ხვადი-ბავშვი“ იყო. ჩხუბისთავისა და ხულიგანის სულიც იმ გადაყრილ ძველმანებში ჩარჩა. ახლა ჯიბეში, თავის „კომბალთან“ ახლოს, ისინჯავს და ხელს უსვამს 6,35-კალიბრიან რევოლვერს; როცა იქ მარტო დანა ედო, ასეთი შეგრძნება არა ჰქონია. ჩვეულებრივ, ტანსაცმელს საკუთარი თავისთვის იცვამენ, მინიონი კი ციხისთვის იცვამდა. ყოველი ახალი ნივთის ყიდვისას ფიქრობდა, როგორ ეფექტს მოახდენდა ეს ნივთი თავის შესაძლო ამხანაგებზე ფრესნისა თუ სანტეს ციხეებში. თქვენი აზრით, ვინ იქნებიან ისინი? ორი თუ სამი ძველი ბიჭი, რომლებსაც იგი არასოდეს უნახავთ, მაგრამ ახლა, დაინახავენ თუ არა, მაშინვე თავისიანად მიიღებენ; რამდენიმე მოღუშულსახიანი მამაკაცი ხელს გაუწვდის, ან სასეირნოდ წასვლისას თუ დაბრუნებისას გზადაგზა ტუჩგაუხსნელად მიუგდებს: „ჩაო, მინიონ“. მაგრამ მისი ამხანაგები ძირითადად მაწანწალები იქნებიან, რომელთა მოტყუებაც ადვილია. ციხე რაღაც ღმერთივითაა - ისეთივე ბარბაროსია, რომელთანაც ოქროს საათები, კალმები, ბეჭდები, ცხვირსახოცები, ყელსახვევები, ფეხსაცმელები მიაქვთ. მინიონი ყველაზე ნაკლებად იმაზე ოცნებობს, რომ ახალი კოსტიუმებით რომელიმე კახპას მოაწონოს თავი, ან ყოველდღიური შეხვედრებისას თავი მოიწონოს. არა, იმაზე ფიქრობს, საკანში როგორ შევა ცხვირზე ჩამოწეული შლაპით, გაღეღილსაყელოიანი აბრეშუმის თეთრი პერანგით (ჰალსტუხი ჩხრეკისას ჩამოართვეს) და ჩახსნილი ინგლისური რეგლანით. და აი, უკვე ეს საცოდავი ტუსაღები ჰატივისცემით შესციცინებენ! გამოჩნდა და მაშინვე დაიმორჩილა ისინი. „რა სიფათები გაუხდებათ!“ გაიფიქრებდა მინიონი, საერთოდ თავის სურვილებზე ფიქრის უნარი რომ ჰქონოდა.

ორჯერ იჯდა და სატუსაღომ ისეთი გავლენა მოახდინა მასზე, რომ მთელი დარჩენილი სიცოცხლე მხოლოდ მისთვის ცხოვრობდა. იქ მისი როლი ზუსტად იყო განსაზღვრული და ბუნდოვნად ხვდებოდა, რომ მუდამ ამ როლისთვის იყო განწირული. შეიძლება ამას მაშინ მიხვდა, როცა

ბიბლიოთეკის წიგნის რომელიღაც გვერდზე ასეთი მინაწერი ამოიკითხა:

არ ენდოთ:

პირველი: ჟან კლემანტს, მეტსახელად ლოპეს.

მეორე: რობერ მარტენს, მეტსახელად პედალს.

მესამე: როჟე ფალგს, მეტსახელად ტატას.

ლოპეს პტი-პრესთან მიაქვს ამბები,

ტატას - ფერიერთან და გრანდოტთან,

პედალს - მალვუაზენთან.

შიშისგან გაქცევის ერთადერთი საშუალებაა, შიშს მისცე თავი. საშინლად მოუნდა, ამ სახელებს შორის მისიც მოხვედრილიყო. თანაც, ბოლოს და ბოლოს, გასაგებიც არის, კანონის მიერ დევნილის გმირული დაძაბულობით ყველა შეიძლება დაიღალოს და პოლიციასთან დაიწყოს თანამშრომლობა, რომ კვლავ დაუბრუნდეს თავისგან გაძარცულ კაცობრიობას. დივინმა მინიონის ცხოვრების ამ მხარისა არაფერი იცოდა. რომ გაეგო, უფრო ძლიერ შეიყვარებდა, მისთვის ხომ სიყვარული იგივეა, რაც სასოწარკვეთა. მაშინ ჩაისაც დალევდნენ. დივინი ხომ ჩაის ისე ყლაპავს, როგორც მტრედი სუფთა წყალს. ალბათ, ასე დალევდა, თუკი საერთოდ სვამს, მტრედის სახემიღებული სულიწმინდა. მინიონი იავურ ცეკვას ასრულებს, ხელები ჯიბეში აქვს ჩაწყობილი. როცა წვება, დივინი ზედ ეკვრის.

მინიონზე ლაპარაკისას გულხელდაკრეფილი დივინი ფიქრიანად ამბობს:

- ვაღმერთებ. როცა შიშველი წევს,მის მკერდზე წირვის ჩატარება მინდა.

მინიონს დრო დასჭირდა, რომ მიჩვეულიყო, დივინზე ლაპარაკისას მდედრობითი სქესი ეხმარა და მისთვისაც მდედრობით სქესში მიემართა. ბოლოს მიეჩვია, მაგრამ ვერ იტანდა, როცა მას დივინი ისე მიმართავდა, როგორც დაქალს, მერე ნელ-ნელა ამასაც მიეჩვია. ერთხელ დივინმა გაბედა და უთხრა:

- ლამაზი ხარ, - და დაუმატა: - ყლესავით.

მინიონის ღამისა თუ დღის ლაშქრობების შედეგად სხვენში ლიქიორის ბოთლები, აბრეშუმის ყელსახვევები, სუნამოს ფლაკონები და ყალბი ძვირფასეულობა დაგროვდა. ყოველ საგანს ამ ოთახში თან მოჰქონდა წვრილმანი ქურდობის მომხიბვლელობა, გამომწვევ მზერასავით სწრაფი.

მინიონი იპარავს დიდი მაღაზიების თაროებიდან, გაჩერებული ავტომობილებიდან, იპარავს თავისი მცირერიცხოვანი მეგობრებისგანაც. იპარავს ყველგან, სადაც კი შეძლებს.

კვირაობით დივინთან ერთად წირვაზე დადის. დივინს მარჯვენა ხელში მოოქროვილშესაკრავიანი ლოცვანი უჭირავს; ხელთათმნიანი მარცხენა ხელით პალტოს საყელოს იმაგრებს. ისე მიდიან, აქეთ-იქით არ იყურებიან. მადლენის ეკლესიაში მიდიან, სხვა მლოცველებთან ერთად მერხებზე სხდებიან. მათ სჯერათ ოქროსფრად შემოსილი მღვდლებისა. დივინს წირვა ხიბლავს. მისთვის ეს ყველაფერი ძალიან ბუნებრივია. მღვდლის ყოველი მოძრაობა გასაგები და ზუსტი ჰგონია; ისიც ჰგონია, რომ ამის გაკეთება ყველას შეუძლია. როცა მოძღვარი სეფისკვერის ორ ნატეხს ერთად აწყობს, მათი ნაპირები არ ერთდება, და როცა იღებს და ორივე ხელით მაღლა სწევს, იგი არ ცდილობს, სასწაულში დაგვაჯეროს. ამ დროს დივინს აჟრჟოლებს.

მინიონი ლოცულობს:

- დედაო ჩვენო, რომელი ხარ ცათა შინა...

ზოგჯერ საზიზღარსიფათიან მღვდელთან ეზიარებიან ხოლმე, რომელიც გაბოროტებული სახით სჩრის მათ პირში სეფისკვერს.

მინიონი ეკლესიაში გარეგნული ბრწყინვალებისთვისაც დადის.

მანსარდაში დაბრუნებულები ერთმანეთს ეხვევიან და ეალერსებიან.

დივინს უყვარს თავისი კაცი; ნამცხვრებს უცხობს, პურზე კარაქს უსვამს. მასზე მაშინაც კი ფიქრობს, როცა ის ტუალეტშია. ყველა მდგომარეობაში აღმერთებს.

გასაღები უხმაუროდ აღებს კარს, კედელი ისე იხსნება, როგორც განიხვნება ცანი, რათა უჩვენოს ადამიანი, მსგავსი იმისა, რომელიც მიქელანჯელომ შიშველი გამოხატა „საშინელ სამსჯავროში“. და როცა კარი ისევ იხურება ისეთივე სიფრთხილით, როგორითაც შეიძლება ბროლის კარი დაიხუროს, მინიონი შლაპას დივანზე აგდებს, სიგარეტის ნამწვს იქ ისვრის, სადაც მოხვდება, უფრო კი ჭერზე. დივინი თავის კაცს მივარდება, ზედ ეკვრება, ეხვევა და ლოკავს. ის უძრავად და მტკიცედ დგას, თითქოს ქვად ქცეული ანდრომედას ურჩხული იყოს.

რადგან მინიონს მეგობრები გაურბიან, ამიტომ ზოგჯერ დივინი „როქსიში“

მიჰყავს. ისინი პოკერს თამაშობენ. მინიონს მოსწონს ელეგანტური მოძრაობები, რომლითაც ჩიპებს ურევენ. ასეთივე სიამოვნებით ადევნებს თვალს თითებსაც, ნატიფი მოძრაობით რომ ახვევენ სიგარეტს ან ავტოკალამს თავსახურს ხსნიან. დრო თავისი წამებით, წუთებით, საათებით არ არსებობს მისთვის. მისი ცხოვრება ბარმენებით, სუტენიორებით, პედერასტებით, ღამის ლამაზმანებით, ყვავის ქალებით დასახლებული მიწისქვეშა ცაა, მაგრამ ცხოვრება მისი ზევით, ცაშია. სიამოვნება უყვარს. პარიზში ყველა კაფე იცის, სადაც დასაჯდომიანი ტუალეტია.

- კარგად რომ გამოვიწმინდო, დაჯდომა მჭირდება, - იტყოდა ხოლმე.

კილომეტრებს გაივლიდა, მუცლით მზრუნველობით მიჰქონდა მოჯმის სურვილი და მერე სენ-ლაზარის სადგურის იასამნისფერი მოზაიკით გაწყობილი ტუალეტის კაბინებში მოისაქმებდა.

ცოტა რამ ვიცი მის წარმომავლობაზე. ერთხელ დივინმა მისი სახელიც მითხრა, მგონი, პოლ გარსია. ეჭვი არ არის, იმ კვარტალშია დაბადებული, ექსკრემენტების სუნით რომ ყარს, რომელსაც, გაზეთში გახვეულს, პირდაპირ ყრიან ფანჯრებიდან, სადაც, როგორც წესია, ყვავილების ქოთნები უდგათ.

მინიონი.

როცა თავის კულულებიან თავს არხევს, ჩანს, როგორ ერხევა ყურებზე ოქროს საყურეები, ისეთები, როგორსაც ოდესღაც მისი ყაჩაღი წინაპრები ატარებდნენ. ფეხის მოძრაობა სიარულისას შარვლის ქვედა ნაწილს ურხევს, და იმ ქალის ქუსლის მოძრაობას ჰგავს, კაბის ქვედა ნაწილის ნაკეცებს რომ ისწორებს ვალსის საცეკვაოდ გასვლისას.

მაშ ასე, ჩვენი წყვილი უდრტვინველად ცხოვრობს. ეს შეიძლება კიბის ქვეშ მცხოვრებმა მეკარემაც დაადასტუროს, რომელსაც შესაძლებლობა აქვს, მათ ბედნიერებას თვალი ადევნოს. საღამოსკენ ანგელოზები მოფრინავენ, რათა მათი ოთახი დაგავონ და მიალაგონ. დივინისთვის ანგელოზები მოძრაობებია, რომლებიც თავისთავად ხდება, მის ჩაურევლად.

ოო, რა სიამოვნებით ვლაპარაკობ მათზე! რკინით დაჭედილფეხსაცმლიანი, სქელი ლურჯი მაუდის ან მდინარის წყლისფერი ფორმის ტანსაცმელში გამოწყობილი ჯარისკაცების ლეგიონები ზეციურ ლაჟვარდს გამალებით ესვრიან. თვითმფრინავები ღრიალებენ. მთელი მსოფლიო პანიკური შიშისაგან იღუპება. ქვემეხის ლულა მაღლა იწევს და იქუხებს, ახლა ხუთი მილიონი სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე ჭაბუკი დაიღუპება. საკუთარი სხეულის სურნელებაში ადამიანები ბუზებივით იხოცებიან. ხორცის სიკვდილი საზეიმოდ სრულდება. და ახლა მე სიამოვნებას მანიჭებს ამ მშვენიერ მკვდრებზე ლაპარაკი - გუშინდელებზე, დღევანდელებზე და ხვალინდელებზეც. სხვენსაც ვხედავ, სადაც ჩემი შეყვარებულები ცხოვრობენ. პირველად წაიჩხუბნენ სერიოზულად; ჩხუბი ნეტარყუჩობით დამთავრდა. დივინი მიამბობდა, ერთ საღამოს მინიონს ისე დასუსტებულს გაუღვიძია, თურმე თვალი ვერ გაუხელია. გაუგია, დივინი როგორ დადის ოთახში და უკითხავს:

- რას აკეთებ?

დივინის დედა, ერნესტინი, რეცხვას „ვარცლობანას თამაშს“ ეძახდა; ყოველ შაბათს „ვარცლობანას თამაშობდა“. დივინმაც უპასუხა:

- ვარცლობანას ვთამაშობ.

რადგან მინიონს აბაზანა არ ჰქონდა, ამიტომ ვარცლში ბანაობდა. დღეს თუ სხვა დღეს, მაგრამ, მგონი, დღეს, სიზმარში ნახა, როგორ ჩავიდა ვარცლში. საკუთარი აზრების ანალიზის უნარი მას არა აქვს, და არც არასოდეს აკეთებს ამას, მაგრამ ბედისწერის ხრიკებისადმი ისეთივე მგრძნობიარეა, როგორც საშინელებათა თეატრის ტრიუკებისადმი. როცა დივინი პასუხობს: „ვარცლობანას ვთამაშობო“, იგი ისე აღიქვამს, თითქოს დივინს ეთქვას: „ვთამაშობ, ვითომ ვარცლი ვარ“ (ასეთივე წარმატებით შეეძლო ეთქვა „ორთქლმავალობანას“ ვთამაშობო). მინიონი უცბად აღეგზნო, წარმოიდგინა, სიზმარში როგორ შედის დივინში. მისი სიზმრისეული ასო, რომელიც დივინსაც ესიზმრება, დივინში შევიდა და მინიონი ამ წარმოსახვით ორგიაში ეუფლება მას. თავში კი ეს სიტყვები უტრიალებდა: „გულამდე, ტარამდე, ყვერებამდე, ყელამდე“.

მინიონი „დაეცა“; შეყვარებულია.

მინიონს მოსწონს სხვადასხვა საშუალებების გამოგონება, რომელთა დახმარებითაც სიყვარული ადამიანებს იჭერს. იგი იესოსავით შედის მხურვალე მორწმუნეების გულებში; და კიდევ, ქურდივით მალულადაც შეუძლია შეძრომა.

აქ ერთმა ტიპმა ცნობილი არაკისნაირი ამბავი მიამბო იმაზე, თუ როგორ გაიცნო ეროსი ორმა მეტოქემ. აი ასე მომითხრო:

- როგორ შევები? ეს ციხეში მოხდა. საღამოობით ყველაფერი უნდა გაგვეხადა, პერანგიც კი, ზედამხედველისთვის რომ გვეჩვენებინა, რომ არაფერი გვქონდა (ვთქვათ, თასმები, ქლიბი ან დანის პირი). ასე ვდგავარ ვიღაც ბიჭთან ერთად დედიშობილა. მისკენ ვიყურები, მაინტერესებს, მართლა ისეთი დაკუნთულია თუ არა, როგორიც ჩანს. ვერ მოვასწარი მისი კარგად დანახვა, ციოდა. სწრაფად ჩაიცვა. მაგრამ იმდენი დრო კი მქონდა, შემემჩნია, როგორი მშვენიერი იყო. ოჰ, რასაც მოვკარი თვალი, ნახვად ღირდა - ვარდის ფურცლების შხაპი! მაშინ შემშურდა კიდეც. პატიოსნებას გეფიცები! ჩემი, ცხადია, მივიღე (მისი სურვილის მიუხედავად, ამ სიტყვებმა ასე გაიჟღერა: სიფათში მომხვდა). ასე სულ ცოტა ხანს გაგრძელდა, ოთხ თუ ხუთ დღეს...

დანარჩენი არ გვაინტერესებს. სიყვარული უარეს ხაფანგებსაც აგებს, ნაკლებ კეთილშობილურსა და ყველაზე იშვიათს. დამთხვევებსაც იყენებს. არ გინდა, ვიღაც ბიჭს ორი თითი პირში ჩაედო და ზუსტად იმ დროს დაესტვინა გამგმირავად, როცა ჩემი სული უკიდურესად იყო დაძაბული და მხოლოდ ამ სტვენასღა ელოდა, რომ ქვევიდან ზევით გაგლეჯილიყო. როგორ უნდა აირჩეს ის მომენტი, რომ ორმა ადამიანმა ერთმანეთი გაგიჟებით შეიყვაროს? „ჩემი ღამეების მზე ხარ. ჩემი ღამე შენი ღამეების მზეა“. ერთმანეთს შუბლით ვეჯახებით. ერთმანეთს არ ვეხებით, მაგრამ შორიდან ჩემი სხეული შენს სხეულში შედის, შენი კი, ისიც შორიდან - ჩემსაში. ჩვენ სამყაროს ვქმნით. ყველაფერი იცვლება... მერე კი...

და ვიდრე არ დავშორდებით, ერთმანეთი გვეყვარება, როგორც ორ ახალგაზრდა მოკრივეს, რომლებიც ერთმანეთს ებრძვიან (მებრძოლები არ არიან), ერთმანეთს მაისურებს ახევენ, მერე, უკვე შიშვლები, გაოცებით ამჩნევენ, რომ ორივე ლამაზია. თითქოს ერთმანეთს სარკეში ხედავენო, ერთ წამს გაოგნებულები ჩერდებიან, მერე, სინანულის ნიშნად, აწეწილ თმას შეარხევენ, ერთმანეთს გაუღიმებენ და გადაეხვევიან, როგორც ბერძნულ-რომაული ჭიდაობის ორი მებრძოლი - ერთი თავის კუნთებს მეორის კუნთების ღრმულში ათავსებს, ნოხზე ეშვებიან, და აი, მაღლა აშხეფებული მათი თბილი სპერმა ზეცას ირმის ნახტომს აჩნევს, რომლის თანავარსკვლავედებსაც ადვილად ვცნობ: მეზღვაურის თანავარსკვლავედს, მოკრივის თანავარსკვლავედს, ველოსიპედისტის თანავარსკვლავედს, ვიოლინოს, სპაჰის, ხანჯლის თანავარსკვლავედებს. ამგვარად, დივინის მანსარდის ბინის კედელზე ვარსკვლავთა ახალი რუკა იხატება.

ერთხელ მონსოს პარკში სეირნობის შემდეგ დივინი სახლში დაბრუნდა. უცბად ლარნაკში ალუბლის ვარდისფრად გაშლილ, დაბრეცილ შავ ტოტს ხედავს. გული სტკივა. სოფელში გლეხებმა ხეხილის პატივისცემით მოპყრობა ასწავლეს. მას შემდეგ არასოდეს ჩაუთვლია მათი ყვავილები სამკაულად და აღარც დამტკბარა მათი მზერით. ტოტის მოტეხა ისევე სწყინდა, როგორც თქვენ მოწიფული გოგოს მკვლელობა გეწყინებოდათ. მინიონსაც უზიარებს თავის განცდებს; ის კი ისე ხარხარებს, ყველა კბილი უჩანს. დიდი ქალაქის შვილს გლეხური სისულელეები ჰკიდია. მაშინ, ეს მკრეხელობა ბოლომდე რომ მიეყვანა, ან იქნებ იმიტომაც, რომ იგი დაეძლია, ანდა, უბრალოდ, ნერვიულობის გამო დივინმა ყვავილები დაგლიჯა. სილის გაწვნა. ყვირილი. ბოლოს კი სასიყვარულო ბორგვა, რადგან, როგორც კი მამაკაცი ხელს შეახებს, მთელი მისი თავდაცვითი ჟესტები ალერსად იქცევა. დასარტყმელად მომზადებული მუშტი იშლება, თითები ნაზად ეხება და ალერსით მიცოცავს. აბა ნამდვილ მამაკაცს ეს დედალი პედერასტები როგორ გაუწევენ წინააღმდეგობას. საკმარისი იყო, სეკ გორგს ოდნავ მოესვა ხელი ბორცვზე, რომელსაც მისი უზარმაზარი ასო წარმოქმნიდა შარვლის ქვეშ, ისინი, ერთნიცა და მეორენიც, ველარ ეშვებოდნენ. თავად არც სურდა, მაგრამ მათ ისე იზიდავდა, როგორც მაგნიტი ლითონის ნაქლიბს. დივინი ფიზიკურად საკმაოდ ძლიერი იყო, თავის დაცვა შეეძლო, მაგრამ თავდაცვითი ჟესტები აცბუნებდა: ისინი ხომ მამაკაცური იყო; ამის გარდა, იმ გრიმასისაც რცხვენოდა, რომელიც დაძაბულობისაგან უჩნდებოდა. ამისაც რცხვენოდა და კიდევ მისდამი მიმართული მამაკაცური ეპითეტებისა. არგოზე არც ის და არც მისი დაქალები არ ლაპარაკობდნენ. არგოზე ლაპარაკი მისთვის ისევე უცხო იყო, როგორც ხულიგნური სტვენა ან შარვლის ჯიბეში ხელების ჩაწყობა (განსაკუთრებით კი ჩახსნილი პიჯაკის კალთების უკან გადაწევა), ანდა თეძოების მოძრაობით შარვლის აჭიმვა.

პედერასტებს თავისი ენა აქვთ. არგო მხოლოდ მამაკაცებისთვისაა. ეს მამლების ენაა. ისევე, როგორც კარიბის ზღვის კუნძულელებისთვის, მამაკაცური ენა მეორად სასქესო ატრიბუტად იქცა, როგორც მამალი ჩიტების ფერადოვანი ბუმბული, ანდა აბრეშუმის აჭრელებული ტანსაცმელი, რომლის ტარების უფლებაც მხოლოდ ტომის მეომრებს აქვთ. იგი ბიბილოსა და დეზებს ჰგავდა. ყველას ესმის, ლაპარაკით კი მხოლოდ მამაკაცებს შეუძლიათ ლაპარაკი, რომლებსაც დაბადებიდანვე დაჰყვათ ჟესტების, გვერდების, ფეხებისა და ხელების, თვალების, მკერდის მოძრაობის ნიჭი, მოკლედ, ყველა აუცილებელი ორგანოსი, რომელიც ამ ენაზე სალაპარაკოდაა აუცილებელი. ერთხელ ერთ ბარში, როცა მიმოზამ გაბედა და ლაპარაკში ეს სიტყვები ჩაურთო: „...შავურს ბაზრობს...“, მამაკაცებმა წარბები შეყარეს, ერთმა კი მუქარით თქვა:

- ამ გოგოს ჯიგარ ტიპად მოაქვს თავი.

თავიანთი კაცების პირიდან თქმული არგო აფორიაქებდა დედლებს, მაგრამ ეს გამოგონილი სიტყვები უფრო ნაკლებად აღელვებდათ, ვიდრე ის სიტყვები და გამოთქმები, რომლებიც „ხვადებმა“ ჩვეულებრივ საზოგადოებას მოჰპარეს, და რომლებიც, ჩასადენ თხრილში ან მათ საწოლებში მოხვდნენ თუ არა, თავიანთ იდუმალ, გარყვნილ, არაბუნებრივ საჭიროებებს შეუგუეს. მაგალითად, ისინი ამბობდნენ: „ძალდაუტანებლად“, ან კიდევ: „ადე, გაიარე, ჯანმრთელი ხარ“. ეს ბოლო სიტყვები სახარებიდან არის ნასესხები და ამის მთქმელს ტუჩებზე მუდამ საღეჭი თამბაქოს ნამცეცები ჰქონდა მიკრული. წინადადება გაწელილად ითქმებოდა, ღიღინით და, ჩვეულებრივ, რაღაცა ამბით გრძელდებოდა, რომელიც კარგად მთავრდებოდა.

- გაიარეთ... - ამბობდნენ „ხვადები“.

და კიდევ მოჭრით:

- გამოვტოვეთ.

მაგრამ მინიონისთვის სიტყვას სრულიად სხვა მნიშვნელობა ჰქონდა, ვიდრე გაბრიელისთვის (ჯარისკაცია, რომელიც უნდა გამოჩნდეს, რასაც თუნდაც ეს ფრაზაც იუწყება, რომელიც მომხიბლავი მგონია, და, ჩემი აზრით, მხოლოდ მას შეეფერება: „ვგოდებ“). მინიონი ხვდებოდა, ფხიზლად უნდა ყოფილიყო. გაბრიელი ფიქრობდა, მოკეტვაა საჭიროო. განა სულ ახლახან ორმა „ხვადმა“ ჩემს საკანში არა თქვა: „აბა, ახლა ჩვენი სასახლის პალატებში მხარ-თეძოზე წამოვწვეთ“? ამით იმის თქმა უნდოდათ, რომ ლოგინის გაშლას აპირებდნენ, მე კი რაღაც ბრწყინვალე იდეის წყალობით სასახლის მცველად ან ფეხებგაჩაჩხულ მეჯინიბედ ვიქეცი, რომელიც ზოგიერთ ახალგაზრდასავით, „ლამაზმანებთან რომ წვება“, „სასახლის პაჟებთან გორავს“.

დივინი სიამოვნებისგან გონებას კარგავდა, როცა მათ საუბარს უსმენდა, ან - ამ დროს ეგონა, შარვალს იხსნიდა და ხელს პერანგქვეშ იყოფდა - არჩევდა ზოგიერთ იავურ სიტყვასა და მათში ჩართულ მარცვლებს, სამკაულებს რომ ჰგავდა.

ამ არგომ საიდუმლო მოციქულები დაგზავნა საფრანგეთის სოფლებში და ერნესტინმაც კი შეიცნო მისი ხიბლი.

საკუთარ თავს ეუბნებოდა: „გოლუაზი, პაპიროსი, თუთუნი“. სავარძელში ჩაესვენებოდა, თან ამ სიტყვებს ბუტბუტებდა და სიგარეტის მძიმე კვამლს ყლაპავდა. თავისი ეს ნაკლი რომ დაეფარა, ოთახს გასაღებით კეტავდა და აბოლებდა. ერთ საღამოს, რომ შევიდა, დაინახა, ოთახის სიღრმეში სიგარეტის ცეცხლი ანათებდა. ისე შეეშინდა, გეგონება რევოლვერს უმიზნებდნენ. მაგრამ შიში დიდხანს არ გაჰგრძელებია და იგი იმედმა შეცვალა. ოთახში იდუმალად მყოფი მამრისთვის წინააღმდეგობის გაწევის თავი არ ჰქონდა, რამდენიმე ნაბიჯი გადადგა, სავარძელში ჩავარდა და სიგარეტის ცეცხლიც მაშინვე გაქრა. მალე მიხვდა, ზღურბლიდან კარის პირდაპირ მდგარ სარკეში იმ სიგარეტის ცეცხლის ანარეკლი დაინახა, რომელსაც შემოსვლისას ბნელ დერეფანში ასანთით სიამოვნებით მოუკიდა. შეიძლება ითქვას, რომ მისი ნამდვილი ქორწინება ზუსტად ამ საღამოს შედგა. მისი ქმარი გახდა ის, რაც ყველა მამაკაცს აერთიანებს - სიგარეტი.

სიგარეტი კიდევ გაეხუმრება ბოროტად. ერთხელ სოფლის შარაზე მიმავალმა, მისკენ სტვენა-სტვენით მომავალი, პირის კუთხეში სიგარეტგაჩრილი ვიღაც ახალგაზრდა გაიძვერა დაინახა, ერთი იმათგანი, რომელთა სიფათებიც ჟურნალებიდან მაქვს ამოჭრილი. ერნესტინს რომ გაუსწორდა, თავი ისე დახარა, კაცი იფიქრებდა, ქალი ქვეშქვეშად შეათვალიერაო; ერნესტინმაც იფიქრა „უტიფარი ინტერესით“ მიყურებსო.

სინამდვილეში კი ეს მოძრაობა იმით იყო გამოწვეული, რომ ქარმა, რომელიც საპირისპირო მხრიდან ქროდა, ბიჭს თვალებში საკუთარი სიგარეტის კვამლი მოახვედრა. მან თვალი მოჭუტა, ტუჩები ისე დამანჭა, ღიმილი გეგონებოდათ. ერნესტინი სწრაფად გაიმართა წელში, თავს მოერია და დამშვიდდა. ამ ინციდენტს გაგრძელება აღარ ჰქონია, რადგან იმ წუთში ამ სოფლელმა ხულიგანმა, რომელსაც ერნესტინი არც დაუნახავს, უცბად იგრძნო, რომ პირი ღიმილმა გაუპო, ხოლო თვალმა ჩაკვრა გამოხატა, მაშინ ხულიგანმა მკვირცხლი მოძრაობით შარვალი აიჭიმა და თითქოს ამით მიანიშნა, რომ მისი გრიმასა შემთხვევითი არ იყო.

სხვა გამოთქმებიც იყო, რომლებიც ერნესტინს აძრწუნებდა, თუმცა თქვენც შეიძლება შეეშფოთებინეთ და თანაც უცნაური სიტყვათშეთანხმებით გაეოცებინეთ: „მთები და სასწაულები“, ანდა უფრო მაგარი: „ტარტარში ყვერებით წათრევა“. უნდოდა, ეს სტვენით გამოეთქვა ანდა იავურად ეცეკვა, ოღონდ, როცა თავის ჯიბეზე ან საკუთარ თავზე ფიქრობდა, ამბობდა, „ჩემი საკუჭნაოო“, მეგობარ ქალთან სტუმრობისას - „ჩამაჩმორაო“, მომხიბვლელ გამვლელზე კი იტყოდა, „ჩემზე ეცემაო“. ოღონდ არ იფიქროთ, რომ დივინმა მისგან მიიღო მემკვიდრეობად არგოსადმი ასეთი სიყვარული, რადგან ერნესტინს არასოდეს დაუშვია, რომ ემხილებინათ. მშვენიერ ბაგეთაგან გაუფრთხილებლად წამოსროლილი სიტყვა „მოკუნტვა“ საკმარისი იყო დედა-შვილისთვის, რომ ის, ვინც ეს სიტყვა თქვა, მობუზღუნე, ბულდოგისსახიან, ჯმუხ ქონდრისკაცად ქცეულიყო ახალგაზრდა ინგლისელ მოკრივე კრანივით, რომლის სურათიც კედელზე იმ ოცს შორის მიკიდია.

მინიონი გაფითრებული დადიოდა. მან ვარდისფერი ჰოლანდიელი გაქურდა. სამაგიეროდ ჯიბე გულდენებით ჰქონდა სავსე. მანსარდის მცხოვრებლებმა ახლა უკვე იგრძნეს უზრუნველყოფილი არსებობის სიამოვნების სიხარული. ღამით დივინსა და მინიონს სძინავთ. დღისით სახლში სადილობენ, შიშვლები, ერთმანეთს ეკინკლავებიან, ავიწყდებათ ისიყვარულონ, რადიოს რთავენ, რადიო რაღაცას ბუტბუტებს, ეწევიან. მინიონი იგინება, დივინს ძალიან უნდა, წმინდა ეკატერინე სიენელს ჰგავდეს, რომელმაც, დამნაშავის სირზე თავმიდებულმა, მთელი ღამე სიკვდილმისჯილის საკანში გაატარა. დივინი დეტექტივს კითხულობს. გარეთ ქარია. მანსარდაში მყუდროებაა, ელექტროგამათბობლის წყალობით თბილა. ახლა მინდა, ეს იდეალური წყვილი ცოტა დავასვენო და ცოტა ბედნიერებაც მივანიჭო.

ფანჯარა სასაფლაოს მხარესაა ღია.

დილის ხუთი საათია.

დივინს ზარის რეკვის ხმა ესმის (მას ხომ არ სძინავს). და ეს ხმა ის ბგერები არ არის, რომლებიც ჰაერში ქრება, არამედ დარტყმებია, ხუთი დარტყმა, ქვაფენილს რომ ეცემა, და მათთან ერთად სველ ქვაფენილზე ეცემა დივინიც; ამ სამი თუ ოთხი წლის წინ, ამავე საათებში, ერთი პატარა ქალაქის ქუჩებში დაეხეტებოდა და სანაგვე ყუთებში პურის ქერქს ეძებდა. მთელი ღამე ქუჩაში გაატარა თქორში. სახლების კედლებს ეკვროდა, ნაკლებად რომ დასველებულიყო და დილის ზარების რეკვას ელოდა (აი, დილის წირვის დაწყების ზარმაც ჩამოჰკრა, რამაც დივინს უსახლკაროდ ცხოვრების სევდა გაახსენა და ზარის რეკვის მოლოდინის დღეები), რომელიც იმის მაუწყებელი იქნებოდა, რომ ეკლესია შინაბერების, მომნანიებელ ცოდვილთა და მათხოვრებისთვის უკვე ღიაა. და ახლა სურნელნაფრქვევ სხვენში დილის ზარების რეკვა მას ისევ იმ უბედურ მაწანწალად აქცევს, რომელიც ეკლესიაში წირვის მოსასმენად, ზიარების მისაღებად, დასასვენებლად და ცოტა გასათბობად შედის. მძინარე მინიონის თბილი სხეული მის სხეულს ეკვრის. დივინი თვალს ხუჭავს, და ზუსტად წამის იმ გაელვებაში, როცა ქუთუთოები ერთმანეთს უერთდება და დივინს აშორებს სამყაროსაგან, რომელიც განთიადთან ერთად იბადება, წვიმა იწყება, რაც მასში ისეთი სრული ბედნიერების შეგრძნებას იწვევს, რომ ხმამაღლა, ღრმა ამოოხვრით წამოიძახებს: „ბედნიერი ვარ“. ის იყო ჩაძინებას აპირებდა, ქმრიანი ქალის ბედნიერება უკეთ რომ შეეგრძნო, მაგრამ ისევ მოგონებები დაუბრუნდა, ოღონდ სიმწარის გარეშე, იმ დროინდელი მოგონებები, როცა კიულაფრუა იყო, შიფერისსახურავიანი სახლიდან გაიქცა და ერთ პატარა ქალაქში აღმოჩნდა, სადაც მოოქრულ, მოვარდისფრო ან მკრთალ დილას მაწანწალები - ერთი შეხედვით მიამიტური, თოჯინური სულით - ერთად იკრიბებიან, ერთმანეთს ჟესტებით ესალმებიან და, გინდა, ამ მისალმებას მეგობრული უწოდო. სულ ახლახან გამოიღვიძეს, ხეივნებში, პარკებში

მდგარი სკამებიდან ადგნენ ან საზოგადოებრივი პარკების გაზონებიდან გამოჩნდნენ. ერთმანეთს თავშესაფრების, ციხეების, მაროდიორების, ცხენოსანი პოლიციის საიდუმლოებებს ანდობენ. მერძევე მათ ხელს არ უშლის. ის იმათიანია. რამდენიმე დღეში კიულაფრუაც იმათიანი გახდა. იყო დღეები, როცა სანაგვე ყუთებში ნაპოვნი, თმაში არეული გამხმარი პურის რამდენიმე ყუით იკვებებოდა. ერთ საღამოს ისეთი მშიერი იყო, თავის მოკვლაც კი გადაწყვიტა. თვითმკვლელობის იდეა აეკვიატა: სიმღერა გარდენალზე! იმდენჯერ მდგარა სიკვდილის პირას, რომ თავს ვეკითხები, რა სასწაულმა გადაარჩინა - თითქოს ვიღაცის უხილავმა ხელმა უშველა და ნაპირს მოაშორა, მაგრამ ვისმა? ერთ დღეს ხელში საწამლავიანი შუშა აღმომაჩნდა. საკმარისი იყო, პირთან მიმეტანა და მერე დამეცადა. ამ დაუჯერებელი ნაბიჯის შედეგს აუტანელი სევდით უნდა ელოდო, მერე იმით მოიხიბლო, რომ ამ შეშლილ, შეუქცევად ნაბიჯს სამყაროს დასასრულიც მოჰყვება. არასოდეს მიკვირდა, რომ ყველაზე მსუბუქი გაუფრთხილებლობა ჯერ მოძრაობა არც კია, ანდა დაუმთავრებელი მოძრაობაა, რომელიც გინდა, უკან დააბრუნო და გამოასწორო, რომელიც ისეთი ახლობელი და უწყინარია, შეიძლება ვერც შეამჩნიო - მაგრამ შეუძლებელია! - ამ მოძრაობას შეუძლია მიგიყვანოს, მაგალითად, გილიოტინასთან. მაგრამ, ვიმეორებ, იმ დღემდე არ მაოცებდა, ვიდრე თვითონ ერთი ისეთი უმნიშვნელო ჟესტი არ გავაკეთე, ჩვენი სურვილის საწინააღმდეგოდ რომ ხდება ხოლმე და რომლისგან თავის დაღწევა შეუძლებელია; სულში სასოწარკვეთა ვიგრძენი, სასოწარკვეთა უბედურისა, რომელსაც სხვა გამოსავალი არა აქვს, გარდა აღიარებისა. და ლოდინისა. ელოდოდა დამშვიდდე, რადგან სასოწარკვეთა და უიმედობა მხოლოდ მაშინაა შესაძლებელი, როცა არსებობს ხილული ან ფარული გამოსავალი, მიენდო სიკვდილს, როგორც ოდესღაც კიულაფრუამ შეძლო, მანამდე მისთვის ზიზღის მომგვრელ, მიუკარებელ გველგესლებს მინდობოდა.

აქამდე საწამლავიანი შუშის ან მაღალი ძაბვის სადენის იქვე არსებობა არც ერთხელ არ დამთხვევია გონების ამღვრევის პერიოდს, მაგრამ კიულაფრუას, მოგვიანებით კი დივინს, ამ მომენტის შიში ექნებათ და ამავე დროს მოემზადებიან კიდეც, რადგან განგების ნებით ეს მალე მოხდება, რომ სიკვდილი მაინც მათი გადაწყვეტილების ან ცხოვრების მიმართ მათი ზიზღის შედეგი იყოს.

ეს იყო უმიზნო გასეირნებები უძილო ღამეებში, ქალაქის ჩაბნელებულ ქუჩებში. ის ჩერდებოდა და ფანჯრების მაქმანიან ფარდებს შორის - ფარდებზე ყვავილები, აკანთოს ფოთლები, მშვილდისრიანი ამურები, ფურირმები იყო ამოქარგული - დარჩენილი ღიობიდან ოქროსფერი ნათელით სავსე ინტერიერებს უყურებდა; ეს ინტერიერები მასიურ და ჩაბნელებულ საკურთხევლებში ფარდაჩამოფარებულ სანაწილეებს აგონებდა. ფანჯრების წინ და ორსავე მხარეს, თითქოს საპატიო ყარაულში, საკურთხევლის საფეხურებზე ფარნებია ჩამწკრივებული ცვილის სანთლებივით ჯერ კიდევ ხშირფოთლოვან ხეებს შორის, რომლებზეც თაიგულებად გადაშლილა ემალის, მეტალის, ქსოვილის შროშანები. მოკლედ, ეს პატარა მაწანწალების ჩვეულებრივი გამონაგონი გახლდათ, რომელთა წარმოდგენაშიც სამყარო მაგიურ ქსელშია მოქცეული, რომელსაც გლობუსის ირგვლივ ანა პავლოვას მოქნილი და მტკიცე თითებით ქსოვენ და თვითონვე კვანძავენ. ასეთ ბავშვებს შეუძლიათ სხვებისთვის უჩინრად დარჩნენ. ვაგონის კონტროლიორი მათ ვერ ხედავს, ვერც პოლიციელი ნავმისადგომზე, ციხეებშიც კი, მგონი, ისე მალულად ხვდებიან, როგორც თამბაქო, სვირინგის მელანი, მთვარის ნათელი ან მზის სხივი, ანდა ფორტეპიანოს ხმა. უმცირესი ჟესტიც კი მათთვის იმის დასტურია, რომ ბროლის სარკე, მათ მუშტს ზოგჯერ ვერცხლისფერი აბლაბუდით რომ ფარავს, მოიცავს სახლების, ლამპების, აკვნების, ნათლობების მთელ სამყაროს - ადამიანთა მთელ სამყაროს. ბავშვი, რომელზეც ვლაპარაკობთ, ყოველივე ამისგან ისე შორს იყო, რომ გაპარვის დღიდან მისმა მეხსიერებამ, მგონი, მხოლოდ ერთი აზრი შემოინახა: „ქალაქში მგლოვიარე ქალებს ლამაზად აცვიათ“. მაგრამ მარტოობაში სხვათა წვრილმანმა უსიამოვნებებმა მას შეიძლება გული აუჩვილოს: მაგალითად, მოსაფსმელად ჩაცუცქულმა დედაბერმა, რომელსაც მოულოდნელად ბავშვი დაადგა თავზე და ბამბის შავი მაღალყელიანი წინდები დაისველა; სინათლით, ბროლითა და ვერცხლით აკაშკაშებული, ჯერ კიდევ ცარიელი რესტორნების ფანჯრების წინ მდგარი, სუნთქვაშეკრული შეჰყურებს ტრაგედიის სცენებს: ფრაკიანი

ოფიციანტები ერთმანეთს რეპლიკებს უცვლიან თეატრალურად და პირველობის საკითხზე მსჯელობენ იქამდე, ვიდრე პირველი ელეგანტური წყვილი მოვა, რომელთა გამოჩენაც მთელ მოქმედებას ანგრევს; ანდა პედერასტები, რომლებმაც მას მხოლოდ ორმოცდაათი სანტიმი მისცეს და ისეთი ბედნიერები გაიქცნენ, მთელი კვირა ეყოფათ; დიდი სადგურების მოსაცდელი დარბაზებიდან ღამღამობით აკვირდებოდა, როგორ კვეთდნენ ფანრების სუსტ სინათლეზე მამაკაცების ჩრდილები ურიცხვ ლიანდაგს. მას კი ფეხები და მხრები სტკიოდა. სციოდა.

დივინი მაწანწალას ცხოვრების ამ ყველაზე სევდიან მომენტებს იხსენებს: ღამეა. აი, მოულოდნელად რომელიღაცა მანქანა გზაზე ფარებს მიანათებს და ყველას დასანახად გამოფენს მასაც და მის უბადრუკ ჩვრებსაც.

მინიონს ცხელი ტანი აქვს. დივინი ზედ მიეკრო. არ ვიცი, ისევ ძილშია თუ მოგონებას აგრძელებს: „ერთხელ დილით (ძალიან ადრე, გამთენიისას) კარზე დაგიკაკუნე. მეძველმანეებსა და ნაყარნუყარს შორის შუკა-შუკა წანწალი ვეღარ შევძელი. შენს ლოგინს ვეძებდი, რომელიც ჩემთვის მუდამ მაქმანებით იყო დაფარული, მაქმანები, მაქმანების ოკეანე, მაქმანების სამყარო. სამყაროს ყველაზე შორეული კუთხიდან მოკრივის დარტყმამ ბინძური წყლის ვიწრო არხში გადამისროლა“. ზუსტად ამ დროს ზარების რეკვის ხმაც გაისმა. ახლა ის მაქმანებში იძინებს, და მათი შეერთებული სხეულები მიცურავენ.

ამ დილას, მას შემდეგ, რაც მთელი ღამე ჩემს ძვირფას კვერცხებს განსაკუთრებული სინაზით ვეფერებოდი, ძილი ურდულის ხმამ დამიფრთხო, ნაგვის წასაღებად მოსულმა ზედამხედველმა რომ გასწია. ვდგები და ბარბაცით ფეხსალაგისკენ მივდივარ, ჯერ ვერ გამოვედი იმ უცნაური სიზმრიდან, რომელშიც შევძელი და ჩემი მსხვერპლისაგან პატიება მივიღე. ყელამდე ვიყავი შიშში ჩაფლული. შიში ჩემში შემოვიდა, ვღეჭავდი და მისით ვიყავი სავსე. ის, ჩემი ახალგაზრდა მსხვერპლი, ჩემ გვერდით იჯდა და შიშველი მარცხენა ფეხი მარჯვენაზე გადადების ნაცვლად, ბარძაყქვეშ ამოიდო. არაფერი უთქვამს, მაგრამ ვიცოდი, ზუსტად ვიცოდი, რასაც ფიქრობდა: „მოსამართლეს ყველაფერი ვუთხარი, შენ შეგიწყალეს. ამასთან, სასამართლოს სხდომასაც დავესწრები. შეგიძლია ყველაფერი აღიარო. დარწმუნებული იყავი, რომ მოგიტევეს“. და მერე, როგორც ჩვეულებრივ სიზმრებში ხდება ხოლმე, უცბად პატარა მიცვალებულად იქცა. საშობაო ნამცხვრის ფიგურაზე დიდი არ იყო, არც ამოღებულ კბილზე დიდი, შამპანურის ბოკალის ფსკერზე იწვა, კოლონების ნამსხვრევებით შემორტყმული ბერძნული პეიზაჟის შუაგულში, ირგვლივ სერპანტინივით გრძელი, თეთრი, მოფუთფუთე ჭიები ეხვია, და ეს ყველაფერი ისეთი სინათლით იყო წალეკილი, როგორიც მხოლოდ სიზმარშია ხოლმე. კარგად აღარც მახსოვს, სად ვიყავი, მაგრამ ის კი მახსოვს, რომ დავიჯერე, რაც მითხრა. გამოღვიძებამ იმის შეგრძნება, რომ მაპატიეს, ვერ გამიქრო. მაგრამ იმაზე არც არის ლაპარაკი, რომ რეალური შეგრძნებების სამყაროს, საკნის სამყაროს დავუბრუნდე. ისევ ვწვები პურის ჩამორიგებამდე. ღამის ატმოსფერო, სუნი, რომელიც განავლითა და ყვითელი წყლით სავსე ფეხსალაგებიდან მოდის, ჩემში თხუნელების მიერ გათხრილ შავ მიწასავით მაღლა სწევს ბავშვობის მოგონებებს. ერთი მოგონება მეორეს ბადებს; მთელი ცხოვრება, რომელიც უკვე მიწის ქვეშ მეგონა სამუდამოდ დაფარული, ზემოთ ამოდის, სუფთა ჰაერზე, დაღვრემილი მზის ქვეშ, რის გამოც სიდამპლის სუნი ასდის, რომლითაც ვტკბები. ყველაზე ტკივილის ამშლელი მოგონება შიფერისსახურავიანი სახლის საპირფარეშოა. ის იყო ჩემი თავშესაფარი. ცხოვრება, რომელსაც ისე ვიღებდი, როგორც რაღაც შორეულსა და არეულს, ბნელი საპირფარეშოსა და მისი სუნის მეშვეობით - ამაღელვებელი სუნისა, რომელშიც ანწლისა და მიწის სურნელი დომინირებდა, რადგან საპირფარეშო ბაღის ბოლოს იდგა, მესრის ახლოს - განსაკუთრებულად სასიამოვნოდ, ალერსიანად, მსუბუქად, მეტისმეტად მსუბუქად, იქნებ უწონოდაც კი მეჩვენებოდა. იმ ცხოვრებას ვგულისხმობ, საპირფარეშოს მიღმა რომ იყო, მთელი დანარჩენი სამყარო, რომელიც არ იყო ჭიებისგან დახრული ფიცრებისგან შეკრული ჩემი პატარა თავშესაფარი. მეჩვენებოდა, რომ იგი ოდნავ ირყეოდა დახატული სიზმრებივით, იმ დროს, როცა მე ჩემს ხვრელში ღამეულ მშვიდ არსებობას ვუბრუნდებოდი მატლივით; და ზოგჯერ ისეთი შეგრძნება მეუფლებოდა, თითქოს ნელ-ნელა სიზმარში თუ ტბაში ვეშვებოდი, თუ დედის წიაღს ანდა სისხლის აღრევასაც, მაშასადამე, დედამიწის სულიერ ცენტრს ვუბრუნდებოდი. ჩემი ბედნიერების

ხანა ნათელი ბედნიერების ხანა არასოდეს ყოფილა, ხოლო ჩემი სამყარო არასოდეს ყოფილა ის, რასაც ლიტერატორები და თეოლოგები „ზეციურ სიმშვიდეს“ უწოდებენ; და ეს კარგიცაა, რადგან ჩემთვის საშინელება იქნებოდა, უფლის რჩეული ვყოფილიყავი, მის მიერ ხელდასხმული; დარწმუნებული ვარ, თუკი ავად გავხდებოდი და სასწაულებრივად გამოვჯანმრთელდებოდი, ამას ვერ გადავიტანდი. სასწაული საზიზღარი რამეა: სიმშვიდე, რომელსაც ტუალეტებში ვეძებდი და რომელსაც მათზე მოგონებებში მოვძებნი, ეს სიმშვიდე ჩემში ნდობას იწვევს და საამოა.

ზოგჯერ წვიმა იწყებოდა. მესმოდა თუთიის სახურავზე წვეთების წკაპუნი; მაშინ ჩემი ნაღვლიანი განცხრომა, ჩემი პირქუში სიამოვნება ღრმავდებოდა მწუხარების შეგრძნებისგან. კარს ოდნავ ვაღებდი და დასველებული ბაღისა და წვიმით გათელილი სიმწვანის დანახვაზე სასოწარკვეთაში ვვარდებოდი. ხის დასაჯდომზე მოკუნტული საათობით ვიჯექი ამ საკანში. ჩემი სული და სხეული, სუნისა და სიბნელის ნადავლი, მისტიკურ მღელვარებას განიცდიდა, რადგან არსების ყველაზე იდუმალი ნაწილი ზუსტად იმიტომ მოდიოდა აქ, რომ მხილებულიყო ისე, როგორც სააღმსარებლოში დადიან აღსარების სათქმელად. ცარიელი სააღმსარებლო ჩემთვის იმავე სიამოვნებას იფარავდა. აქ დაყრილი ძველი მოდების ჟურნალების სურათებზე გამოსახული 1910-იანი წლების ქალები აუცილებლად მუფთას, ქოლგას ან ტურნიურიან კაბებს ატარებდნენ.

დიდი დრო დამჭირდა იმისათვის, რომ მათ შესაცნობად გამომეყენებინა ჯადოქრობა მათი ქვენა ძალებისა, თავისკენ ფეხებით რომ მიმათრევდნენ, ჩემ ირგვლივ ვამპირების წამწამების მსგავს შავ ფრთებს აფათქუნებდნენ და თვალებში ბზის თითებს მთხრიდნენ.

მეზობელ საკანში წყალი ჩაუშვეს. ჩვენი ფეხსალაგები შეერთებულია, ამიტომ ჩემსაში წყალი აბუყბუყდა და სუნის კიდევ ერთმა ტალღამ აავსო ჩემი საკანი. ტრუსებში ჩაჭედილ ჩემს მაგარ კომბალს ხელს შეახებ თუ არა, გათავისუფლებული, მაშინვე ზეწარს აწყდება და ზეწარიც მაღლა იწევა. მინიონ! დივინ! მე კი სულ მარტო ვარ აქ...

მინიონი განსაკუთრებული სინაზით მიყვარს, ეჭვი არც შეგეპაროთ, ბოლოს და ბოლოს ის ჩემი ბედისწერაა, ჭეშმარიტი თუ ყალბი. ამიტომაა, რომ დივინს ხან ძონძებს ვაცმევ და ხანაც მოსამართლის მანტიით ვმოსავ.

ნელა, მაგრამ მტკიცედ ვისწრაფვი, გავათავისუფლო იგი ყოველგვარი ბედნიერებისგან, რათა მისგან წმინდანი შევქმნა. თუმცა ცეცხლი, რომელიც მას წვავს, მძიმე ბორკილებსაც უნადგურებს, მაგრამ მაშინვე ახალი უჩნდება: სიყვარული. ასე იბადება მორალი, რომელიც, ცხადია, ის მორალი არ არის, რომელიც საერთოდ არის მიღებული (ეს მორალი სავსებით შეეფერება დივინს), მაგრამ მაინც მორალია, სიკეთისა და ბოროტების თავისებური გაგებით. დივინი ჯერ კიდევ არ დგას სიკეთისა და ბოროტების მიღმა, იქ, სადაც წმინდანი უნდა იყოს. მე კი უფრო კეთილი ვარ, ვიდრე ბოროტი, ამიტომ ხელჩაკიდებულს წავიყვან დივინს.

აი „დივინარიანა“, რომელიც თქვენთვის არის შეკრებილი. რადგან მინდა, რამდენიმე შემთხვევით არჩეული ეპიზოდი აღვწერო, ამიტომ მკითხველს ვანდობ, დამოუკიდებლად გაართვას თავი აღწერილი ამბების ქრონოლოგიას და დროსაც, რომელიც გადის. მხედველობაში ისიც უნდა მიიღოს, რომ ამ პირველ თავში მოთხრობილი ამბების დროს იგი ოცდან ოცდაათ წლამდე იქნება.

დივინარიანა

დივინი მინიონს ეუბნება: „ჩემი სიგიჟე ხარ“.

დივინი მოკრძალებულია. იმ საიდუმლოთი არჩევს ფუფუნებას, რომელიც მასშია დამალული და რომლისაც ეშინია. მდიდრულ სასტუმროებს, როგორც გრძნეულთა ბუნაგებს, თავისი აგრესიული ჯადოსნობის ძალით უამრავი ტყვე ჰყავთ გამომწყვდეული და მხოლოდ ჩვენს ერთ ჟესტს შეუძლია მათი გათავისუფლება მარმარილოს, ხალიჩების, ხავერდის, აბანოზის ხისა და ბროლის ხლართებისაგან. ოდნავ გამდიდრდა თუ არა ერთი არგენტინელის წყალობით, დივინი ფუფუნებასაც ეზიარა. კუთხეებშეჭედილი მუშკისსუნიანი ტყავის ჩემოდნები იყიდა... დღეში შვიდჯერ-რვაჯერ მატარებლის სალონ-ვაგონში ჯდებოდა, თავის ბარგს ვაგონის ბადეებზე ათავსებდა, თვითონ ბალიშებზე მოიკალათებდა, სასტვენის ხმამდე რამდენიმე წამით ადრე ორ თუ სამ მებარგულს დაუძახებდა, ბარგს გადმოატანინებდა, ავტომობილს ქირაობდა და გრანდ-ოტელში მიყვანას სთხოვდა; იქაც იმდენ ხანს რჩებოდა,

რამდენიც სწრაფად და დიდებულად მოსაწყობად იყო საჭირო. მთელი კვირა ვარსკვლავის ცხოვრებით ლაღობდა, ახლა უკვე ხალიჩებზე სიარულიც შეეძლო, ლაქიებთან ლაპარაკიც და აღარც დიდებულ ავეჯს შორის იკარგებოდა. მან ჯადოქრობა მოიშინაურა და ფუფუნება დედამიწაზე დაუშვა. ახლა ლუი მეთხუთმეტის ეპოქის სტილის გრეხილი ავეჯი, სურათების ჩარჩოები და ხის პანელებით აკრული კედლები განსაკუთრებულ ელეგანტურობას ანიჭებდა მის ცხოვრებას, რომელიც მის წინ კეთილშობილურად სასახლის ორად გაყოფილ კიბესავით იშლებოდა. ხოლო როცა ნაქირავები მანქანით ნაჭედი რკინის ღობის გასწვრივ მიდიოდა ან ქუჩაში დიდებულ წრეს არტყამდა, მაშინ ის უკვე ინფანტა იყო.

სიკვდილი პატარა საქმე არ არის. დივინს უკვე ეშინია, მოულოდნელად არ დაადგეს იგი თავზე. უნდა, რომ ღირსეულად მოკვდეს. ავიაციის იმ უმცროსი ლეიტენანტივით, რომელიც საბრძოლო გაფრენაზე საპარადო ფორმით წავიდა, თვითმფრინავში შემთხვევით შემოფრენილ სიკვდილს რომ აღმოეჩინა და აღებეჭდა, როგორც ოფიცერი და არა როგორც ბორტმექანიკოსი. დივინიც ასევე დაათრევდა თან უმაღლესი განათლების დამადასტურებელ გაზინთულ ნაცრისფერ დიპლომს.

- ღილივით სულელია... (მიმოზას უნდოდა, ეთქვა: ყელიანი ფეხსაცმლისაო).

დივინი - ნაზად: შარვლის დუქნისაო.

სახელოში მუდამ გაზის ქსოვილისა და სპილოს ძვლისაგან გაკეთებულ პატარა მარაოს დაატარებდა. როცა ისეთ სიტყვას იტყოდა, რომლისაც რცხვენოდა, სახელოდან ილუზიონისტის სისწრაფით მარაოს დააძრობდა, გახსნიდა და უცბად გამოჩენილი მოფარფატე ფრთა სახის ქვედა ნაწილს დაუფარავდა. დივინის მარაო მთელი ცხოვრების მანძილზე იფარფატებს მის გარშემო. მერე ლეპიკის ქუჩაზე შინაური ფრინველით მოვაჭრესთან განაახლებს მარაოს. დივინი იქ დაქალთან ერთად ქათმის საყიდლად შევიდა, ფეხდაფეხ მაღაზიის პატრონის ვაჟიც მიჰყვა. დივინმა მისკენ თვალი გააპარა, დაქალს დაუძახა, საჩვენებელი თითი კურტუმში შეუყო ქათამს, რომელიც დასამუშავებელ მაგიდაზე იდო და დაიყვირა: „ოო, ნახე ერთი, ნახე, ლამაზებში ულამაზესია!“ და მარაოც უკვე აფარფატდა მის აწითლებულ ლოყებთან, და დაცვარული მზერა კიდევ ერთხელ შეავლო მაღაზიის პატრონის ბიჭს.

Veni Creator

Veni Creator

პოლიციელებმა ბულვარზე ოდნავ შემთვრალი დივინი დააკავეს. ის -ს გაჰკივის. და ყოველი გამვლელი თითქოს ცხადად ხედავს ახალდაქორწინებულ წყვილებს, რომლებიც, თეთრი ვუალით თავდაბურულნი, ფარდაგიან სალოცავ სკამებზე იყრიან მუხლს; ეს ორი სერჟანტი კი თითქოს ხელისმომკიდე იყოს ბიძაშვილის ქორწილში. მიუხედავად ამისა, დივინი მაინც მიჰყავთ პოლიციის განყოფილებაში. მთელი გზა ეხახუნა მათ დივინი; აღგზნებულ პოლიციელებს უფრო მაგრად უჭირავთ იგი, განგებ ბორძიკობენ, რომ კიდევ ერთხელ გაუხახუნონ ბარძაყები მისას. მათი მსხვილი ასოები იღვიძებენ, ცოცხლდებიან, პატარა ბიძგებით ფეთქავენ, ცახცახებენ, სისხლით ივსებიან და სასოწარკვეთით აწვებიან სქელი ლურჯი მაუდის კარებს; კარის გაღებას ისე მოითხოვენ, როგორც სამღვდელოება ბზობის დღესასწაულზე დაკეტილი ეკლესიის გაღებას. ახალგაზრდა და ბებერი პედერასტები ბულვარზე დგანან და უყურებენ, როგორ მიჰყავთ დივინი საზეიმო ჰიმნ „“-ის თანხლებით.

- ხელბორკილს დაადებენ!

- როგორც მეზღვაურს!

- როგორც კატორღელს!

- როგორც მშობიარეს!

ბურჟუები აქეთ-იქით დადიან. ბევრნი არიან, ვერაფერს ხედავენ, ვერაფერს ხვდებიან, და საეჭვოა, რომ მათი ნდობით აღვსილი განწყობილება ასეთმა უმნიშვნელო წვრილმანმა შეაშფოთოს: დივინი პოლიციელებს გაკავებული მიჰყავთ, ხოლო მის დაქალებს ებრალებათ და ოხრავენ.

ხვალ საღამოს, გათავისუფლებული, ისევ თავის საგუშაგოზე იდგება თვალებდალურჯებული და დასიებული.

- ღმერთო, ჩემო ლამაზებო, კინაღამ გული წამივიდა. ჟანდარმებმა მომკიდეს ხელი და შემაკავეს. შემომეხვივნენ და თავიანთი უჯრედებიანი

ცხვირსახოცებით მინიავებდნენ. წმინდანი ქალებივით მიმშრალებდნენ სახეს. ჩემს ღვთაებრივ სახეს: გონს მოდით, დივინ, გონს მოდით, გონს მოდით, გონს მოდითო, გალობით მეუბნებოდნენ.

ბნელ დილეგში წამიყვანეს. თეთრ კედელზე ვიღაცას (ოო, ამ „ვიღაცას“, გაგრძელებებით რომ იბეჭდება, იმ რომანების მძიმე გვერდების მჭიდროდ მიჯრილ ხაზებს შორის მოვძებნი, რომლებიც უმშვენიერესი პაჟებითა და ვიგინდარებით არის დასახლებული. ერთ ამათგანს კამზოლის თასმებსა და ფეხსაცმლის ზონარს გავუხსნი; იგი ჟან შავწვივსაკრავიანის ამალიდანაა; მერე თავის ნებაზე გავუშვებ, ცალ ხელში საზარელი დანით, მეორეში ჩაბღუჯული გაშეშებული ასოთი. ის პირით კედლისკენ დგება. და აი, დატკბით ამ ახალგაზრდა ტუსაღისსაოცარი უმანკოებით. იგი ლოყით კედელს ეკვრის. ერთი კოცნა, და უკვე კედლის ზედაპირს ლოკავს; ბათქაში ხარბად იწოვს მის ნერწყვს. მერე კოცნის თავსხმა იწყება. მისი მოძრაობები გამოსახავს კონტურებს უჩინარი პარტნიორისა, რომელიც მას ეხვევა, გულში იკრავს, და რომელსაც ულმობელი კედელი არ უშვებს. ბოლოს სასოწარკვეთის, სიყვარულის სიჭარბისაგან დაქანცული პაჟი ხატავს...) ფარანდოლა დაუხატავს ისეთებისა, რომ... დიახ, დიახ, ჩემო ლამაზებო, იოცნებეთ და დათვერით, რომ იქ მოხვდეთ; მე კი მხოლოდ აღწერა შემიძლია: ისეთი ფრთოსანი იყო ამურივით, გასიებული, სქელი, მედიდური, ბრწყინვალე, დაშაქრული ქერივით. ყველაზე ტანადებსა და მკვრივებს, საყვარელო ქალებო, ირგვლივ კატაბარდა, ხვართქლა, ბალახვარდა შემოხვეოდა, და მოკუნტული პატარა „ხვადი კატებიც“. ოჰ, რა სვეტებია! საკანი მთელი სისწრაფით მიფრინავდა: რაღაც სიგიჟე იყო, სიგიჟე, სიგიჟე!

ციხის საამო საკნები! ჩემი დაპატიმრების შემზარავი სისაძაგლის შემდეგ, ჩემი სხვადასხვა დროს დაპატიმრების შემდეგ, რომელთაგან თითოეული მუდამ პირველი იყო, რადგან ჩემს შინაგან ხედვას თავისი გამოუსწორებლობით, თავბრუდამხვევი და ფატალური სისწრაფითა და ბრწყინვალებით წარმოუდგებოდა, მას შემდეგ, რაც ძვირფასეულობასავით ან თეორემასავით მბრწყინავ რკინის კაბრიოლეტში ხელებს დამიბამდნენ - ყოველივე ამის შემდეგ ციხის საკანი, რომელიც ახლა ბიწიერებასავით მიყვარს, თავისთავად ნუგეშად მექცა.

საპატიმროს სუნი შარდის, ფორმალინისა და საღებავების სუნია. ევროპის ყველა საპატიმროში ამ სუნს ვცნობდი და მივხვდი, ეს სუნი ბოლოს და ბოლოს ჩემი ბედისწერის სუნად იქცევა. როცა ისევ ციხეში ვხვდები, კედლებზე მუდამ ადრინდელი პატიმრების კვალს ვეძებ, მაშასადამე, ჩემს წინა სასოწარკვეთას, სინანულს, სურვილებს, რომლებსაც სხვა პატიმრები დაწერდნენ ჩემ მაგიერ. კედლების ზედაპირს იმ იმედით ვიკვლევ, რომ მეგობრის დატოვებულ ნაკვალევსაც ვიპოვი. არ ვიცი, რა არის ნამდვილი მეგობრობა, ორი მამაკაცის მეგობრობა, არც ის ვიცი, როგორ ნაკვალევს აჩნევს გულზე, ზოგჯერ, ალბათ, კანზეც; ზოგჯერ მინდა, საპატიმროში ძმური მეგობრობის გრძნობა განვიცადო, მაგრამ იმ მამაკაცისადმი - ჩემი ასაკისა უნდა იყოს აუცილებლად - რომელიც ლამაზი იქნება, ბოლომდე მივენდობი და ჩემი სატრფიალო თავგადასავლების, ქურდობების, დანაშაულებრივი სურვილების თანამონაწილე გახდება; მაგრამ ეს ასეთ მეგობრობაზე წარმოდგენას არ მაძლევს, არც რომელიმე მეგობრის ინტიმური ადგილების სუნზე, რადგან ასეთ დროს იმ მამაკაცად მომაქვს თავი, რომელმაც იცის, რომ ასეთი არ არის. ველი, რომ კედელზე გამოჩნდება რაღაც საშინელი საიდუმლო - მკვლელობა, განსაკუთრებით, მამაკაცთა მკვლელობა ან ღალატი მეგობრობაში, ან ნეშტის შებილწვა, რისთვისაც მე ბრწყინვალე სამარხი ვიქნებოდი; მაგრამ მხოლოდ ბათქაშზე ქინძისთავით ამოჩხაპნილ, სიყვარულის ან აღშფოთების, უფრო ხშირად ბედთან შერიგების გამომხატველ რაღაც ცალკეულ სიტყვებს ვპოულობდი: „ჟოჟო დე ლა ბასტოშს მუდამ ეყვარება თავისი პატარა ცოლი“. „ჩემი გული დედამისს, ჩემი ყლე ბოზებს, ჩემი თავი კი დეიბლერს“. კედელზე აღმოცენებული ეს წარწერები თითქმის ყოველთვის თავაზიანი პატივისცემით ქალისადმია მიმართული, ანდა ცუდად დაწერილი ლექსის სტრიქონებია, რომლებიც მთელი საფრანგეთის ცუდი ბიჭებისთვის არის ცნობილი:

თეთრი გახდება შავი ნახშირი,
შავი ჭვარტლიც ხომ თოვლად იქცევა.
მშობლიურ ციხეს არ უღალატებს
ჩემი ხსოვნა და არდავიწყება.
ოჰ, ეს პანის ფლეიტები! ისინი გარდასულ დღეებს აღნიშნავენ!

დაბოლოს, მთავარი შესასვლელის თავზე მარმარილოზე ამოკვეთილია წარწერა: „ციხე დაარსდა 1900 წლის 17 მარტს“; იგი ჩემს წარმოსახვაში იწვევს ოფიციალური ბატონებისაგან შემდგარ კორტეჟს, რომელსაც ზარზეიმით მოჰყავს პირველი პატიმარი.

დივინი: „გული ხელზე მიდევს, ხელისგული გახვრეტილია, ხელი ტომარაში მაქვს, ტომარა თავმოკრულია, და ჩემი გული მახეშია გაბმული“.

დივინის სიკეთე. იგი ბოლომდე და წინდაუხედავად ენდობოდა სახის სწორ, მკვეთრნაკვთებიან მამაკაცებს, რომლებსაც სქელი, ხშირი თმის ერთი ბღუჯა შუბლზე ჰქონდათ ჩამოშლილი; კაცი იფიქრებდა, რომ ეს ნდობა იმ გავლენასთან იყო შერწყმული, რომელსაც ასეთი მამაკაცები ახდენდნენ დივინზე. ის, ცინცხალი კრიტიკული გონების პატრონი, ხშირად რჩებოდა მოტყუებული. ამას, უცბად თუ თანდათან, მიხვდა და თავისი ქცევის შეცვლა მოინდომა, და ინტელექტუალურმა სკეპტიციზმმა სენტიმენტალურ თავაზიანობასთან ბრძოლაში გაიმარჯვა და მასში დაფუძნდა. მაგრამ მაინც ატყუებენ, რადგან ახლა ჭაბუკებისადმი ყოვლის შთამნთქმელი ვნება გაეღვიძა; მათ მიმართ დაუძლეველ მიზიდულობას განიცდის. მათგან სიყვარულის გამჟღავნებას ირონიული ღიმილით ან დამცინავი სიტყვებით იღებს, რომელთა მიღმაც ცუდად იფარება მისი სისუსტე (როგორც პედერასტების სისუსტე გორგის შარვალზე ამობურცული ადგილის მიმართ) და მთელ ძალებს ძაბავს, რომ მათ ვნებიან სილამაზეს (მათ მიუდგომლობას) გაუძლოს; ისინიც ასეთივე ღიმილით უპასუხებენ, ოღონდ უფრო მკაცრით, გეგონება, დივინის კბილებიდან გამოფრენილი ღიმილი იმათმა უფრო ბასრმა, ცივმა და, ამდენად, უფრო ლამაზმა კბილებმა აისხლიტაო.

თავი რომ დაისაჯოს იმ სიავისათვის, რაც უკეთური ადამიანების მიმართ გამოავლინა, დივინი თავის განზრახვაზე უარს ამბობს და იწყებს თავის დამცირებას სუტენიორებთან, ისინი კი ვერაფერს ხვდებიან. მისი სიკეთე ზოგჯერმეტისმეტ წესიერებამდე მიდის. ერთხელ სასამართლოდან, სადაც ხშირად ხვდებოდა ხოლმე, უმთავრესად კოკაინის გამო, სატუსაღოს მანქანით მომავალმა, მეზობლად მჯდარ ერთ მოხუცს ჰკითხა:

- რამდენი მოგცეს?

მოხუცი პასუხობს:

- სამი. შენ?

დივინს მხოლოდ ორი თვე მიუსაჯეს, მაგრამ უპასუხა:

- მეც სამი.

თოთხმეტი ივლისი. ყველგან ლურჯი, თეთრი და წითელი ფერებია. დივინი კი ყველასგან მივიწყებული ფერების პატივსაცემად სხვა ფერის ტანსაცმელს იცვამს.

დივინი და მინიონი. ჩემი აზრით, იდეალური შეყვარებული წყვილია. ოფლით დაცვარული ცხვირითა და გადმოკარკლული თვალებით ვიხედები მყრალი, ხორკლიანი შალის გადასაფარებლიდან. მათთან მარტო ვარ და მათ შევყურებ.

მინიონი გოლიათია. დგას და მისი ოდნავ მოღუნული და გაჩაჩხული ფეხები ცისფერ შარვალში დედამიწის ნახევარს ფარავს. ის ანძრევს; ისე ძლიერად და ისე დარწმუნებით, რომ ტრაკები და საშოები მის ასოს ისე ეცმება, როგორც თითს ბეჭედი. ის ანძრევს. ისე ძლიერად და მშვიდად, რომ ზეცისაგან ნიშანდებული მისი მამაკაცობა ქერა მეომრების იმ ბატალიონების შემაღწეველ ძალას იძენს, 1940 წლის 14 ივნისს რომ შეგვიდეს. დინჯად, სერიოზულად მოდიოდნენ, პირდაპირ იყურებოდნენ, მზესა და მტვერში გამართული ნაბიჯით მოაბიჯებდნენ. მაგრამ ისინი მხოლოდ მოხრილი და დაძაბული მინიონის აღსაწერად თუ გამოდგებიან. მათი გრანიტი შესაძლებლობას არ აძლევს მათ, მომხიბლავ „ხვადებად“ იქცნენ.

თვალს ვხუჭავ. დივინი: იგი ათასი მაცდუნებელი ფორმაა ჩემი თვალებიდან, პირიდან, იდაყვებიდან, მუხლებიდან, და აღარ ვიცი კიდევ საიდან გადმოსული. ისინი მეუბნებიან: „ჟან, როგორ მიხარია, რომ დივინში ვცხოვრობ მინიონთან ერთად“.

თვალს ვხუჭავ. დივინი და მინიონი. მინიონისთვის დივინი მხოლოდ საბაბია, შემთხვევა. როცა მოხდება და მასზე ფიქრობს, მხრებს იჩეჩს, თითქოს ამ ფიქრისგან გათავისუფლება უნდაო, თითქოს ეს ფიქრი მის მხრებში ჩასობილი გველეშაპის ბრჭყალები იყოს. მაგრამ დივინისთვის მინიონი ყველაფერია. იგი უვლის მინიონის ასოს. დიდი სინაზით ეფერება, თანაც ალერსის იმ ფორმას იყენებს, თამაშის გუნებაზე დამდგარი წესიერი ადამიანები რომ იყენებენ პატარებთან, მაგალითად, უწოდებს „აკვნის ჩვილს“,

„ბაგაში მწოლიარე ყრმა იესოს“, „თბილ პაწიას“, „შენს პატარა ძამიკოს“. ცხადია, ხმამაღლა არაფერს ამბობს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, სიტყვები თავის პირდაპირ მნიშვნელობას მაინც იძენს. მის გრძნობებს ეს სრულიად მიესადაგება. მინიონის „კომბალი“ მისთვის მთელი მინიონია: მისი ფუფუნების ნამდვილი საგანი. თუ დივინი მოისურვებს, თავის კაცში სხვა რამეც დაინახოს, გარდა თბილი იისფერი ასოსი, მაშინ ეს ნიშნავს, რომ მას შეუძლია, თვალი მიადევნოს მის სიმკვრივეს ანუსამდე და აღმოაჩინოს, რომ იგი გრძელდება და მთელ დანარჩენ სხეულზე ვრცელდება, რომ იგი არის კიდეც მინიონის აღგზნებული სხეული, რომელიც გაფითრებული, დაძაბული, დაღლილი სახით, თვალებით, ცხვირით, პირით, ჩაცვენილი ლოყებით, აბურდული თმით, ოფლით დაცვარული შუბლით მთავრდება.

ჩემი აქოთებული გადასაფარებლის ქვეშ თვალს ვხუჭავ. დივინმა შარვალი ოდნავ ჩაიხსნა და თავისი მამრის მოვლის იდუმალი რიტუალი დაასრულა. თმა და „იარაღი“ ლენტებით მოუკაზმა, შარვლის ღილკილოებში კი ყვავილები გაუყარა (საღამოობით მინიონი დივინთან ერთად ასე მორთული გადის ქუჩაში). დასკვნა: დივინისთვის მინიონი სხვა არა არის რა, თუ არა დიდებული წარმომადგენლობა დედამიწაზე, ხელშესახები გამოსახულება, იქნებ არსების სიმბოლოც (შეიძლება ღმერთისა), ანდა ზეცაში დარჩენილი იდეისაც. მათ ურთიერთობა არა აქვთ. დივინი შეიძლება მარი-ანტუანეტს შევადაროთ, რომელსაც პატიმრობის დროს, საფრანგეთის ისტორიის ჩემს სახელმძღვანელოს თუ დავუჯერებთ, ნებსით თუ უნებლიეთ, მოუხდა არგოს სწავლა, რომელიც მაშინ, მეთვრამეტე საუკუნეში იხმარებოდა. საცოდავი, საყვარელი დედოფალი!

როცა დივინი აკივლდება და ამბობს, სასამართლოში მიმათრიესო, მაშინვე მოხუცი გრაფინია სოლანჟი გაგახსენდებათ, მაქმანებით შემკული ძველებური კაბით, რომელსაც, ხელებშეკრულს, ჯარისკაცები მართლმსაჯულების სასახლის ქვის ფილებზე მუხლებით მიათრევენ.

- სიყვარულისგან გული მიმდის, - ამბობს დივინი.

სიცოცხლე მასში ჩერდებოდა, მაგრამ მის ირგვლივ ცხოვრება გრძელდებოდა და ეგონა, დროის მსვლელობის საწინააღმდეგოდ მიდიოდა; იმის გაფიქრებაც კი შიშის ზარს სცემდა, რომ ასეთი სისწრაფით მავალი დასაწყისამდე მივიდოდა, პირველმიზეზამდე, ბოლოს კი მოძრაობას იწყებდა, რაც სწრაფად უახლებდა გულისცემას.

და კიდევ ერთიც ამ შეშლილის გულკეთილობაზე. მან რაღაც ჰკითხა ახალგაზრდა მკვლელს (ნოტრ-დამ-დე-ფლერს), რომელსაც მოგვიანებით გავეცნობით. ყოველგვარი ქვენა აზრის გარეშე დასმული ეს კითხვა მკვლელს ისეთ ტანჯვას მიაყენებს, რომ სახე უცბად დაუმახინჯდება. დივინი მიყენებულ ტკივილს კვალდაკვალ დაედევნება, რომ დაეწიოს და შეაჩეროს, ენა ებმება, ნერწყვი ყელში ეჩხირება, რომელიც მღელვარებისგან ცრემლს ემსგავსება; დივინი ყვირის:

- არა, არა, მე ვარ!

ოჯახის მეგობარი, ყველაზე გიჟი ქალი, რომელსაც მათთან შევხვედრივარ, მიმოზა მეორეა. მიმოზა დიდი, პირველი, ახლა ვიღაც მოხუცის კმაყოფაზე ცხოვრობს - თავისი ვილა აქვს სენ-კლუში. მას მიმოზა მეორე უყვარდა, როცა ის ჯერ კიდევ მერძევე ბიჭი იყო, ამიტომაც თავისი სახელი მას დაუტოვა. მიმოზა მეორე, რა ექნა, მზეთუნახავი არ იყო. დივინმა ჩაის დასალევად მიიპატიჟა. ის ხუთი საათისთვის მივიდა სხვენში. ერთმანეთს ლოყაზე აკოცეს და ძალიან ეცადნენ, სხეულებით არ შეხებოდნენ ერთიმეორეს. მინიონს მამაკაცურად ჩამოართვა ხელი და დივანზე მოკალათდა, სადაც დივინი იწვა. მინიონი ჩაის ამზადებდა: მას თავისი ახირებები აქვს.

- კარგია, რომ მოხვედი, მიმო. რა იშვიათად ვხვდებით ერთმანეთს.

- ჩემი ბრალი არ არის, ძვირფასო. დამიჯერე, შენს ბუდეს ვაღმერთებ. სოფლის მღვდლის სახლს მაგონებს, საიდანაც შორეული პარკი მოჩანს. ალბათ, სასიამოვნოა, როცა მკვდრები გყავს მეზობლებად, არა?

მართლაც, ფანჯრიდან მშვენიერი ხედი იშლებოდა.

ზოგჯერ სასაფლაოს მთვარე ანათებდა. ღამით მთვარის შუქზე საწოლში მწოლიარე დივინს ის უფრო ნათელი და ღრმა ეჩვენებოდა. ისეთი ძლიერი ნათება იყო, რომ საფლავებზე ამოსულ ბალახსა და მარმარილოს ფილებქვეშ მშვენივრად შეიმჩნეოდა მიცვალებულთა ლანდივით მოძრაობა. ფანჯრის ჩარჩოთი შემოფარგლული სასაფლაოს ხედი ქუთუთოების ლამაზ ჭრილში მოციმციმე თვალს ჰგავდა, ან, უკეთესია, ცისფერი შუშის თვალს -

როგორიც ქერათმიან ბრმებს აქვთ ხოლმე, ზანგის პეშვში ჩადებულს. იგი ცეკვა-ცეკვით მიცურავდა, უფრო სწორად, ქარი ბალახსა და კვიპაროსებს არხევდა. ცეკვავდა. ისეთი მუსიკალური იყო, რომ სხეული მედუზასავით ერხეოდა. დივინის ურთიერთობა სასაფლაოსთან: სასაფლაო მის სულში ისე შეიჭრა, როგორც ზოგიერთი წინადადება იჭრება ტექსტში: ერთი ასო - აქ, ერთი - იქ. სასაფლაო ყველგან მასთან იყო: კაფეში, ბულვარზე, ციხეში, გადასაფარებლის ქვეშ, საპირფარეშოშიც. ან, თუ გნებავთ, მასში ისე ცხოვრობდა, როგორც მინიონში ცხოვრობდა ერთგული და დამჯერი ძაღლი, ზოგჯერ „ხვადის“ გამოხედვას ძაღლის გამოხედვის თვინიერებასა და ნაღველს რომ ურევდა.

მიმოზა ფანჯრიდან იხრება, განსვენებულთა ფანჯრის ღიობიდან, თითით საფლავს ეძებს, პოულობს და წკავწკავებს:

- აა! ნამუსგარეცხილო და ქუჩის ქალო, ბოლოს ხომ ჩაძაღლდი! გაფიჩხული ხარ და ცივი მარმარილო გადევს გულზე. მე კი შენს ხალიჩებზე დავდივარ. ჩათლახო!

- შენ რა, გამოყლევდი? - ჩაიბუზღუნა მინიონმა და კინაღამ ლანძღვა-გინება მიაყოლა ქუჩის ქალივით.

- მინიონ, შეიძლება შენი სიყვარულით შევიშალე ჭკუაზე, საშინელო მინიონ! მაგრამ, აგე, იქ, საფლავში, შარლოტა წევს! შარლოტა იქ არის!

გავიცინეთ, რადგან ვიცოდით, რომ შარლოტა მისი პაპაა, სასაფლაოს სიღრმეში მარხია, ნაკვეთზე, რომელიც მუდმივი სარგებლობის უფლებითაა ნაყიდი.

- როგორ არის ლუიზა? (მიმოზას მამა). ლუსი? (დედა) - ეკითხება დივინი.

- ოჰ, დივინ, ნუ მეკითხები. დიდებულად გრძნობენ თავს. ეგენი ხომ ჯერ არ ჩაძაღლდებიან, ნაძირალები!

მინიონს უყვარდა დეიდა-პედერასტების მოსმენა. განსაკუთრებით უყვარდა, როცა ინტიმურ გარემოში თავის ამბებს უმხელდნენ. ის ჩაის ამზადებდა, უსმენდა და ღიმილი არ შორდებოდა ბაგიდან. მინიონს ღიმილი არასოდეს არ ჰქონდა ცივი და გაყინული. ეტყობა, გამუდმებული მოუსვენრობა აიძულებდა, თვალები ეხამხამებინა. დღეს ჩვეულებრივზე მეტად იყო მოუსვენრად, რადგან ამ საღამოს დივინი უნდა მიეტოვებინა.

ამიტომაც მიმოზა ახლა უფრო საშინლად ეჩვენებოდა - ნამდვილ ძუ მგლად. დივინმა არ იცის, რა ელის. მხოლოდ მერე მიხვდება უცბად, რომ მიატოვეს და მიმოზაც რატომ იყო ასეთი ღვარძლიანი. ძალიან მოხერხებულად კი მოაწყვეს საქმე. როჟე, მიმოზას კაცი, გრივში გაემგზავრა.

- საომრად წავიდა ეს ჩვენი როჟე. ამორძლად წარმოიდგინა თავი.

ასე უთხრა ერთ დღეს მიმოზამ მინიონს. მინიონმა ხუმრობით შესთავაზა, თუ გინდა, როჟეს შევცვლიო. ჰოდა, მიმოზაც დაეთანხმა.

ჩვენი ოჯახები, ჩვენი სახლის კანონები თქვენსას არა ჰგავს. აქ უსიყვარულოდ უყვართ. სიყვარული საკრამენტული არ არის. დეიდა-პედერასტები უკიდურესად უზნეო ხალხია. თვალიც არ დაუხამხამებია, არც იმისთვის მიუქცევია ყურადღება, რომ ექვსი წელი ერთად იცხოვრეს და ეს წლები მათ რაღაცით აკავშირებს, არც ის უფიქრია, რომ ცუდად იქცეოდა და ბოროტებას სჩადიოდა - მინიონმა დივინის მიტოვება გადაწყვიტა, მორჩა და გათავდა; სინდისს არც შეუწუხებია, ოღონდ ოდნავ მოუსვენრობდა, ვაითუ დივინმა ჩემთან შეხვედრაზე უარი თქვასო.

რაც შეეხება მიმოზას, იმისათვის, რომ ჩადენილი სიავით ბედნიერად ეგრძნო თავი, საკმარისი იყო, მეტოქისთვის რამე ევნო.

ორი პედერასტი ჭიკჭიკებდა. მათი თვალების ჟუჟუნთან შედარებით ლაპარაკი უფერული ჩანდა; წამწამებს არ აფახულებდნენ, წარბებს არ იჭმუხნიდნენ, მარტო თვალის კაკლები დაურბოდათ მარჯვნიდან მარცხნივ, მარცხნიდან მარჯვნივ; ისე მოძრაობდნენ, თითქოს მათ მთელი ბურთულსაკისრიანი სისტემა ამოძრავებდა. ახლა მოვუსმინოთ, რაზე ჩურჩულებენ. სქელკანიანი მინიონიც მიუახლოვდა, ყურადღება დაძაბა, იქნებ რამეს მივხვდეო. მიმოზა ჩურჩულებს:

- საყვარელო, ისინი მარტო მაშინ მომწონს, როცა ჯერ კიდევ შარვლებშია. უყურებ და ხედავ, როგორ მაგრდებიან. ჭკუაზე შეიშლება კაცი; გადაირევი! ოჰ, ეს ნაკეცი, იწყება და აღარ მთავრდება, ტერფამდე ეშვება; შეეხები, ხელს გააყოლებ, ფეხის თითებამდე ჩადის. ჩემო პატარავ, ამბობენ, „ლამაზმანი“ ჩამოდისო. ამიტომ შენთან განსაკუთრებულ რეკომენდაციას მეზღვაურებს ვუწევ.

მინიონი ოდნავ შესამჩნევად იღიმება. იცის. მამაკაცების „სქელუა

ლამაზმანი“ მას არ აღელვებს, მაგრამ ახლა აღარც ის უკვირს, რომ ის მიმოზას თუ დივინს აღელვებს.

მიმოზა მინიონს ეუბნება:

- დიასახლისობანას თამაშობ, ჩვენთან რომ არ დაჯდე.

მინიონი პასუხობს:

- ჩაის ვამზადებ.

მიხვდა, ეს პასუხი საკმარისი არ იყო და დაუმატა:

- იმ ტიპისგან, როჟესგან, ხომ არაფერია ახალი?

- არა, - უპასუხა მიმოზამ, - ძალიან მარტო ვარ.

უნდოდა დაემატებინა, ძალიან გავწამდიო. გრძნობების გამოსახატად, რომელსაც, ჩვეულებრივ, თან აუარებელი მღელვარე ჟესტი ან ინტონაცია ახლავს, დეიდა-პედერასტები ამ სიტყვებით კმაყოფილდებიან: „მე ძალიან, ძალიან“, და საიდუმლო ხმით წარმოთქვამენ, თითქმის ჩურჩულით, ნათქვამს გასამძაფრებლად ბეჭდიან ხელსაც ააყოლებენ, რათა უჩინარი ქარიშხალი დაიცხრონ. ადამიანმა, რომლისთვისაც ჯერ კიდევ მიმოზა დიდის დროიდანაა ნაცნობი აულაგმავი გრძნობების ველური გამოვლინებები, თავხედური ჟესტებითა და ვაი-ვიშით, რის გამოც პირი გეღრიცება, თვალები გენთება და კბილები გეკრიჭება, არ შეიძლება, ამ ადამიანმა საკუთარ თავს არ ჰკითხოს, რა იდუმალმა სინაზემ შემიცვალა მძვინვარე ვნებებიო. თუ დივინი თავის „ლოცვებს“ იწყებდა, მხოლოდ მაშინ ჩერდებოდა, როცა ძალა სულმთლად გამოელეოდა. პირველად, როცა ეს მოისმინა, განცვიფრებული მინიონი გაშეშდა. ვიდრე ოთახში იყვნენ, ერთობოდა, მაგრამ, როცა დივინმა ქუჩაშიც გააგრძელა, მინიონმა უთხრა:

- გოგო, მოკეტე, მეგობრებთან ნუ მარცხვენ.

მის გაყინულ ხმაში იგრძნობოდა, რომ უარესი სიმკაცრით იმუქრებოდა და დივინმა თავისი მასწავლებლის ხმა შეიცნო. თავი შეიკავა. მაგრამ, მოგეხსენებათ, იმაზე სახიფათო არაფერია, ვიდრე საკუთარი ემოციების ჩახშობა. ერთ საღამოს კლიშის მოედანზე, ბარის დახლთან, სადაც „ხვადები“ იკრიბებიან (ჩვეულებრივ, მინიონი სიფრთხილისთვის აქ უდივინოდ მოდიოდა), დივინმა დანახარჯი გადაიხადა, ხურდაც აიღო, მაგრამ ოფიციანტისთვის ფეხის ქირის დატოვება დაავიწყდა. როცა ეს შეამჩნია, ისეთი კივილი ატეხა, ბარის სარკეები და ნათურები კინაღამ დასკდა; მისმა ყვირილმა „ხვადები“ გააოცა:

- ღმერთო ჩემო, ძალიან, ძალიან გიჟი ვარ!

აქეთ-იქიდან გაწნულმა ორმა სილამ მყისვე ჩააჩუმა და ისე დააპატარავა, რომ დივინის თავი ძლივსღა სწვდებოდა დახლს. მინიონი გაშმაგებული იყო. ნეონის სინათლეზე მწვანე ჩანდა. „თავიდან მომწყდიო“, უთხრა; თვითონ კი კონიაკის დასალევად დარჩა.

ეს ყვირილი (მინიონი ამაზე იტყოდა, ისევ გაუშვა ყვირილიო, ან როგორც უნიტაზზე მჯდარი ფიქრობდა: „ნაყოფი გაუშვაო“ ან „ძირიდან მაყუთი აიღოო“) ერთი იმ ჩვევათაგანი იყო, რომელიც დივინმა მიმოზა პირველისაგან აითვისა. როცა ისინი ქუჩაში ან პედერასტების კაფეში იკრიბებოდნენ, მათი ყბედობიდან (სიტყვებიდან და ჟესტებიდან) ყვავილთა მთელი თაიგულები იშლებოდა, რომელთა შორისაც სრულიად ბუნებრივად იქცეოდნენ და ჩვეულებრივ საოჯახო პრობლემებზე საუბრობდნენ.

- რასაკვირველია, ძალიან, ძალიან გარყვნილი ვარ.

- აუ, ქალბატონებო, რა ბოზი ვარ!

- ციიიით (ბგერა ი-ს ძალიან დიდხანს აგრძელებენ), ძალიან, ძალიან სევდიანი ვარ.

- აგე, შეხედეთ, ძალიან, ძალიან შარიშურით ჩაიარა.

ერთხელ ბულვარზე პოლიციის ინსპექტორმა ერთს ჰკითხა:

- ვინ ხარ?

- ძალიან, ძალიან ამაღელვებელი ვარ.

მერე ნელ-ნელა ეს რეპლიკები შეამოკლეს და ბოლოს მოკლედ ამბობდნენ: „მე ძაან-ძაან“, სულ ბოლოს კი: „მე ძ-ძ“.

ჟესტებსაც ასე დაემართა. დივინს ერთი მოძრაობა ჰქონდა - როცა ჯიბიდან ცხვირსახოცს იღებდა, ვიდრე ტუჩთან მიიტანდა, მისი ხელი ფართო მრუდ მოძრაობას აკეთებდა. სცადეთ და გამოიცანით ამ ჟესტის მნიშვნელობა. აუცილებლად შეცდებით, რადგან მასში ორი ჟესტია შეერთებული - ერთი, რომელსაც უკვე დაკარგული ჰქონდა თავისი პირვანდელი მნიშვნელობა, და მეორე, რომელიც აგრძელებდა და ამთავრებდა პირველს, იქ აღმოცენებულს, სადაც პირველი გაწყდა. მაშ ასე,

დივინი ჯიბიდან ხელს იღებს, განზრახული აქვს, მაქმანის ცხვირსახოცი კიდით დაიჭიროს და დაიქნიოს. დაიქნიოს დასამშვიდობებლად ან პუდრის კოლოფის თუ სუნამოს დასაგდებად, რომლებიც ცხვირსახოცში არ არის; ეს მხოლოდ მიზეზია. ხელის ფართო ჟესტი კი აუცილებელი იყო, რომ ფარული განცდა გადმოეცა: „მარტო ვარ. ვისაც შეგიძლიათ, დამეხმარეთ“. მინიონმა ამ ჟესტის ბოლომდე განადგურება ვერ შეძლო, მაგრამ შემოკლებით კი მაგრად შეამოკლებინა, ერთი მეორეს მიება და უცნაური ჟესტი გამოვიდა. ერთი დაანგრია და მეორე შექმნა. დიდებული. მინიონის ამ ცდებზე ერთხელ მიმოზამ თქვა:

- ჩვენი კაცები ცდილობენ, ჩვენგან დამბლადაცემულები შექმნან.

როცა მიმოზა წავიდა, მინიონი მაშინვე შეეცადა, ჩხუბის მიზეზი ეპოვა და დივინი მიეტოვებინა. ვერ იპოვა. ამან გააბრაზა, ბოზი ხარო, უთხრა და წავიდა.

და აი, დივინი მარტო დარჩა ამქვეყნად. ვინ გავუხადოთ საყვარლად? ის ბოშა ხომ არა, ყველგან რომ ვეძებ და რომელსაც ფიგურა მარსელური მაღალქუსლიანი ჩექმების წყალობით გიტარას მიუგავს? ფეხებზე კი მეზღვაურის შარვალი მიუცოცავს, ზედ ეკვრის, რომ გულგრილად ჩაეხვიოს მის დუნდულებს.

დივინი მარტოა. ჩემთან არის. სატუსაღო სანტეს ირგვლივ მთელი სამყარო ყარაულში დგას. არ იცის და არც სურს, იცოდეს, რა ფორიაქია პატარასაკანში, რომელიც ჩაკარგულია დანარჩენ საკნებს შორის. ისინი ისე ჰგვანან ერთმანეთს, რომ მეც კი, ვინც აქაურობას კარგად ვიცნობ, ერთმანეთში ხშირად მერევა. დრო სულის მოთქმის საშუალებას არ მაძლევს: მის რბოლას ვგრძნობ. რა ვუყო დივინს? თუ მინიონი დაუბრუნდება, დიდხანს არ გაუჩერდება. განშორების სიტკბოს გემო გაუსინჯა. მაგრამ აღარც დივინს შეუძლია მღელვარების გარეშე ცხოვრება, რომელიც უჭერს, ანაწევრებს, ისევ აწებებს და ამსხვრევს. ბოლოს და ბოლოს მისგან ცოტაოდენი არსი მაინც დამიტოვოს, რაღაც ესენციის მსგავსი, რომლის მოპოვებაზეც ვოცნებობ. და აი, ბატონი როკლორი (დუეს ქუჩა 127, პარიზის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ტრანსპორტის სამმართველოს მოხელე) დაახლოებით დილის შვიდ საათზე თავისთვის და ქალბატონ როკლორისთვის, რომელიც ამ დროს სამზარეულოშია და თმას ივარცხნის, რძისა და „პტი პარიზიენის“ მოსატანად გადის და თავისი სახლის ბნელ, ვიწრო დერეფანში ფეხით გასრესილ მარაოს პოულობს, რომლის სახელურიც ყალბი ზურმუხტებითაა დამშვენებული. მან ნამსხვრევებს ფეხი გაჰკრა, ჯერ ტროტუარისკენ უბიძგა, მერე წყალსადენ არხში გადაუძახა. ეს დივინის მარაოა. იმ ღამეს დივინი შემთხვევით მინიონს გადააწყდა. ერთად გაიარეს; დივინს საყვედურის სიტყვა არ დასცდენია. მინიონი მის ყბედობას უსმენდა და რაღაც მელოდიას უსტვენდა. შეიძლება გაქცევას ნანობდა კიდეც. მიმოზამ ისინი ერთად ნახა. დივინმა მიწამდე დაუხარა თავი მისალმების ნიშნად; მიმოზამ კი მამაკაცური ხმით, რომელიც დივინმა პირველად გაიგო, დაუყვირა:

- თავიდან მომწყდი, შე ბინძურო ბოზო, აქოთებულო ტრაკო.

ეს უკვე მერძევე ბიჭი იყო და არა მიმოზა... ასე ხდება ხოლმე, როცა მეორე ბუნება წინააღმდეგობას აღარ სწევს, გამოღვიძების საშუალებას აძლევს პირველს, რომელიც გაცოფებულ ღვარძლად გადმოსკდება. ამაზე არც არაფერს ვიტყოდით, ასეთ შემთხვევაში პედერასტების ბისექსუალური ნატურა რომ არ ჩანდეს. დივინზე ლაპარაკისას ჩვენ კიდევ შევხვდებით ამ გამოვლინებას.

საქმემ სერიოზული სახე მიიღო. მინიონი ამ სიტუაციაშიც მშიშარა აღმოჩნდა, თანაც მშვენიერი მშიშარა (მიმაჩნია, რომ ლაჩრობა აქტიური თვისებაა, რომელიც, მიაღწევს თუ არა ინტენსიურობის განსაზღვრულ დონეს, მოჩვენებასავით იწყებს თეთრი ნათების გავრცელებას უმშვენიერესი მშიშარა მოზარდების ირგვლივ, რომლებიც ნელა, თითქოს ზღვის ფსკერზე მოძრაობენო, ისე გადაადგილდებიან მასში); მოკლედ, ჩარევა არ ისურვა; ჯიბეში ხელებჩაწყობილმა დაცინვით თქვა:

- ადექით და დახოცეთ ერთმანეთი.

ასეთივე გამქირდავი სიცილით - ახლაც კი ჩამესმის ყურში - იცინოდა ერთ საღამოს ჩემ წინ მდგარი ერთი თექვსმეტიოდე წლის ბიჭი. ასეთი სიცილით ადვილად მიხვდებით, რაც არის სატანიზმი. დივინმა და მიმოზამ ერთმანეთს სცემეს. კედელზე აყუდებული დივინი მოკლე დარტყმებს აყენებდა, მუშტებს ჰაერში ამაოდ ასავსავებდა, ზევიდან ქვევით. მიმოზა უფრო კერკეტი კაკალი გამოდგა და უფრო ღონიერიც. დივინმა თავის დაღწევა და გაქცევა

მოახერხა, მაგრამ, როცა რომელიღაც სახლის ოდნავ გამოღებულ კარს მიაღწია, მიმოზა დაეწია და დაიჭირა. ბრძოლა, ახლა უკვე არც ისე ხმაურიანი, დერეფანში გაგრძელდა. მობინადრეებს ეძინათ, კონსიერჟმა ვერაფერი გაიგო. დივინმა გაიფიქრა: „კონსიერჟმა ვერაფერი გაიგო. განა ტყუილად ეძახიან ქალბატონ მიულს!“. ქუჩა უკაცრიელი იყო. მინიონი ტროტუარზე იდგა, ისევ ჯიბეებში ხელებჩაწყობილი და იქვე მდგარ სანაგვე ყუთში ყურადღებით აკვირდებოდა ნაგავს. ბოლოს გადაწყვიტა და წავიდა:

- რა ძუკნაა ორივე!

გზაში გაიფიქრა: „თუ დივინს თვალი ჩაულურჯდა, ბინძურ სიფათში სილას გავცხებ. წყეული პიდარასტები“. მაგრამ დივინთან მაინც დაბრუნდა.

ასე დაიბრუნა დივინმა თავისი მამალი და მეგობარი მიმოზაც. მანსარდაში ისევ გაგრძელდა უწინდელი ცხოვრება, რომელიც კიდევ ხუთ წელს გასტანს - მანსარდა მიცვალებულებზე. ღამის მონმარტრი. სირცხვილის თავშესაფარი. ჩვენ დივინის ოცდამეათეს ვუახლოვდებით... თავი ისევ გადასაფარებელში მაქვს ჩარგული, თითები თვალებზე მიწყვია, აზრი დამეკარგა, დამრჩა მხოლოდ სხეულის ქვედა ნაწილი, თავისგან თვალებზე დაწყობილი თითებით გამოყოფილი.

ზედამხედველი საკანთან ჩაივლის; კაპელანი საკანში შემოდის, ღმერთზე არაფერს ამბობს; ამათ უკვე ვეღარც ვხედავ, სანტედან შორსა ვარ. ეს საცოდავი სანტე კი მაინც ცდილობს დამაკავოს და არ გამიშვას.

მინიონს უფრო ძალიან და უფრო ღრმად უყვარს დივინი, ისე, რომ თავადაც ვერ ხვდება, ანუ, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, შეეთვისა. მაგრამ უფრო დაუდევრადაც ექცევა და ყურადღებასაც ნაკლებად აქცევს. თავის სხვენზე დივინი მარტო რჩება; იგი უფალს უძღვნის თავის სიყვარულსაც და ტკივილსაც. უფალს ხომ, როგორც იეზუიტები იტყვიან, სულში შესვლის ათასი საშუალება აქვს: ოქროს მტვრად, გედად, ხარად, მტრედად, ვინ იცის, კიდევ რად. ალფონსისთვის, რომელიც საპირფარეშოში წავიდა, ალბათ, ისეთ საშუალებას აირჩევს, რომელიც თეოლოგებს ჯერ არ შეუსწავლიათ, ვფიქრობ, ეს უნიტაზი იქნება. შეიძლება ასეთი კითხვაც გაჩნდეს, როგორ ფორმას მიიღებდა დივინის სიწმინდე (მისი გადარჩენის გზაზე არ ვამბობ) და სიწმინდე სხვა წმინდანებისა, ეკლესია რომ არ ყოფილიყო. უკვე ვიცით, რომ

დივინს დალხინებული ცხოვრება არა ჰქონია. იგი ყველაფერზე თანახმაა, უარს არაფერზე ამბობს, სიცოცხლეს ისეთად იღებს, როგორიც ღმერთმა მისცა და რომელსაც მისკენ მიჰყავს. მოკლედ, ღმერთს ოქროსვარაყიანი წახნაგები არა აქვს. მისი მისტიკური ტახტის წინ პლასტიკური პოზების, ბერძნის თვალისთვის ასე საამოს, მიღება უაზრობაა. დივინი თვითონვე იყრის თავზე ნაცარს. მეც ისევე კარგად შემიძლია, როგორც მას, გითხრათ, რომ ის ზიზღი, რომელსაც ღიმილით ან ხარხარით ვიტან, ჯერ კიდევ არ არის ზიზღი ზიზღისადმი. გახდება კი ოდესმე? - მაგრამ ასე ვიქცევი, სასაცილო რომ არ გავხდე, ვინმესგან ან რამისგან დამცირებული, ამიტომ თავს წინასწარ ვიმცირებ და თავს მიწამდე ვხრი. სხვანაირად ვერ შევძელი. როცა ვაცხადებ, ბებერი კახპა ვარ-მეთქი, კაციშვილი ვეღარ მჯობნის, რადგან ამით შეურაცხყოფას ყოველგვარ აზრს ვუკარგავ. და მით უმეტეს, შეუძლებელი ხდება, ვინმემ სახეში მომაფურთხოს. და მინიონ-პაწია-ფეხს, და თქვენც ყველას შეგიძლიათ, მხოლოდ გეზიზღებოდეთ. ღამეები გამიტარებია ამ თამაშში: ტირილი გამომიწვევია, თვალებამდე მიმიყვანია, ცრემლი დაუღვრელი დამიტოვებია, დილით გაქვავებული, დამძიმებული, დაავადებული ქუთუთოებით გამიღვიძია, აი ისე, მზეზე დამწვრობისას რომ ხდება ხოლმე; ქვითინით შეიძლება ცრემლი ღვარო, მაგრამ იგი თვალებში რჩება, ქუთუთოებს ისე აწვება, როგორც დასჯილი - კარცერის კარს. ზუსტად ამ დროს განსაკუთრებით ცხადად ვგრძნობ ჩემი უბედურების სიდიდეს. მერე ტირილის კიდევ ერთი შემოტევა იწყება, მერე - კიდევ ერთისა. ამ ყველაფერს კიდევ ერთხელ ვყლაპავ და კიდევ ერთხელ ვაფურთხებ სიცილით. ასეთ წუთებში ჩემი ღიმილი - ზოგი ცუდი თამაშისას კარგ გამომეტყველებას რომ ეძახის - მხოლოდ და მხოლოდ აუცილებლობაა (რომელიც ყველაფერზე ძლიერია), რათა კუნთები აიძულო, იმოძრაონ იმისათვის, რომ ემოციები გამოათავისუფლო. ბოლოს და ბოლოს, კარგად არის ცნობილი იმ სიტუაციის ტრაგიზმი, როცა ერთი გრძნობა იძულებულია, საპირისპირო გრძნობას დაესესხოს გამონათქვამს, რათა გზა-კვალი აურიოს სბირებს. ისიც ხომ ცნობილია, რომ გრძნობა მეტოქის ძველმანებშიც იფარება.

ცხადია, დიდ მიწიერ სიყვარულს, ალბათ, შეუძლია ამ უბედურების დაძლევა, მაგრამ მინიონი ჯერ კიდევ არ იყო რჩეულთა შორის. მხოლოდ

მოგვიანებით გამოჩნდება ერთი ჯარისკაცი იმისათვის, რომ დივინმა ცხოვრებაში განცდილი მარცხის შემდეგ ოდნავ სული მოითქვას. მინიონი მხოლოდ თაღლითია („მომხიბლავი თაღლითი“, როგორც დივინი ეძახის) და საჭიროა, ასეთადვე დარჩეს, რომ ჩემი მონათხრობი შევინარჩუნო. მხოლოდ ამ პირობით მომეწონება. მასზე ისევე ვლაპარაკობ, როგორც ყველა ჩემს სხვა საყვარელზე, რომლებზეც ვბორძიკობ და ცხვირ-პირს ვიმტვრევ: „დაე, აღივსოს ბრმა განურჩევლობით, დაე, გულგრილობამ გააქვაოს“.

დივინი ამ ფრაზას ნოტრ-დამ-დე-ფლერზე ლაპარაკისას გამოიყენებს.

დივინში ამან სასოწარკვეთის სიცილი გამოიწვია. როგორც მერე თვითონ გაბრიელი გვიამბობს, ერთმა მასზე შეყვარებულმა ოფიცერმა, თავისი სიყვარული რომ გამოემჟღავნებინა, დასჯაზე უკეთესი ვერაფერი მოიფიქრა.

და აი, დანაშაულებათა ფარული კარიდან, რომელსაც უკანა, მაგრამ დიდებული კიბისაკენ მიჰყავხარ, საზეიმოდ შემოდის ნოტრ-დამ-დე-ფლერი. იგი კიბეზე ისე ადის, როგორც სხვა მრავალი მკვლელი ასულა სხვა კიბეებზე. როცა კიბის საჭირო ბაქანს მიაღწევს, იგი თექვსმეტი წლისაა. კარზე აკაკუნებს და ელის. გული ძალუმად უცემს; მან ხომ უკვე გადაწყვიტა ამის ჩადენა; იცის, ეს მისი ბედია და ვერსად გაექცევა; ისიც იცის (იცის, თუ ჰგონია, რომ უკეთესად იცის, ვიდრე სხვამ), რომ ყოველი წამი ბედისწერისაგან წინასწარ არის განსაზღვრული; და ეს ცოდნა წმინდა მისტიკურ შეგრძნებასთან არის დაკავშირებული, რომ ამ მკვლელობით, ამ სისხლიანი ნათლობით, იგი გახდება: ნოტრ-დამ-დე-ფლერი. ამ კარის წინ თუ უკან ისეთი აღელვებული დგას, როგორც თეთრხელთათმანიანი საქმრო... კარს იქიდან კითხულობენ:

- ვინ არის?

- მე ვარ, - ჩურჩულებს ჭაბუკი.

კარი ნდობით იღება და მის უკან იხურება.

მოკვლა ადვილია. გული მარცხნივ არის, ზუსტად მკვლელის შეიარაღებული ხელის პირდაპირ, ყელიც ორხელშუა მშვენივრად ჯდება. მოხუცის გვამი, ერთი იმ ათასიდან, რომელსაც ასეთი სიკვდილი ერგო, ცისფერ ხალიჩაზე დევს. იგი ნოტრ-დამმა მოკლა. მკვლელი. სიტყვა არ თქმულა, მაგრამ მასთან ერთად მეც მესმის, მის თავში როგორ რეკს ზარი, რომელიც შროშანების, გაზაფხულის ყვავილების, ფაიფურის, მინის, წყლის, ჰაერის ზანზალაკებისაგან უნდა ჩამოისხას. თავი თითქოს მომღერალ ტყედ გაუხდა. თვითონ კი ლენტებით მორთულ ქორწილად იქცა, აპრილის გზაზე თავქვე რომ ეშვება, წინ ვიოლინო მიუძღვის, შავ პიჯაკებზე კი ღილკილოებში ფლერდორანჟი აქვთ მიბნეული. ჯერ ახალგაზრდაა და ეჩვენება, რომ ერთი აყვავებული მდელოდან მეორეზე ადვილად გადახტება, და ასე - იმ თივის ლეიბამდე, სადაც მოხუცს შავი დღისთვის გადანახული ფული აქვს დამალული. ლეიბს რამდენჯერმე გადაატრიალებს, გადმოატრიალებს, გაფატრავს, დაბერტყავს, მაგრამ ვერაფერს იპოვის; წინასწარ განზრახული მკვლელობის შემდეგ ფულის პოვნაზე ძნელი ხომ არაფერია.

- სად დამალა თავისი მაყუთი ამ დამპალმა? - ამბობს ხმამაღლა.

ეს სიტყვები არ თქმულა, უბრალოდ იგრძნო და ხორხიდან ერთად შეგროვილი ხრიალივით ამოაფურთხა.

ერთი საგნიდან მეორეზე გადადის. ნერვიულობს. ფრჩხილებს იმტვრევს. ავეჯს გადასაკრავს ახევს. ცდილობს, თავს მოერიოს, სულის მოსათქმელად ჩერდება, და (სიჩუმეში) ამ საგნებს შორის, ახლა მნიშვნელობა რომ დაკარგა, რადგან მათმა პატრონმა არსებობა შეწყვიტა, უცბად, ავეჯითა და საგნებით დასახლებულ ამ საზარელ სამყაროში, თავი დაკარგულად იგრძნო. შიში იპყრობს; ბოდრიუშივით იბერება, უზარმაზარი ხდება, მთელი სამყაროს გადაყლაპვა შეუძლია, მასთან ერთად საკუთარი თავისაც. მერე იჩუტება. თავის გადასარჩენად გაქცევა უნდა. რაც შეიძლება ნელა უნდა წავიდეს. აღარ ფიქრობს არც მოკლულის გვამზე, არც დაკარგულ ფულზე, არც დაკარგულ დროზე და აღარც ჩავარდნილ საქმეზე. პოლიცია, ალბათ, უკვე მის კვალზე დგას. სწრაფად უნდა წავიდეს. იდაყვს კომოდზე მდგარ საყვავილეს ჰკრავს. საყვავილე ვარდება, ტყდება და ოცი ათასი ფრანკი კოხტად ეფინება მის ფეხებთან.

მშვიდად გამოაღო კარი, კიბის ბაქანზე გავიდა, გადაიხედა და მოათვალიერა: ამ მდუმარე ჭაში, ბინებს შორის რომ მდებარეობს, მინის ბურთი ელვარებს. მერე ღამის ხალიჩით ღამის ჰაერზე, სიჩუმეში, კოსმიურ მდუმარებას რომ ჰგავს, საფეხურ-საფეხურ უსასრულობაში გადის.

ქუჩა. ცხოვრება მურტლად აღარ ეჩვენება. მსუბუქად გრძნობს თავს.

გარბის პატარა სასტუმროში, რომელიც შეხვედრების სახლი აღმოჩნდება, და ოთახს ქირაობს. ახლა, რომ დაიძინოს, ნელ-ნელა ნამდვილი ვარსკვლავებით მოჭედილი ღამე დგება; საშინელი შეგრძნებისაგან ოდნავი გულისრევის გრძნობა აქვს - ფიზიკურ ზიზღს გრძნობს, ისეთს, ჩვეულებრივ, მკვლელები რომ განიცდიან ხოლმე თავისი მსხვერპლის მიმართ მკვლელობის პირველ საათებში; ამ გრძნობაზე ბევრს უთქვამს ჩემთვის. იგი მოსვენებას არ გაძლევთ, ასე არ არის? მკვდარი ძლიერია. თქვენი მკვდარი თქვენში შემოვიდა: თქვენს სისხლს შეერია, თქვენს ძარღვებში ჩქეფს; თქვენი კანის ფორებიდან ჟონავს, თქვენი გული მისით ისე იკვებება, როგორც მიცვალებულთა გვამებიდან აღმოცენებული სასაფლაოს ყვავილები... იგი თვალებიდან, ყურებიდან, პირიდან გადმოგდით.

ნოტრ-დამ-დე-ფლერს უნდოდა, თავისი მკვდარი ამოენთხია. ღამე, რომელიც იწყება, შიშისგან ვერ ათავისუფლებს. ოთახი ბოზების სუნით ყარს. ყარს და სურნელს აფრქვევს.

შიშისგან რომ გათავისუფლდე, როგორც უკვე ვთქვით, საჭიროა, მთლიანად ჩაიძირო შიგ.

მკვლელის ხელი პოულობს ასოს, რომელიც მაგრდება. ჯერ გადასაფარებლის ქვეშ, ნაზად მოფარფატე ჩიტის სიმსუბუქით ეფერება, მერე ხელს უჭერს, უფრო მაგრად; ბოლოს დამხრჩვალ ბერიკაცს უკბილო პირში სჩრის... ათავებს. და იძინებს.

გიყვარდეს მკვლელი. და იოცნებო, დანაშაული ჩაიდინო ახალგაზრდა მეტისთან ერთად, რომელიც დახეული წიგნის გადასაკრავიდან იყურება. მინდა, კაცისკვლას ხოტბა შევასხა, რადგან მიყვარს კაცისმკვლელები. ხოტბა შევასხა და არაფერი შევალამაზო. არა მგონია, ასე ცოდვების მიტევებას მივაღწიო, თუმც დიდი სურვილი კი მაქვს. მაგრამ მოკვლა უფრო მსიამოვნებს. ყველას გასაგონად ვიტყვი: ბერიკაცზე მეტად ქერა, ლამაზი ბიჭის მოკვლა მომწონს, რათა მას შემდეგ, რაც სიტყვიერი კავშირი შეგვაერთებს, მკვლელს რომ თავის მსხვერპლს აყვარებს და აერთებს (ერთი მეორის წყალობით გახდა ასეთი), მე, დღითა და ღამით მელანქოლიასა და სასოწარკვეთაში ჩავარდნილს, როგორც მოჩვენებებით დასახლებულ ციხე-დარბაზს, კოხტა მოჩვენება მეწვიოს. მაგრამ დაე ამცდეს ეს საშინელება, სამოცი წლის კაცის მკვლელობით დასრულდეს, ან ქალისა, მნიშვნელობა არა აქვს, ახალგაზრდა იქნება თუ მოხუცი. მშვენივრად შემიძლია დავიკმაყოფილო მკვლელობისადმი ჩემი ვნება იდუმალადაც, დიდებულად ჩამავალი მზის ცქერით აღტაცებულმა. საკმარისია მხოლოდ, ჩემი თვალები მასში ჩაიძიროს... ახლა ჩემს ხელებზე გადავიდეთ. მაგრამ შენი მოკვლა, ჟან, მოკვლა... ნუთუ ის მინდა ვიცოდე, როგორ მოვიქცევი, როცა დავინახავ, როგორ კვდები ჩემი ხელით?

სხვებზე მეტად პილორჟზე ვფიქრობ. დეტექტივიდან ამოჭრილი მისი სახე კედელს აბნელებს თავისი ყინულოვანი კაშკაშით, მისგან მოკლული მექსიკელით, თავისი სიკვდილის სურვილით, თავისი მკვდარი ახალგაზრდობით და საკუთარი სიკვდილით რომ არის ნაქსოვი. იგი კედელს იმ აფეთქების ნამსხვრევებად ეყრება, რომელიც ორი ურთიერთგამომრიცხავი ცნების შეჯახებით შეიძლება აღიწეროს: სინათლე და სიბნელე. მისი თვალებიდან ღამე გამოდის და სახეზე ეფინება; იგი ქარიშხლიანი საღამოების ფიჭვნარს ემსგავსება, იმ ბაღებს ემსგავსება, ღამით რომ დავდიოდი: მსუბუქი ხეები, კედლის ნაპრალი და ღობეები, გასაოცარი ღობეები, ყვავილწნულებით დამშვენებული ღობეები. და მსუბუქი ხეები. ო, პილორჟ! შენი სახე ღამის ბაღივით, მარტოსული ბაღივით, სამყაროებში ჩაკარგულა, სადაც უამრავი მზე ტრიალებს! და ყველაფერზე უხილავი ნაღველია დაფენილი, როგორც ბაღში, სადაც მსუბუქი ხეები დგას. ჩაბნელებულა შენი სახეც, თითქოს დიდი მზის ჩრდილი დასწოლია შენს სულს. ალბათ, ამისგან მსუბუქი სიცივეც იგრძენი, სხეულიც იმაზე უფრო შეუმჩნევლად აგიკანკალდა, ვიდრე შენს ფეხთან მერდინის დავარდნის თრთოლაა, რომელსაც „ოცნების მერდინსაც“ ეძახიან, შენი სახე ხომ მიკროსკოპულად წვრილი, მსუბუქი, უფრო დახატული, ვიდრე ნამდვილი, ნაოჭების ბადითაა დაფარული.

მკვლელი ჩემში უკვე უნებლიე პატივისცემას იწვევს. არა მხოლოდ იმიტომ, რომ იშვიათი გამოცდილება მიიღო, არამედ იმიტომაც, რომ სამსხვერპლოზე ღმერთის ადგილზე დადგა, და რა მნიშვნელობა ჰქონდა, ეს სამსხვერპლო თუნდ მორყეული ფიცრებისგან ყოფილიყო აგებული, თუნდ ლაჟვარდოვანი ჰაერისგან. გასაგებია, რომ შეგნებულ მკვლელზე

ვლაპარაკობ, ცინიკოსზე, რომელიც ბედავს და მოკვლის უფლებას საკუთარ თავს ანიჭებს და სხვა ძალებს არ მოუხმობს; რადგან ჯარისკაცს, რომელიც კლავს, პასუხისმგებლობა არა აქვს, ზუსტად ისევე, როგორც გიჟს ან ეჭვიანს, ან იმას, ვინც იცის, რომ გაამართლებენ; მხოლოდ იმას, ვინც დაწყევლილია, საკუთარ თავთან დარჩენილი ისევ ყოყმანობს, ვიდრე ჭის სიღრმეში ჩაიხედავდეს, სადაც მხიარული გამბედაობით, ცნობისმოყვარეობის გამო, ფეხებმიტყუპებული უნდა ჩახტეს. განწირულ ადამიანს.

პილორჟ, ჩემო პატარა ბიჭო, ჩემო მეგობარო, აი, შენი ლამაზსახიანი, პირმოთნე თავიც დაგორდა. ოცი წელი. შენ ხომ ოცის თუ ოცდაერთის იყავი. მეც!.. შენი დიდებისა მშურს. შეგეძლო, იმ მექსიკელივით, როგორც იტყვიან, მეც გაგესტუმრებინე საფლავში. საკანში გატარებული იმ თვეების განმავლობაში ჩემს მეხსიერებაში ნაზად ჩააფურთხე ცხვირსა და ხახაში დაგროვილი მთელი მძიმე სისველე. ჩემთვის ადვილი იქნებოდა გილიოტინაზე წასვლა, სხვები ხომ წავიდნენ, განსაკუთრებით, პილორჟი, ვაიდმანი, ანჟ სოლეი, სოკლეი. თუმცა დარწმუნებული არცა ვარ, რომ თავს დავიხსნი, რადგან სიზმრებში ჩემი ტვინი მზრუნველად მგზავნის სასიამოვნო მოგზაურობაში უამრავ გასაოცარ ცხოვრებაში. ოღონდ ზოგჯერ ნაღვლიანი აზრი მიჩნდება, რომ ჩემს გონებაში დაბადებული ბევრი რამ მეხსიერებაში სრულიად წაშლილია, მიუხედავად იმისა, რომ ისინი მთელ ჩემს წარსულ სულიერ წონასწორობას შეადგენდა. აღარც კი მახსოვს, არსებობდა თუ არა ისინი საერთოდ. ახლა რომ ერთი ასეთი ცხოვრება ვნახო სიზმარში, ახალ ცხოვრებად მივიღებ, ჯერ გაუვლელ ცხოვრებად და მასში სამოგზაუროდ გავემგზავრები, როგორც ზღვაში, ისე შევცურავ, არც კი გამახსენდება, რომ ათი წლის წინ ამ ნავში უკვე ვიჯექი და იგი დავიწყების ზღვაში ჩაიძირა. რა ურჩხულები ცხოვრობენ ჩემი ცნობიერების სიღრმეებში? მათი ანაორთქლი, ექსკრემენტები, გახრწნილი ნარჩენები იქნებ აღმოაცენებს კიდეც საზარელ შიშს ან სილამაზეს და ისინი ჩემში იფურჩქნებიან. ასე შევიცნობ მათით შთაგონებული ურიცხვი დრამის ხიბლს. ჩემი გონება უმშვენიერესი ქიმერების შექმნას აგრძელებს, ოღონდ დღემდე ვერც ერთმა მათგანმა ვერ შეძლო ხორცის შესხმა. ვერასოდეს. ახლა, საკმარისია, ოცნება დავიწყო და უკვე ყელი მიშრება, სასოწარკვეთა თვალს მიწვავს, სირცხვილი თავის დახრას მაიძულებს და ოცნება ჩემი უცბად იმსხვრევა. ვგრძნობ, შესაძლებელი ბედნიერება როგორ გამირბის, გამირბის, რადგან იგი უკვე ვიოცნებე.

სევდა, რომელიც კვალდაკვალ მომდევს, ბევრი რამით იმ ადამიანს მამსგავსებს, გემის დაღუპვისას ცოცხალი რომ დარჩა: დაინახავს თუ არა იალქანს ჰორიზონტზე, თავი უკვე გადარჩენილი ჰგონია, მაგრამ უცბად გაახსენდება, რომ მისი ჭოგრიტის მინას დეფექტი აქვს - დაორთქლილი ადგილი ზუსტად იმ იალქნის ზომისაა, რომელიც მოეჩვენა, რომ დაინახა.

და აი, მხოლოდ ის მრჩება, რაზეც არასოდეს მიოცნებია, და რადგან არასოდეს მიოცნებია უბედურებაზე, გადასატანიც აღარაფერია, უბედურების გარდა; მაშინაც კი, როცა საქმე სიკვდილს ეხება, რადგან მუდამ მშვენიერ, სახელოვან, ომში გმირულ სიკვდილზე ვოცნებობდი, და არასოდეს მიოცნებია ეშაფოტზე სიკვდილზე. ასე რომ, მხოლოდ ის მრჩება, ერთადერთი.

და რა უნდა ვქნა, რომ ის დავიმსახურო? თითქმის არაფერი.

ნოტრ-დამ-დე-ფლერი სულ არ ჰგავდა იმ მკვლელებს, რომლებზეც ვილაპარაკე. ის - შეიძლება ასეც ითქვას - უდანაშაულო მკვლელი იყო. ვუბრუნდები პილორჟს, რომლის სახე და სიკვდილი მოსვენებას არ მაძლევს. ოცი წლისამ, იმისათვის, რომ რაღაც საცოდავი გროშები მოეპარა, ესკუდერო მოკლა, თავისი საყვარელი. სასამართლოში მოსამართლეებს დასცინოდა; ჯალათმა გააღვიძა და იმასაც დასცინა; მექსიკელის თბილი და სურნელოვანი, წებოვანი სისხლის აკვიატებული ხილვებით გამოღვიძებულმა, პირში შეჰღიმილა; დედის ლანდით გამოღვიძებულმა, იმასაც ნაზად შესცინა. ასე დაიბადა ნოტრ-დამ-დე-ფლერი პილორჟისადმი ჩემი სიყვარულისაგან, გულღიმილიანი, მოლურჯო-თეთრ კბილებზე ღიმილგადაკრული, იმ ღიმილით, რომელსაც ყოვლის შთამნთქმელი შიშიც კი ვერ ჩამოხსნის.

ერთხელ ქუჩაში უსაქმოდ მოყიალე მინიონი ორმოციოდე წლის ქალს შეხვდა, რომელმაც მოულოდნელად უგონოდ შეიყვარა. ჩემს საყვარლებზე შეყვარებულ ქალებს ისე ვერ ვიტან, რომ ვჩქარობ გაცნობოთ: ეს ქალი სქელ წითელ სახეს ბრინჯის ფქვილით იპუდრავდა. მის სახეზე პუდრის მსუბუქი ღრუბელი ვარდისფერი, გამჭვირვალე მუსლინისაგან დამზადებული საოჯახო აბაჟურის ასოციაციას იწვევდა. შეძლებული ქალის ვულგარული და გადასლექილი მომხიბვლელობა მართლაც რაღაცით ჰგავდა აბაჟურს.

მინიონი ქუჩაში მიდიოდა და ეწეოდა. ამ დროს წინ ქალი დაინახა. მისი გარეგნული მიუკარებლობის იქით მარტოობა ილანდებოდა, რომელიც მაშინვე ეგება ეშმაკი ფარისევლების მიერ გადაგდებულ ანკესს. საკმარისია, სინაზის კალთები წინდაუხედავად შეუკრავი დაგრჩეთ, აღარაფერი გეშველებათ, უკვე წამოგებული ხართ. იმის მაგივრად, რომ სიგარეტი საჩვენებელი და შუა თითით სჭეროდა, მინიონს იგი ცერით და საჩვენებელი თითით ეჭირა, სხვა თითებს კი ისე აფარებდა, როგორც, ჩვეულებრივ, მამაკაცებსა და პატარა ბიჭებს ხის უკან ან სიბნელეში უჭირავთ ხოლმე თავიანთი კუტუ მოსაფსმელად. ამ ქალმა(დივინთან ლაპარაკისას მინიონმა მას „ჩათლახი“ უწოდა, დივინმა კი - „ის ქალი“) ასეთი მანერების აზრი არ იცოდა, ასეთი ქცევაც უცნობი იყო მისთვის, ამიტომ სწრაფად მოიხიბლა. უცბად, თვითონაც არ იცოდა როგორ, მიხვდა, რომ მინიონი ყაჩაღი იყო. მისი გაგებით, ყაჩაღი, უპირველეს ყოვლისა, მამრია, რომელსაც „მაგრა უდგება“. ქალმა თავი დაკარგა, მაგრამ გვიანღა იყო; მისი მომრგვალებული ფორმები და სათუთი ქალურობა ზემოქმედებას ვეღარ ახდენდა მინიონზე, რომელსაც უკვე მოესწრო და ამდგარი ასოს უხეშ შეხებას მისჩვეოდა. ქალებთან ინერტული გახლდათ. უფსკრული აშინებდა. და მაინც, ზიზღის დასაძლევად თავს ძალა დაატანა, რომ ქალი მიეზიდა მისი ფულის გულისთვის. ის ხაზგასმული გალანტური თავაზიანობით იქცეოდა. მაგრამ დადგა დღე, როცა თავი ვეღარ შეიკავა და გამოუტყდა, სხვა მიყვარსო, - ცოტა ადრე იტყოდა, ბიჭიო, მაგრამ ახლა უნდა ეთქვა, კაციო - დივინი ხომ მამაკაცი იყო; ქალი შეურაცხყოფილი დარჩა და, „შე პიდარასტოო“, უთხრა. მინიონმა სილა გააწნა და წავიდა.

მაგრამ მინიონს უდესერტოდ დარჩენა არ უნდოდა - დივინი მისთვის ბიფშტექსი იყო - ამიტომ ერთ დღეს ისევ მივიდა სენ-ლაზარის სადგურში, სადაც ის ქალი ყოველდღე ჩამოდიოდა ვერსალიდან.

სენ-ლაზარის სადგური კინოვარსკვლავების სადგურია.

ნოტრ-დამ-დე-ფლერი, რომელსაც, როგორც მოჩვენებას, ისევ თავისი მსუბუქი, ფარფარა, რბილი და გიჟურად თხელი ნაცრისფერი ფლანელის კოსტიუმი ეცვა (რომელიც დანაშაულის დღეს ეცვა და რომელიც სიკვდილის დღესაც ეცმევა), ჰავრამდე ბილეთის შესაძენად მივიდა. ბაქანზე გამოსვლისას ოციოდე საბანკო ბილეთით სავსე საფულე დაუვარდა. მან იგრძნო, საფულე რომ დაუვარდა და ზუსტად იმ დროს შემობრუნდა, როცა იგი მინიონმა აიღო. ის ნაპოვნს ათვალიერებდა მშვიდი გამომეტყველებით, რომელიც საბედისწერო გარდაუვალობას გამოხატავდა, რადგან, ნამდვილი ქურდი კი იყო, მაგრამ მაინც არ იცოდა, როგორ მოქცეულიყო, ასეთ, მისთვის უჩვეულო სიტუაციაში და ჩიკაგოელ თუ მარსელელ განგსტერებს მიბაძა. ეს პატარა დაკვირვება საშუალებას მოგვცემს, ჩავწვდეთ, რა როლს ასრულებს ქურდბაცაცას ცხოვრებაში წარმოსახვა; და პირველ რიგში მისი წყალობით კიდევ ერთხელ მსურს, ყველას გავაგებინო, რომ ვაპირებ, გარს მხოლოდ უსაქმურები მეხვიოს, ესე იგი პიროვნებები, არაფრით გამორჩეულნი და მოკლებულნი გმირულ გრძნობებს და შესაბამისად, კეთილშობილებასაც. ჩემი საყვარელი გმირები ისინი იქნებიან, ვისაც თქვენ მდარე ხარისხის ვიგინდარებს უწოდებთ.

მინიონმა ფული გადათვალა, ათი თავისთვის დაიტოვა და ჯიბეში ჩაიდო, დანარჩენი კი განცვიფრებულ ნოტრ-დამს გაუწოდა. ისინი დამეგობრდნენ.

თქვენ განდობთ მათი დიალოგის წარმოდგენას. აირჩიეთ ის, რაც მოგეწონებათ. შეგიძლიათ დაუშვათ, რომ სისხლის ყივილი იგრძნეს ან ერთი ნახვით შეუყვარდათ ერთმანეთი, ან მინიონმა უბრალო თვალისთვის უჩინარი ნიშნებით მასში ქურდი აღმოაჩინა... წარმოიდგინეთ ყველაზე გიჟური, დაუჯერებელი რამ. აიძულეთ, რომ მთელი მათი იდუმალი არსი ჩაყუჩდეს, როცა ისინი, არგოზე მოლაპარაკენი, დიდი აყალმაყალით შეეჯახებიან ერთმანეთს. გინდ ერთმანეთს ჩაახვიეთ, გინდ ძმურად აკოცნინეთ. რაც გნებავთ, ის ქენით.

ამ ფულის პოვნით მინიონი ბედნიერი იყო, მაგრამ არ იცოდა, როგორ გამოეხატა, რა ეთქვა, მხოლოდ კბილებშუა გამოცრა: „აბა, აბა, არ გაახურო, ჩვენი ძმა!“. ნოტრ-დამი გაცოფებული იყო. მაგრამ რა ექნა? პიგალისა და ბლანშის მოედნებზე გამეფებულ კანონებს ძალიან კარგად იცნობდა; იცოდა, არ ღირდა ნამდვილ ხვადთან ფახიფუხი. მინიონს კი ნამდვილი ხვადის ყველა გარეგანი ნიშანი ჰქონდა. „არ ღირს ამოხტომა“, იგრძნო ნოტრ-დამმა. მაშასადამე, საფულე დაკარგა, რომელიც მინიონმა იპოვა. აი, გაგრძელებაც: მინიონმა ნოტრ-დამ-დე-ფლერი ჯერ მკერავთან მიიყვანა, მერე ხარაზთან და

მექუდესთან. ორივესთვის ყველა ის წვრილმანი შეუკვეთა, რაც მამაკაცს ძლიერს და თვალისმომჭრელად მიმზიდველს აჩენს: ნატის ქამარი, რბილი შლაპა, შოტლანდიური ჰალსტუხი და სხვა რამეები; მერე ვაგრამის ქუჩაზე, სასტუმროში ოთახი იქირავეს. ვაგრამი - მოკრივეების მოგებული ბრძოლა!

სრულიად უსაქმურად ცხოვრობდნენ. ელისეს მინდვრებზე წინ და უკან სეირნობამ ისინი ძალიან დააახლოვა. ერთმანეთს ქალების ფეხებზე ეკამათებოდნენ; ორივეს აკლდა იუმორის გრძნობა და მათი შენიშვნები დიდი სინატიფით არ გამოირჩეოდა. არაფერი აღელვებდათ, მსუბუქად და ძალდაუტანებლად მისრიალებდნენ პოეზიის შლამიან ფსკერზე. ავარები იყვნენ, ბედმა რომ ოქროში ჩასვა, და ჩემთვისაც ისევე თავშესაქცევი იყო ამ ოქროს მიცემა მათთვის, როგორც რომელიღაც ვიგინდარა ამერიკელის მოსმენა, რომელიც - ჰოი, საოცრებავ! - სიტყვა „დოლარს“ წარმოთქვამს და ინგლისურად ლაპარაკობს. სასტუმროში დაღლილები ბრუნდებოდნენ და ჰოლში დიდხანს ისხდნენ ტყავის დიდ სავარძლებში. ზუსტად მაშინ მათი სიახლოვე თავისი ალქიმიის დამუშავებას იწყებდა. დიდი, საზეიმო კიბე წითელი ხალიჩებით მოფენილ დერეფნებში ადიოდა. მათზე გავლისას ჩქამი არ ისმოდა. ერთხელ მადლენის ეკლესიაში დიდი წირვის დროს ხალიჩაზე მიმავალი მღვდლების დანახვისას, როცა ორგანი დუმდა, მინიონმა იგრძნო, რომ თვით ამ მისტერიის გარეგნული გამოხატულება - სიბრმავე და სიყრუე - აწუხებდა: ხალიჩაზე ამ ნაბიჯების ხმასახლა სასტუმროში ცნობდა და ფუმფულა ხალიჩაზე ნელა მიმავალი თავის ქურდულ ენაზე ფიქრობს: „შეიძლება არის ამაში რაღაც“; რადგან საქმე ეხება ქვედა წირვებს დიდი სასტუმროების დერეფნების სიღრმეში, სადაც წითელი ხე და მარმარილო ანთებს და სანთლებს აქრობს. პანაშვიდი და საქორწინო ღვთისმსახურება აქ მთელი წლის განმავლობაში საიდუმლოდ ერთად აღსრულდება. აქ აჩრდილებივით მოძრაობენ. ღირს კი თქმად, რომ ჩემი აღტაცებული ქურდული სული ერთი ბეწო შესაძლებლობასაც არ გაუშვებს, რომ ეს წარმტაცი მდგომარეობა არ იგრძნოს? არ იგრძნოს, როგორ მიფრინავ ფეხის წვერებზე, როცა ლანჩის ქვეშ მტკიცედ გრძნობ ნიადაგს! აქაც კი, ფრესნში, მიუხედავად მათემატიკურად ზუსტი სიმტკიცის კედლებისა, გრძელი და აქოთებული საპატიმროს დერეფნები, საკუთარ კუდებს თვითონვე რომ კბენენ, სასტუმროს ვირთხის სულს მიბრუნებენ, რომლად ყოფნაც მსურს.

მდიდარი კლიენტები მათ წინ მიმოდიოდნენ: ქურქებს, ხელთათმანებს, შლაპებს იხდიდნენ, პორტვეინს სვამდნენ, „კრავენს“ და ჰავანურ სიგარებს ეწეოდნენ. ახალგაზრდა ლაქია ფუსფუსებდა. მეგობრებს ეჩვენებოდათ, რომ რომელიღაც ფილმის პერსონაჟები იყვნენ. ოცნებებში თავიანთი ქცევა შეაერთეს და თვითონაც ვერ შეამჩნიეს, ისე მიიწევდნენ ძმური მეგობრობისაკენ. დიდ ძალისხმევად მიჯდება თავის შეკავება, რომ უფრო მეტად არ დავაახლოვო ისინი; ისე არა ვქნა, რომ მინიონმა, ბედნიერებით თავდაკარგულმა, სრული და გაუაზრებელი უმანკოებით, მადლიერების გრძნობით განადგურებულ ჭაბუკ მკვლელს თეძოს ერთი მოქნევით ასო ო-ს ფორმის ღია პირში ღრმად არ ჩაუდოს თავისი მზეზე მდგარი მბრწყინავი კოლოსივით თბილი, მძიმე და სწორი პენისი.

ასე შეიძლებოდა მომხდარიყო, მაგრამ არ მოხდება. მინიონ და ნოტრ-დამ, თქვენი ბედი, რა მკაცრადაც უნდა დავხატო, მუდამ შეუმჩნევლად ჩამუქდება იმით, რომ შეიძლება რაღაც მოხდეს, მაგრამ ჩემი წყალობით არ მოხდება.

ბუნებრივია, ნოტრ-დამი ერთხელ მინიონს მკვლელობაში გამოუტყდა. მინიონმა კი დივინზე უამბო. ნოტრ-დამმა ისიც უთხრა, ნოტრ-დამ-დე-ფლერს მეძახიანო. ორივეს იშვიათი მოქნილობა დასჭირდა, რომ თავიანთი ურთიერთპატივისცემის გრძნობის ირგვლივ დაგებული ხაფანგებისათვის თითქმის უდანაკარგოდ დაეღწიათ თავი. ამ სიტუაციაში მინიონმა მთელი თავისი მომაჯადოებელი დელიკატურობა გამოავლინა.

ნოტრ-დამ-დე-ფლერი დივანზე იწვა. მინიონი ფერხთით ეჯდა და აღსარებას ისმენდა. მკვლელობაზე იყო ლაპარაკი. მინიონი ყრუ და უხმაურო დრამის სცენად იქცა. მასში ერთმანეთს ებრძოდა შიში, თვითონ არ აღმოჩენილიყო თანამზრახველი, ამ ბავშვისადმი მეგობრული სიყვარული და მისი ჩაშვების სურვილი, ვნებაც კი. მხოლოდ მეტსახელის გაგებაღა რჩებოდა. ბოლოს ნელ-ნელა აქამდეც მოვიდნენ. ვიდრე საიდუმლო სახელი წარმოითქმებოდა, მძიმე სანახავი იყო, როგორ წვალობდა, იკლაკნებოდა საოცრად ლამაზი მკვლელი, როგორ ამოძრავდნენ მის მძინარე სახეზე მარმარილოს უძრავი და საზიზღარი გველები; და მინიონმა იმდენად ღრმად

შეიგნო აღიარების სიმძიმე, რომ საკუთარ თავს ჰკითხა, ნეტა ნოტრ-დამი ახლა რწყევას ხომ არ დაიწყებსო. მინიონმა ორივე ხელით აიღო დივნიდან გადმოკიდებული ბიჭის ხელი.

- ...გესმის, ბიჭებმა ასე შემარქვეს...

მინიონი ხელს არ უშვებდა, თვალებით კი ცდილობდა, აღსარება ეთქმევინებინა.

- ხდება ხოლმე, ხდება...

ვიდრე ეს პროცედურა გრძელდებოდა, მინიონი თვალმოუშორებლად შესცქეროდა მეგობარს თვალებში. ღიმილი შეჰყინვოდა ბაგეზე; გრძნობდა, ემოციის უმცირესი გამოხატვა, ერთი ბეწო ნიშანი, ამოსუნთქვაც კი ყველაფერს დაანგრევდა... გატყდებოდა ნოტრ-დამ-დე-ფლერი.

დაბოლოს, როცა ოთახში ეს სახელი გაისმა, შეცბუნებული, გამოტეხილი მკვლელის უმცირესი ნაწილაკებისაგან წარმოიშვა და დიდების ნათებით გაცისკროვნდა საკურთხეველი, რომელზეც ვარდებში ჩაფლული, სინათლისა და ხორცისაგან შექმნილი ქალი იწვა.

საკურთხეველი სირცხვილის ბინძურ ზედაპირზე ირწეოდა, რომელშიც თვით მკვლელი იყო ჩაფლული. მინიონმა იგი მიიზიდა, მაგრად რომ ჩახვეოდა. ისე მინდა, ორივე სულ სხვა მდგომარეობაში წარმოვიდგინო, მაგრამ ჩემი ოცნებები ჩემს ნებას აღარ ემორჩილება: დღისით ყველაფერი მენგრევა ჩემს პროცესთან დაკავშირებული განცდების გამო, საღამოს კი, ძილის წინ, რეალური საგნები და დღის შთაბეჭდილებები ჩემს სულს ნელა-ნელა ეცლებიან, ძილის პირს მისულს მარტოდმარტო მტოვებენ, როგორც ქარიშხალში გზაარეულ მგზავრს ქვიშიან ტრამალზე. მინიონი, დივინი, ნოტრ-დამი კისრისტეხით გამირბიან. თან მიაქვთ ნუგეში, მათი ჩემში არსებობა რომ მაძლევს. ისინი მხოლოდ გაქცევით არ კმაყოფილდებიან, საკუთარ თავსაც ანადგურებენ, ჩემს არამყარ, საზარელ ზმანებებში იხსნებიან, ან უკეთ, ჩემს ძილში და ჩემს ძილად იქცევიან; თვით ჩემი ძილის ნივთიერებებს ედუღაბებიან და ერთ მთელად იქცევიან. სიჩუმეში შველას ვითხოვ, ჩემი სულის ორივე ხელით ვანიშნებ, რომლებიც წყალმცენარეებზე უტყვია, მაგრამ რომელიმე მეგობარს როდი მოვუხმობ, მტკიცედ რომ უდგას ფეხი მიწაზე, არამედ რაღაც დაკრისტალებულ სინაზეს, რომელიც ისეთი მტკიცე მგონია, რომ მზად ვარ, მისი მარადიულობა ვიწამო.

ვიძახი: „მიშველეთ! შემაჩერეთ!“ კოშმარულ სიზმარში ვიძირები, რომელიც საკნების სიბნელეში აღწევს, დაწყევლილი, დაცემული სულების სიბნელეში, ზედამხედველთა პირებში და მოსამართლეთა გულმკერდში, რომელთა ბოლოშიც ნელა, ძალიან ნელა უზარმაზარი ნიანგი მყლაპავს, რომელიც ციხის შედედებული, მყრალი სუნისაგან შედგება.

ეს სასამართლოს შიშია.

საცოდავ მხრებზე მოსამართლის მანტიითა და ჩემი ხვედრის სიმძიმით მოსილი მართლმსაჯულების მძიმე ტვირთი მაწვება.

პოლიციის რამდენ აგენტსა და ინსპექტორს, როგორც იტყვიან, გაუწყდა ქანცი, დღედაღამ იმტვრიეს თავი იმ ამოცანის ამოსახსნელად, მე რომ გავუჩინე! საქმე უკვე შეჩერებული მეგონა, ისინი კი თურმე ძიებას განაგრძობდნენ, ისე იძიებდნენ, მე არაფერი ვიცოდი. ჟენეს საქმეზე შრომობდნენ, ჟენეს ქცევის ფოსფორიან ნაკვალევს მისდევდნენ, წყვდიადშიც ჩემზე მუშაობდნენ.

ეგოისტური მასტურბაციის ამაღლება კულტის დონემდე ადვილად გამომივიდა! როგორც კი ამ საქმიანობას ვიწყებ, ჭუჭყიანი და არაბუნებრივი გარდაქმნა მთელ სიმართლეს ურევს. თვით თაყვანისცემა ვხდები. ჩემი სურვილების გარეგანი ნიშნები მხოლოდ იმის მაჩვენებელია, თუ რა შორს წავსულვარ ამ სამყაროდან.

მარტოხელას სიამოვნებავ, ამ ჟესტის წყალობით თვითკმარი ხდები, ინტიმურად ეუფლები სხვებს და მათ თვითონაც არ იციან, ისე ემსახურებიან შენს ტკბობას, რომელიც ცხადშიც კი უმცირეს მოძრაობას ყველა დანარჩენის მიმართ უდიდესი გულგრილობის სახეს აძლევს და ამავე დროს გარკვეულ უხერხულობასაც ანიჭებს. ასე რომ, თუ ერთ მშვენიერ დღეს საწოლში ვინმე ბიჭს ჩაიწვენ, გეგონება, რომ შუბლით გრანიტის ფილას შეეჯახე.

დიდი ხნის განმავლობაში იძულებული ვიყავი, თითები ქურდობაში მევარჯიშებინა! ათი წელიც დავირტყი! ჩემი კეთილი, ალერსიანი მეგობარი, ჩემი საკანი! ჩემო განმარტოებულო თავშესაფარო, ძალიან მიყვარხარ! თავისუფალი რომ ვყოფილიყავი და სხვა ქალაქში მეცხოვრა, ჯერ ჩემიანების, ჩემს ჯიშს რომ ეკუთვნიან, იმათ საძებრად წავიდოდი იქაურ

ციხეში, თან შენც მოგძებნიდი...

გუშინ გამომძიებელმა დამიბარა. სანტედან მართლმსაჯულების სასახლეში პატიმრების გადასაყვანი ფურგონისა და კარცერის სუნმა ცუდად გამხადა; გამომძიებელთან მიტკალივით თეთრი მივედი.

მისი კაბინეტის კართან მისვლისთანავე სევდამ შემიპყრო; ეს გრძნობა, მიუხედავად მტვრიანი და იდუმალი ყვავილობისა, რომელიც ყველა კრიმინალურ საქმეში მეჩვენებოდა, გატეხილმა ვიოლინომ შთამინერგა. ის დივინმაც ნახა. ისე ჰგავდა ჯვარცმას, რომ სიბრალულის გრძნობა გამიჩნდა. გრძნობა უფრო გამიძლიერდა, როცა სიზმარიც გამახსენდა, ჩემი მსხვერპლი რომ მოვიდა და მომიტევა. მოსამართლე მართლაც კეთილგანწყობას აფრქვევდა. მის ღიმილში სიზმარში ნანახი ჩემი მსხვერპლის ღიმილი შევიცანი და გამახსენდა ან ხელახლა გავაცნობიერე, რომ იგი თვითონ უნდა ყოფილიყო სასამართლოზე მოსამართლედ, და მე, შეიძლება განგებაც, იგი გამომძიებელში ავურიე. რაც შეეხება გამომძიებელს: რადგან ვიცოდი, რომ მსხვერპლმა ყველაფერი მომიტევა, მშვიდად და საკუთარ თავში დარწმუნებულმა, ოღონდ არა იმ რწმენით, ლოგიკით რომ ჩნდება, არამედ სიმშვიდის სურვილით, ადამიანური ცხოვრებისკენ მიბრუნების სურვილით (ამ სურვილმა მინიონი აიძულა, პოლიციასთან ეთანამშრომლა, რათა კვლავ დაეკავებინა თავისი ადგილი ადამიანებს შორის და ამავე დროს არაადამიანური სისაძაგლეებიც ჩაედინა), იმაში დარწმუნებულმა, რომ ყველაფერი დავიწყებულია, მიტევებით დაჰიპნოზებულმა და ნდობით აღვსილმა, ყველაფერი გადმოვულაგე.

მდივანმა აღიარება ოქმში შეიტანა. მე ხელი მოვაწერე.

ჩემი ადვოკატი გაშტერებული დარჩა, „დაეცა“:

- ეს რა ქენი? ვინ შეგაცდინა? ზეცამ? ზეცამ, უფლის სამყოფელმა?

მართლმსაჯულების სასახლის მიწისქვეშა დერეფნებით იგივე გზა გავიარე, სურისიერში ჩემს პატარა შავ და გაყინულ საკანში რომ დავბრუნებულიყავი. არიადნე ლაბირინთში. ყველაზე ცოცხალი სამყარო და ყველაზე სათუთი ხალხი მარმარილოსგანაა შექმნილი. ჩემს სავალ გზაზე განადგურებას ვთესავ. ჩემი მკვდარი მზერის წინ ქალაქები ჩაივლის გაქვავებული მცხოვრებლებით. მაგრამ გამოსავალი არ არსებობს.

შეუძლებელია აღიარების უკან დაბრუნება, გაუქმება, მისი მომქსოვი დროის ძაფის დარღვევა და ისევ დახვევა. გაქცევა? მაგარი აზრია! ლაბირინთი უფრო დახლართულია, ვიდრე მოსამართლეთა მოსაზრებები. ჩემი თანმხლები მცველი? მასიური ბრინჯაოსგან გამოთლილი მცველი, რომელთანაც ხელბორკილით ვარ მიბმული. სწრაფად ვიგონებ მისი ცდუნების საშუალებას: მცველის წინ მუხლებზე უნდა დავდგე, ჯერ შუბლით უნდა მივეკრა მის ლაჯებს, მერე მოწიწებით ჩავუხსნა ლურჯი შარვალი... რა სიგიჟეა! ჩემთვის ყველაფერი დამთავრებულია. რატომ არ მოვიპარე, როგორც ვაპირებდი, აფთიაქში სტრიქნინის ტუბი, რომლის დამალვაც ჩხრეკის დროს შესაძლებელი იყო? და აი, ერთ დღესაც საშინლად დაღლილი ქიმერების ქვეყნისგან - ცხოვრებისთვის ერთადერთი შესაფერი რომაა, „ვინაიდან ისეთია ადამიანურ საქმეთა არარაობა, რომ თავისთავად არსებული არსის გარდა, არაფერია მშვენიერი იმაზე მეტად, რაც არ არსებობს“ (ალექსანდრ პოუპი) - უარს ვიტყოდი ამ მოვლენის უსარგებლო შელამაზებაზე, ავდგებოდი და თავს მოვიწამლავდი. რადგან, ჩემო კეთილო მეგობრებო, კატორღა მელის.

არსებობს წუთები, როცა უცბად ხვდები ზოგიერთი გამოთქმის აქამდე შეუმჩნეველ სრულ აზრს. მათით ვცხოვრობთ და ვჩურჩულებთ. მაგალითად: „ვგრძნობდი, როგორ მეცლებოდა მიწა ფეხქვეშ“. ეს ფრაზა ათასჯერ მაინც წამიკითხავს და წარმომითქვამს, მაგრამ არ შემიგრძნია. გამოფხიზლების ჟამს, საკმარისი იყო, მასზე ათი წამით მაინც შემეჩერებინა ყურადღება იმ მომენტში, როცა ჩემი დაპატიმრების შესახებ მოგონებები მეწვია (ღამეული კოშმარიდან დარჩენილი), რომ გარემოებები, სიზმრიდან ეს გამოთქმა რომ გამოიწვია, კვლავ გარს შემომერტყა და ჩემში ეს შინაგანი, ვისცერული, ცხოვრება გამოიწვია, რომელიც იმავე უფსკრულისკენ მიმათრევდა, ღამით ჩვეულებრივ რომ ვვარდებით ხოლმე. წინა ღამესაც ასე ვვარდებოდი. არც ერთმა ლმობიერად გამოწვდილმა ხელმა არ მოისურვა ჩემი დაჭერა. რამდენიმე კლდემ იქნებ გამოიშვირა კიდეც თავისი ტინის ხელი, მაგრამ ისე შორიდან, რომ ვერ ჩავეჭიდებოდი. ვვარდებოდი. საბოლოო დარტყმის მომენტი რომ შემენელებინა - ვარდნის შეგრძნება ხომ მათრობდა და უიმედობითა და ბედნიერებითაც მავსებდა, გარდა ამისა, გამოღვიძებისა

მეშინოდა, იმ მოვლენებთან დაბრუნების მეშინოდა, უფსკრულის ძირზე დახეთქებას რომ მაშორებდა; ციხეში გამოღვიძებისა მეშინოდა, რომელიც სავსე იყო თვითმკვლელობის ან კატორღისწინა ფორიაქით - ქვესკნელის ვერტიკალის გასწვრივ კატასტროფები, უბედური შემთხვევები დავიგროვე, საზარელ დაბრკოლებებს მოვუხმობდი ბოლო წერტილისაკენ მიმავალ გზაზე. ზუსტად იმ საბედისწერო დღის წინ ჯერ კიდევ გაუფანტავი სიზმრის გავლენამ მაიძულა, დამეგროვებინა ბუნდოვანი იმედის ახალ-ახალი, ერთნაირად მნიშვნელოვანი წვრილმანები, რომლებიც განკითხვის ჟამის მოახლოებას უკან დასწევდა. ნელ-ნელა ჩავეფალი.

და მაინც, ჩემს 426-ე საკანში დაბრუნებულმა, ვიგრძენი, ჩემი საქციელის მშვენიერება მაჯადოებდა. პირველი ნაბიჯები, რომლებსაც ვდგამ - ორივე ხელი მოქანავე თეძოებზე მიწყვია - ისეთ შეგრძნებას მიჩენს, თითქოს კვალდაკვალ მომავალი მინიონი ჩემში იჭრება. და აი, ისევ სასტუმროს მანუგეშებელ მომხიბვლელობაში ვარ ჩაძირული, რომლის დატოვება მაინც მოგვიწევს, რადგან ოცი ათასი ფრანკი მარადიული არ არის.

სასტუმროში ცხოვრების დროს მინიონი მანსარდაში ერთხელაც არ გამოჩენილა. ჩვენი საყვარელი დივინი მოუსვენრობისგან კვდებოდა, რადგან მასზე არაფერი იცოდა. დაბრუნება მხოლოდ მაშინღა იფიქრა, როცა ფული შემოელიათ. თვითმარქვია მეფეებივით გამოწყობილნი გამოცხადდნენ მანსარდაში, სადაც მკვლელს ლოგინი ავტომობილებიდან მოპარული შალითებით გაუშალეს ნოხზე. მან იქ დივინისა და მინიონის გვერდით დაიძინა. როცა ისინი გამოჩნდნენ, დივინმა იფიქრა, უკვე დავიწყებული ვარ და ჩემი ადგილი სხვამ დაიკავაო. მაგრამ არა. მოგვიანებით ვნახავთ, როგორ შეაკავშირებს ორ მეგობარს ინცესტის მსგავსი რაღაც ურთიერთობა.

დივინი ორი მამაკაცისთვის მუშაობდა, რომელთაგან ერთი მისი კაცი იყო.

აქამდე მხოლოდ მამაკაცები უყვარდა, თავისზე ძლიერები, ცოტა უფროსები და დაკუნთულები. მაგრამ გამოჩნდა ნოტრ-დამი, ყვავილივით სუსტი და ნაზი, და დივინს ის შეუყვარდა. რაღაც ახალი, საკუთარი სიძლიერის შეგრძნების მსგავსი აღმოუცენდა (მცენარის აღმოცენების გაგებით). იგრძნო, უფრო ვაჟკაცური ხდებოდა. გიჟურმა იმედმა ძლიერი, მაგარი და გაბედული გახადა. გრძნობდა, როგორ ებერებოდა კუნთები, ქვისგან გამოთლილს ემსგავსებოდა მიქელანჯელოს მონასავით. ერთი კუნთის დაუძაბავად, მაგრამ შინაგანი მრისხანებით, საკუთარ თავს ებრძოდა, როგორც ლაოკოონი, რომელიც ურჩხულის დახრჩობას ცდილობს. მერე, როცა მისმა ხელ-ფეხმა ხორცი შეისხა, გაბედა და ნამდვილი ბრძოლა მოინდომა, მაგრამ ძალიან მალე ბულვარზე კარგი გაკვეთილი მიიღო, მან ხომ თავისი მოძრაობების საბრძოლო ეფექტურობა დაივიწყა და ჩხუბს სუფთა ესთეტიკური საზომით მიუდგა. ასეთი მიდგომით მისგან, უკეთეს შემთხვევაში, არც მეტი და არც ნაკლები, უბრალო ხულიგანი თუ დადგებოდა. მის მოძრაობებს, განსაკუთრებით წელს ზემოთ დარტყმებს, მისგან, გამარჯვების ფასადაც კი, დივინ-ჩხუბისთავი კი არა, უფრო ზღაპრული, ვინმე დივინ-მოკრივე უნდა შეექმნა; ზოგჯერ კი ერთდროულად რამდენიმე დიდებული მოკრივეც კი. ის მამაკაცური ჟესტები, რომელთა სწავლასაც ცდილობდა, მამაკაცებშიც იშვიათია. უსტვენდა, ჯიბეებში ხელებს იწყობდა, მაგრამ მთელი ეს მიბაძვა ისეთი უგერგილო ჩანდა, გეგონებოდათ, ერთი საღამოს განმავლობაში ერთდროულად ოთხი-ხუთი სხვადასხვა სახით წარმოგვიდგებაო. სამაგიეროდ, ამაში მაინც მიაღწია დიდებულ მრავალფეროვნებას. გოგონასა და ბიჭს შორის აქეთ-იქით აწყდებოდა, ერთიდან მეორეში გადასვლისას, ქცევის ასეთი სტილის სიახლის გამო, ხშირად ბორძიკობდა და კოჭლობ-კოჭლობით მისდევდა ბიჭს. მუდამ „დიდი თავქარიანის“ ჟესტებით იწყებდა, მერე უცბად გაახსენდებოდა, მკვლელი რომ მოეხიბლა, ვაჟკაცურად უნდა მოქცეულიყო. ხუმრობით ამასაც აკეთებდა და ეს ორმაგობა მოულოდნელ ეფექტს იწვევდა: მას ხან მშიშარა ობივატელად, მორცხვ მასხარად აქცევდა, ხანაც მომაბეზრებელ გიჟად. ბოლოს, დედაკაციდან მამრად ქცევის მეტამორფოზის დასასრულებლად მამაკაცთან მამაკაცის მეგობრობა შეთხზა, რასაც იგი ერთ-ერთ უნაკლო „ხვადთან“ უნდა დაეკავშირებინა, რომელზეც უკვე ვეღარ იტყოდით, ორაზროვანი ჟესტები აქვსო. მეტი სიმტკიცისათვის თავისთვის მარკეტი გამოიგონა. გარეგნობაც შეურჩია; მარტოხელა გოგონას იდუმალ წარმოსახვაში ღამეების მარაგად ჰქონდა თეძოები, ხელები, სხეულები, სახეები, კბილები, თმა, მუხლები, და იცოდა, ყოველივე ამისგან როგორ შეექმნა ცოცხალი კაცი, სული შთაებერა მისთვის - მუდამ ერთი და იგივე, სიტუაციისგან დამოუკიდებლად, ისეთი,

როგორიც თავად სურდა, რომ ჰქონოდა. გამოგონილ მარკეტის მასთან ერთად რამდენიმე ფარული თავგადასავალიც გადახდა, მერე ერთ ღამეს დივინმა უთხრა, ყელში ამომივიდა ნოტრ-დამ-დე-ფლერი და თანახმა ვარ, დაგითმოო. შეთანხმება მამაკაცური ხელის ჩამორთმევით განამტკიცეს.

აი, ხილვაც:

მარკეტი ციხეში მიეთრევა, ხელები შარვლის ჯიბეებში უწყვია:

- სალამი, პატარავ, - ეუბნება დივინს.

ჯდება; მამაკაცურად საუბრობენ, საქმეებზე. მოდის ნოტრ-დამი. მარკეტის ხელს ართმევს. მარკეტის ქალური სიფათი ცოტათი აცბუნებს. მე (თავისთვის ამბობს დივინი) ისეთ სახეს ვიღებ, თითქოს მას ვეღარ ვამჩნევ. ოღონდ, დარწმუნებული ვარ,ახლა სწორედ ჩემი წყალობით წააბა ნოტრ-დამმა მარკეტი (ძალიან ლამაზი გვარი აქვს, სახელის მოძებნა აღარც კი სჭირდება). სამი წუთიც არ მჭირდება, რომ მათ თავი აქ ისე ვაგრძნობინო, როგორც საკუთარ სახლში. ზურგით ვჯდები, ჩემი რომ არ შერცხვეთ. როცა შემოვბრუნდები, ვხედავ, უკვე ერთმანეთს ეხვევიან და კოცნიან, მარკეტი კი შარვალსაც იხსნის. სიყვარული იწყება.

ვერ დავაჟკაცდა დივინი, დაბერდა. ახლა ჭაბუკი თუღა შეძლებდა მის აღელვებას: აქედან გაუჩნდა სიბერის შეგრძნებაც, და ეს რწმენა მის სულში ისე გაიშალა, როგორც უამრავი ღამურას ფრთები. საღამოს მარტო იყო თავის მანსარდაში. გაიხადა და ახალი თვალით დაინახა თავისი თეთრი, უთმო, გლუვი, მშრალი, ალაგ-ალაგ ძვლებგამოჩრილი სხეული. შერცხვა და ლამპის ჩაქრობა იჩქარა, რადგან ეს სხეული სპილოს ძვლისგან გამოთლილ ქრისტეს სხეულს ჰგავდა, მეთვრამეტე საუკუნის ჯვარცმაზე რომ არის გამოსახული, ხოლო მისთვის უმცირესი მსგავსებაც კი ღვთაებასთან ან მის გამოსახულებასთან საზიზღრობა იყო.

მაგრამ ამ სევდასთან ერთად მასში ახალი სიხარულიც იბადებოდა.

სიხარული, რომელიც წინ უძღვის თვითმკვლელობას. დივინს თავისი ყოველდღიური ცხოვრება აშინებდა. იტანჯებოდა მისი სული და ხორცი. ტირილის სეზონი დაუდგა, როგორც ვიტყვით ხოლმე, წვიმების სეზონიო. გამომრთველის გადატრიალებით ქმნა ღამე და ამქვეყნად არაფრის გულისთვის ფეხს არ მოიცვლის ლოგინიდან, სადაც ისევე უსაფრთხოდ გრძნობს თავს, როგორც საკუთარ სხეულში. შიგნით კარგად დაცულად გრძნობს თავს, გარეთ კი საშინელება სუფევს. ერთ ღამეს მაინც გაბედა, კარი გააღო და კიბის ბნელ ბაქანზე გააბიჯა. სირენების ტირილს კიბე აევსო და ქვევით უხმობდა. თუმცა ეს არც ტირილი იყო, არც სიმღერა, მით უმეტეს, სირენებიც არსად იყვნენ, მაგრამ ეს აშკარა მოწოდება გახლდათ სიგიჟისა თუ სიკვდილისკენ, დაცემისაკენ. შიშისგან შეძრწუნებული მანსარდაში შებრუნდა. ეს წუთია განთიადისა, რომელსაც ზარების რეკვა მოსდევს. თუ ახლა შიშმა დაინდო, დღისით კიდევ ერთი წამება ელის: გაწითლება. ყველანაირი წვრილმანის გამო მეწამული ხდებოდა, თანაც შესამჩნევად. არა, არ გეგონოთ, რომ თავისი პროფესიისა რცხვენოდა. მან ძალიან კარგად და ძალიან ახალგაზრდამ შეიცნო სასოწარკვეთა იმისათვის, რომ ამ ასაკში სირცხვილისაგან არ მომკვდარიყო. საკუთარ თავს ბებერს რომ ეძახდა და გარყვნილ კახპას, ამით მხოლოდ დაცინვისა და შეურაცხყოფის თავიდან აცილება უნდოდა. მაგრამ ისეთი წვრილმანების გამო წითლდებოდა, უწყინარი რომ ჩანს და იქამდე არანაირ მნიშვნელობას რომ არ ვანიჭებთ, ვიდრე არ დავაკვირდებით. და გააცნობიერა, რომ სახეზე სიწითლე მაშინ ედებოდა, როცა გაუფრთხილებლობის გამო ამცირებდნენ. წვრილმანს შეიძლებოდა დივინი ეიძულებინა, შეურაცხყოფილად ეგრძნო თავი. ისევე, როგორც კიულაფრუად ყოფნის დროს სიტყვიერი დამცირების გამო მზად იყო, მიწა გასკდომოდა და შიგ ჩაეტანა. მისდამი მიმართული სიტყვები კვლავ „ქვის ტომრის“ მშვენიერებას იძენდნენ, საბოლოო ჯამში კი ისინი ცარიელი იყო და არაფერს შეიცავდა, გარდა საიდუმლოსი. ჩაკეტილი, დალუქული, იდუმალებით მოცული სიტყვები კიდეც რომ გახსნილიყო, მათი აზრი მაშინვე ხტუნვა-ხტუნვით სადღაც გასხლტებოდა და დაბნეულს დატოვებდა. ჯადოსნურმა სიტყვამ, ჯადოსნურ წამალს რომ წარმოადგენს, ერთ შინაბერასთან მიმიყვანა, რომელიც ყავას ამზადებს, ვარდკაჭაჭას უმატებს და წურავს; ჯადოქრობა ყავის ნალექზე (ეს ოინია). სიტყვა მითრიდატე. ერთ დილას დივინი მოულოდნელად პოულობს მას. ერთ მშვენიერ დღეს იგი გამჟღავნდა, კიულაფრუას თავისი მაგიური ძალა უჩვენა და საუკუნე-საუკუნე უკან დაბრუნებული ბავშვი მეთხუთმეტე საუკუნეში აღმოჩნდა, რომის პონტიფიკატის შუაგულში.

გადავხედოთ დივინის ცხოვრების ამ პერიოდს. ერთადერთი საწამლავი, რომლის შოვნაც შეძლო, აკონიტი იყო. მაგარნაკეცებიან, გრძელ საშინაო ხალათში გამოწყობილი, ყოველ ღამე თავისი ოთახის ეზოში გამავალ კარს აღებდა, მოაჯირს გადააბიჯებდა - შეყვარებულის, ქურდის, მოცეკვავის, მთვარეულისა თუ აკრობატის მოძრაობით - და ბოსტანში ხტებოდა, რომლის კიდეებშიც ანწლი, კვრინჩხი და თუთა იზრდებოდა; ფესვების პოვნა რეზედით და გულყვითელათი გარშემორტყმულ ბოსტნეულის კვლებს შორის შეიძლებოდა. კიულაფრუა ტილჭირის მკვრივ ფოთლებს კრეფდა და მერე სახაზავით ზომავდა. ყოველი გაზომვისას დოზას ზრდიდა, ახვევდა და ყლაპავდა. მაგრამ შხამს ორმაგი თვისება ჰქონდა: კლავდა და თან მკვდრეთითაც აღადგენდა მათ, ვინც მოკლა, და სწრაფადაც მოქმედებდა. აღორძინება ისე ეუფლებოდა ბავშვს, როგორც ღმერთკაცი გოგონას, რომელსაც ენა გამოუყვია და მოწიწებით ყლაპავს სეფისკვერს. ბორჯიები, ასტროლოგები, პორნოგრაფები, პრინცები, აბატისები, კონდოტიერები შიშვლები ისვამდნენ მას მუხლებზე, რომელთა სიუხეშე აბრეშუმის სამოსის ქვეშაც კი იგრძნობოდა; იგი ნაზად ეკვროდა ლოყით მათ დაძაგრულ, ქვასავით უდრეკ პენისს; ასეთი უნდა იყოს სადაფისფერი ატლასის ლაბადების ქვეშ ზანგი ჯაზმენების სხეულებიც.

Datura fastuoza. Datura stramonium. Belladona.

ეს ხდებოდა მწვანე ალკოვში, შექმნილი რომ იყო მხიარულებისთვის, რომელიც მთავრდებოდა სიკვდილით ხანჯლის, სუნამონაპკურები ხელთათმანებისა თუ მოწამლული სეფისკვერების სახით. მთვარის შუქზე კიულაფრუა მომწამვლელთა, პედერასტთა, თაღლითთა, მაგთა, მეომართა, კურტიზანთა სამყარო ხდებოდა, მისირგვლივ კი ბუნება, ბოსტანი იმად რჩებოდა, რაც მუდამ იყო და ისინი მას, ეპოქის მბრძანებელსა და მონას, მარტოს ტოვებდნენ, რომელიც მთვარის შუქზე კომბოსტოსა და სალათის კვლების ირგვლივ, იქვე მიყრილ-მიტოვებული ფოცხისა და ბარის გვერდით ფეხშიშველა დადიოდა და შეეძლო გამოეწვია და ამაყად აეტანა გესლიანი დაცინვა. ხილვას არც ისტორიული მოვლენა ედო საფუძვლად და არც ლიტერატურული სიუჟეტი. მაგრამ საკმარისი იყო მხოლოდ რამდენიმე მაგიური სიტყვის ჩურჩულით წარმოთქმა, რომ სიბნელე ჩამუქებულიყო და იქიდან ტილოს თხელ ზეწრებშემოხვეული, ძილის შემდეგ ფერგამკრთალი, თმაგაჩეჩილი დაუღალავი „მამალი“, პაჟი ან რაინდი გამოსულიყო.

ღამის სიგრილე, თეთრ ტანსაცმელში რომ აღწევდა, კანკალს ჰგვრიდა. ფართოდ გაღებულ ფანჯარას უახლოვდებოდა, რაფაზე ძვრებოდა, ფანჯარას კეტავდა და უზარმაზარ საწოლში წვებოდა. დღის დადგომისთანავე ისევ გაფითრებულ, მორცხვ, წიგნების სიმძიმისგან წელში მოხრილ მოწაფედ იქცეოდა. მაგრამ არ იქნება, რომ დღისით ჯადოსნური ღამეების ნაკვალევი არ დარჩეს, თუნდაც ამოღამებული თვალები. ერნესტინი ლურჯი სარჟის ძალიან მოკლე შარვლებს, ზურგზე თეთრი ფაიფურის ღილებით შეკრულ გრძელ შავ სასკოლო ხალათს, ხის შავ საბოებს და ბამბის შავ წინდებს აცმევდა, ოდნავ დაბერილ კუნთებს რომ უფარავდა. შავი ვინმეს გლოვის ნიშნად არ ეცვა, მაგრამ შავად მოსილს გულის ამაჩუყებელი იერი ჰქონდა. მოძრავი, ფხუკიანი, მძვინვარე ბავშვების ტიპს მიეკუთვნებოდა. ემოციები სახეს უფუჭებს, გამომეტყველებას უშფოთველობას უკარგავს, ტუჩებს უსივებს, შუბლი ნაოჭებით ეფარება, წარბები ოდნავ უკანკალებს და შფოთიანად მოძრაობს. ამხანაგებმა „პროჭა“ შეარქვეს; თამაშის დროს წარმოთქმული ეს სახელი სილის გაწვნასავით გაისმოდა. მაგრამ ასეთ ბავშვებს, ისევე, როგორც მაწანწალებს, მარაგში საოცარი და დაუჯერებელი ეშმაკობების მთელი ნაკრები აქვთ, რომელთა წყალობითაც მათ წინ მყუდრო და თბილი თავშესაფრების კარი იღება, სადაც მშვენიერ წითელ ღვინოს მიირთმევენ, თვრებიან და საიდუმლოდ სიყვარულობენ კიდეც. მხიარული დასვენებების დროს კიულაფრუა სოფლის სკოლის სახურავით დევნილი ქურდივით იპარებოდა და ბავშვებს შორის, რომლებიც ვერაფერს ამჩნევდნენ (ბავშვი ზეცისა და მიწის ხელახლა შემქმნელია), ჟან შავწვივსაკრავიანს ხვდებოდა. გაკვეთილების შემდეგ სახლში ბრუნდებოდა, რომელიც იქვე იყო, სკოლასთან ახლოს და თავს ამგვარად არიდებდა წარმართულ მისტერიებში მონაწილეობას, რომლებსაც დღის ოთხ საათზე მშობლებისა და მასწავლებლების მეურვეობისგან გათავისუფლებული მოწაფეები მართავდნენ. პატარა ოთახი ჰქონდა, წითელი ხის ავეჯით გაწყობილი, ფერადი გრავიურებით დამშვენებული, რომლებზეც შემოდგომის პეიზაჟები იყო გამოსახული. კიულაფრუა სურათებს არასოდეს არ უყურებდა, რადგან

მათზე სამი მწვანე ფერიის გარდა სხვა სახე არ ეხატა. ბავშვობა მითების პირობითობაზე უარს ამბობს, დასცინის შეღებილ ფერიებსა და დეკორატიულ ურჩხულებს; ჩემი ფერიები იყვნენ წვეტიანულვაშიანი ტანადი ყასაბი, ჭლექიანი მასწავლებელი, აფთიაქარი, და მთელი სამყარო, მიუწვდომელი და ხელშეუვალი არსებობისაგან ჰალოთი გამოყოფილი, რომელშიც მხოლოდ ჟესტებს ვარჩევდი, რომელთა გაგრძელებაც და, მაშასადამე, ლოგიკაც და ისიც, რაზეც იგი იდგა, ხელიდან მისხლტებოდა, ხოლო ყოველი დეტალი ახალ კითხვას მიჩენდა, ესე იგი - მაწუხებდა.

Viol-

კიულაფრუა თავის ოთახში შედიოდა. და აი, იგი უკვე თავის ვატიკანშია, უმაღლესი პონტიფიკატია. წიგნებითა და რვეულებით გატენილ ზურგჩანთას ჩალის სკამზე დებს და საწოლის ქვეშიდან ყუთს გამოათრევს. ის სავსეა ძველი სათამაშოებით, დახეულ-დაჭმუჭნილგრავიურებიანი ალბომებით, იქვეა გაქუცული პლუშის დათვი და ამ აჩრდილთა თავშესაფრიდან, დიდების ამ საფლავიდან, რომელიც ჯერ კიდევ ბოლავს და ბრწყინავს, იღებს თავისი ხელით დამზადებულ რუხი მუყაოს ვიოლინოს. საკუთარი გაუბედაობისაგან წითლდება. ამ დამცირებას უფრო ძლიერ განიცდის, ვიდრე იმ სირცხვილს, ზურგში რომ მიეფურთხებინათ; ამასვე განიცდიდა, როცა ვიოლინოს აკეთებდა, ოღონდ იმ დროს არა, როცა მისი გაკეთება ჩაიფიქრა. რაღაც რვა დღის წინ გრავიურებიანი ალბომის ნაცრისფერი მუყაოს ყდა, ცოცხის ტარის ნაწილი, ოთხი თეთრი მავთული - სიმები - აიღო და ვიოლინო გააკეთა. ეს გახლდათ ბრტყელი, ნაცრისფერი, ორზომიანი ვიოლინო, ჰარმონიის დაფითა და გრიფით, რომელზეც გეომეტრიული სიზუსტით იყო დაჭიმული ოთხი თეთრი სიმი. ვიოლინო კი არა, რაღაც ურჩხული გამოუვიდა; ხემად შეარჩია თხილის ტოტი, რომელსაც კანი გააცალა. როცა პირველად დედას სთხოვა, ვიოლინო მიყიდეო, დედას წარბიც არ შეუხრია - სუპში მარილს ყრიდა. არც ერთი ეს სურათი: მდინარე, ცეცხლი, გერბიანი ორიფლამები, ლუდოვიკო მეთხუთმეტის სტილის ქუსლები, ცისფერტრიკოიანი პაჟი, პაჟის გადაგრეხილ-გადმოგრეხილი სული - ერნესტინის ყურადღებას არ იქცევდა, ოღონდ ის მოუსვენრობა, თითოეული მათგანი მასში რომ იწვევდა, შავი მელნის ტბაში ძირავდა და ამ მოუსვენრობამ წამით სიცოცხლესა და სიკვდილს შორის დააყენა; როცა ორი-სამი წამის შემდეგ გონს მოეგო, ნერვიულმა ცახცახმა აიტანა, ხელი აუკანკალდა, რომლითაც სუპში მარილს ყრიდა. კიულაფრუამ არ იცოდა, რომ ვიოლინოს ფორმების სიმრუდე მის მგრძნობიარე დედას აღელვებდა და მის სიზმრებში ბიჭი ალერსიანი კატების საზოგადოებაში დასეირნობდა სადღაც კუთხეებში, აივნების ქვეშ, სადაც თაღლითები ღამის ნადავლს იყოფენ, ქუჩებში, სადაც ვიგინდარები გაზის ფარნების ირგვლივ ტრიალებენ, კიბეებზე, ვიოლინოებივით რომ ჭრიალებს, რომლებსაც ცოცხლად ატყავებენ. ერნესტინი სიბრაზისგან ატირდა. ხომ არ შეეძლო, თავისი ვაჟი მოეკლა, ვინაიდან - ჩვენ კიდევ ვნახავთ - კიულაფრუა არ იყო ის, ვისი მოკვლაც შეიძლებოდა. ის, რაც მასში ჩაკლეს, კვლავ აღდგება: წკეპლა, მათრახი, გაშოლტვა, ალიყური კარგავს თავის ძალას ან, უფრო სწორად, აზრს. სიტყვა „ვიოლინო“ აღარასოდეს წარმოთქმულა. მუსიკა რომ ესწავლა, უფრო სწორად, ის ჟესტები რომ გამოეხატა, რომელსაც ვიღაც ლამაზი ბიჭი გამოხატავდა რომელიღაც ჟურნალის სურათზე, კიულაფრუამ ინსტრუმენტი თვითონ გააკეთა, მაგრამ ერნესტინის თანდასწრებით აღარ უნდოდა სიტყვების წარმოთქმა, რომლებიც ით იწყებოდა. ვიოლინო ღამით, დიდად გასაიდუმლოებულ ვითარებაში გააკეთა. დღისით ძველი სათამაშოების ყუთის ფსკერზე მალავდა. ყოველ საღამოს ამოიღებდა და უკვე შეგუებული, თვინიერი, სხვენზე ნაპოვნი ძველი სახელმძღვანელოს რჩევების მიხედვით თვითონვე სწავლობდა თეთრ სიმებზე მარცხენა ხელის თითების დაწყობას. ყოველი ასეთი მუნჯური გაკვეთილი ქანცავდა. ყოველ მატყუარა გაჭრიალებაზე, რომელსაც ხემი სიმებთან შეხებისას გამოსცემდა, შიშისგან სული ეხორკლებოდა. ბგერათა დაკრუნჩხული პაუზა-ლანდები გულს უგლეჯდა. აი, ასე იყო მთელი გაკვეთილის განმავლობაში, წყენა არ შორდებოდა და სირცხვილისა და შეურაცხყოფის ისეთ გარემოში სწავლობდა, როგორიც ახალ წელს გვაქვს ხოლმე: ჩვენს იდუმალ სურვილებს ჩურჩულით წარმოვთქვამთ. ალბათ, ასევე იქცევიან ამაყი მსახურები და კეთროვანნი; და რადგან საქმე იმ ჟესტებს ეხება, ბატონებისთვის რომ არის დამახასიათებელი, ხშირად ისეთი შეგრძნება გვეუფლება, თითქოს მათი ტუალეტებით ვსარგებლობთ იმისთვის, რომ თავი დავიმკვიდროთ. ისინი გვაწუხებს, როგორც უნდა აწუხებდეს

მეტრდოტელის მოწაფეს ფრაკი, რომელსაც აბრეშუმის გადანაკეცი არა აქვს. ერთ საღამოს კიულაფრუამ ფართო და მეტისმეტად ტრაგიკული ჟესტი შეასრულა. ჟესტს, რომელმაც ოთახი აავსო, მისი მოცულობა გადალახა, ღამეში შევიდა და ვარსკვლავებამდე აიჭრა, დიდი დათვის თანავარსკვლავედამდე და იქითაც, მერე იმ გველივით, საკუთარ კუდს რომ კბენს, ოთახის სიბნელეს დაუბრუნდა, ბავშვს დაუბრუნდა, რომელსაც უკვე სული ეხუთებოდა. მან ხემი ნელა და დიდებულად გაატარა; ამ ბოლო კაეშანმა დაასრულა მისი სულის ხერხვა: სიჩუმემ, სიბნელემ და იმ ყველაფრისგან გათავისუფლების ამაო იმედმა, რაც ყოველი მხრიდან ჩამოაწვა, იქამდე მიიყვანა, რომ ზმანებები გაუქრა. ხელები ჩამოუცვივდა, ვიოლინო და ხემი მოისროლა და ბავშვივით ატირდა. ცრემლები ჩამოუგორდა პატარა გლუვ სახეზე. კიდევ ერთხელ მიხვდა, რომ ვერაფერს გააწყობდა. მაგიური ქსელი, რომლის გარღვევასაც ცდილობდა, ისევ შეიკრა მის ირგვლივ და შიგ შეიმწყვდია. ტუალეტის მაგიდაზე მდგარ პატარა სარკეს მიუახლოვდა და დაცარიელებულმა თავის სახეს შეხედა; ისეთი სინაზე იგრძნო, როგორსაც პატარა, თუნდაც ულამაზო, მაგრამ საკუთარი ძაღლის მიმართ განიცდიან ხოლმე. კაცმა არ იცის, საიდან მომავალი სიბნელე ჩაქუფრდა. კიულაფრუას ხელი არ შეუშლია. ის მარტო იყო. მას მხოლოდ სარკეში დანახული სახე აინტერესებდა და მისი ცვლილებები: აბზინებულ ქუთუთოებში თვალის კაკლები, ჩრდილის შარავანდედი, პირის შავი ლაქა, მუდამ განათებული საჩვენებელი თითი, რომელზეც მისი დახრილი თავი ეყრდნობოდა. თავი უფრო დახარა, სარკეში უკეთ რომ დაენახა. ამ პოზამ აიძულა, თვალები აეწია და საკუთარი თავი როგორღაც ფარულად შეეთვალიერებინა, როგორც ამას კინომსახიობები აკეთებენ: „ჩემგან დიდი მსახიობი დადგებოდა“. ნათლად არ ჩამოუყალიბებია ეს აზრი, მაგრამ მისმა მშვენიერებამ აიძულა, ცოტა უფრო დაბლა დაეხარა თავი. „ბედისწერის სიმძიმე“, - გაიფიქრა. ტუალეტის მაგიდის პალისანდრის ხის გაპრიალებულ ზედაპირზე წუთიერი სცენა დაინახა, არსებითად, მრავალი სხვა სცენის მსგავსი, ხშირად რომ წარმოუდგებოდა: ოთახის სიბნელეში, გისოსებაკრული ფანჯრის ქვეშ, პატარა ბიჭი ჩაცუცქულა, თვითონ კი ჯიბეებში ხელებჩაწყობილი მიმოდის.

მისი ქვიშრობიანი ბავშვობის შუაგულში უცბად კაპიტელები იხატებოდა. კაპიტელები კაქტუსებივით იყო ცისქვეშეთში, კაქტუსებივით, რომლებიც კურარეს შხამში დასველებული ბასრსხივებიანი მწვანე მზეებივით ელვარებდა. მისი ბავშვობა - კაცმა არ იცის, საჰარასავით სულ პატარა იყო თუ უზარმაზარი - დაცული იყო სინათლით, სურნელითა და პირადი მომხიბვლელობის ნაკადით, რომელიც მოედინება აყვავებული გიგანტური მაგნოლიისაგან, მღვიმესავით ღრმა ცამდე რომ მაღლდება და სულ ზევით ადის, უხილავი მზის ზევით, რომლის არსებობა მაინც იგრძნობა. ეს ბავშვობა მხურვალე ქვიშაზე შრებოდა უხილავ მაგნოლიაზე ფიქრით - წამიერ გაელვებებში, რომლებიც ისარზე სწრაფი იყო და ისეთივე წვრილი, როგორც ის სამოთხე, მონღოლის ქუთუთოებს შორის რომ მოჩანს. და ეს გაელვებები ყველაფრით ჰგავდა იმას, რაზეც პოეტს უთქვამს:

„მე დავინახე უდაბნოში,

შენი გაშლილი ცა...“.

ერნესტინი შვილთან ერთად სოფლის ერთადერთ, ეკლესიის მსგავსად შიფერით გადახურულ სახლში ცხოვრობდა. ეს იყო ქვით ნაგები კარგა მოზრდილი, სწორკუთხა, სოლიდური შენობა, რომელსაც დერეფანი ორად ისე ყოფდა, როგორც ნაპრალი ციცაბო კლდეს. ერნესტინს კარგი შემოსავალი ჰქონდა დატოვებული ქმრისაგან, რომელმაც ადგილობრივი ციხე-კოშკის მწვანე წყლით სავსე თხრილში დაიხრჩო თავი. ერნესტინს შეეძლო, ფუფუნებით ეცხოვრა მსახურებით გარშემორტყმულს, უზარმაზარ სარკეებსა და ხალიჩებს შორის, რომლებიც მოოქროვილი ჭერიდან დაეშვებოდა და კედლებს დაფარავდა, მაგრამ ფუფუნებასა და სილამაზეზე უარი თქვა, რადგან ისინი ოცნებას კლავს. სიყვარულსაც. ოდესღაც სიყვარულმა მიატოვა და მიწაზე დაანარცხა იმ მოჭიდავესავით, რომელიც სხვა ფალავნებზე გამარჯვებასაა მიჩვეული. ოცი წლისამ ლეგენდას დაუდო სათავე; როცა მოგვიანებით გლეხები მასზე ილაპარაკებენ, გვერდს ვერ აუვლიან მოგონებას ამ არსების შესახებ, რომელსაც სახე მთლიანად ჰქონდა შეხვეული იმ დაჭრილი მფრინავივით, ვაიდმანივით, მარტო პირი და თვალები მოუჩანდა; სახე ახვეული ჰქონდა გაზის ქსოვილის ბანდებით, რომლის ქვეშაც სპეციალური კრემის სქელი ფენა ჰქონდა წასმული მზისაგან

დასაცავად და თივისგანაც, რომელსაც ერნესტინი მამასთან ზაფხულში ატრიალებდა, კარგად რომ გამშრალიყო. მაგრამ სიმწარეს, როგორც მჟავას, უკვე გადაევლო და ამოეჭამა. ახლა ყველაფრისა ეშინოდა, რაზეც უბრალო, ძალდაუტანებლად ღიმილიანი ლაპარაკი არ შეიძლებოდა. მარტო ეს შიში ამტკიცებდა „გაუმაძღარი სილამაზის“ ხელისუფლებაში დაბრუნების საშიშროებას. თითქმის ყველა მისი გატაცება სუსტი იყო, მაგრამ ისეთებიც ჰქონია, რომლებიც მას აჯაჭვავდნენ და ისეთ ძალებს გადასცემდნენ, რომლებთან ერთი მიკარება ან მარტო მიახლოებაც კი შეძრავდა ხოლმე. ეს იყო ხელოვნება, რელიგია, სიყვარული, რაც სიწმინდითაა გარშემორტყმული (სიწმინდეზე, ვაგლახ, სულიერსაც რომ უწოდებენ, ხუმრობა ან დაცინვა მიღებული ხომ არ არის: იგი სევდითაა სავსე. თუ ეს ის არის, რაც უფალს აღელვებს, მაშასადამე, უფალიც სევდიანია? მაშასადამე, უფლის ცნებაც ტანჯვასთან არის დაკავშირებული? მაშასადამე, უფალი ბოროტებაა?), მათ მოწიწებით ეპყრობიან. სოფელში სხვა ღირსშესანიშნაობებს შორის ერთი ძველი ფეოდალური ციხე-კოშკიც იყო, თხრილებით გარშემორტყმული, საიდანაც ბაყაყების ყიყინი ისმოდა; გარდა ამისა, სასაფლაოც ჰქონდათ, მარტოხელა დედის სახლი და თვითონ მარტოხელა დედაც, სამთაღიანი ქვის ხიდიც, რომელიც კამკამა წყალში ირეკლებოდა, დილაობით კი სქელი ბურუსი ედო და ნელა ადიოდა მოაჯირებისკენ. მზე ბურუსს ნაკუწებად აქცევდა, რომლებიც მაშინვე გაძარცულ, ჩაშავებულ ხეებს ეკიდებოდა და მათ ბოშების ჩამოძონძილ ბავშვებს ამსგავსებდა.

სახლის მახვილკუთხა ცისფერი შიფერი, გრანიტის ქვები, მაღალი ფანჯრების მინები კიულაფრუას დანარჩენი სამყაროსგან აცალკევებდა. მდინარის იქით მცხოვრებ ყმაწვილთა თამაში მისთვის უხილავი იყო, მათემატიკითა და გეომეტრიით გართულებული. ისინი ღობეების გასწვრივ თამაშობდნენ, ხოლო დაკვირვებული მაყურებლის როლში თხები და კვიცები გამოდიოდნენ. თვით მოთამაშეები კი, ეს მსახიობი ბავშვები, სოფლის სკოლის კარს გასცდებოდნენ თუ არა, ისევ მენახირეებად იქცეოდნენ, ჩიტის ბუდეებს აცარიელებდნენ, ხეებზე დაძვრებოდნენ, ჭვავს ცელავდნენ, ქლიავს იპარავდნენ. თუ კიულაფრუასთვის ისინი დემონ-მაცდურთა ტომისანი იყვნენ (ამასთან, თვითონ ისინი კარგად ვერც ხედავდნენ მას, მაგრამ მის სიახლოვეს გრძნობდნენ), კიულაფრუა მათთვის ავტორიტეტი იყო, რაც განმარტოებამ, დახვეწილმა მანერებმა, მოხდენილმა ლეგენდამ ერნესტინზე, დაბოლოს, სახლის შიფერის სახურავმა შეუქმნა. მისდამი საერთო სიძულვილის პირობებში ერთი ბიჭიც არ მოიძებნებოდა, რომელსაც მისი შეჭრილი თმა თუ ტყავის ელეგანტური პორტფელი არ შეშურებოდეს. მათი აზრით, შიფერისსახურავიან სახლში ზღაპრული სიმდიდრე უნდა ყოფილიყო, სადაც კიულაფრუას ფასდაუდებელი უპირატესობა უნდა ჰქონოდა, აუჩქარებლად ევლო, საკუთარი თავისთვის უფლება მიეცა, ავეჯზე შინაურულად აეთამაშებინა თითები ან პარკეტზე გასრიალებულიყო უამრავ სამშვენისს შორის, რომლებიც მათ მეფურად ეჩვენებოდათ, ჰქონოდა პრივილეგია, დოფინის ღიმილით გაეღიმა და, შესაძლოა, ბანქოც ეთამაშა. კიულაფრუა მათთვის მეფურ იდუმალებას აფრქვევდა. უფლისწულები ძალიან ხშირად გვხვდებიან ბავშვებს შორის და ამიტომ სოფლელი მოწაფეები ამას მაინცდამაინც სერიოზულად არ იღებდნენ. მაგრამ დანაშაულად უთვლიდნენ თავისი წარმოშობის ასე აშკარად წარმოჩენას, რის დამალვასაც თითოეული მათგანი საკუთარ თავში გულმოდგინედ ცდილობდა და რაც მათსავე დიდებულებას შეურაცხყოფდა. სამეფო იდეა ხომ ამ სამყაროსთვის დამახასიათებელი ნიშანია; თუ ადამიანი სისხლისმიერად არ ფლობს მას, მაშინ უნდა შეიძინოს და იდუმალად იამაყოს, თუნდაც მხოლოდ იმისათვის, რომ საკუთარი თავის პატივისცემა შეინარჩუნოს. ბავშვების ოცნებები და სიზმრები ღამით ერთმანეთს ეხლართებოდა, ერთი მეორეს უკითხავად, ძალმომრეობით (გაუპატიურებაც ეს იყო) და თითქმის მთლიანად ეუფლებოდა. სოფელი, რომელსაც საკუთარი საჭიროებისათვის ხელახლა ქმნიდნენ და სადაც, როგორც უკვე ვთქვით, ბავშვები ხელმწიფენი იყვნენ, მთლიანად იყო შემოხლართული მათთვის ბუნებრივი უცნაური ღამეების ზნე-ჩვეულებებით; სადაც საღამოს მარხავდნენ მკვდრადშობილ ბავშვებს, რომლებსაც მათი დები მიასვენებდნენ სასაფლაოზე ვიოლინოს ბუდეებივით ლაქწასმული ნაძვის ვიწრო ყუთებით; სადაც სხვა ბავშვები მდელოებზე შიშველი, თუმცა მთვარის შუქმიფარებული მუცლებით ეკვროდნენ წიფლისა და მუხის მკვრივ ტანებს (ისეთსავე მკვრივს, როგორებიც ზრდასრული მთიელები იყვნენ, ტყავის შარვლები რომ ასკდებოდათ მოკლე და სქელ

ბარძაყებზე), ეკვროდნენ იმ ადგილას, სადაც ხეებს ქერქი ჰქონდა ამძვრალი, რომ თავიანთი ნაზი თეთრი მუცლებით გაზაფხულის წვენის მოძრაობა ეგრძნოთ; სადაც შავი ჭირი ჩამოივლიდა, შეათვალიერებდა მოხუცებს, ავადმყოფებს, დამბლადაცემულებს, რომლებსაც თვალებიდან სულს ამოაძრობდა და უსმენდა, როგორკვდებოდნენ (მოხუცები ისევე იხოცებიან, როგორც იბადებიან ბავშვები), ხელში ეჭირა ისინი, მისმა ხელებმა კი ლმობიერება არ იცოდნენ; სოფელი, რომლის დღეებიც ღამეებზე არანაკლებ უცნაური იყო, როცა უფლის სხეულის ან ამაღლების სადღესასწაულო მსვლელობა შუადღის მზით ალანძულ ვაკეს გადაჭრიდა, მსვლელობა, რომელშიც მონაწილეობდნენ თეთრკაბიანი, თმაში ხელოვნურ ყვავილგარჭობილი ფაიფურისთავიანი გოგონები, ეკლესიის გუნდის მგალობელი ბავშვები, რომლებიც მომწვანო სპილენძის საცეცხლურებს ქარში აქეთ-იქით იქნევდნენ, შავი ან მწვანე მუარის ქსოვილში გახვეული მკაცრი ქალები, შავხელთათმნიანი მამაკაცები, სირაქლემასფრთებიანი გვირგვინით შემკულ აღმოსავლურ ბალდახინს რომ მოასვენებდნენ და რომლის ქვეშაც მღვდელი მობრძანდებოდა წმინდა ბარძიმით ხელში; თაკარა მზის ქვეშ ჭვავს, ფიჭვებსა და იონჯას შორის ეს ყველაფერი თავდაყირა დგებოდა გუბურებში.

ეს დივინის ბავშვობის ნაწილი გახლდათ, ისევე, როგორც სხვა მრავალი, რასაც მოგვიანებით მოგიყვებით. ახლა, საჭიროა, ისევ დივინს დავუბრუნდეთ.

უკვე დროა, ვთქვათ, რომ თავის მიჯნურობებს ის არასოდეს უიძულებიათ, ღვთის რისხვისა შინებოდა ან იესო სძულებოდა, ანდა დაშაქრული ზიზღი ჰქონოდა ღვთისმშობლისადმი, არასოდეს, იქამდე, ვიდრე გაბრიელი ამაზე არ ელაპარაკა, რადგან საკუთარ თავში აღმოაჩინა ამ შიშის მარცვლები: მრისხანებისა, სიძულვილისა, ღვთაებრივი ზიზღისა. დივინმა თავისი სიყვარულებისაგან ღმერთი შექმნა, ღმერთზე მაღალი, იესოზეც და წმინდა ქალწულზეც, რომელსაც ისინიც თაყვანს სცემდნენ, როგორც ყველა, მაშინ, როცა გაბრიელს, მიუხედავად თავისი ცეცხლოვანი ტემპერამენტისა, რის გამოც სახე ხშირად უწითლდებოდა, ჯოჯოხეთისა ეშინოდა, რადგან დივინი არ უყვარდა.

მაგრამ ვის უყვარდა დივინი, მინიონის გარდა?

ნოტრ-დამ-დე-ფლერი იღიმებოდა და მღეროდა. ეოლეს ქნარივით მღეროდა, ცისფერი ნიავი მისი სხეულის სიმებს შორის დაქროდა; სხეულით მღეროდა; მას არ უყვარდა. პოლიციას მასზე ეჭვი არ ჰქონდა. არც მას ჰქონდა პოლიციაზე ეჭვი. ეს ბავშვი იმდენად გულგრილი იყო ყველაფრის მიმართ, რომ გაზეთებსაც არ ყიდულობდა: იქით მიდიოდა, საითაც თავის მელოდიას მიჰყავდა.

დივინს სჯეროდა, რომ მინიონი კინოში წავიდა, ნოტრ-დამი კი, მაღაზიის თაროებზე გამოფენილი საქონლის ქურდი, რომელიღაც დიდ მაღაზიაში ეგულებოდა, მაგრამ... ამერიკული ფეხსაცმელი, რბილი შლაპა, მაჯაზე ოქროს ძეწკვი, მოკლედ, ნამდვილი „ხვადი“ - საღამოობით მინიონი მანსარდიდან გადიოდა, კიბეს ჩაივლიდა და... ამ დროს აუცილებლად ჩნდება ჯარისკაცი. საიდან გაჩნდა? შეიძლება უბრალოდ შემთხვევით შევიდა იმ ბარში, სადაც დივინი იჯდა. მბრუნავი კარის ყოველი შეტრიალებისას, ვენეციის ერთ-ერთი სამრეკლოს საათის მექანიზმის მსგავსად, ხან პოლიციის მედიდური სერჟანტი გამოჩნდებოდა, ხან ნატიფი პაჟი, ხან „მაღალი ჰომოსექსუალიზმის“ ნიმუში, ანუ ერთი იმ „ხვადთაგანი“, რომელთა წინაპრებიც მადმუაზელ ადნას დროინდელი ბუნაგების ყოველდღიური მუშტრები იყვნენ, ყურებში საყურეგაყრილი დადიოდნენ, და როცა დღეს ბულვარზე გაივლიან, მათ ლაჯებშუა მჭახე სტვენის ხმა იფრქვევა, ჩქეფს.

გამოჩნდა გაბრიელი. ვხედავ, როგორ ჩარბის თითქმის ვერტიკალურად ჩამავალ ქუჩაზე; იმ მოჯადოებულ ძაღლსა ჰგავს, ერთხელ სოფლის შარაზე რომ გამოჩნდა. ალბათ, დივინს შეეჯახა, როცა ის დუქნიდან გამოდიოდა, სადაც სიურპრიზ-სტვირი იყიდა, სწორედ ამ დროს შემინულ კარზე ზანზალაკმაც ორჯერ გაიწკარუნა. მინდოდა, შეხვედრებზე მეამბნა თქვენთვის. ვფიქრობ, მომენტი, რომელიც მათ გარდაუვალს ხდიდა - ან ხდის - დროის მიღმა მდებარეობს, ხოლო შეჯახებისას შხეფები ირგვლივ იფანტება, დროშიც და სივრცეშიც, მაგრამ შეიძლება ვცდები კიდეც, ჩემთვის ხომ ის შეხვედრებია მნიშვნელოვანი, რომლებსაც მე ვიწვევ და ჩემი წიგნის ბიჭებს ვახვევ თავს. შეიძლება ეს ერთი იმ მომენტთაგანია, რომელიც ქაღალდზეა დაფიქსირებული, ისევე, როგორც ბევრი ხალხმრავალი ქუჩა, რომლებზეც ჩემი თვალი შემთხვევით ჩერდება: სიტკბოება, სინაზე დროის გარეთ აყენებს

მათ; მოხიბლული ვარ, თუმცა არ ვიცი, რატომ, ეს ქაოსი ჩემი თვალისთვის თაფლივით ტკბილია. თვალს ვარიდებ, მერე ისევ ვუყურებ, მაგრამ ვეღარც სიტკბოებას ვამჩნევ და ვეღარც სინაზეს. ქუჩა უკვე დაღვრემილი მეჩვენება, როგორც დილა უძილო ღამის შემდეგ, გონების სიცხადე მიბრუნდება და მასთან ერთად პოეზიაც, რომელიც ამ ლექსმა გააძევა: რომელიღაც ძნელად გასარჩევმა ჭაბუკურმა სახემ ბრბო უცბად გაანათა და გაქრა. ღვთაებრივი აზრი ჩემთვის უცხო აღარ იყო. მაშ ასე, დივინი გაბრიელს შეხვდა. გაბრიელმა მის გვერდით კედელივით ან კლდესავით მხრებგაშლილმა ჩაიარა. ეს კედელი არც ისე განიერი იყო, მაგრამ სამყაროს იმდენ დიდებულებას, ესე იგი, იმდენ მშვიდ ძალას ატეხდა თავს, რომ დივინს მოეჩვენა, ბრინჯაოსგანაა ჩამოსხმულიო; ბნელეთის კედელი იყო, საიდანაც შავი არწივი გამოფრინდა უზარმაზარი გაშლილი ფრთებით.

გაბრიელი ჯარისკაცი იყო.

არმია წითელი სისხლია, რომელიც არტილერისტის ყურებიდან წვეთავს; იგი თავის თხილამურებზე ჯვარცმული თოვლის პატარა მსროლელია; სპაჰია, რომლის გაჭენებული ცხენიც უცბად შეჩერდა მარადიულობის ნაპირთან და გაშეშდა; პრინცები არიან ნიღბებში და მკვლელთა საძმოა ლეგიონში; ხვანჯრის შემცვლელი გადანაკეცია მეზღვაურების შარვლზე, რომ - ყოვლისმიმტევებელი ახსნა გახლავთ - მანევრების დროს ისინი ხელსაწყოებს არ გამოედოს; დაბოლოს, თვით მეზღვაურები არიან,რომლებიც სირენებს ხიბლავენ, ანძებს ისე ეკლაკნებიან გარს, როგორც კახპები „ხვადებს“; იალქნებში გახვეულები მისით ისე თამაშობენ, როგორც ესპანელი ქალი მარაოთი; ან ჯიბეებში ხელებჩაწყობილნი მოტორტმანე გემბანზე დგანან და ცისფერი საყელოების ნამდვილ ვალსს უსტვენენ.

- და სირენებს თავგზა ებნევათ?

- იმ ადგილზე ოცნებობენ, სადაც მთავრდება მსგავსება მათ სხეულებსა და მეზღვაურთა სხეულებს შორის. „სად იწყება იდუმალება?“ - ეკითხებიან საკუთარ თავს. და სწორედ მაშინ მღერიან ისინი.

გაბრიელი რიგითი ქვეითი იყო, სქელი, ხაოიანი ცისფერი მაუდის ფორმა ეცვა. მოგვიანებით, უკეთ რომ გავიცნობით და მასზე ნაკლებს ვილაპარაკებთ, მის პორტრეტსაც დავხატავთ. ბუნებრივია, დივინი მთავარანგელოზს ეძახის, კიდევ „ჩემო ტკბილოს“. იგი უშფოთველად იღებს თაყვანისცემას. უფლებას იძლევა, გაალმერთონ. მინიონის შიშით, იმის შიშით, რომ მას არ ეწყინოს, დივინი ჯარისკაცის სახლში მიყვანას ვერ ბედავს. საღამოს ბულვარზე ხვდება და ჯარისკაცი თავაზიანად უამბობს თავისი ცხოვრების ამბებს, რადგან სხვა არაფერი იცის. დივინი:

- შენს ცხოვრებას კი არ მიამბობ, მთავარანგელოზო, არამედ ჩემი ცხოვრების მიწისქვეშეთის საიდუმლოებებს, რომლებიც თვითონაც არ ვიცოდი.

ისევ დივინი: „ისე მიყვარხარ, თითქოს მუცელში მყავდი...“

ან:

- შენ ჩემი მეგობარი არა ხარ, შენ მე ხარ. ჩემი გული ხარ ან ჩემი ყლე. ჩემი ყლორტი ხარ, ამონაყარი.

და აღელვებული გაბრიელი ამაყი ღიმილით ამბობს:

- ოო! ჩიტო!

როცა იღიმება, ტუჩის კუთხეში ნერწყვის რამდენიმე დელიკატური წვეთი ადგება.

ერთ ღამეს მათ პრინც-მონსენიორი გადააწყდა; ხელის თითები მოემრგვალებინა და ისე ეჭირა, როგორც აბატს ქადაგების დროს; დივინს თვალს უკრავს: „დახე, რა ნადავლი გიპოვია!“ და ქრება; და მათ ერთად ტოვებს.

სხვები, ბლანშიდან პიგალამდე, წყევლას უგზავნიან, და ამგვარად მათ ლოცავენ.

სიბერეში შესულ დივინს სევდა ღრღნის. იმ უბედურ ქალსა ჰგავს, საკუთარ თავს რომ ეკითხება: „შემიყვარებს? აჰ, ნეტავი ახალი მეგობარი მაპოვნინა! დაჩოქილი ვცემდი თაყვანს, ერთი შემოხედვით რომ მოეტევებინა. ვოცნებობ, ეშმაკობით სიყვარულამდე მივიტყუო“. გამიგია, კაცმა ძაღლი რომ მიიჩვიოს, ყოველდღე მის საჭმელში თითო კოვზი პატრონის შარდი უნდა შეურიოსო. დივინი ამ მეთოდის გამოყენებას ცდილობს: ყოველთვის, როცა მთავარანგელოზს სადილად იწვევს, დივინი პოულობს საშუალებას და მის საჭმელში ცოტაოდენ თავის შარდს უმატებს.

უნდა აიძულოს, რომ შეიყვაროს. ეს მიამიტი კაცი, რომელიც არაფერს

ეჭვობს, ისე ნელა მიჰყავს სიყვარულთან, როგორც დაცულ ქალაქთან, საიდუმლო ქალაქთან, შავ-თეთრ ტომბუქტუსთან, შავ-თეთრსა და ამაღელვებელთან, როგორიც იმ შეყვარებულის სახეა, რომლის ლოყაზეც მეორის სახის აჩრდილი თამაშობს. უნდა მიიჩვიოს მთავარანგელოზი, ძაღლური ერთგულება უნდა ასწავლოს. ბავშვი უნდა იპოვო, დუნე, მაგრამ მგზნებარე, მერე იგრძნო, ალერსი როგორ აანთებს, აღაგზნებს და ჩემს თითებში როგორ დაიბერება, გაივსება, წამოხტება, თქვენ თვითონ იცით, რაც. დივინი უყვართ!

ის მანსარდაში დივანზე წევს, ტრიალებს, იკლაკნება, როგორც შალაშინიდან გადმოყრილი ბურბუშელა. თეთრი, აჩრდილების მახრჩობელა ხელები ეღუნება, ერთმანეთში ეხლართება და ისევ ეშლება. საჭიროა, რომ ერთ დღეს გაბრიელი თავისთან მიიყვანოს. ფარდები ჩამოფარებულია, გაბრიელი სიბნელეში აღმოჩნდა; სიბნელე ჩამუქებულია, ჩასქელებული, რადგან წლობით დგას, როგორც საკმევლის დაძველებული სუნი, გამოშვებული გაზების მოუხელთებელი ექსტრაქტი.

ცისფერი აბრეშუმის თეთრსაყელოიან პიჟამაში გამოწყობილი დივინი დივანზე წევს. თვალებზე ჩამოყრილი თმა, გაპარსული სახე, სუფთა პირი, ჟანგმიწის წყლით გადატკეცილი სახე. მიუხედავად ამისა, თავს იკატუნებს, ვითომ ჯერ არ გაუღვიძია.

- დაჯექი.

ხელით თავის გვერდით, დივნის კიდეზე უჩვენა, მეორე ხელის თითები კი ჩამოსართმევად გაუწოდა.

- როგორა ხარ?

გაბრიელს თავისი ცისფერი ფორმა აცვია. მუცელზე ტყავის ცუდად მოჭერილი ქამარი ჩამოჰკიდებია.

უხეშმა მაუდმა და ასეთმა ნაზმა ცისფერმა დივინი აღაგზნო. მოგვიანებით იტყვის: „მისი შარვალი მაგიჟებდა“. თხელი და ასეთივე ცისფერი მაუდი უფრო ნაკლებად ააღელვებდა, ვიდრე სქელი და შავი მაუდი, რადგან ეს ქსოვილი სოფლის მღვდლებისაა და კიდევ ერნესტინის, ხოლო სქელი და ნაცრისფერი - თავშესაფრის უპატრონო ბავშვებისა.

- ეს შალი არ იკბინება?

- რას ამბობ? პერანგი და მისი ამხანაგიც ხომ მაცვია; შალი სხეულს არ ეხება.

გასაოცარია, არა, დივინ, ცისფერი ტანსაცმელი აცვია და ეს კიდე ბედავს, ასეთი შავი თვალები და თმა ჰქონდეს?

- მართლა, შერი მაქვს, აირჩიე, რომელიც გინდა და მეც დამისხი.

გაბრიელი ღიმილით ისხამს ლიქიორს. სვამს. ისევ დივნის კიდეზე ჯდება. ერთმანეთისა ცოტა რცხვენიათ.

- აქ ჰაერი ცოტა დახუთულია, შეიძლება, ქურთუკი გავიხადო?

- ოო! რაც გინდა, გაიხადე.

სამხედრო ქამარს იხსნის, ქურთუკს იხდის. ქამრის მოხსნის ხმაური სხვენს მანევრებიდან დაბრუნებული გაოფლილი ჯარისკაცების ყაზარმად აქცევს. დივინიც, უკვე ვთქვი, ცისფერებშია გამოწყობილი, რომელიც მის სხეულს ირგვლივ ევლება. ქერაა და ასეთი ჩალისფერის ქვეშ სახე ცოტა ნაოჭიანი უჩანს; როგორც მიმოზა იტყოდა, დაჭმუჭნილი აქვს (მაგრამ მიმოზა ამას განგებ ამბობს, რომ დივინს გული ატკინოს), მაგრამ გაბრიელს ეს სახე მოსწონს. დივინს უნდა, ამაში დარწმუნდეს და სანთლის ალივით ათრთოლებული ეუბნება:

- ვბერდები. მალე ოცდაათისა გავხდები.

გაბრიელს ქვეცნობიერი დელიკატურობით არ სურს ყალბად ანუგეშოს, „შენზე კაცი ამას ვერ იტყვისო“ და პასუხობს:

- ეს ხომ ყველაზე კარგი ასაკია. ამ ასაკში უკვე ყველაფერში კარგად ერკვევი.

მერე უმატებს:

- ნამდვილი ასაკია.

დივინს თვალები და კბილები უბრწყინავს, მათი ბრწყინვა ჯარისკაცის თვალებსა და კბილებს გადაეცემა.

- კი აბა, ამაში კარგი არაფერია.

გაბრიელი იცინის, მაგრამ, ვგრძნობ, უხერხულადაა.

დივინი ბედნიერია. გაბრიელი ახლა მოდუნებულია და მის გვერდითაა, ფერმკრთალი და ღია ცისფერი: ფრენით დაღლილი ორი ანგელოზი ტელეგრაფის ბოძზე ჩამომჯდარა, მაგრამ ქარის ერთმა დაქროლამ ისინი ჭინჭრიან ორმოში გადაუძახა და ახლა ისინი უბიწონი აღარ არიან.

ერთ ღამეს მთავარანგელოზი ფავნუსად გადაიქცა. დივინი წინ ეყენა, პირისპირ იდგნენ. მისი „მახვილი“ დივინის ქვეშ უცბად მძლავრზე მძლავრად იქცა და თავგამოდებით ცდილობდა შიგნით შეღწევას. და როცა შესასვლელი იპოვა, ოდნავ მოიღუნა და შევარდა. გაბრიელმა ისეთ ვირტუოზულობას მიაღწია, რომ შეძლო და თვითონ უძრავად მდგარმა, თავის ასოს ისეთი ცახცახი აუყენა, რომ გაშმაგებული ცხენის ცახცახს შეედრებოდა. ჩვეული გააფთრებით შევარდა და საკუთარი სიძლიერის შეგრძნება ისე მძლავრად განიცადა, რომ მან - ხორხითა და ცხვირით - გამარჯვებულმა დაიჭიხვინა, თანაც ისე დაუოკებლად, დივინმა იფიქრა, გაბრიელი მთელი თავისი კენტავრის სხეულით შემოვიდაო; და სიყვარულისაგან გული წაუვიდა, ხეში მჯდომარე ნიმფასავით.

ეს თამაში ხშირად მეორდებოდა. დივინის თვალებში ნაპერწკალი გაჩნდა, კანი კი უფრო გაუნაზდა. მთავარანგელოზი სერიოზულად თამაშობდა თავის „მამლის“ როლს; თან „მარსელიეზას“ მღეროდა, რადგან მხოლოდ ახლაღა იგრძნო სიამაყე, რომ ფრანგი იყო, გალიური მამალი, რითაც მხოლოდ მამაკაცებს თუ შეუძლიათ იამაყონ. მერე ომში წავა და დაიღუპება. ერთ საღამოს დივინის სანახავად ბულვარზე მივიდა.

- ცოტა ხნით გამათავისუფლეს; შენი გულისთვის ვითხოვე. წამო, ჩავხეთქოთ; დღეს მაყუთი მაქვს.

დივინმა სახეში შეხედა.

- მაშ გიყვარვარ, მთავარანგელოზო?

გაბრიელმა გაღიზიანებით აიჩეჩა მხრები.

- სიფათში უნდა გთხლიშოს კაცმა, - გამოცრა კბილებშუა, - შენ რა, ვერ ხედავ?

დივინმა თვალები დახუჭა, გაიღიმა და ყრუ ხმით თქვა:

- წადი, მთავარანგელოზო. წადი აქედან, უკვე დავტკბი შენი ცქერით. მეტისმეტად ბევრ სიხარულს მანიჭებ, მთავარანგელოზო.

მთვარეულივით ლაპარაკობდა, თუ, რა თქმა უნდა, მთვარეული ლაპარაკობს, პირდაპირ, დაძაბულად, სახეზე შეყინული ღიმილით.

- წადი, თორემ მკლავებში ჩაგივარდები. ოო, მთავარანგელოზო!

მერე ისევ ჩაიჩურჩულა:

- ოო, მთავარანგელოზო!

გაბრიელი წავიდა, გაღიმებული, ნელი და დიდი ნაბიჯებით, რადგან ჩექმები ეცვა. მერე საფრანგეთისთვის დაიღუპა ომში. გერმანელმა ჯარისკაცებმა იქვე დამარხეს, სადაც დაეცა - ტურენის ციხე-დარბაზის გალავანთან. დივინს მის საფლავთან მისვლა, იქ ჩამოჯდომა და ჯიმისთან ერთად თითო სიგარეტ „კრავენის“ გაბოლება შეეძლო.

ვხედავთ, როგორ ზის იქ, გრძელი ფეხები ერთმანეთზე გადაუწყვია, სიგარეტი ტუჩებთან ახლო უჭირავს. ის იღიმება. თითქმის ბედნიერი ღიმილით.

კაფე „გრაფში“ შესვლისთანავე მიმოზა დაინახა. იმანაც შეამჩნია. ოდნავ შესამჩნევი ჟესტით მიესალმნენ ერთმანეთს. ჟესტიც არ იყო, თითების თამაში რაღაცა.

- გამარჯობა! აბა, როგორ არის შენი ნოტრ-დამი, ჩემო ლამაზო?

- ოო, ნურაფერს მკითხავ. გაიქცა. წავიდა ნოტრ-დამი, გაფრინდა. ანგელოზებმა წაიყვანეს. მომპარეს. მიმო, ხომ ხედავ, ძალიან, ძალიან უნუგეშოდ ვარ. ცხრადღიანი აღთქმა უნდა დავდო, მონაზვნად აღკვეცას ვაპირებ.

- შენმა ნოტრ-დამმა დაახვია? საშინელებაა! ქუჩის ქალი ეგა!

- დავივიწყოთ, დავივიწყოთ.

მიმოზამ მოინდომა, დივინი მის მაგიდასთან დამჯდარიყო. განაცხადა, ამ საღამოს ყველა კლიენტი თავიდან მოვიშორეო.

- კვირას აქეთია, სამიკიტნოში ვზივარ, დიახ, დიახ. ჯინი დალიე, ჩემო პატარა გოგო.

დივინი შეწუხებული იყო. მას ისე ძალიანაც არ უყვარდა ნოტრ-დამი, იმაზე ფიქრით დატანჯულიყო, რომ ჩაუშვეს, თუნდაც დანაშაული მართლა ჩაედინა, მაგრამ ახსოვდა, რომ მიმოზამ მისი ფოტო ისე გადაყლაპა, როგორც სეფისკვერს ყლაპავენ ხოლმე; ისიც ახსოვდა, როგორ ეწყინა, როცა ნოტრ-დამმა უთხრა, ფეთხუმი ხარო. მაინც გაიღიმა, ღიმილი ახლოს მიიტანა მიმოზას სახესთან, თითქოს უნდა აკოცოსო; მათი სახეები უცბად ისე ახლო აღმოჩნდა ერთმანეთთან, რომ ორივეს მოეჩვენა, თითქოს საკუთარ ქორწილს ესწრებოდნენ. ამან ორივე დეიდა-პედერასტი შეაძრწუნა. დივინი

ისევ ღვთაებრივად იღიმებოდა და ჩაიჩურჩულა:

- მძულხარ.

მას ეს არ უთქვამს. სიტყვა მხოლოდ ყელში წარმოეშვა და სახე მაშინვე ისე დაეხურა, როგორც სამყურა იხურება ხოლმე შებინდებისას. მიმოზა ვერაფერს მიხვდა. დივინმა მიმოზას უცნაური ზიარების შემთხვევა დამალა. ეშინოდა, ნოტრ-დამმა რომ გაიგოს, გაიხარებს და ჩემს მეტოქეს კეკლუცობას დაუწყებსო. ნოტრ-დამი ყველა პედერასტზე კეკლუცი დაუკანასკნელი ალფონსივით ჩათლახი იყო. საკუთარ თავს ეს საქციელი ასე აუხსნა, მინდოდა, ნოტრ-დამი ამპარტავნობის ცოდვისგან გადამერჩინაო. ვინაიდან, როგორც ცნობილია, დივინს დიდი ძალისხმევა სჭირდებოდა იმისათვის, რომ ამორალური ყოფილიყო და ეს აუარებელი ფანდით გამოსდიოდა, რომლებიც აწამებდა და ტანჯავდა. მისი ინდივიდუალურობა შებორკილია ათასი გრძნობითა და მათი დაპირისპირებებით, რომლებიც ერთმანეთს ეხლართება, იხსნება, ენასკვება, ისევ იხსნება და გიჟურ უწესრიგობას ქმნის. დივინი წინააღმდეგობას უწევდა. უნდოდა, თავს მორეოდა. პირველი, რაც გაიფიქრა, იყო: „მიმოზამ არაფერი არ უნდა გაიგოს; მეზიზღება ეს ბოზი“. ეს უფრო აზრი იყო სუფთა სახით. მაგრამ დივინის შეგრძნებებში იგი ცოტა სხვანაირად გამოიყურებოდა, წმინდანი ქალები ხომ ზეციდან ჩუმად უთვალთვალებდნენ; დივინს მათი ეშინოდა, ოღონდ იმიტომ კი არა, რომ ისინი მრისხანეები იყვნენ და ცუდი აზრებისთვის სჯიდნენ, არამედ იმიტომ, რომ თაბაშირისგან იყვნენ გაკეთებული, ფეხები კი მაქმანებსა და ყვავილებში ჰქონდათ ჩაფლული, თანაც ყველაფერი იცოდნენ. გონებაში კი ამბობდა: „ნოტრ-დამი რა ამაყია! და რა სულელი!“ ეს პირველი წინადადებიდანვე იყო ნათელი, საიდანაც ბუნებრივი დასკვნა გამოდიოდა. მაგრამ მორალი, რომელსაც ეს დასკვნა შეიცავდა, ამის აღმოთქმის უფლებას იძლეოდა. მხოლოდ გამბედაობამოკრებილს შეეძლო ეთქვა: „ეს ბილწი გოგო ვერაფერს გაიგებს“ (მიმოზა), მაგრამ ამ შემთხვევაშიც კი თავის სიძულვილს სახუმარო ზიზილ-პიპილებით ფარავდა და მიმოზას მდედრობით სქესში იხსენიებდა. მამრობითში რომ მოეხსენიებინა, უფრო სერიოზული იქნებოდა. ამას ცოტა მოგვიანებით ვნახავთ. დივინი ისეთი თავდაჯერებული როდი იყო, ერწმუნა, მიმოზას ჩემთან ჯდომა იმიტომ უნდა, ჩემი საზოგადოებით დატკბესო. არც ენდო და ხმამაღლა თქვა:

- ჩემს საიდუმლო ენას ვქმნი.

- რაო, რაო, რას ქმნი? - ჰკითხა მიმოზამ.

დივინმა გაიცინა:

- იმას, რომ სულელი გოგო ვარ.

ცხადია, როჟემ, მიმოზას კაცმა, იგრძნო, რომ რაღაც ისე ვერ იყო. განმარტება მოითხოვა. დივინს გამოცდილება უკარნახებდა, რომ მიმოზა მეორეს ვერ გაუმკლავდებოდა. თუმცა კი არ იცოდა, რა მომენტში გამომჟღავნდებოდა მისი დაქალის გამჭრიახობა, მაგრამ მისი დეტექტიური შესაძლებლობების საბუთები მრავლად ჰქონდა. „მიმო ინფორმაციას არაფრიდანაც იღებს“. მასზე უკეთ არავის შეუძლია ამ „არაფრის“ გარჩევა და მისთვის ლაპარაკის დაწყებინება:

- ესე იგი, მიდიხარ? ნოტრ-დამი მიგყავს? რა ბოროტი და ეგოისტი ხარ.

- მოგვიანებით გნახავ, ჩემო ანგელოზო. დღეს მეჩქარება.

დივინმა თავის ხელისგულს აკოცა და მიმოზასკენ შეუბერა (მიუხედავად ღიმილისა, დივინს სახე უცებ სერიოზული გაუხდა ლარუსის ქალბატონივით, რომელიც ბაბუაწვერას თესლებს ფანტავს აქეთ-იქით) და ისე წავიდა, თითქოს ვიღაც უჩინარ მეგობართან ხელგაყრილი მიდისო, ესე იგი ნელა, მძიმედ და გაუცხოებულად.

როცა ფიქრობდა, ნოტრ-დამი ამპარტავანიაო და როცა გაიგებს, როგორ შეჭამა მიმოზამ მისი ფოტო, მისდამი კეთილად განეწყობაო, დივინი ცდებოდა. ნოტრ-დამი ამპარტავანი არ იყო. ღიმილიც არ მოსვლია ბაგეზე, მხრები აიჩეჩა და განაცხადა:

- ეგ გოგო უხეშად მუშაობს. ჯობია, ქაღალდი ხეთქოს.

ეს გულგრილობა შეიძლება იმის შედეგიც იყო, რომ ნოტრ-დამი ისე არ გრძნობდა, როგორც მიმოზა და ვერც წარმოიდგენდა, რომ სასურველი ადამიანის სახებასთან შერწყმის დროს (ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით) შეიძლება პირით დალიო ის და რაღაც ემოცია განიცადო. არ ჰქონდა უნარი, ამაში მისი მამაკაცობისა თუ სილამაზის ჰატივისცემა შეეცნო. საიდანაც ასეთი დასკვნა უნდა გავაკეთოთ: ეს საერთოდ არ სჭირდებოდა. და მაინც - ამას მერე ვნახავთ - მოსწონდა, როცა თაყვანს სცემდნენ. რაც შეეხება დივინს,

უნდა ვთქვათ, რომ მიმოზას ერთხელ ასე უპასუხა: „ნოტრ-დამის ამპარტავნობას საზღვარი არა აქვს. მინდა, მისგან ამპარტავნობის ძეგლი შევქმნა“, თან ფიქრობდა, ნეტა ამპარტავნობისგან გაქვავდებოდეს, ხორცშესხმულ ამპარტავნობად იქცეოდესო. ნოტრ-დამის ნაზმა ახალგაზრდობამ - ვინაიდან მასაც ჰქონდა სინაზის მომენტები - ვერ შეძლო დივინის მოთხოვნილების დაკმაყოფილება, დამორჩილებოდა უხეშ ძალას. ამპარტავნობის იდეა გასაოცარი სიზუსტით შეერწყა ქანდაკების იდეას, ორივე კი - უდრეკი სიმტკიცის იდეას. თუმცა, გასაგებია, რომ ნოტრ-დამის ამპარტავნობა მხოლოდ საბაბი იყო.

უკვე ვთქვი, რომ მინიონ-პაწია-ფეხი მანსარდაში აღარ გამოჩენილა და ნოტრ-დამს ტიუილრის ბაღშიც კი აღარ შეხვედრია. ეჭვიც არ ეპარებოდა, რომ ნოტრ-დამმა მისი უნამუსობის ამბავი იცოდა. დივინი თავის მანსარდაში მხოლოდ ჩაითა და სევდით ცხოვრობდა. თავის სევდას ჭამდა და სვამდა. ამ მჟავე საკვებმა სხეული გამოუშრო და სული დაუღრღნა. თავის გარეგნობაზე ზრუნვამ, სილამაზის სალონებმა მის სიგამხდრესა და მკვდრისფერს ვერაფერი უშველა. პარიკს ატარებდა, რომელსაც დიდი ოსტატობით იმაგრებდა, მაგრამ საფეთქლებთან ტიულის სარჩული მაინც ემჩნეოდა. პუდრი და კრემები შუბლზე ზოლს ცუდად უფარავდა. შეიძლება ვიღაცას ისიც კი მოსჩვენებოდა, რომ ხელოვნური თავი ჰქონდა. იმ დროს, როცა მინიონი ჯერ კიდევ სხვენში ცხოვრობდა, უბრალოდ ვიღაც „ხვადი“ რომ ყოფილიყო, მთელი ამ ეშმაკობებით თავს კარგად შეიქცევდა;მაგრამ იგი „ხვადი“ იყო, რომელსაც ხმები ესმოდა. ის არც იცინოდა და არც იღიმებოდა. ლამაზი იყო და თავის სილამაზეს უფრთხილდებოდა - ხვდებოდა, რომ, თუ სილამაზეს დაკარგავდა, ყველაფერს დაკარგავდა; ყველაზე ახირებული ეშმაკობებიც კი, რომლებიც იქით იყო მიმართული, რომ უფრო მეტად შეეყვარებინათ მისთვის თავი, მის გულს არ ხვდებოდა, მის მკაცრ ღიმილსაც კი არ იწვევდა. ეს ბუნებრივიცაა. მის წინ იმდენ ბებერ საყვარელს წაუსვამს ფერუმარილი, რომ კარგად იცოდა, სილამაზის ნაკლი ყოველგვარი ჯადოქრობის გარეშე სწორდებოდა. შეხვედრების სახლების ოთახებში იგი მოწმე გამხდარა, რა მოხერხებულად აღიდგენდნენ ხოლმე ქალები გარეგნობას; ტუჩებთან პომადამიტანილი ქალის ყოყმანიც შეუმჩნევია. ბევრჯერ დახმარებია დივინს პარიკის დამაგრებაში, რასაც ძალზე მოხერხებულად, თუ შეიძლება ასე ითქვას, ბუნებრივი მოძრაობებითაც კი აკეთებდა. იგი მიეჩვია, რომ ასეთი დივინი ჰყვარებოდა; ყველა იმ სიმახინჯით განიმსჭვალა, რისგანაც დივინი შედგებოდა. დაათვალიერა კიდეც: მეტისმეტად თეთრი და მშრალი კანი, სიგამხდრე, ჩაცვენილი თვალები, გაპუდრული ნაოჭები, მიწებებული თმა, ოქროს კბილები. არაფერი გამოუტოვებია. თავს უთხრა, ეს ყველაფერი არსებობსო, და ამ ყველაფრის სიყვარული განაგრძო. სიამოვნება შეიცნო და შიგ ჩაიძირა. ძლიერმა, დაკუნთულმა, თბილი ბალნით დაფარულმა მინიონმა უგონოდ შეიყვარა ხელოვნური, იაფფასიანი მამათმავალი. დივინის ეშმაკობები არაფერ შუაში იყო. მინიონი დაუფიქრებლად გადაეშვა ამ გარყვნილებაში; მერე ნელ-ნელა მოსწყინდა. დივინისადმი ინტერესი დაკარგა და მიატოვა. აი მაშინ კი, მანსარდაში, დივინმა სასოწარკვეთის შიში შეიცნო. სიბერე სამარისაკენ უბიძგებდა. იქამდე მივიდა, რომ უწინდელი გადაპრანჭული ჟესტების ხმარებას ვეღარ ბედავდა; ისინი, ვინც იმხანად ეცნობოდა, ამბობდნენ, ცდილობდა, შეუმჩნეველი დარჩენილიყოო. მაგრამ მას მაინც სჭირდებოდა ის სიამოვნებები, მისთვის ლოგინსა და ეკლესიას რომ მოჰქონდა; იქამდე მივიდა, კლიენტებს ტუალეტებში ეძებდა, და მაშინაც კი უწევდა საყვარლებისთვის ფულის გადახდა. სასიყვარულო თამაშებისას საშინელებები ემართებოდა; ასე შეაშინა ერთი მგზნებარე ბიჭი: როცა დივინი მის წინ იყო ჩაჩოქილი, ბიჭმა, არ ვიცი, თმის აჩეჩვა მოუნდომა თუ მეტისმეტად უხეშად მიიზიდა მისი თავი, დაწებებული პარიკი მოსძვრა. მისი სიამოვნებები წვრილმანი მოუსვენრობებით იყო სავსე. მანსარდიდან აღარ გამოდიოდა და ონანიზმით იყო გართული. დღედაღამ იწვა, მიცვალებულთა ფანჯარაზე, განსვენებულთა ფანჯრის ღიობზე ფარდები იყო ჩამოფარებული. სვამდა ჩაის, ჭამდა ტკბილღვეზელებს; მერე, თავზე ზეწარწაფარებული, სრულიად წარმოუდგენელ ორგიებს იგონებდა: ორთან, სამთან თუ ოთხთან, რომლის დროსაც ყველა პარტნიორი ერთად უნდა ყოფილიყო მასზე, მასში და მისთვის უნდა მიენიჭებინათ სიამოვნება. იგონებდა ვიწრო, მძლავრ, რკინასავით მაგარ ლაჯებს, ყოველი მხრიდან თითქოს რომ ხვრეტდნენ მას. არად აგდებდა პარტნიორების მიდრეკილებებსა და გემოვნებას და აიძულებდა, მასთან ეჯიმავათ. იგი თანახმა იყო, ამ სატრფიალო თამაშების

ერთადერთი ობიექტი ყოფილიყო, და მისი გონება ისწრაფოდა, ისინი ყველა ერთდროულად მიეღო და ჩაძირულიყო ავხორცობაში, რომელიც მისკენ ყოველი მხრიდან მოედინებოდა. სხეული თავით ფეხამდე უთრთოდა. გრძნობდა, როგორ გადიოდნენ მასში უცნობი ადამიანები. მისი სხეული ყვიროდა: „ღმერთი, აგერ, ღმერთი!“ და ძალაგამოლეული ეცემოდა. მალე სასიამოვნო შეგრძნებები შეუსუსტდა. მაშინ დივინმა „მამლის“ სხეული გადაიცვა; უცბად ძლიერი, დაკუნთული გახდა; საკუთარი თავი ფოლადივით მტკიცე დაინახა, ჯიბეეში ხელებჩაწყობილი, სტვენით მავალი. წარმოიდგინა, საკუთარ თავთან სქესობრივი კავშირი როგორ დაამყარა. ბოლოს იგრძნო, როგორ დაებერა და გაუმაგრდა კუნთები ბარძაყებზე, ბეჭებზე, ხელებზე, როგორც მაშინ, როცა ცდილობდა, საკუთარი თავისთვის ვაჟკაცური იერი მიეცა და გუნება გაუფუჭდა. ეს ცეცხლიც ჩაუქრა. ჩამოხმა. უპეებში წრეებიც კი გაუქრა.

სწორედ მაშინ გამოიხმო მეხსიერებიდან ალბერტო და მისით დაოკდა. ალბერტო არამზადა იყო. მთელი სოფელი ერიდებოდა. ქურდი იყო, უხეში და ყიამყრალი. გოგოები ტუჩებს იბზუებდნენ, თუ ვინმე მათთან მის სახელს ახსენებდა; ღამღამობით კი, ზოგჯერ მძიმე სამუშაოების შესრულებისასაც, უცბად ახსენდებოდათ მისი მძლავრი ბაყვები, მძიმე ხელები, ჯიბეებს რომ უბერავდა და საკუთარ გვერდებს ნაზად ეფერებოდა, ან ნელი მოძრაობით ისწორებდა დაჭიმულ თუ გამობერილ შარვლის ქსოვილს. დიდი და ტლანქი კოტიტათითებიანი ხელის მტევნები მშვენიერი ცერა თითით, ვენერას მძლავრი ბორცვით, ხავსის ნაგლეჯებივით ეკიდა. ზაფხულის ერთ საღამოს ბავშვებმა, რომლებსაც, ჩვეულებრივ, გასაოცარი ახალი ამბები მოაქვთ ხოლმე, სოფელს შეატყობინეს, ალბერტო გველებს იჭერსო. „გველმჭერი ზედგამოჭრილი სახელია მაგისთვის“, გაიფიქრეს მოხუცმა ქალებმა. ეს კიდევ ერთი მიზეზი იყო, რომ მისთვის ჯვარი დაესვათ. სწავლულები ყოველ ცოცხლად დაჭერილ გველში მაცდუნებელ ჯილდოს იძლეოდნენ. შემთხვევით, ხუმრობით, ალბერტომ ერთი დაიჭირა, ცოცხალი მიიყვანა და დაპირებული ჯილდოც მიიღო. ასე გაჩნდა მისი ახალი მეტსახელი, რომელიც მოსწონდა და აცოფებდა კიდეც. ის არც ზეადამიანი იყო და არც გარყვნილი ფავნუსი: ჩვეულებრივი ბიჭი იყო, ჩვეულებრივი აზრებით, რომელსაც შეეძლო, ავხორცობა უფრო მიმზიდველად ექცია. გეგონებოდა, გამუდმებულ ტკბობაში იყო ან განუწყვეტელ თავდავიწყებაში. კიულაფრუასთვის მასთან შეხვედრა გარდაუვალი იყო. ერთ ზაფხულს იგი სოფლის შარაზე თავისთვის დაეხეტებოდა. შორიდანვე შეამჩნია ალბერტოს ჩრდილი და მიხვდა, რომ ამ სეირნობის აზრი და მიზანი იქ იყო. ალბერტო უძრავად იდგა გზის პირას, თითქმის ჭვავის ყანაში, გეგონებოდა, ვიღაცას ელოდებაო, ფართოდ გაეჩაჩხა ლამაზი ფეხები, როდოსის კოლოსის პოზაში იდგა, ან იმ პოზაში, ამაყი და მედიდური ჩაფხუტიანი გერმანელი გუშაგები რომ გვიჩვენებდნენ. კიულაფრუას ის მოეწონა. გულგრილი და ყოჩაღი იერით გვერდით რომ ჩაუარა, გაწითლდა და თავი დახარა, ტუჩღიმილიანი ალბერტო კი მიმავალს გაჰყურებდა. ის თვრამეტი წლისა იყო, ამიტომაც ხედავს დივინი მას, როგორც ზრდასრულ მამაკაცს.

მეორე დღეს ისევ მივიდა. ალბერტო იქ დახვდა, გუშაგივით თუ ქანდაკივით იდგა გზის პირას. „გამარჯობა“, - უთხრა ტუჩაგრეხილი ღიმილით (ეს ღიმილი ალბერტოს თავისებურება იყო; იგი თვითონვე იყო. ყველას შეუძლია ჰქონდეს ან შეიძინოს მისი თმის სიუხეშე, კანის ფერი, სიარულის მანერა, მაგრამ არა მისი ღიმილი. ახლა, როცა დივინი გამქრალ ალბერტოს ეძებს, უნდა, რომ იგი საკუთარ თავზე დაიხატოს და ტუჩებით მისი ღიმილის გამეორებას ცდილობს. კუნთებს ძაბავს, ჰგონია - სჯერა კიდეც, რადგან გრძნობს, როგორ ეგრიხება პირი - რომ ეს გრიმასა ალბერტოს ამსგავსებს, იმ დღემდე, ვიდრე თავში აზრად არ მოუვა, ეს სარკის წინ გააკეთოს, და დაინახავს, რომ ამ გრიმასას არაფერი აქვს საერთო იმ სიცილთან, რომელსაც ოდესღაც ვარსკვლავური ვუწოდეთ).

- გამარჯობა! - ჩაიჩურჩულა კიულაფრუამ. მარტო ეს უთხრეს ერთმანეთს, მაგრამ ამ დღიდან ერნესტინი იძულებული გახდა, შიფერისსახურავიანი სახლიდან მის გაპარვებს შერიგებოდა. ერთ დღეს:

- გინდა, კალათში ჩაგახედო?

ალბერტომ ტირიფის წნელით დაწნული, თავდახურული და ღვედით შეკრული პატარა კალათი უჩვენა. იმ დღეს შიგ მხოლოდ ერთი კოხტა და გაბოროტებული გველი იყო.

- ვხსნი.

- ოო, არა, არა, არ გახსნათ! - წამოიძახა კიულაფრუამ. მუდამ რაღაც დაუძლეველი ზიზღი ჰქონდა ქვეწარმავლებისა.

ალბერტომ თავსახური აღარ ახადა კალათს, სამაგიეროდ თავისი მძიმე, მოალერსე, ეკლებით დაჩხაპნილი ხელი დაადო კეფაზე კიულაფრუას, რომელმაც ლამის ჩაიჩოქა. მეორედ კალათში ერთმანეთში ახლართული სამი ჭრელი გველი იკლაკნებოდა. თავებზე მაგარი ტყავის, კისერზე თასმით შეკრული პატარა კაპიუშონები ეხურათ.

- შეგიძლია ხელი დაადო, არაფერს გიზამენ.

კიულაფრუა არ განძრეულა. თითქოს მოჩვენებას ან ციურ ანგელოზს შეეჩეხაო, შიშისგან გათანგულმა, გაქცევა ვერ შეძლო. თავის მობრუნებაც კი ვერ მოახერხა, ისე იყო გველებისგან დაჰიპნოზებული, თან გულისრევამაც წამოუარა.

- რა იყო, შეგეშინდა? ადრე მეც ეგრე მომივიდა.

ტყუილი იყო, ბავშვის დამშვიდება უნდოდა. ალბერტომ ცალი ხელი მშვიდად, ნელა და მტკიცედ ჩააცურა რეპტილიების გორგალში, იქიდან ერთი ამოიყვანა, გრძელი და წვრილი, რომლის კუდიც მაშინვე მათრახივით, უხმაუროდ შემოეხვია მის შიშველ მკლავს.

- ხელი შეახე! - უთხრა და თვითონვე მიიტანა ბავშვის ხელი ქერცლიან და გაყინულ სხეულთან, მაგრამ კიულაფრუამ მუშტი შეკრა და მხოლოდ თითების სახსრები შეახო გველს. შეხებაც არ იყო. სიცივემ გააოცა; იგი მის სისხლში შევიდა და ზიარებაც შედგა. საფარველი დაეშვა, მაგრამ კიულაფრუამ ჯერ არ იცოდა, რომელი გამოსახულების წინაშე, არც ის, მძიმე იყო თუ მსუბუქი ეს გამოსახულება: მისმა თვალმა გარჩევა ვერ შეძლო. ალბერტომ მეორე გველი ამოიყვანა და კიულაფრუას შიშველ ხელზე დაუდო; ისიც ისევე შემოეხვია მკლავზე, როგორც პირველი.

- ხომ ხედავ, არაფერს გიშავებენ (ალბერტო გველებზე მდედრობით სქესში ლაპარაკობდა).

ალბერტო, მგრძნობიარე თავისივე ასოსავით, რომელიც თითის შეხებისთანავე უდიდდებოდა, გრძნობდა, როგორ აღეგზნო ბავშვი, როგორ იმძლავრა მასში ემოციამ, რის გამოც იგი დაიძაბა და ათრთოლდა. გველების შემწეობით მათ შორის ფარული მეგობრობა იშვა. და მაინც ბიჭი გველებს არ შეხებია, არ შეხებია თავისი სხეულის მგრძნობიარე ორგანოებით, თითის წვერების იმ პატარა ბორცვებით, რომელთა მეშვეობითაც ბრმები კითხულობენ. ალბერტომ მუშტი გაუხსნა და გველის პირქუშ, გაყინულ სხეულზე ჩამოასმევინა. ეს უკვე აღმოჩენა გახლდათ. იმ წამიდან ბიჭს მოეჩვენა, თუ უამრავი გველი შემოესეოდა, შემოეხვეოდა და მასში შეძვრებოდა, ვერაფერს იგრძნობდა, მეგობრული სიხარულისა და ერთგვარი სინაზის გარდა. ამასობაში ალბერტოს მტკიცე ხელს მისი ხელი ისევ ეჭირა და არ უშვებდა, არც მისი ბარძაყი შორდებოდა კიულაფრუას ბარძაყს; და იგი უკვე აღარ იყო მარტო თვითონ. კიულაფრუა და დივინი, მათი დახვეწილი გემოვნების მიუხედავად, მუდამ იძულებული იქნებიან, უყვარდეთ ის, რაც სძულთ. მათი სიწმინდე ნაწილობრივ ამაშიც ვლინდება, რადგან ამაში არის რაღაცა თვითუარყოფისა.

ალბერტომ მას გველების ჭერა ასწავლა. შუადღეს უნდა დაელოდო, როცა გველები მზის სხივებქვეშ ქვებზე გაწვებიან დასაძინებლად. ნელა მიუახლოვდე, ძალიან ფრთხილად, კისერში სტაცო ხელი, თავთან რაც შეიძლება ახლოს, მაგრად მოუჭირო საჩვენებელი და შუა თითის ფალანგები, რომ ქვეწარმავალი არ გასხლტეს და არ გიკბინოს; და მერე, ვიდრე იგი სასოწარკვეთისგან სისინებს, თავზე კაპიუშონი ჩამოაცვა სწრაფად და ყუთში ჩააგდო. ალბერტოს ნაწიბურებიანი ხავერდის შარვალი ეცვა, გეტრები, სახელოებაკეცილი ნაცრისფერი პერანგი. ლამაზი იყო, როგორც ამ წიგნის ყველა „მამალი“, ძლიერი და სათუთი, მაგრამ საკუთარი მშვენიერებისა არაფერი გაეგებოდა. უხეში, ჯიუტი თმა ტუჩებამდე ეყრებოდა, და ესეც საკმარისი იყო, სუსტი და გულჩათხრობილი ბავშვის თვალში მეფური დიდებით შემკულიყო. ჩვეულებრივ, დაახლოებით დილის ათი საათისთვის ხვდებოდნენ ერთმანეთს გრანიტის ჯვართან. ცოტას გოგოებზე იყბედებდნენ და გზას გაუდგებოდნენ. მოსავალი აღებული ჯერ არ იყო. ჭვავისა და ხორბლის დამძიმებული თავთავები, სხვებისთვის ხელდაუკარებელი, მათთვის საიმედო თავშესაფარი გახლდათ. ყანაში შევიდოდნენ, გაძვრებ-გამოძვრებოდნენ, უცბად შუა მინდორში აღმოჩნდებოდნენ, ღია ცისქვეშ გაიშოტებოდნენ და შუადღეს ელოდნენ. კიულაფრუა ჯერ ალბერტოს ხელებს გაეთამაშა, მეორე დღეს - ფეხებს, მერე - ყველაფერ დანარჩენს. დივინი

თავის მოგონებებს გაჰყვა, ისევ დაინახა თავისი თავი, როგორ უცვივდებოდა ლოყები მსტვინავი ბიჭივით. ალბერტომ ყველა მხრიდან იხმარა ბიჭი, ვიდრე თვითონ არაქათგამოცლილი არ დაეცა.

ერთ დღეს კიულაფრუამ უთხრა:

- სახლში უნდა წავიდე, ბერტო.

- წადი, მაშინ საღამომდე, ლუ.

რატომ „საღამომდე“? ეს ფრაზა, რომელიც ალბერტოს თავისთავად აღმოხდა, კიულაფრუამ ბუნებრივად ჩათვალა და უპასუხა:

- საღამომდე, ბერტო.

ოღონდ დღე უკვე მთავრდება და ისინი მხოლოდ ხვალ შეხვდებიან ერთმანეთს; და ალბერტომ ეს იცოდა; სულელურად გაიღიმა, რადგან გაიფიქრა, რომ ის წინადადება წამოსცდა, რაზეც არც უფიქრია. არც კიულაფრუას უცდია ამ გამოსამშვიდობებელი სიტყვების მნიშვნელობის აზრში ჩაწვდომა. ამ ფრაზამ ისე ააღელვა, როგორც გვაღელვებს ხოლმე ზოგიერთი უბრალო ლექსი, რომელთა ლოგიკური აზრი და გრამატიკა მხოლოდ მას შემდეგ ხდება ჩვენთვის ნათელი, რაც მისი ხიბლით დავტკბებით. კიულაფრუა ხომ ისედაც მოხიბლული იყო. შიფერისსახურავიან სახლში ის დღე რეცხვის დღე იყო. ბაღში საშრობზე ჩამოკიდებული ზეწრები თავისებურ ლაბირინთს ქმნიდა, რომელთა შორისაც მოჩვენებები დასრიალებდნენ. ნათელია, რომ ალბერტო იქ დაელოდება. მაგრამ რომელ საათზე? ამაზე არაფერი უთქვამს. ქარი თეთრ ზეწრებს ისე აფრიალებდა, როგორც მსახიობი ქალის ხელი მოხატული ტილოს დეკორაციას. ღამე ჩასქელდა, ფართო ზედაპირებიდან სათუთად ააგო მკვრივი ნაგებობები, ჩრდილებით აავსო. კიულაფრუამ სეირნობა იმ დროს დაიწყო, როცა ცაზე სფეროსებრი, მბოლავი მთვარე ამოცურდა. აქ დრამა უნდა გათამაშდეს. იქნებ ალბერტო იმიტომ უნდა მოვიდეს, რომ ისინი გაქურდოს? მას ფული სჭირდება „თავისი ვარიისთვის“, როგორც თვითონ ამბობდა. რადგან „ვარია“ ჰყავდა, მაშასადამე, ნამდვილი „მამალია“. რაც შეეხება ბინის გაქურდვას, სრულიად შესაძლებელია: ერთხელ უკვე გამოიკითხა შიფერისსახურავიანი სახლის მოწყობილობის ამბავი. კიულაფრუას ეს აზრი მოეწონა. იმედი ჰქონდა, ალბერტო ამისთვის მოვიდოდა. მთვარე დიდებულად ამოვიდა, ცას იმ იმედით დაეკიდა, რომ შთაბეჭდილებას მოახდენდა ადამიანებზე, რომლებსაც არ ეძინათ. ათასი ხმა, რისგანაც ღამის სიჩუმე შედგება, ბავშვის ირგვლივ შეჯგუფდა, როგორც ტრაგედიის ქორო, სადაც სპილენძის საკრავების ხმის სიმძაფრე იდუმალებას ეუღლება იმ სახლებში, სადაც დანაშაულობები ნავარდობს, იმ ციხეებში, სადაც - ჰოი, საშინელებავ! - გასაღებების აცმულას ხმაური არასოდეს გაუგიათ. კიულაფრუა ზეწრებს შუა ფეხშიშველი სეირნობდა. ამ მსუბუქი წამების გაელვებას ისე განიცდიდა, თითქოს მღელვარებისა და სინაზის მენუეტს ცეკვავსო. საბალეტო პაც კი სცადა თითის წვერებზე, მაგრამ ზეწრებს, დაკიდებულ ტიხრებსა და კორიდორებს რომ ქმნიდნენ, მიცვალებულივით გადაფითრებულ, გაერთიანებულ უმოძრაო ზეწრებს მისი შეპყრობა და დახრჩობა შეეძლოთ, როგორც ცხელი ქვეყნების ზოგიერთი ხის ტოტები ექცევიან გაუფრთხილებელ ველურებს, როცა ისინი მათ ჩრდილქვეშ მოინდომებენ დასვენებას. მიუხედავად იმისა, რომ მიწას მხოლოდ მსუბუქი ნაბიჯით შეეხო, ფეხისზურგგამართული, ამ მოძრაობას შეეძლო მოეწყვიტა იგი დედამიწისთვის და იმ სამყაროში გადაეგდო, საიდანაც ვერასოდეს დაბრუნდებოდა, იმ სივრცეში, სადაც მას უკვე ვერაფერი შეაჩერებდა. მიწაზე მტკიცედ რომ ეგრძნო თავი, ორივე ფეხზე მაგრად დადგა. ცეკვა კი იცოდა. „კინოსამყაროდან“ სურათი ამოხია: ტიულის გახამებულ კაბაში გამოწყობილი და ხელებაწეული პატარა ბალერინა იყო გამოსახული, მისი პუანტები მიწაში ჩასობილ მახვილწვერიან შუბს ჰგავდა. სურათის ქვეშ ეწერა: „გრაციოზული კეტი რაფლეი, 12 წლის“. ამ ბავშვმა, რომელსაც არასოდეს ენახა ბალეტი, სცენა, მსახიობი, გასაოცარი მიხვედრილობით გაიგო ეს გრძელი სტატია, სადაც ლაპარაკი იყო ფიგურებზე, ნახტომებზე, საბალეტო ფეხსაცმელებზე, დეკორაციებზე, რამპაზე, ბალეტზე. სიტყვა „ნიჟინსკის“ სახელის გრაფიკული ფორმა, რომელსაც, როგორც ეტყობა, იმ მოცეკვავის სწრაფვა სურს გამოხატოს, რომელმაც ჯერ არ იცის, რომელ ფეხზე დაეშვება) დაწერილობით მიხვდა არტისტის სიმსუბუქეს, ისევე როგორც ერთ მშვენიერ დღეს გაიგებს, რომ სახელი ვერლენი სხვა არაფერი იყო, თუ არა სახელი პოეტი-მუსიკოსისა. კიულაფრუამ თვითონ ისწავლა ცეკვა, ზუსტად ისევე, როგორც ვიოლინოზე დაკვრა ისწავლა. ამიტომ ისევე ცეკვავდა, როგორც

უკრავდა. მის მოძრაობებს ჟესტები ახლდა, ოღონდ არა სიტუაციით ნაკარნახევი, არამედ ქორეოგრაფიით, რომელმაც მარადიულ ბალეტად აქცია მისი ცხოვრება. სწრაფად ისწავლა პუანტებზე სიარული და ყველგან ასე დადიოდა: სარდაფში, შეშის მოგროვებისას, ბოსელში, ალუბლის ხის ქვეშ... საბოებს გაიხდიდა და ბალახზე შალის რბილი წინდებით ცეკვავდა, ხელებით ხის დაბალ ტოტებს ედებოდა. მინდორი უამრავი ფიგურით დაასახლა, რომლებიც თეთრი ტიულის საბალეტო კაბებში გამოწყობილი მოცეკვავეები იყვნენ, თვითონ კი შავწინსაფრიან გაფითრებულ მოწაფედ რჩებოდა, რომელიც სოკოსა თუ ბაბუაწვერას აგროვებდა. ძალიან ეშინოდა, ვინმე არ შესწრებოდა მის ცეკვას, განსაკუთრებით ალბერტო. „რა უნდა ვუთხრა მაშინ?“ როცა ფიქრობდა, თვითმკვლელობის რა მეთოდს შეეძლო მისი გადარჩენა, თოკი აირჩია. მაგრამ ისევ ამ ღამეს დავუბრუნდეთ. აცბუნებდა და აშინებდა ტოტების მოძრაობის უმცირესი ხმა, ქარის უმცირესი ქროლა. მთვარემ ათი საათი დარეკა. ახლა მოუსვენრობის მტანჯველი ჟამი დაუდგა. გულსა და მკერდში ბიჭმა ეჭვი აღმოაჩინა. ახლა უკვე დარწმუნებული იყო, რომ ალბერტო აღარ მოვიდოდა და სადმე დათვრებოდა. აზრი, რომ ალბერტომ უღალატა, ისეთი მწარე იყო, ისე გაუსაძლისად აღიბეჭდა კიულაფრუას გონებაში, რომ ეს სიტყვები ათქმევინა: „ჩემი სასოწარკვეთა უსაზღვროა“. ჩვეულებრივ, როცა მარტო იყო, თავისი აზრების ხმამაღლა თქმის მოთხოვნილება არ ჰქონდა, მაგრამ დღეს მომხდარის ტრაგიკულობის ღრმად გააზრებამ აიძულა, უჩვეულო პროტოკოლი აღესრულებინა და წარმოთქვა: „ჩემი სასოწარკვეთა უსაზღვროა“. ჩაიფრუტუნა, მაგრამ არ ატირებულა. დეკორაციამ მის ირგვლივ თავისი იდუმალი, საკვირველი სახე დაკარგა. ადგილიდან არაფერი დაძრულა: ისევ ისე ეკიდა თეთრი ზეწრები თავიანთი სიმძიმით ჩახრილ მავთულებზე, იგივე იყო მოელვარე ცაც, მაგრამ ირგვლივ ყველაფერმა სხვა მნიშვნელობა შეიძინა. დრამამ, რომელიც აქ გათამაშდა, ახლა თავის ყველაზე პათეტიკურ ფაზას, თავის კვანძის გახსნას მიაღწია: მსახიობს ისღა დარჩა, მომკვდარიყო. როცა ვწერ, გარემომცველ დეკორაციას აზრი შეეცვალა-მეთქი, იმის თქმა არ მინდა, რომ დეკორაცია კიულაფრუასთვის, მოგვიანებით კი დივინისთვის, რაღაც სხვა იყო, ვიდრე სხვისთვის, ვთქვათ, რაღაც იმაზე მეტი, ვიდრე მავთულებზე გასაშრობად გაკიდებული სარეცხია. მას მშვენივრად ესმოდა, რომ ზეწრების ტყვე იყო, მაგრამ, გთხოვთ, ამაში რაღაც გასაოცარიც დაინახოთ: მთვარით განათებული ჩვეულებრივი, თუმცა მაგარი, ზეწრების ტყვე: ამით განსხვავდებოდა იგი ერნესტინისაგან, რომელიც თეთრეულის დანახვისთანავე ფარჩით გაწყობილ ავეჯს ან მარმარილოს სასახლის დერეფნებს წარმოიდგენდა ხოლმე; ერნესტინი, რომელიც კიბის საფეხურს ისე არ დაადგამდა ფეხს, არ გაეფიქრებინა: „საფეხური“, მსგავს შემთხვევაში არ დააყოვნებდა, ღრმა სასოწარკვეთისთვის არ მიეცა თავი, აიძულებდა დეკორაციას, თავისი დანიშნულება შეეცვალა და თეთრი მარმარილოს აკლდამად ქცეულიყო - ერნესტინი დეკორაციას საკუთარ ტკივილამდე აღამაღლებდა, რომელიც აკლდამასავით მშვენიერი იყო. მაშინ, როცა კიულაფრუასთვის არაფერი შეცვლილა და დეკორაციის ეს უფერულობა უფრო მეტად მიანიშნებდა მტრულობაზე. ყოველი საგანი, ყოველი ნივთი სასწაულის შედეგი იყო, რომლის ხორცშესხმაც ბიჭს აღაფრთოვანებდა. ისევე, როგორც თითოეული ჟესტი. არ ესმოდა სიტყვები „ოთახი“, „ბაღი“ ან „სოფელი“. არაფერი ესმოდა, ვერ ხვდებოდა, რომ ქვა ქვა იყო, და მისი გაოცება, რომ არსებობს დეკორაცია, რომელიც ერთ მშვენიერ დღეს საკუთარი არსებობის მეშვეობით არსებობას შეწყვეტდა, მასში ერთმანეთში გადახლართული პრიმიტიული და მარტივი ემოციების - ტკივილის, სიხარულის, სიამაყის, სირცხვილის - მსხვერპლად აქცევდა.

მთვარის შუქში გახვეულს ბალახზე ჩაეძინა, როგორც თავის გაფარფარებულ სახელოებში გახვეულ მთვრალ პიეროს თეატრში. მეორე დღეს ალბერტოსთვის არაფერი უთქვამს. გველების ჭერა და ჭვავის ყანაში გართობა ჩვეულებრივ გაგრძელდა. იმ ღამეს ალბერტოს აზრად მოუვიდა, შიფერისსახურავიანი სახლის ირგვლივ ჯიბეში ხელებჩაწყობილს სტვენა-სტვენით ეხეტიალა (საუცხოოდ უსტვენდა, ლითონისებრი მჟღერი ხმით და ვირტუოზულად. მისი მომხიბვლელობა ამით არ მთავრდებოდა. მაგიური სტვენა იცოდა. გოგოებს აჯადოებდა. ბიჭებს მისი შურდათ; მის სიძლიერეს გრძნობდნენ. იქნებ ამ სტვენითაც ჩხიბავდა გველებს), მაგრამ არ წასულა: სოფელი ისედაც მტრულად ექცეოდა, და თუ მათ დემონივით ღამით მიუფრინდებოდა, მაშინ რაღა დაემართებოდა. ის დასაძინებლად დაწვა.

გველებს შორის მათი სატრფიალო შეხვედრები გრძელდებოდა. დივინი ამასაც იხსენებს და ჰგონია, რომ ეს მისი ცხოვრების ყველაზე მშვენიერი დრო იყო.

ერთხელ, საღამოს, ბულვარზე სეკ გორგის შეხვდა, გაბრწყინებულსახიან დიდ ზანგს. და თუმცა იგი გაბრიელ მთავარანგელოზის აჩრდილი იყო, თავგადასავლებს მაინც ეძებდა. მხრებსა და გვერდებზე მოტკეცილი გლუვი შალის კოსტიუმი ეცვა; პიჯაკი უფრო ურცხვად გამოიყურებოდა, ვიდრე ვიწრო ტრიკო, რომელსაც ბალეტის მოცეკვავე ჟან ბორლენი თავის მრგვალ ყვერებზე იტკეცდა. ვარდისფერი ჰალსტუხი ეკეთა, კრემისფერი აბრეშუმის პერანგი ეცვა, გასაოცრად შავ, თეთრნუნა გრძელფრჩხილებიან თითებზე, შარშანდელ დამტვრეულ თხილს რომ მიუგავდა ოქროს ბეჭდები ეკეთა ყალბი თუ ხელოვნური (რა განსხვავებაა!) ბრილიანტებით. დივინი მაშინვე თვრამეტი წლის დივინად იქცა, რადგან ბუნდოვანი იმედი გაუჩნდა, გულუბრყვილოც კი, რომ ეს შავი, ცხელ ქვეყნებში დაბადებულიგორგი მის სიბერეს ვერ შეამჩნევდა, ვერც მის ნაოჭებს დაინახავდა, ვერც პარიკს. დივინმა წამოიძახა:

- ამას ვის ვხედავ! როგორ მიხარია.

სეკმა გაიცინა:

- ჰო, კარგი. როგორა ხარ? - ჰკითხა.

დივინი ზედ აეკრა. ზანგი გამართული იდგა, ოდნავ უკან გადაწეული, უძრავი და ძლიერი, იმ ბიჭის პოზაში, ჩხუბისთვის ჩანთა მუდამ მზად რომ აქვს, ანდა თავის აცახცახებულ წვივებს დაყრდნობილი სიცარიელეში გადაფსმას რომ აპირებს, ან იმ პოზაში, რომელიც უკვე ვნახეთ, როცა ლუმ ალბერტო აღმოაჩინა - როდოსის კოლოსის პოზაში, გუშაგების იმ ვაჟკაცურ პოზაში, ჩექმებიანი ფეხები რომ გაუჩაჩხავთ, რომელთა შორისაც ხიშტით მიწაში ჩასობილი შაშხანები მოჩანს, კონდახები კი პირამდე სწვდებათ და ორივე ხელს მაგრად უჭერენ.

- რას აკეთებ? საქსზე კიდევ უკრავ?

- არა, ეგ უკვე მორჩა. გავეყარე. ბანჯოს თავი გავანებე! - უთხრა მან.

- რატომ? საკმაოდ სასიამოვნო იყო ეგ შენი ბანჯო.

აქ დივინმა თავის ჩვეულებას უღალატა და დაუმატა:

- ცოტა ჩასუქებული იყო, ცოტა ჩამრგვალებული, საერთოდ კი კარგი ხასიათისა. ახლა?

გორგი იმ ღამეს თავისუფალი იყო; გონზე მოდიოდა; ფული სჭირდებოდა. დივინმა დარტყმა ისე მიიღო, წარბი არ შეუხრია.

- რამდენი გინდა, გორგი?

- ხუთი ლუი.

გასაგებია. თავისი ასი ფრანკი მიიღო და დივინს სხვენზე გაჰყვა. ზანგებს წლოვანება არა აქვთ. მადმუაზელ ადელინი აგვიხსნიდა, გამოთვლა კიდეც რომ მოინდომონ, ანგარიში მაინც აერევათ, კარგად იციან, მაგალითად, რომ დაიბადნენ შიმშილობის დროს ან სამი იაგუარის სიკვდილის დროს, ან ნუშის ყვავილობისას, მაგრამ ციფრებთან არეულ ამ გარემოებებს ისინი სრულ დომხალამდე მიჰყავთო. გორგი, ჩვენი ზანგი, ძლიერი და მოძრავი ბიჭი იყო. გავის ერთი მოძრაობით ოთახს აზანზარებდა; ასე აკეთებდა თავის საკანში ვილაჟიც, შავი მკვლელი. და ახლა ისევ მომინდა, ამ საკანში, სადაც დღეს ვზივარ და ვწერ, მძორის სუნი ვიგრძნო, რომელსაც ზანგი ამაყი სახით კეთილსურნელებასავით აფრქვევდა ირგვლივ, და მისი წყალობითაა, რომ შემიძლია, სეკ გორგი უფრო ცოცხლად დავხატო. უკვე გითხარით, როგორ მიყვარს სუნი: მიწის ძლიერი სუნი, ტუალეტების, არაბების ბარძაყების სუნი, განსაკუთრებით ჩემი გაზების სუნი (მაგრამ ჩემი განავლის - არა); ეს სუნი ისეთი დიდებულია, რომ მაშინვე საბნის ქვეშ ვძვრები, ჩემგან გამოსულ გაზს პეშვში ვაგროვებ და ცხვირთან მიმაქვს. ის საიდუმლოდ დაფლული განძისკენ, ბედნიერებისკენ მიხსნის გზას. ვისუნთქავ. ვყლაპავ. ვგრძნობ, რა მკვრივად შედის ნესტოებში. ოღონდ მხოლოდ საკუთარი გაზები მხიბლავს, რომელიმე მშვენიერი ჭაბუკის გაზები კი შიშს მგვრის; საკმარისია, ეჭვი შევიტანო, ვისგან მოდის სუნი, ჩემგან თუ სხვისგან, რომ აღარ გავსინჯო. ასე გავიცანი კლემენტ ვილაჟიც, რომელიც საკანს სიკვდილის სუნზე ძლიერი სუნით ავსებდა. მარტოობა ტკბილია. მწარეც არის. მიჩნეულია, გონება წარსულის ჩანაწერებისგან უნდა გათავისუფლდესო. დაუძლურება განწმენდას წინ უსწრებს, მაგრამ, როგორც ხედავთ, ჩემი წიგნის კითხვისას მსგავსი არაფერი ხდება. სასოწარკვეთილი ვიყავი. ზანგმა ცოტა მიშველა. მეჩვენებოდა, რომ მისი ბუნებრივი სექსუალური ძალა საკმარისი იქნებოდა ჩემს დასაწყნარებლად. ზღვასავით ძლიერი იყო. მისი შარავანდედი ყველა

წამალზე უკეთესი დამამშვიდებელი საშუალება გახლდათ. მისი ჩემთან ყოფნა მომაჯადოებელად მოქმედებდა. მე ვიძინებდი.

თითებში პატარა ჯარისკაცს ატრიალებდა, რომელსაც გლუვ ვარდისფერ სახეზე თვალებად ფერმატას ორი წერტილი ჰქონდა ჩემი კალმით დახატული. მას შემდეგ ისე აღარ შემიძლია შევხედო ლაჟვარდისფერ ჯარისკაცს, რომ ის ზანგის მკერდზე მწოლიარე არ წარმოვიდგინო, არ ვიგრძნო მის სუნთან არეული გამყარებული გაზების გამაღიზიანებელი სუნი, რომლითაც საკანი ყარდა. ეს საფრანგეთის სხვა ციხეში მოხდა, სადაც გრძელი და სწორხაზოვანი დერეფნები, როგორიც სამეფო სასახლეებშია, აშენებდნენ და ქსოვდნენ გეომეტრიას, სადაც ქეჩისფეხსაცმლიანი, მოკაკული, დერეფნების სიდიდესთან შედარებით პატარა ტუსაღები დაძვრებოდნენ. ყოველი კარის წინ ჩავლისას კარზე მიკრულ ფირფიტებს ვკითხულობდი, რომლებზეც მათ მკვიდრთა კატეგორია იყო აღნიშნული. პირველზე ეწერა: „თავისუფლების აღკვეთა“; შემდეგ: „გადასახლება“; დანარჩენებზე: „კატორღული სამუშაო“. აქ უკვე ელდა მეცა. კატორღა ჩემ თვალწინ გამატერიალურდა; სიტყვად არსებობა შეწყვიტა და ხორცად იქცა. დერეფნის ბოლომდე არასოდეს მივსულვარ, რადგან იქ მუდამ სამყაროს დასასრული მეგონა, ყველაფრის დასასრული, და მიუხედავად ამისა, იგი ისეთ ნიშნებს მიგზავნიდა, რომ გულზე მხვდებოდა და ეჭვი აღარ მეპარებოდა - დერეფნის ბოლომდე მივიდოდი. მეჩვენებოდა, თუმცა კარგად ვიცოდი, ეს ასე არ იყო, რომ იქ კარებზე ეწერა: „სიკვდილი“, ან შეიძლება უფრო უარესი: „სიკვდილით დასჯა“.

ამ ციხეში, არ დავასახელებ, ყველა ტუსაღს პატარა ეზო ჰქონდა, რომლის კედლის ყოველი აგური მეგობრისადმი გაგზავნილ რაღაც გზავნილს შეიცავდა: „მ. ტ.-ზე - სებასტიანისგან, ჟაკო დე ტოპოლი ლუსიენ დე ლა საპელს უთვლის, წშდ“, მიძღვნებს დედისადმი ანდა სამარცხვინო ბოძს: „პოლო „ჯიფს-ბარიდან“ ჩამშვებია“. სწორედ ამციხეში უფროსი ზედამხედველი წელიწადში ერთხელ საახალწლო საჩუქრად თითოეულ პატიმარს მსხვილი მარილის პატარა პაკეტებს ურიგებდა.

როცა ჩემს საკანში შევედი, დიდი ზანგი თავის კალის ჯარისკაცებს ღებავდა ცისფრად, რომელთაგან ყველაზე დიდი მის ნეკზე პატარა იყო. ბარძაყზე ხელს ჰკიდებდა და იღებდა, ისევე, როგორც ოდესღაც ლუ-დივინი იჭერდა ბაყაყებს, და ლაჟვარდოვანი საღებავით ფარავდა, მერე იატაკზე დებდა, სადაც ის მცირე გამაღიზიანებელ არეულობაში შრებოდა; ამ არეულობას ზანგი ახალს უმატებდა, ერთმანეთთან მიჯრით მეტად ავხორცულად აყენებდა - მასაც ხომ უმძაფრებდა მარტოობა ავხორცობას. ღიმილით შემხვდა, რისგანაც შუბლზე ნაოჭი გაუჩნდა. იგი კლევროს „ცენტრალიდან“ დაბრუნდა, სადაც ხუთი წელი გაატარა და უკვე ერთი წელი იყო, აქ ელოდა კატორღაში გაგზავნას. მან თავისი ქალი მოკლა, მერე აბრეშუმის მწვანეყვავილებიან ყვითელ ბალიშზე დასვა, აგურით ამოაშენა და ნაშენს სკამის ფორმა მისცა. ეწყინა, როცა ვერ გავიხსენე ეს ამბავი, რომელიც თქვენ, ალბათ, გაზეთებში წაიკითხეთ. რადგან ამ უბედურებამ ცხოვრება უკვე დაუნგრია, დაე ამან სახელი მოუხვეჭოს, იმაზე ცუდი ხომ არაფერია, იყო ჰამლეტი და არ იყო პრინცი.

- კლემენტი მქვია, - მითხრა, - კლემენტ ვილაჟი.

გეგონებოდა, ვარდისფერხელისგულებიანი დიდი ხელებით კალის ჯარისკაცებს აწამებსო. მრგვალი, ბავშვივით უნაოჭო შუბლი (მულიერული შუბლიო, გალი იტყოდა) ძალიან ახლოს მიჰქონდა ჯარისკაცებთან.

- ქვეითებს ვაკეთებ.

მე მათი შეღებვა ვისწავლე. მთელი საკანი აივსო. მაგიდა, წიგნის თარო, იატაკი მოფენილი იყო ამ პაწაწინა, მიცვალებულებივით ცივი და გაშეშებული მეომრებით, რომლებსაც უცნაური სული ჰქონდათ თავიანთი მრავალრიცხოვნებისა და არაადამიანური სიპატარავის გამო. საღამოთი ფეხით მიმოვისროდი, ჩემს ლეიბზე ვწვებოდი და მათ გარემოცვაში ვიძინებდი. ისინი ლილიპუტიის მცხოვრებლებივით ხელ-ფეხს მიკრავდნენ და მათგან თავი რომ დამეხსნა, დივინი მთავარანგელოზ გაბრიელს ვაჩუქე.

Veni Creator

Veni Creator-

დღისით მე და ზანგი ჩუმად ვმუშაობდით. მაგრამ დარწმუნებული ვიყავი, ერთ მშვენიერ დღეს თავის ამბებს მომიყვებოდა. მსგავსი ამბების მოსმენა არ მიყვარს. ჩემდა უნებურად, იმაზე ვფიქრობ, მთხრობელს რამდენჯერ მოუყოლია იგი, და ასე მგონია, ჩემამდე იმ ტანსაცმელივით მოვიდა, რომელიც იქამდე ატარეს, ვიდრე... ბოლოს და ბოლოს, მეც მაქვს ჩემი

ამბები, რომლებიც თვალებიდან გადმომჩქეფს. ციხეებს თავისი მდუმარე ამბები აქვს, ციხის დარაჯებსაც და შიგნიდან ცარიელ კალის ჯარისკაცებსაც. ცარიელი! ერთ ჯარისკაცს ფეხი მოსტყდა და ტაკვში ნახვრეტი გამოუჩნდა. მათი შინაგანი სიცარიელის ამ დადასტურებამ გამახარა და სევდაც მომგვარა. სახლში მარი-ანტუანეტის თაბაშირის ბიუსტი გვედგა. ხუთ თუ ექვსი წელს მის გვერდით ისე ვიცხოვრე, ყურადღება არ მიმიქცევია, ვიდრე ერთ მშვენიერ დღეს რაღაც სასწაულით შინიონი არ მოსტყდა. მაშინ ვნახე, რომ ბიუსტი ღრუ იყო. ალბათ, სიცარიელეში უნდა გადავმხტარიყავი, რომ ეს დამენახა. რაში მჭირდება ამ ზანგი მკვლელების ამბები, როცა ისეთი საიდუმლოებები, როგორებიცაა საიდუმლო „არაფერი“ და საიდუმლო „არა“, თავის ნიშნებს მიგზავნიან და მჟღავნდებიან, როგორც სოფელში გაუმჟღავდნენ ლუ-დივინს. ეკლესიამ აქ სიურპრიზების ყუთის როლი შეასრულა. ღვთისმსახურებამ ლუ მშვენიერებას მიაჩვია, ხოლო ყოველი რელიგიური დღესასწაული აღელვებდა, რადგან ხედავდა, როგორ ჩნდებოდა რომელიღაც სამალავიდან მოოქრული შანდლები, თეთრი მინანქრის შროშანები, ვერცხლმკედით ნაქარგი სუფრები; ეკლესიის სამოსსაცავიდან - მწვანე, იისფერი, თეთრი, შავი მუარის ან ხავერდის შესამოსელი, მნათის თეთრი სამოსი, გაშეშებული სტიქარები, ახალი სეფისკვერები. ისმოდა დაუჯერებელი, არგაგონილი ჰიმნები, მათ შორის ყველაზე ამაღელვებელი - , რომელიც საქორწინო ღვთისმსახურების დროს სრულდება. ის მშვენება დრაჟე იყო და ფლერდორანჟის ცვილის კოკრები, თეთრი ტიულის მშვენიერება (ამას სხვა სამშვენისებიც ემატება, განსაკუთრებით ის, რაც აქამდე მენაყინეებმა შემოინახეს. ამაზე სხვა დროს ვილაპარაკებთ), ფოჩებით შემკული მკლავსახვევები პირველი ზიარებისთვის და თეთრი წინდები. მინდა, ამ ყველაფერს „საქორწინო სამშვენისები“ ვუწოდო. ამის თქმა მნიშვნელოვანია, რადგან პატარა კიულაფრუა სწორედ ამან გადაიყვანა ღრუბლებს მიღმა სიმყაროში, მაგრამ რატომ, ვერაფერს ვიტყვი, არ ვიცი.

მღვდელი თეთრნაჭერგადაფარებულ ტაბაკზე დაწყობილ ბეჭდებს უსუპით ჯვარს გადასახავს; ტაბაკი ახალდაქორწინებულთა წინ უჭირავს. ბეჭდებზე ოთხი პატარა წვეთი რჩება.

ტენიან უსუპზე მუდამ კიდია პატარა წვეთი, როგორც ამდგარი ასოს ჩუჩაზე ჰკიდია ხოლმე წვეთი დილაობით ალბერტოს, რომელმაც ეს-ესაა მოფსა.

ღვთისმშობლის ეკვდერის კამარები და კედლები კირითაა შეთეთრებული, ღვთისმშობელს კი წინსაფარი მეზღვაურის საყელოსავით ლურჯი აქვს.

საკურთხევლის ის მხარე, რომელიც მორწმუნეებისკენაა, მოწესრიგებულია; ღმერთის მხარეს კი უწესრიგობაა, მტვრიანი ხითა და აბლაბუდით შექმნილი.

შემოწირულობის შესაკრები ჩანთები ალბერტოს დის კაბისგან მორჩენილი ვარდისფერი ნაკუწებისგან არის შეკერილი. მაგრამ ამ ეკლესიაში კიულაფრუა უკვე ყველაფერს მიეჩვია; მეზობელი სოფლის ეკლესიაღა თუ შესთავაზებდა ახალ სპექტაკლებს. თანდათან ისიც მიატოვეს ღმერთებმა, რომლებიც ბავშვის „მიახლოვებისთანავე“ გარბოდნენ. ბოლო კითხვაზე, მათ რომ დაუსვა, სილის გაწვნასავით მკაცრი პასუხი მიიღო. ერთხელ, შუადღისას, ქვისმთლელი სამლოცველოს კარიბჭეს არემონტებდა; ორმაგი კიბის ზედა საფეხურზე მდგარი, კიულაფრუას ის მთავარანგელოზად არ მოსჩვენებია, ეს ბავშვი ხომ სერიოზულად არასოდეს იღებდა ზებუნებრივი არსებების გამოსახულებებს. ქვისმთლელი იყო. მოკლედ, ერთი ლამაზი ბიჭი გახლდათ. ხავერდის შარვალი დუნდულებს მკვეთრად უჩენდა და ტოტები ფეხების ირგვლივ უფრიალებდა. საყელოგადაღეღილი პერანგიდან, მაგარ ბალანს შორის, ყელი ისე ამოხეთქილიყო, როგორც ტყის პირას ნაზ ბალახში ხის ტანი. ეკლესიის კარი ღია იყო. ლუმ კიბის საფეხურებს შორის გაიარა თავ- და თვალებდახრილმა იმ ცის ქვეშ, რომელიც ხავერდის შარვლით იყო დაფარული, და ქორედში აძვრა. ქვისმთლელმა შეამჩნია, მაგრამ არაფერი უთქვამს. იფიქრა, ბიჭმა, ალბათ, მღვდელს რამე ოინი უნდა მოუწყოსო. კიულაფრუას საბოებმა იატაკის ფილებზე იქ შეწყვიტა კაკუნი, სადაც ნოხი ეგო. ქორკანდელის ქვეშ შეჩერდა და ხალიჩაგადაკრულ სალოცავ სკამზე ცერემონიულად მოიყარა მუხლი. მუხლმოყრის მანერა და ჟესტები იმის ზუსტი ასლი იყო, რასაც ყოველკვირა აკეთებდა ამ სალოცავ სკამზე ალბერტოს და. იგი ამ ჟესტების სილამაზით ტკბებოდა. ქცევის ესთეტიკური და მორალური მნიშვნელობა ხომ პირდაპირაა დამოკიდებული იმათ შესაძლებლობაზე, ვინც მას აღასრულებს. საკუთარ თავს ვეკითხები, რას ნიშნავს ის გრძნობა,

რომელსაც რომელიღაც სულელური სიმღერა ზუსტად ისევე აღძრავს ჩემში, როგორც აღიარებული შედევრი. ამ უნარს, რომელიც მოგვეცა, შინაგანად ვგრძნობთ და იგი მისაღები ხდება მოძრაობებით, მაგალითად, როცა მანქანაში ჩასაჯდომად ვიხრებით, მოხრის მომენტში მოუხელთებელი მოგონება გვაქცევს ვარსკვლავად, მეფედ ან მაწანწალად (ეს კიდევ ერთი მეფეა), რომელიც ასევე იხრება, და რომელიც ქუჩაში ან ეკრანზე გვინახავს. როცა მარჯვენა ფეხის თითის წვერებზე ვიწევი ან მარჯვენა ხელს მაღლა ვწევ, კედლიდან პატარა სარკე რომ ჩამოვხსნა ანდა თაროდან ჯამი ავიღო, ეს მოძრაობა პრინცესა ტ.-დ მაქცევს, რადგან ერთხელ ვნახე, როგორ შეასრულა ეს მოძრაობა, როცა თავის ადგილზე დააბრუნა ნახატი, რომელიც ის-ის იყო მაჩვენა. მღვდლები, რომლებიც სიმბოლურ ჟესტებს იმეორებენ, გრძნობენ, როგორ გადმოდის მათზე სიწმინდე, ოღონდ არა სიმბოლოსი, არამედ პირველშემსრულებლისა; მღვდელი, რომელმაც დივინს წესი აუგო, უნებურად იმ ჟესტებს იმეორებდა, რომელიც ქურდობასა და სახლის გატეხას ახლავს თან, ამ ჟესტებით ისე ტრაბახობდა, როგორც ცად ამაღლებული გილიოტინით თავმოკვეთილის ნაალაფარი საჭურვლით.

მას შემდეგ, რაც ლუმ შესვლისას აიაზმის ჯამიდან რამდენიმე წვეთი ნაკურთხი წყალი ამოიღო, ჟერმენის დუნდულები და მკვრივი მკერდი ისე გადაეენერგა კიულაფრუას, როგორც მოგვიანებით გაუჩნდება კუნთები, მაშინდელი მოდის მიხედვით რომ უნდა ეტარებინა. მერე შესაფერი პოზა მიიღო, ჩურჩულით ილოცა, აქცენტი თავის დაკვრასა და პირჯვრის გადაწერის კეთილშობილურ სიდინჯეზე გააკეთა. წყვდიადი ქორედის ყოველი კუთხიდან, საკურთხევლის ყოველი სკამიდან უხმობდა. პატარა ლამპა ენთო; შუადღისას იგი ადამიანს ეძებდა. ქვისმთლელი, რომელიც შესასვლელის პორტიკის ქვეშ უსტვენდა, ამქვეყნიურ ცხოვრებას ეკუთვნოდა, ლუ კი, აქ მარტო მყოფი ლუ, ურიცხვ საგანძურთა პატრონად გრძნობდა თავს. ბუკების ხმობას უნდა უპასუხოს, უკუნ ღამეში უნდა წავიდეს, როგორც ვინმე მაგარი... ჩუმად ადგა. საბოებმა, რომლებიც წინ მიუძღოდნენ, უსაზღვროდ დიდი სიფრთხილით გაატარეს იგი ფუმფულა ნოხზე, საკმევლის დაძველებული სუნი კი, ჩიბუხში ჩარჩენილი თამბაქოს ძველი სუნივით შხამიანი, სატრფოს სუნთქვასავით აჩლუნგებდა ახალ და მტანჯველ შიშს, რომელიც ყოველ ჟესტთან ერთად უჩნდებოდა. ამ სუნისგან დაბუჟებული, დაღლილი და მოდუნებული კუნთები მყვინთავივით ნელა გაანძრია, და ეს სუნი კიულაფრუას ისე აშორებდა იმ რაღაც წუთის გაელვებას, რომ ეჩვენებოდა, დღეს აქ არც ვყოფილვარო. მოულოდნელად მის წინ ხელის გაწვდენაზე საკურთხეველი წამოიმართა, თითქოს ლუს უცაბედად გიგანტური ნაბიჯი გადაედგას; და იგი მიხვდა ამ მკრეხელობას. მოციქულთა ეპისტოლენი ქვის მაგიდაზე იდო. ეს სიჩუმეც განსაკუთრებული, ნამდვილი მდუმარება იყო, რომლის დარღვევაც გარე ხმაურმა ვერ შეძლო. ხმაური ეკლესიის სქელ კედლებს ეჭყლიტებოდა ბიჭების ნასროლი დამპალი ხილივით; და თუკი გარედან ხმაური მაინც ისმოდა, სიჩუმეს ხელს მაინც არანაირად არ უშლიდა.

- კიულა!

დაუძახა ქვისმთლელმა.

- ჩუმად! ეკლესიაში ნუ ყვირით.

ამ ორმა რეპლიკამ უზარმაზარი ნაპრალი გააჩინა სიჩუმის შენობაში, იმ სახლის სიჩუმეში, რომელსაც ქურდავენ. სანაწილის ორმაგი ფარდა უგულისყუროდ იყო ჩამოფარებული, დატოვებული ღრიჭოდან, რომელიც ჩახსნილი შარვალივით უხამსად გამოიყურებოდა, მოჩანდა უყურადღებოდ მიტოვებული პატარა გასაღები, რომლითაც კარი იკეტებოდა. კიულაფრუას ხელი უკვე გასაღებზე ედო, რომ გონს მოვიდა იმისათვის, რომ იმწამსვე ისევ დაეკარგა. სასწაული! თუ ერთს ავიღებ, სეფისკვერიდან სისხლი უნდა წამოვიდეს! იუდეველ მწვალებლებზე დაუფიქრებლად მოყოლილმა ამბებმა, მათ მიერ უფლის დაღრღნილ სხეულსა და სისხლზე, სასწაულებზე საუბრებმა, როცა ბავშვის პირიდან გადმოცვენილი სეფისკვერები იატაკის ფილებსა და ფარდაგებზე სისხლის კვალს ტოვებს, ეკლესიის ქურდების ამბებმა შეამზადეს ეს სევდიანი, პატარა მომენტიც. ვერ ვიტყვით, რომ ლუს გული უფრო აუძგერდა - პირიქით, რაღაცამ, თითქოს თითები - იმ ადგილებში ღვთისმშობლის თითებს რომ ეძახიან - შეეხოო, გულისცემის ძალა და რიტმი შეუნელა - ან ყურები აუშხუილდა: თვით სიჩუმე გამოდიოდა იქიდან. ფეხის წვერებზე აწეულმა გასაღები იპოვა. არ სუნთქავდა. სასწაული. ელოდა, როგორ გადმოცვივდებოდა თავიანთი ნიშებიდან თაბაშირის ქანდაკებები და ზედ დაეცემოდა; ეჭვიც არ ეპარებოდა, რომ ასეც იქნებოდა; ეს მისთვის უკვე

აღსრულებული ფაქტი იყო. წყევლას ელოდა ბედს შერიგებული სიკვდილმისჯილის უდრტვინველობით: ამის გარდაუვალობაში დარწმუნებული, მშვიდად ელოდა მის აღსრულებას. მაშასადამე, იგი უკვე იდუმალად აღსრულებული აქტის შემდეგ მოქმედებდა. სიჩუმე (გასამმაგებული, გაოთხმაგებული) მზად იყო, გაეხეთქა ეკლესია და დამაბრმავებელი, ღვთაებრივი ფოიერვერკი მოეწყო. სანაწილე იქ იდო; მან გააღო იგი. ეს ქცევა იმდენად უჩვეულო ეჩვენა, მოუნდა, საკუთარი თავისთვის შორიდან შეეხედა. ეს ხილვა კინაღამ თავზე დაემხო. ლუ-კიულაფრუამ სამ სეფისკვერს სტაცა ხელი და ნოხზე მოისროლა. სეფისკვერები ნოხზე ისე დაეშვნენ, როგორც ფოთლები ეშვებიან ლივლივით მიწაზე უქარო ამინდში. სიჩუმე ისე ეძგერა ბავშვს, როგორც მოკრივეთა ტალღა, გადააქცია და მხრებით მიწას გააკრა. სანაწილეს ხელი უშვა; იგი ნოხზე დაეცა და ყრუ ხმა გამოსცა.

და სასწაულიც მოხდა. სასწაული არ იყო. ღმერთი ცარიელი აღმოჩნდა. ღმერთი ფუყე იყო. მხოლოდ ნახვრეტი, ირგვლივ კი მნიშვნელობა არა აქვს - რა. ლამაზი ფორმა, როგორც მარი-ანტუანეტის თაბაშირის თავი, როგორც პატარა ჯარისკაცები, რომლებიც ხვრელები იყვნენ, გარშემოკრული კალის თხელი ფენით.

ასე ვცხოვრობდი უამრავ ხვრელს შორის, რომლებსაც ადამიანის ფორმა ჰქონდა. იატაკზე დაგებულ ლეიბზე მეძინა, რადგან ერთადერთ საწოლზე კლემენტი იწვა. ქვევიდან ვუყურებდი. ისე იყო გაშოტილი, როგორც მერხზე ან საკურთხევლის ქვაზე. ღამის განმავლობაში მხოლოდ ერთხელ შეინძრა, ისიც ფეხსადგილში წასასვლელად. მან ეს ცერემონია დიდი იდუმალებით ჩაატარა. საიდუმლოდ, ჩუმად. აი, მისი ამბავიც ისე, როგორც თვითონ მიამბო. გვადელუპელი იყო და „“-ში შიშველი ცეკვავდა. ჰოლანდიელ საყვარელთან ერთად, რომელსაც სონია ერქვა, მონმარტრზე ცხოვრობდა ერთ პატარა ბინაში. ისევე ცხოვრობდნენ, როგორც დივინი და მინიონი, როგორც უკვე ვნახეთ, მაშასადამე, ისეთივე დიდებული და მსუბუქი ცხოვრებით, რომელიც ქარის ერთი დაბერვით შეიძლება გასკდეს, - ასე ფიქრობენ ბურჟუები; ისინი ხომ კარგად გრძნობენ პოეზიის შემქმნელთა - მოცეკვავე ზანგების, მოკრივეების, მეძავების, ჯარისკაცების - ცხოვრების პოეზიას, მაგრამ ვერ ხედავენ, რომ მათი ცხოვრება მიწასთან მტკიცედ არის დაკავშირებული, რადგან საშინელებებითაა სავსე. 1939 წლის მაისის ერთ დილას მათ შორის ერთი იმ სცენათაგანი გათამაშდა, რომელიც სუტენიორისა და მეძავის ცხოვრებაში ჩვეულებრივი ამბავია, რადგან შემოსავალი ყოველთვის საკმარისი არ არის. სონიამ გამოუცხადა, მივდივარო. ზანგმა სილა გააწნა. ქალმა ყვირილი დაიწყო და გერმანულად გამოლანძღა; სახლში კარგად აღზრდილი, ტაქტიანი ხალხი ცხოვრობდა და ეს ხმაური არავის გაუგია. ქალმა საწოლის ქვეშიდან ჩემოდანი გამოიღო და ჩუმად, აჩქარებით თავისი საცვლების ჩაყრა დაიწყო. დიდი ზანგი მიუახლოვდა; ორივე ხელი ჯიბეებში ჰქონდა ჩაწყობილი და უთხრა:

Caprice Viennois

- სონია, მორჩი.

შეიძლება, პირში სიგარეტიც ჰქონდა გაჩრილი. ქალმა ჩემოდანში აბრეშუმის წინდების, კაბების, პიჟამების, პირსახოცების ჩატენა გააგრძელა.

- სონია, მორჩი!

სონიამ არ უპასუხა. ჩემოდანი საწოლზე იდო. კლემენტმა მისკენ ხელით უბიძგა; ქალი უკან გადაქანდა და, წონასწორობადაკარგულმა, ვერცხლისფერფეხსაცმლიანი ფეხი ზანგს პირდაპირ ცხვირში მოახვედრა. ჰოლანდიელმა ქალმა ოდნავ წამოიკივლა. ზანგმა იღლიებში მოჰკიდა ხელი და მანეკენივით წამოაყენა, თავბრუდამხვევი, ბრწყინვალე მოძრაობით ნახევარბრუნი გააკეთა და პატარა საწოლის სპილენძის საზურგეზე თავი მიარტყმევინა. კლემენტი ყველაფერ ამას მიამბობდა თავისი რბილი კრეოლური გამოთქმით, სადაც ბგერა „რ“ დაკარგულია, ფრაზის ბოლო კი - გაჭიმული.

- გესმის, მისიე ჟან, თავი მივახეთქებინე. თავი სპილენძის საწოლზე გაუტყდა.

ის თითებს უჭერდა პატარა ჯარისკაცს, რომლის სიმეტრიული სახეც სიჩლუნგის გარდა არაფერს გამოხატავდა, ისეთი უხერხულობის შთაბეჭდილებას ტოვებდა, როგორიც იმ პრიმიტიული ნახატებისაგან რჩება, რომლებითაც პატიმრები ციხის კედლებს ამშვენებენ, ბიბლიოთეკის წიგნების კიდეებზე ან საკუთარ მკერდზე იხატავენ, როცა სვირინგის გაკეთებას

აპირებენ. ამ ნახატებზე პროფილების ერთი თვალი ანფასშია დახატული. ბოლოს კლემენტმა იმ თავზარდაცემაზეც მიამბო, ამ დრამის შემდეგ რომ შეიპყრო: მზე პატარა ბინის ფანჯრიდან შემოდიოდა. ადრე არასოდეს შეუმჩნევია მზის ეს თვისება - არაკეთილმოსურნეობა. ეს ერთადერთი ცოცხალი საგანი იყო. მზე მხოლოდ მაყურებელი კი არ იყო, მოზეიმე მოწმეც გახლდათ, ცბიერი, მედიდური, ისეთი, როგორიც საერთოდ არის ხოლმე მოწმე (მოწმეები თითქმის ყოველთვის ბრალდების მოწმეები არიან), იმ მსახიობი ქალივით ეჭვიანი, რომელსაც წამყვან როლებს არ აძლევენ. კლემენტმა ფანჯარა გამოაღო და მოეჩვენა, რომ ამით საქვეყნოდ აღიარა დანაშაული; ქუჩა ბრბოდ შემოვარდა ოთახში, თავდაყირა დააყენა ტრაგედიის წესრიგი და უწესრიგობა, რათა მასში მონაწილეობა მიეღო. ეს უცნაურიმდგომარეობა ერთხანს კიდევ გაგრძელდა. ზანგმა თავი ფანჯარაში გაყო, ქუჩის ბოლოში ზღვა დაინახა. არ ვიცი, იქნებ დამნაშავის სულიერი მდგომარეობის აღდგენის ცდისას, თავისი ქცევის მომაკვდინებელ შედეგს შიშით რომ ხვდება, იდუმალად ვცდილობ, მივაგნო საუკეთესო საშუალებას (რომელიც ჩემს ბუნებას უკეთ მიესადაგება) იმისათვის, რომ შიშს არ ავყვე, როცა მსგავსი მომენტი მეც დამიდგება ცხოვრებაში. მერე უცბად სონიასგან თავის დაღწევის ყველა საშუალება ერთად წარმოიდგინა, ჯგუფად, ერთმანეთში ჩახლართული, ერთმანეთთან მიკრული, ხონჩით მორთმეული ასარჩევად. ყველა საკუთარ თავს სთავაზობდა. არც ახსოვდა, მიცვალებულის ჩატანება-ამოქოლვაზე სმენოდა თუ არა რამე, მაგრამ ეს საშუალება არჩევამდევე ნიშანდებულად ეჩვენა. „კარი გასაღებით ჩავკეტე. გასაღები ჯიბეში ჩავიდე. ჩემოდანი საწოლიდან გადმოვიღე და ლოგინი გავშალე. სონია დავაწვინე. სისულელე იყო, მისიე ჟან, სონიას იქ დატოვება. სისხლი ლოყაზე შეახმა“. აი, ამ მომენტიდან იწყება მისი გრძელი, გმირული ცხოვრება, რომელიც მთელ დღეს გაგრძელდება. დიდი ძალისხმევის შედეგად საკუთარი თავი აიძულა, ყოველდღიურობაზე უარი ეთქვა, სული ზებუნებრივ მდგომარეობაში შეენარჩუნებინა, სადაც თვითონ იყო ღმერთი, რომელმაც ერთი ხელის გაქნევით შექმნა ის უცნაური სამყარო, რომელშიც მისი ქცევა მორალის კონტროლს აღარ ექვემდებარებოდა. ის გარდაიქმნა. გენერალი გახდა, მოძღვარი, ქურუმი, კულტის მსახური. წესრიგი დაამყარა, შური იძია, მსხვერპლი შესწირა, წყალობა გასცა, მას არ მოუკლავს სონია. რაღაც გასაოცარი ინსტინქტით გამოიყენა ეს ფანდი თავისი ქცევის გასამართლებლად. ავადმყოფური წარმოსახვის ადამიანები სანაცვლოდ დაჯილდოებული არიან ამ მშვენიერი და პოეტური შესაძლებლობებით, უარყონ ჩვენი სამყარო და მისი ფასეულობები, რათა მასზე მბრძანებლური ძალდაუტანებლობით იმოქმედონ. როგორც იმ ადამიანმა, რომელიც პირველად უნდა ჩავიდეს წყალში, და ვიდრე ჩავიდოდეს, წყლისა და სიცარიელის შიში უნდა დაძლიოს, მან ღრმად ჩაისუნთქა და უგრძნობელი და გულგრილი გახდა, რადგან გადაწყვიტა, მაქსიმალურად შეეკავებინა თავი. გამოუსწორებელი აღსრულდა და იგი ამას შეეგუა, შეურიგდა და გამოსასწორებელს შეუტია. როგორც პალტოს იხდიან, ისე მოიცილა თავისი ქრისტიანული სული. თავისი ქცევა აკურთხა წყალობით, რომელსაც არანაირი კავშირი არ ჰქონდა ღმერთთან, მკვლელობას რომ განიკითხავს. თავის გონებას თვალი მოუხუჯა. მთელი დღე ავტომატივით იყო, მისი სხეული იქითა სამყაროს ბრძანებებს ემორჩილებოდა. ეს ჩადენილი მკვლელობის შიში აღარ იყო; ეს გვამის შიში გახლდათ. თეთრკანიანი მიცვალებული აძრწუნებდა. შავკანიანი, ალბათ, ნაკლებ შეაძრწუნებდა. მაშ ასე, ბინიდან გამოვიდა, კარი საიმედოდ ჩაკეტა და იმ დღის პირველ საათებში მშენებლობაზე წავიდა ათიოდე კილო ცემენტის საშოვნელად. ათი ეყოფოდა. შორეულ კვარტალში, სევასტოპოლის ბულვარზე, კალატოზის ქაფჩა იყიდა. ქუჩაში ადამიანის სული დაუბრუნდა; იმ ადამიანივით იქცეოდა, თავის საქციელში ყველაზე ბანალურ აზრს რომ დებს: პატარა კედელი უნდა ააშენოს. ორმოცდაათი აგური იყიდა, მეზობელ ქუჩაზე მიიტანა და ნაქირავები ურიკა იქ დატოვა. უკვე შუადღე იყო. ბინაში აგურის ატანაღა რჩებოდა. ურიკიდან თავის ბინამდე ათჯერ მივიდა და ყოველ ჯერზე ხუთი-ექვსი აგური შეჰქონდა; აგურებს მკლავზე გადაკიდებული ლაბადით ფარავდა. როცა მთელი სამშენებლო მასალა ოთახში ეწყო, თავის ოცნებათა სამყაროს დაუბრუნდა. მიცვალებულს გადახადა; ის უკვე მარტო იყო. გვამი ბუხართან მიიტანა, კედელთან დადო. უნდოდა, დგომელა ჩაეშენებინა კედელში, მაგრამ ცხედარი უკვე გაყინული და დაკრუნჩხული იყო; სცადა, მისთვის ფეხები გაეშალა, მაგრამ გახევებული ფეხები არ ეხრებოდა; ძვლები პეტარდებივით

აუტკაცუნდა; მაშინ კედელთან ჩაცუცქული დატოვა და მუშაობას შეუდგა. გენიალური ქმნილება ბევრი რამითაა დამოკიდებული შემქმნელსა და შექმნილ ვითარებაზე. სამუშაო დაამთავრა და კლემენტმა შეამჩნია, რომ თავისი ქმნილებისათვის სკამის გასაოცრად ზუსტი ფორმა მიეცა. ეს აკმაყოფილებდა და ხელსაც აძლევდა. მთვარეულივით მუშაობდა, განდგომილი და ჯიუტი; უფსკრულში ჩახედვაზე უარი თქვა. თავბრუსხვევის შეეშინდა, იმ თავბრუსხვევისა, რომელსაც ასი გვერდის მერე ნოტრ-დამ-დე-ფლერი ვერ გაუძლებს. იცოდა, თუ შეყოყმანდებოდა, ესე იგი უარს იტყოდა არჩეულ მოქმედებაზე, რომელიც რკინის წკეპლასავით მაგარი იყო და რომელსაც ეჭიდებოდა, მაშინვე დაიღუპებოდა. დაღუპვა კომისარიატში გაქცევა და იქ ცრემლების ღვარღვარია. ამას ხვდებოდა, მუშაობისას საკუთარ თავს ჩასჩიჩინებდა და შეგონებას ვედრებაში ურევდა. ვიდრე ამბავს ჰყვებოდა, კალის ჯარისკაცები სწრაფად დასრიალებდნენ მის სქელსა და მსუბუქ თითებში. ყურადღებით ვუსმენდი. კლემენტი ლამაზი ბიჭი იყო. „პარი-სუარიდან“ იცით, კაიენში მოკლეს ამბოხების დროს. მაგრამ ლამაზი ბიჭი იყო. შეიძლება ყველაზე ლამაზიც კი იმ ზანგებს შორის, რომლებიც ოდესმე მინახავს. ოჰ, როგორ ველოლიავები მახსოვრობაში ამ სახეს, რომლის მეშვეობითაც უნდა შევქმნა სეკ გორგი, მინდა, რომ ასეთივე ლამაზი იყოს, ნერვიული და ვულგარული! იქნებ საკუთარმა ბედისწერამ უფრო მეტად დაამშვენა, ისევე, როგორც ის ბანალური სიმღერები, საღამოობით აქ რომ ვისმენ, კატორღელების საკნებსა და საკნებს შუა გამოვლილი, ჩემამდე უკვე განსაკუთრებული გულითადობით აღვსილი რომ აღწევს. მისი დაბადების შორეული ადგილი, მისი ღამის ცეკვები,მისი დანაშაული ის ელემენტები იყო, რომლებიც პოეზიით ერტყმოდა გარს. შუბლი, უკვე ვთქვი, მრგვალი და გადატკეცილი ჰქონდა, ხოლო მის მოცინარე თვალებს გრძელი, აპრეხილი წამწამები ამშვენებდა. სათუთი ბიჭი იყო და მედიდური, საჭურისის ხმით არაკრაკებდა კუნძულების ძველ სიმღერებს. ბოლოს, არ ვიცი, როგორ, მაგრამ პოლიციამ მაინც დაიჭირა.

ჯარისკაცების შემოტევა გრძელდებოდა; მაგრამ ერთ დღეს ოსტატმა კიდევ ერთი მოიტანა, რომელიც უკვე ზედმეტი იყო. ვილაჟმა წუწუნით მითხრა:

- მეტი აღარ შემიძლია, მისიე ჟან. შეხედეთ, კიდევ ერთი რიგითი.

ამ დღიდან უფრო ჩუმი გახდა. ვიცოდი, ვძულდი, მაგრამ ვერ მივხვდი, რატომ, თუმცა ჩვენი ამხანაგური ურთიერთობა ამის გამო არ დაზარალებულა. მიუხედავად ამისა, მისმა სიძულვილმა და გაღიზიანებამ გამოვლინება დაიწყო წვრილმანებში, რომელთა წინააღმდეგაც არაფრის გაკეთება არ შემეძლო, რადგან იგი უვნები კაცი იყო. ერთ დილას, გაიღვიძა თუ არა, საწოლზე წამოჯდა, ოთახი მოათვალიერა, რომელიც ამ სულელური ფიგურებით იყო სავსე, ყველგან რომ ეყარა, უგრძნობი და დამცინავი ფიგურებით, ჩინელ ჯალათებს, ჩანასახების ტომს რომ ჰგავდნენ. ჯარი საზარელ ტალღებად უტევდა გიგანტს. ზანგმა იგრძნო, რომ ბარბაცებდა; აბსურდის ამ ზღვაში იძირებოდა და თავისი სასოწარკვეთით მეც მიმათრევდა მორევში დასაღუპად. ერთ ჯარისკაცს ვტაცე ხელი. იატაკზე ათასი, ათი ათასი, ასი ათასი ეყარა! ხელში მეჭირა და თბილ ხელისგულებს ვუჭერდი, ის კი ისევ ცივი და უსულო რჩებოდა. ოთახში ყველაფერი ცისფერი იყო: ცისფერი იყო ჭუჭყი ჯამში, ცისფერი იყო ლაქები კედლებზე და ჩემს ფრჩხილებზეც. ცისფერი - უმანკო ჩასახვის წინსაფარივით, ცისფერი - მინანქარივით, ცისფერი - დროშასავით. ჯარისკაცები ტალღებად აზვირთდნენ და საკანი ააქანავეს.

- შემომხედე.

კლემენტი საწოლზე იჯდა და დროდადრო წამოიკივლებდა ხოლმე. მისი გრძელი ხელები იწეოდა და მერე მუხლებზე უღონოდ ეცემოდა (ასე ქალები აკეთებენ). ტიროდა. ლამაზი თვალები ცრემლებმა დაუსივა, წვეთ-წვეთად რომ ჩამოსდიოდა და ბაგეებზე ეცემოდა: „აი! აი!“ მაგრამ, როცა აქ მარტო ვარ, მხოლოდ მისი მოქნილი კუნთი მახსენდება. მახსენდება მისი აღგზნებული ასო, რომელსაც ტაძარს ავუგებდი. ასევე დაეუფლა სეკ გორგი დივინს, დიოპს, ნ'გოლოს, სმაილს, დიანას, ბევრ სხვასაც.

გორგისთან დივინმა მალე მიაღწია ნეტარების მწვერვალს. იგი ისე ეთამაშებოდა დივინს, როგორც კატა თაგვს. გორგი, უბრალოდ, უმოწყალო კაცი იყო.

მის შავ მკერდზე ლოყამიდებული - თავზე პარიკი კარგადა აქვს დაწებებული - დივინი ისევ მის ძლიერ ენაზე და თავისაზე - რბილზე ფიქრობს. დივინს ყველაფერი რბილი აქვს. ოღონდ სილბო-სიმაგრე მხოლოდ

სისხლით მეტ-ნაკლებად გაჯერებული ქსოვილის თვისებაა და დივინი სულაც არ არის სისხლნაკლული. იგი მხოლოდ რბილია. ესე იგი, რბილი ხასიათი აქვს, ლოყები აქვს რბილი და ენა, ასო კი მოქნილი. ეს ყველაფერი გორგის მაგარი აქვს. დივინს უკვირს, რომ ასეთ სხვადასხვა სიმკვრივის საგნებს შორის შეიძლება რაღაც კავშირი არსებობდეს. სიმაგრე კი მამაკაცურობის ტოლფასია... გორგის რომ მხოლოდ ერთი რამ ჰქონდეს მაგარი... თანაც ეს ხომ ქსოვილის თვისებაა. ამის ახსნა დივინს უსხლტება და მხოლოდ ერთი რამ რჩება თავში: „ძალიან, ძალიან რბილი ვარ“.

მაშ ასე, გორგი მანსარდაში დასახლდა, რომელიც საფლავების ფრთებით აკლდამების სვეტებს ზემოდან დალივლივებს. თან მოიტანა თეთრეული, გიტარა და საქსოფონი. საათობით უკრავდა სმენით მარტივ მელოდიებს. ფანჯრიდან კვიპაროსები უსმენდნენ. დივინი გორგის მიმართ მაინცდამაინც განსაკუთრებულ სინაზეს არ განიცდიდა, გულგრილად უმზადებდა ჩაის და როცა დანაზოგი შემოელია, თავის ხელობას დაუბრუნდა ტროტუარზე, და ამან მოწყენილობა ოდნავ გაუფანტა. დივინი მღეროდა. ბაგიდან უფორმო მელოდიები გადმოსდიოდა, სადაც სინაზე მაღალფარდოვნებას ერეოდა, როგორც გამღერებებშია - ეს ერთადერთია, რამაც შეიძლება აგაღელვოს - როგორც ზოგიერთ ლოცვაშია, ფსალმუნშია, როგორც მედიდურ, საზეიმო პოზებშია, რომლებიც ნაკარნახევია ძველი ლიტურგიის კანონებით, საიდანაც წმინდა და ღვთის მგმობი სიცილია გაძევებული, პოზებში, რომლებიც დალაქავებულია ღვთაებრივი საწყისებით: სისხლით, შიშით, სიყვარულით. მინიონი იაფფასიან აპერიტივებს სვამდა; გორგი ძვირფასი ლიქიორებისაგან დამზადებულ კოქტეილებს მიირთმევდა, სამაგიეროდ ცოტას ჭამდა. ერთ დილას, ალბათ, რვა საათი იქნებოდა, მანსარდის კარზე ნოტრ-დამმა დააკაკუნა. ოთხად მოკეცილი დივინი სავანასავით კეთილსურნელოვანი, ზურგზე უდრტვინველად ჩაძინებული ზანგის ჩრდილში იწვა. დივინი კარზე კაკუნმა გააღვიძა. როგორც ცნობილია, ერთი ხანობა მან ღამით პიჟამის ჩაცმა დაიწყო. გორგიმ ძილი გააგრძელა. დივინი მის შიშველ, ალმოდებულ მუცელს, გაოფლილ, მაგრამ მაგარ ბარძაყებს დაეკრო და ისე გადმოვიდა საწოლიდან და იკითხა:

- ვინ არის?

- მე ვარ.

- ვინ მე?

- ოო, ვერ მიცანი თუ რა? შემომიშვი, დივინ.

დივინმა კარი გააღო. ნოტრ-დამს სუნმა უფრო მეტი უთხრა, ვიდრე ზანგის დანახვამ.

- რა სიმყრალეა! მდგმური გყოლია. ცუდი არ არის. კარგი. შეიძლება დავწვე? ისე მეძინება, ლამის წავიქცე. ადგილი არის?

გორგიმ გაიღვიძა. შერცხვა, როცა აღმოაჩინა, რომ ასო აუდგა, როგორც ყოველდილა უდგებოდა. ბუნებით მორცხვი იყო, მაგრამ თეთრკანიანებმა უსირცხვილობას მიაჩვიეს, და მასაც საშინლად უნდოდა, მათ დამსგავსებოდა, მაგრამ მათ გადააჭარბა კიდეც. იმის შიშით, რომ მისი მოძრაობა სასაცილოდ გამოჩნდებოდა, საბნის დაფარება აღარც უცდია. ნოტრ-დამს, რომელსაც არ იცნობდა, უბრალოდ ხელი გაუწოდა. დივინმა ისინი ერთმანეთს წარუდგინა.

- ჩაის დალევ?

- როგორც გინდა.

ნოტრ-დამი საწოლზე ჩამოჯდა. სუნს ეჩვეოდა. სანამ დივინი ჩაის ამზადებდა, ფეხსაცმლის თასმების გახსნა დაიწყო. თასმები უკვე გახსნილია. შეიძლებოდა კაცს ისიც ეფიქრა, ფეხსაცმელს სიბნელეში იცვამს ან იხდისო. პიჯაკი გაიხადა და ნოხზე მიაგდო. წყალი უკვე ადუღდა. ფეხსაცმელთან ერთად წინდებსაც წაავლო ხელი გასახდელად: ფეხი ეოფლებოდა და ეშინოდა, ოთახში სუნი არ დადგესო. მაინცდამაინც მარჯვედ არ გამოუვიდა, თუმცა კი ფეხებზე სუნი არ უდიოდა. თავს იკავებდა, რომ ზანგისთვის არ შეეხედა და ფიქრობდა: „ფიფქიას გვერდით უნდა დავიძინო? იქნებ მაინც გადმოძვრეს საწოლიდან?“ დივინი მაინცდამაინც არ ენდობოდა გორგის. იქნებ ერთი იმ მრავალრიცხოვან დამსმენთაგანია, რომელიც ზნეობის პოლიციისთვის მუშაობს, ფიქრობდა. ნოტრ-დამისთვის არაფერი უკითხავს. მოკლედ, ნოტრ-დამი ისეთივე იყო, როგორიც ჩვეულებრივ იყო ხოლმე. თვალებსა და ტუჩის კუთხეებში დაღლილობის ნიშანი არ ემჩნეოდა, მხოლოდ თმა ჰქონდა ოდნავ აჩეჩილი. თმის რამდენიმე კულული თვალებზეც ჰქონდა ჩამოშლილი. ისეთი იყო, როგორიც მხიარულად გატარებული წვეულების შემდეგ. საწოლის კიდეზე იჯდა და მუხლებზე იდაყვდაყრდნობილი ელოდა,

თან დაუვარცხნელ თმას იქექავდა.

- რას შვრება ეგ წყალი?

- დუღს.

პატარა ელექტროქურაზე წყალი ადუღდა. დივინმა ჩაი დაასხა. სამი ფინჯანი მოამზადა. გორგი უკვე იჯდა. იღვიძებდა. ნელა აღიქვა ირგვლივ არსებული საგნები და არსებები, უპირველეს ყოვლისა კი საკუთარი თავი. საკუთარი არსებობა შეიგრძნო. რამდენიმე მორიდებული აზრიც გაუჩნდა: სითბო, უცნობი ბიჭი, ამდგარი ასო, ჩაი, ლაქები ფრჩხილებზე (სახე ამერიკელი ქალისა, რომელმაც ერთ მის მეგობარს ხელი არ ჩამოართვა), ცხრის ათი წუთი. არ ახსოვს, რომ დივინს ამ უცნობზე რამე ეთქვას. მასზე ლაპარაკისას დივინი მუდამ ამბობდა: „მეგობარიო“, რადგან მკვლელმა სთხოვა, უცნობებთან სახელი ნოტრ-დამ-დე-ფლერი არ ახსენოო. მერე ამას მნიშვნელობა უკვე აღარ ჰქონდა. გორგი ისევ უყურებს მას. ოდნავ მობრუნებულ პროფილს ხედავს და კეფას. ზუსტად ის თავია, კედელზე ინგლისური ქინძისთავით რომაა მიკრული, მაგრამ ცხოვრებაში უკეთესი ჩანს; ოდნავ მისკენ შებრუნებული ნოტრ-დამი ეუბნება:

- მეგობარო, ცოტა მიიწიე. მთელი ღამე თვალი არ მომიხუჭავს.

- მოდი, ძმაო, უკვე ვდგები.

როგორც ცნობილია, ნოტრ-დამი ბოდიშს არასოდეს იხდიდა, იმიტომ კი არა, რომ მისგან ყველა რაღაცით იყო დავალებული, არა, უბრალოდ, რაც ხდებოდა, აუცილებლად უნდა მომხდარიყო (და ხდებოდა კიდეც თავის რიგზე), და პირადად მას არაფერი ეკუთვნოდა, არავითარი განსაკუთრებული ყურადღება, პატივისცემის არანაირი ნიშანი. ასე რომ, ყველაფერი ერთადერთი შესაძლებელი წესის თანახმად ხდებოდა.

- დივინ, შარვალს მომაწოდებ? - ჰკითხა ზანგმა.

- მოიცა, ჩაი დალიე.

დივინმა მას და ნოტრ-დამს ფინჯნები მიაწოდა. და ისევ იწყება სამთა ცხოვრება - მიცვალებულებზე გადამხობილ მანსარდაში, მოჭრილი ყვავილებით, მთვრალი მესაფლავეებით, მზით დაფხრეწილი იდუმალი აჩრდილებით. აჩრდილები არც კვამლია, არც ორთქლი, არც სქელი და გაუმჭვირვალე ფლუიდი: ისინი ჰაერივით გამჭვირვალენი არიან. დღისით მათში გავდივართ, განსაკუთრებით დღისით. ზოგჯერ, უცაბედად, ჩვენს ნაკვთებზე ნათლად აისახებიან, ჩვენს ფეხებზეც, თავიანთ ლაჯებს ჩვენსას გადააჯვარედინებენ ან რომელიმე ჩვენს ჟესტში ჩნდებიან. დიდი ხანი გაატარა დივინმა იმ გამჭვირვალე, უხორცო მარკეტის ლანდთან, რომელიც ნოტრ-დამთან ერთად გაიქცა და იგი სიგიჟემდე მიიყვანა - თითქმის ბოლო მოუღო. მის ლანდში გავლისას ნოტრ-დამს თან მუდამ ელვარე ნაგლეჯები მიჰყვებოდა, რაც მინიონისა და მისი დიდი მეგობრის (ერთხელ უნდოდა ეთქვა „კარგი მეგობრისო“ და თქვა „ლამაზი მეგობრისო“) თვალისთვის შეუმჩნეველი გახლდათ. ნოტრ-დამი სიგარეტს იღებს. მაგრამ ეს მარკეტია, კოლოფიდან წკიპურტის დარტყმით მალულად რომ ამოაძვრენს სიგარეტს. ხან აქ, ხან იქ მარკეტის ლანდის ნაგლეჯები ეკიდება ნოტრ-დამს. ისინი ნოტრ-დამს გარდასახავენ, ვერსაცნობს ხდიან. ეს მოჩვენებითი კონკები არ უხდება. მართლაც გადაცმულივით გამოიყურება. ასე მხოლოდ გლეხები ჩანან კარნავალის დღეებში თავიანთი ქვედა კაბებით, შალებით, უთითო ხელთათმანებით, ღილებიანი ფეხსაცმელებითა და ლუი მეთხუთმეტის სტილის ქუსლებით, კაპორებით, მოსახვევებით, ბებიებისა და დების კარადებში რომ ინახება. ნოტრ-დამ-დე-ფლერი ნელ-ნელა აცლის ფურცლებს თავის თავგადასავალს. რეალურსა თუ გამოგონილს? ორივეს. მარკეტისთან ერთად საწერ მაგიდაში დამალული სეიფი გაიტანა. ელექტრომავთული გადაჭრეს, რომელიც დარაჯის ზართან იყო მიერთებული, მარკეტის (ოცდაათიოდე წლის ლამაზ კორსიკელს, ჩემპიონს ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში) თითი ტუჩთან მიაქვს და ამბობს:

- აი, გაჩუმდა კიდეც.

ჩაცუცქულები, ალბათ, უფრო ნოხზე, შიფრის ძებნას დაიწყებენ და იპოვიან, მაგრამ ჯერ ერთმანეთში აებურდებათ კომბინაციები, მათ ასაკს შეერევა, თმას, მათი საყვარლების უულვაშო სახეებს, ჯერადსა და მამრავლს. ბოლოს ეს ხლართი მრგვალ ვიტრაჟად დალაგდება და მაგიდის კარი ოდნავ გაიღება. ჯიბეში ჩაიდებენ სამასი ათას ფრანკს და ბლომად ყალბ ბრილიანტებს. მანქანაში მარსელის გზაზე (ასეთი საქმის შემდეგ, წასვლა რომ არც ჰქონდეთ გადაწყვეტილი, მაინც მიდიან ნავსადგურში, რადგან ნავსადგური ქვეყნიერების დასასრულშია) მარკეტიმ უმიზეზოდ, მხოლოდ

ნერვიულობის გამო, ნოტრ-დამს თავისი ოქროს ბეჭედი ისე ჩაარტყა საფეთქელში, რომ სისხლი წამოუვიდა. მერე (ნოტრ-დამმა მოგვიანებით გაიგო აღიარებიდან, მარკეტიმ თავის ერთ მეგობარს რომ გაანდო) თურმე პისტოლეტით მისი მოკვლაც მოსვლია აზრად. მარსელში, წილების გაყოფის შემდეგ, ნოტრ-დამმა თავისი წილი მას მიანდო, მარკეტი გაიქცა და ჭაბუკი მიატოვა.

- თახსირია, არა, დივინ? როგორ ფიქრობ?

- სიგიჟემდე იყავი მასზე შეყვარებული, - უთხრა დივინმა.

- შენ ხომ არ გააფრინე.

და მაინც მარკეტი ლამაზი იყო (ნოტრ-დამი სვიტერზე ლაპარაკობს, რომელიც ხავერდივითა აქვს ტანზე შემოტმასნილი; მშვენივრად გრძნობს, რომ ამაშია დაფარული თვალისმომჭრელი, დამამონებელი ხიბლი. რკინის ხელი ხავერდის ხელთათმანში). ქერა კორსიკელი, ცისფერთვალება... ჭიდაობა... ბერძნულ-რომაული იყო. ბეჭედი... ოქროსი. ნოტრ-დამს საფეთქლიდან სისხლი სდიოდა. არსებითად, სიცოცხლეს იმას უნდა უმადლოდეს, ვინც ახლახან ბოლო მოუღო და ამით აღადგინა იგი. მარკეტიმ თავისი წყალობით ხელახლა მოავლინა იგი ამ ქვეყანას. მერე მანსარდაში ნოტრ-დამი ერთდროულად ნაღვლიანიც იქნება და მხიარულიც. თითქოს სიკვდილის სიმღერას მღერის მენუეტის მოტივზე. დივინი უსმენს. ამბობს, მარკეტი თუ ჩავარდა, გადაასახლებენო. გადასახლებაში წავაო. ნოტრ-დამმა ზუსტად არ იცის, გადასახლება რა არის, მხოლოდ ერთხელ გაიგო, როგორ თქვა ვიღაც ბიჭმა, მოსამართლეებზე რომ ლაპარაკობდა: „ეგენი მაგრა ასახლებენო“, მაგრამ ეჭვი აქვს, რომ საშინელება იქნება. დივინისთვის კი, რომელმაც იცის, რა არის ციხე და მისი ფიქრიანი სტუმრებიც, ნათელია, რომ მარკეტი - ამას ნოტრ-დამს უხსნიდა - ჩვეულებრივ რიტუალსაც ჩაატარებდა, შეიძლება იმასაც, ერთმა სიკვდილმისჯილმა რომ შეასრულა: მთელი ღამე - დაისიდან აისამდე - ყველა სიმღერა იმღერა, რაც კი იცოდა, დღისით კი მისი თავი ნახერხში გაგორდა. მარკეტი ტინო როსის ხმით იმღერებს. თავის ხაბაკხუბაკს ჩაალაგებს. თავისი ყველაზე ლამაზი საყვარლების სურათებს გადაარჩევს. დედის სურათსაც. პაემნების ოთახში დედას ჩაეხუტება. და წავა. მერე ზღვა იქნება, ანუ ეშმაკის კუნძული, შავკანიანები, რომის სახდელი ქარხნები, ქოქოსის კაკლები, პანამიანი კოლონისტები. მერე ლამაზი გაქცევა. გაქცევა მშვენიერი იქნება! მარკეტი მშვენიერი იქნება. ამ აზრს შეუძლია გული ისე ამიჩვილოს, რომ მზად ვარ, სინაზისგან ავტირდე, სხვა ქმნილებების კუნთების მორჩილ მის მშვენიერ კუნთებზე მიყრდნობილი. „ხვადი“, მოჭიდავე, გულთამპყრობელი კატორღის დედოფალი გახდება. მაგრამ იქ რაში გამოადგება თავისი ბერძნული კუნთები? ბლუეტს დაუძახებენ იქამდე, ვიდრე სხვა უფრო ახალგაზრდა გაიძვერა არ გამოჩნდება. მაგრამ არა. იქნებ თვით უფალმა მოიღოს მისთვის მოწყალება? კაიენში გაგზავნა ახლა ბრძანებით არის აკრძალული. გადასახლებულნი სიცოცხლის ბოლომდე მასიურ „ცენტრალებში“ რჩებიან. აღარც გაქცევის შანსი არსებობს და აღარც იმედი. ისინი დაიხოცებიან ნოსტალგიით სამშობლოზე - ნამდვილ სამშობლოზე, რომელიც არასოდეს უნახავთ და რომელზეც უარს ეუბნებიან. ოცდაათი წლისაა. თავისი აღსასრულის დღემდე მარკეტი ოთხკედელშუა დარჩება და, ნაღველისაგან სული რომ არ ამოხდეს, ისიც, თავის მხრივ, იმ ცხოვრებას გამოიგონებს, რომლითაც არასოდეს უცხოვრია და არც იმედი ექნება, რომ იცხოვრებს. ეს იმედის დასასრული იქნება. იმედი მოკვდება. საკანში გამოკეტილი მდიდრული ცხოვრება კამათელს გვაგონებს. ეს მახარებს. დაე ამ ქედმაღალმა და ლამაზმა „ხვადმაც“ შეიცნოს ის ტანჯვა, რაც სუსტთა ხვედრია. მთელ ჩვენს შესაძლებლობებს მოვუხმობთ იმისათვის, რომ საკუთარ თავს ყველაზე ბრწყინვალე როლები შევუთხზათ ყველაზე მდიდრულ ცხოვრებებში; იმდენს ვიგონებთ, ძალა არ გვეყოფოდა მათ აღსასრულებლად, და თუკი რომელიმე მათგანი მაინც აღსრულდებოდა, ბედნიერებას მაინც ვერ ვეღირსებოდით, რადგან საკუთარი თავი მშრალი სიამოვნებებით დავაუძლურეთ მოგონებებიდან მრავალგზის გამოხმობილი დიდებისა და სიმდიდრის მოხვეჭის ათასგვარი შესაძლებლობით. მოგვყირჭდა. ორმოცის, ორმოცდაათის, სამოცი წლისა ვართ; ჩვენ მხოლოდ მცენარეული არსებობა ძალგვიძს, ყელში ამოგვივიდა. ახლა შენი რიგია, მარკეტი. ნუ გამოიგონებ ქონების დასაგროვებლად რაღაც საშუალებებს, ნურც საიმედო გზებს იპოვი კონტრაბანდის გადმოსატანად, ახალ ეშმაკობებსაც ნუ ეძებ (ყველა უკვე ნაცადია და უკიდურესად გაცვეთილიც) იმისათვის, რომ იუველირები გააცურო, გოგოები მოატყუო, მღვდლებს

ყურადღება მოუდუნო, ყალბი კარტი დაარიგო, რადგან, თუ გაქცევისთვის გამბედაობა არ გყოფნის, მაშინ უნდა შეურიგდე იმას, რომ ერთ მშვენიერ დღეს ფსონს მოხსნი (ბოლომდე ვერც კი იტყვი დაზუსტებით, რა შეიძლება ეს იყოს), რაც შესაძლებლობას მოგცემს, საქმეს სამუდამოდ დაანებო თავი, და ამით ისე დატკბე შენი საკნის სიღრმეში, როგორც შეგიძლია. რადგან მიყვარხარ და ამ სიყვარულისგამო მძულხარ.

დივინარიანა (გაგრძელება)

მიუხედავად ზიზღისა, რომელიც შეიძლება მისდამი გქონდეთ, დივინი მაინც ძველებურად დედოფლობს ბულვარზე. თუ რომელიმე გოგო (თხუთმეტიოდე წლისა), ცუდად ჩაცმული, თვალის ჩაკვრით დასცინებს მას, ვინმე „ხვადი“ ხელს წაჰკრავს და ეტყვის:

- ის ღვთაებრივია, შენ კიდე წუწიანი კონკიაჟღარუნა ხარ.

დივინი დილით, დაახლოებით რვა საათზე, ბაზარში ნახეს, ხელში პროდუქტების ბადე ეჭირა, ბოსტნეულს, იასა და კვერცხს ეზომებოდა.

იმავე საღამოს ხუთი დაქალი ჩაის სვამდა:

- გაიგეთ, გოგოებო, დივინი ღმერთს გაჰყოლია ცოლად. უთენია დგება ზიარების მისაღებად. ძალიან, ძალიან მონანიე გახდა.

დაქალების გუნდი:

- მიუტევე, მიუტევე დივინს!

მეორე დღეს:

- გაიგეთ, საყვარლებო, პოლიციის განყოფილებაში დივინი გაუშიშვლებიათ. სხეული სულ დაჩეჩქვილი ჰქონია. მინიონი სცემს თურმე.

დაქალების გუნდი:

- უუუუ! დივინს ტყავს აძრობენ!

დივინი კი შიშველ სხეულზე შემოტმასნილ ძაძას ატარებდა, რასაც ვერც მინიონი ამჩნევდა და ვერც მისი კლიენტები.

ვიღაც ტიპი დივინს ელაპარაკება (ჯარისკაცია, რომელსაც სამსახურში დაბრუნება უნდა):

- თავის სარჩენი ფული არა მაქვს. რა ვქნა?

დივინი:

- იმუშავე.

- სამუშაოს უცბად ვერ იშოვი.

მას დივინის ცდუნება უნდა და აცივდება:

- რა ვქნა?

იმედი აქვს, რომ დივინი ეტყვის ან იფიქრებს, მოიპარეო. დივინი პასუხს აყოვნებს, რადგან ფიქრობს, ასეთ შემთხვევაში თვითონ როგორ მოიქცეოდა. წარმოიდგინა, ხელისგულზე დაყრილი თავისი მწირი საჭმლით როგორ გამოკვებავდა ჩიტებს და გაიფიქრა: „მოწყალება ითხოვე“.

დივინი:

- სიმღერის გირლანდებშემორტყმული ველოსიპედისტები ვნახეთ, რომლებიც სტვენა-სტვენით საღამო ხანს ზეციური ბორცვის ფერდზე ეშვებოდნენ. ჩვენ ქვევით, ველზე, ველოდით და ჩვენამდე ტალახის პატარა შხეფებად მოაღწიეს.

დივინის ველოსიპედისტები პირველყოფილ შიშს მგვრიან.

ყველა ღონე უნდა ვიხმარო, რომ საკუთარ თავს დავუბრუნდე, უფრო მეტად ვენდო მას. მინდოდა, ეს წიგნი ციხეში ჩემი ცხოვრების გარდაქმნილი, გაკეთილშობილებული წვრილმანებისგან შემექმნა და მეშინია, რომ ისინი ჩემს განუშორებელ ფიქრებზეც ალაპარაკდება. თუმც მშრალი, გაძვალტყავებული სტილისკენ ვისწრაფოდი, მაგრამ მაინც მინდოდა, ჩემი სატუსაღოს სიღრმიდან თქვენთვის ყვავილებით, თოვლივით თეთრი ქვედა კაბებით, ცისფერი ბაფთებით აღსავსე წიგნით მომემართა. ამაზე უკეთესი დროს ტარება არც არსებობს.

ცოცხალთა სამყარო ჩემგან სულაც არ არის შორს. ყველა საშუალებით ვცდილობ, დავიშორო. სამყარო უკან იხევს და მხოლოდ ოქროს წერტილადღა რჩება ცაზე - ისეთ ძნელად დასანახსა და ბუნდოვანზე, რომ უძირო უფსკრული ჩვენსა და სხვა სამყაროს შორის რეალობიდან აღარაფერს ტოვებს, გარდა ჩვენი საფლავებისა. და მასში ნამდვილი მიცვალებულის ცხოვრებას ვიწყებ. ამ ცხოვრებიდან უფრო მეტსა და მეტ ფაქტს ჩამოვკვეთ, უპირატესად წვრილმანებს, რომლებსაც უცბად შეუძლიათ შემახსენონ, რომ ნამდვილი ცხოვრება აქედან ოც მეტრშია გადაშლილი, ზედ კედლების ძირში. ყოველდღიური საზრუნავების წყებიდან უპირველესად იმათ

ვიშორებ, რომლებიც მეტისმეტად ცოცხლად შემახსენებენ, რომ ისინი იმ გარკვეული წრის შედეგია, რომელსაც მე მივეკუთვნები: მაგალითად, ორმაგად გაკვანძული თასმები მახსენებს, როგორ ვიკვანძავდი მათ იმ სამყაროში, მრავალკილომეტრიანი ლაშქრობების დროს არ გამხსნოდა. ახლა შარვალსაც აღარ ვიკრავ, რადგან ეს მაიძულებდა, კვლავ დამენახა ჩემი გამოსახულება სარკეში, ან წარმომედგინა, როგორ გამოვდივარ საპირფარეშოდან. ვმღერი იმას, რასაც იქ არასოდეს ვიმღერებდი; მაგალითად, ამ საშინელ სიმღერას: „ეს ჩვენ ვართ, ხულიგნები, ავაზაკები და ყაჩაღები...“, რომელსაც თხუთმეტი წლისა ვმღეროდი როკეტის ქუჩაზე, და რომელიც, მოვხვდები თუ არა ციხეში, ისევ მიბრუნდება. ვკითხულობ იმას, რასაც სხვაგან არ წავიკითხავდი (დარწმუნებული ვარ): პოლ ფევალის რომანებს. სატუსაღოს სამყაროსი მჯერა, მთელი მისი საძრახისი ჩვეულებებით. მე ვთანხმდები, შიგ ვიცხოვრო, ისევე, როგორც დავთანხმდებოდი, მეცხოვრა სასაფლაოზე, მკვდარი რომ ვყოფილიყავი, ოღონდ ნამდვილი მკვდარი. მაგრამ აუცილებელია ყურადღების გადატანა არა საქმიანობაზე, არამედ მის არსზე. არაფერი უნდა აკეთო სუფთად, ჰიგიენურად: სისუფთავე და ჰიგიენა მიწიერი სამყაროს თვისებებია. სასამართლოების ღრიანცელით უნდა იკვებო. ოცნებებით უნდა ირჩინო თავი. არ უნდა იკოხტაო და თავი არ უნდა შეიმკო ახალი მორთულობებით, გარდა ჰალსტუხისა და ხელთათმანებისა, უარი უნდა თქვა კოპწიაობაზე. არ ისურვო, იყო ლამაზი: სხვა რამე ისურვე. სხვა ენა გამოიყენე. და სერიოზულად დაიჯერე, რომ მარადიული პატიმარი ხარ. ზუსტად ამას ჰქვია „შეიქმენ ცხოვრება შენი“: უარი თქვი კვირაზე, ზეიმებზე, დაივიწყე, როგორი ამინდია გარეთ. არც გავოცებულვარ, როცა ტუსაღების ჩვევებს გავეცანი, იმ ჩვევებს, რომლებიც ამ ადამიანებს ცოცხლებისგან განაცალკევებს: ასანთის ღერების დაპობას, სანთებელას გაკეთებას, ათი კაცის მიერ ერთი ნამწვის გაბოლებას წრეში, საკანში წრიულად სიარულს და სხვას. ვფიქრობ, აქამდე ასეთ ცხოვრებას საიდუმლოდ ვეწეოდი ჩემთვის და საკმარისი იყო შევხებოდი, რომ იგი გარედან გადამეხსნა მთელი თავისი რეალობით.

მაგრამ ახლა მეშინია. ნიშნები მდევენ თან და მეც მოთმინებით მივყვები მათ. მათ სურთ დამღუპონ. განა სასამართლოსკენ მიმავალ გზაზე რომელიღაც კაფეს ტერასაზე შვიდი მეზღვაური არ დავინახე, ცალფეხა, მრგვალ და შეიძლება მბრუნავ მაგიდასთან ღია ფერის ლუდის შვიდი ტოლჩიდან ზეციური მნათობების განლაგებას რომ სწავლობდნენ? მერე კიდევ ერთი ბიჭი ვნახე, რომელსაც ღმერთისაგან ღმერთთან გზავნილები დაჰქონდა და კბილებით ანთებული ქაღალდის მრგვალი ფარანი ეჭირა რკინის მავთულით, რომლის ალიც სახეს უვარდისფრებდა და უნათებდა. სასწაული იმდენად სუფთა იყო, რომ თვითონაც არ იცოდა, რომ სასწაული იყო. წრეები და სფეროები მოსვენებას არ მაძლევენ: ფორთოხალი, იაპონური ბილიარდის ბურთები, ქაღალდის ფარნები, ჟონგლიორის სალტეები, მრგვალი ბურთი მეკარის ხელში. ალბათ, დამჭირდება, რომ მთელი შინაგანი ასტრონომია ჩამოვაყალიბო.

შიში? რა შეიძლება დამემართოს იმაზე უარესი, რაც დამემართება? ფიზიკური ტანჯვის გარდა არაფრისა მეშინია. მორალთან მხოლოდ წვრილი ძაფი მაკავშირებს. თუმცა მეშინია. განა სასამართლოს წინადღეს უცბად არ შევამჩნიე, რომ ამ წამის დადგომას რვა თვეს ველოდი ისე, რომ ამაზე არც მიფიქრია? იშვიათად მქონია წუთები, როცა არ მეშინოდა. იშვიათად მქონია წუთები, როცა მწვავე შეგრძნებები არ ახლდა არსებათა და მოვლენათა ჩემეულ აღქმას, იმათიც კი - და განსაკუთრებით იმათი - ვინც ჩვეულებრივ ულამაზესად მიიჩნევა. გუშინ სურისიერის ერთ ვიწრო საკანში, სადაც ელოდებიან წუთს, როცა გამომძიებლის კაბინეტში უნდა ავიდნენ, ერთმანეთზე მიჯრით მიწყობილი თორმეტი კაცი ვიდექით. მე საკნის სიღრმეში ვიყავი, უნიტაზთან, ერთი ახალგაზრდა იტალიელის გვერდით, რომელიც ხარხარით ჰყვებოდა თავის მარტივ თავგადასავლებს. მაგრამ ეს ამბები მისი ხმის, გამოთქმისა და ფრანგულის გამო პიკანტურად ჟღერდა. ადამიანად ქცეულ ცხოველად მივიღე. ვგრძნობდი, რომ, რადგან მისი სიტყვებისა მჯეროდა, ეს პრივილეგიას აძლევდა მის სურვილს, უბრალოდ ტურად, მელად ან ციცრად ვექცი. შეიძლება მისმა ამ პრივილეგიამ ჰიპნოზშიც ჩამაგდო. რაღაც მომენტში ვიღაც ჭაბუკ „ხვადს“ გულუბრყვილო და მომაკვდინებელი რეპლიკები გაუცვალა. და ესეც თქვა: „ერთ ქალს ტყავი გავაძრე“, როგორც კურდღელზე იტყვიან, გავატყავე, ანუ ასო-ასო ავქენიო, ან, როგორც ამბობენ: „ძველი ტყავი გაიძრეთო“. და კიდევ თქვა:

„დირექტორი მეუბნება, „ყვერებიანი ცხენი ხარო“, მე ვუპასუხე: „დაიმახსოვრეთ, ჩემნაირყვერებიანი ცხენი, თქვენნაირყვერებიან ცხენს ტოლს არ დაუდებს-მეთქი“. ბავშვის პირით ნათქვამ სიტყვა „ყვერებზე“ ვფიქრობ. საშინელებაა. საშინელების მაგია ისეთი იყო, ახლა რომ ვიხსენებ იმ წუთებს (კამათლის გაგორებაზე ლაპარაკობდნენ), იმ ბიჭებს თითქოს ჰაერში ჩამოკიდებულებს ვხედავ, უსაყრდენოდ, იატაკს აცილებული ფეხებით, და ისინი მდუმარებაში გაჰყვირიან თავიანთ სიტყვებს. მგონია, ისე ცხადად მახსოვს, ჰაერში რომ ეკიდნენ, რომ გონება, ჩემი ნების საწინააღმდეგოდ, ეძებს, ცდილობს გაარკვიოს, რაიმე ოინი ხომ არ ჰქონდათ მოფიქრებული, რითაც ჰაერში აიწეოდნენ: ფარული მექანიზმი, უხილავი ზამბარები პარკეტის ქვეშ ან სხვა რამე ასეთივე სარწმუნო. და რამდენადაც ეს შეუძლებელი იყო, ჩემი მოგონება ოცნებათა წმინდა საშინელებებში დაყიალებს. საზარელი წამებია - და მე მათ ვეძებ - როცა შეუძლებელია ზიზღის გარეშე უყურო საკუთარ სხეულსაც და გულსაც. ჩვეულებრივი და ერთი შეხედვით ყველაზე უწყინარი შემთხვევაც კი, სადაც უნდა შევხვდე, ჩემში საშინელ შიშს იწვევს: თითქოს გვამი ვარ, რომელსაც მეორე გვამი მისდევს და ისიც მე ვარ. ეს ფეხსალაგის სუნია. ეს ნიშნობისბეჭდიანი სიკვდილმისჯილის ხელია; ვხედავ, საკნის გისოსებში როგორ აძვრენს მას, რომ საჭმლით სავსე ჯამი აიღოს, რომელსაც ზედამხედველი უწვდის; თვითონ უხილავია, ხელი კი დაუმთავრებელი ტაძრის ღვთაების ხელსა ჰგავს; ეს საკანი კი, სადაც სინათლე დღედაღამ ანთია, სივრცისა და დროის შენადნობია სიკვდილის მისაღებში - უძილო ღამე ბრძოლის მოლოდინში, ღამე, რომელიც ორმოცდახუთჯერ ოცდაოთხ საათს გაგრძელდება. ეს მინიონია, თეთრი ქაშანურის ჭურჭელზე შარვალჩახდილი რომ ზის. სახე მოღრეცია. როცა თბილი გუნდები გამოსდის და ეცემა, სუნის ტალღა მაუწყებს, რომ ეს ქერათმიანი გმირი მძღნერით იყო სავსე. და ოცნებაც მთლიანად მნთქავს. ეს რწყილებია, რომლებიც მკბენენ; ვიცი, რომ ავები არიან და ჯერ ადამიანური გონივრულობით მკბენენ, მერე - ადამიანურზე უფრო მეტით.

გსმენიათ რამე ლექს-საწამლავზე, ლექს-ბომბზე, რომელიც კესანეს კონებად ააფეთქებდა ჩემს სატუსაღოს? იარაღი, რომელიც ბოლოს მოუღებდა მშვენიერ ჭაბუკს, ჩემში რომ ცხოვრობს და იძულებულს მხდის, ცხოველთა მთელ გუნდს მივცე თავშესაფარი?

მის იღლიებში მერცხლები დაბუდებულან, იქ მშრალი მიწისაგან ბუდე აუშენებიათ. თამბაქოსფერი ხავერდოვანი მუხლუხოები მისი თმის ქერა კულულებში ჩახლართულან. მის ფერხთით ფუტკრის გუნდი ირევა, თვალთა სიღრმეში კი - ასპიტთა წიწილები. არაფერი აღელვებს. არაფერი აწუხებს, პატარა გოგოების გარდა, რომლებიც, თვალდახრილნი და ხელებშეტყუპებულნი, მღვდელს ენას უყოფენ, რომ მან აზიაროს. თოვლივით ცივია. ვიცი, ძალიან გულდახურულია. ოქროს დანახვა ოდნავ გააღიმებს, მაგრამ, თუ გაიღიმა, ანგელოზივით ნატიფია. მოიძებნება კი ისეთი მაწანწალა, რომელსაც გამბედაობა ეყოფა და ხანჯლის ერთი აუცდენელი დაკვრით მისგან დამიხსნის? სიმარჯვე დასჭირდება, თვალის ზომა, სრული გულგრილობა. და... მკვლელი მის ადგილს დაიკავებს. ამ დილით დაბრუნდა, ღამე ბუნაგებში გაატარა, სადაც, ალბათ, მეზღვაურებს შეხვდა, გოგოებსაც. ერთი იმათგანის ხელმა მის ლოყაზე სისხლიანი კვალიც დატოვა. შეუძლია, შორს წავიდეს, ძალიან შორსაც, მაგრამ მტრედივით ერთგულია. ერთ საღამოს ბებერმა მსახიობმა ქალმა ღილკილოში კამელიის ყვავილი დაუტოვა. მინდოდა, ყვავილი გამესრისა, მაგრამ ფოთლები ხალიჩაზე დაცვივდებოდა (რომელ ხალიჩაზე? ჩემს საკანში ქვის ფილებია დაგებული) თბილი წყლის დიდ გამჭვირვალე წვეთებად. ახლა მის შეხედვას ძლივს ვბედავ: როცა ჩემი მზერა მის ბროლის სხეულს გადაკვეთს, ურიცხვი მტკიცე წახნაგი მასში იმდენ ცისარტყელას წარმოქმნის, რომ ტირილს ვიწყებ. დასასრული.

ეს უმნიშვნელოდ მოგეჩვენებათ, მე კი ამ ლექსმა შვება მომგვარა. მოკლედ, მე იგი მოვჭვი და გავთავისუფლდი.

დივინი:

- საკუთარ თავს განუწყვეტლივ ვეუბნები, რომ არ ვარსებობ და ამის წყალობით ვეგუები, როცა ვხედავ, რომ ადამიანები ყურადღებას აღარ მაქცევენ.

თუ მინიონმა თავისი ჩამშვებობის გამო ურთიერთობები დაკარგა, დივინმა, პირიქით, მათი რიცხვი გაზარდა. მის უბის წიგნაკში, თავისი უცნაურობებით რომ იყო ცნობილი, ყოველი მეორე გვერდი ფანქრით

ქაოსური წნულებითაა დაჯღაბნილი, რაც მინიონს განუწყვეტლივ აღუძრავდა ცნობისმოყვარეობას, სანამ დივინი არ გამოუტყდა, ამ გვერდებზე „კოკაინის“ დღეებში ანგარიშებს, ვალებსა და პაემნებს ვინიშნავო. აქ ვკითხულობთ სამი მიმოზას სახელს (მიმოზების დინასტია მონმარტრზე მიმოზა დიდის, ფართო გაქანების კოპწიას დროიდან მეფობდა), დედოფალ ორიანის, პირველი ზიარების, იხვნისკარტას, სონიას, კლერეტის, სქელუას, ბარონესას, რუმინეთის დედოფლის (რატომ ეძახდნენ რუმინეთის დედოფალს? ერთხელ გვითხრეს, თითქოს მეფე ჰყვარებია, ფარულად ჰყვარებია რუმინეთის მეფე, მისი ბოშური გარეგნობის გამო, შავი ულვაში და თმა რომ აძლევდა. და რომ, ვითომ ერთ კაცთან სოდომური ცოდვისას, ათ მილიონ მამაკაცს რომ წარმოადგენდა, გრძნობდა, როგორ ღვრიდა მასში სპერმას ათი მილიონი კაცი, მაშინ, როცა ერთი „იარაღიც“ კი ანძასავით ატყორცნიდა ალებული მზეების ცენტრში), სულფუროზას, მონიკას, ლეოს სახელებს. საღამოობით ხშირად დადიოდნენ პატარა, ვიწრო ბარებში, რომელთა ატმოსფეროც ღამის ორაზროვანი მხიარული წვეულებებისთვის არ იყო შექმნილი. ძრწოლაში, რომელსაც ჩვენში უნატიფესი ოცნება აჩენს, ისინი ერთმანეთს ესიყვარულებოდნენ. ჩვენს სიყვარულს რაღაცნაირი ნაღვლიანი მხიარულება გამოარჩევს და თუმცა მასში გონივრული უფრო მეტია, ვიდრე იმ კვირის შეყვარებულების სიყვარულში, მდინარის პირას რომ სხედან, ჩვენი გონივრულობა უბედურებებს იზიდავს. აქ სიცილი დრამიდან იბადება. ეს ტკივილის ყვირილია. ერთ-ერთ ამ ბარში, როგორც ყოველთვის, საღამოობით დივინი ზის და თავზე რიოში მარგალიტების გვირგვინი ადგას (ბარონესასავით). იგი ჰერალდიკურ გვირგვინოსან არწივს ჰგავს, ბოას ბუმბულებიდან ამოჩრილ ყელზე ძარღვები ეტყობა. მის პირდაპირ მინიონი ზის. ირგვლივ სხვა მაგიდებს უსხედან მიმოზები, ანტინეა, პირველი ზიარება. ისინი იმ დაქალებზე საუბრობენ, ჯერ რომ არ მოსულან. შემოდის იუდიტი და დივინს იატაკამდე უკრავს თავს:

- გამარჯობათ, ქალბატონო.

- ჩერჩეტო! - კივის დივინი.

- Die Puppe hat gesprochen, - ამბობს ერთი ახალგაზრდა გერმანელი. დივინი ხარხარებს. მარგალიტის გვირგვინი იატაკზე ეცემა და ტყდება. ამას თანაგრძნობის სიტყვები მოჰყვება, ბოროტი სიხარული კი ამ სიტყვების ინტონაციას ამდიდრებს: „დივინი დაემხო!.. დიდი დამარცხებული!.. საცოდავი გაძევებული!..“ წვრილი მარგალიტები იატაკზე გაშლილ ნახერხზე ეფინება და მინის იაფფასიან მძივებს ჰგავს - ასეთებს ქუჩის ვაჭრები ბავშვებს მიჰყიდიან ხოლმე - ესენი კი, თავის მხრივ, იმ მინის მძივებსა ჰგავს, ჩვენ რომ ყოველდღე ვასხამთ თითბრის მავთულზე კილომეტრობით და სხვა საკნებში მისგან სამგლოვიარო გვირგვინებს წნავენ, რომელთა მსგავსითაც ჩემი ბავშვობის დროინდელი სასაფლაო იყო მოფენილი - ქარისა და წვიმისგან დაჟანგულით, დამსხვრეულით, გაბნეულით, ოდნავ ჩაშავებული თითბრის მავთულის ბოლოში ფაიფურის პაწია, ცისფერფრთიანი, ვარდისფერი ანგელოზი მაინც რომ შერჩენოდა. ბარში ყველა პედერასტი მოულოდნელად მუხლს იყრის. მხოლოდ მამაკაცები დგანან. უცბად დივინს ყურისწამღები სიცილი აუტყდება. ყველა ყურებს ცქვეტს: ეს მისი ნიშანია. ღია პირიდან ხელოვნურ ყბას იღებს, თავზე იდებს და ჩაცვენილი ტუჩებით, შეცვლილი ხმით, მღელვარედ, მაგრამ ძლევამოსილად იძახის:

- ეშმაკმა დალახვროს, ქალბატონებო, მე მაინც დედოფალი ვარ.

როცა ვთქვი, დივინი წმინდა წყლისგან არის-მეთქი შექმნილი, უნდა დამეზუსტებინა, რომ იგი ცრემლისგან იყო გამოკვეთილი. მაგრამ მისი პირველი ჟესტის სილამაზე აშკარად გაფერმკრთალდა იმ სიდიადესთან შედარებით, რომელიც იმისათვის დასჭირდა, რომ შემდეგი მიეყოლებინა: თავიდან ხელოვნური ყბა ჩამოიღო, ისევ პირში ჩაიბრუნა და ჩაიმაგრა.

სამეფო გვირგვინის დადგმის ეს პაროდია მისთვის უმნიშვნელო არ იყო. ჯერ კიდევ მაშინ, როცა ერნესტინთან ერთად შიფერისსახურავიან სახლში ცხოვრობდა:

კეთილშობილური წარმომავლობა ადამიანს ხიბლავს. თანასწორობის ყველაზე თავგამოდებული მომხრე, ამასთან შერიგება რომ არ სურდეს კიდეც, მაინც გრძნობს და მორჩილდება. კეთილშობილების თვალსაზრისით ქცევის ორი მანერაა დასაშვები: თვითდამცირება ან ამპარტავნობა; ორივე მისი ძალაუფლების სრული აღიარებაა. ტიტულები წმინდაა. ეს სიწმინდე გარს გვარტყია და გვიმონებს. იგი ერთ ხორცს მეორეს უმორჩილებს. ეკლესია წმინდაა. მისი აუჩქარებელი ესპანური გალიონებივით ოქროთი

ქაოსური წნულებითაა დაჯღაბნილი, რაც მინიონს განუწყვეტლივ აღუძრავდა ცნობისმოყვარეობას, სანამ დივინი არ გამოუტყდა, ამ გვერდებზე „კოკაინის“ დღეებში ანგარიშებს, ვალებსა და პაემნებს ვინიშნავო. აქ ვკითხულობთ სამი მიმოზას სახელს (მიმოზების დინასტია მონმარტრზე მიმოზა დიდის, ფართო გაქანების კოპწიას დროიდან მეფობდა), დედოფალ ორიანის, პირველი ზიარების, იხვნისკარტას, სონიას, კლერეტის, სქელუას, ბარონესას, რუმინეთის დედოფლის (რატომ ეძახდნენ რუმინეთის დედოფალს? ერთხელ გვითხრეს, თითქოს მეფე ჰყვარებია, ფარულად ჰყვარებია რუმინეთის მეფე, მისი ბოშური გარეგნობის გამო, შავი ულვაში და თმა რომ აძლევდა. და რომ, ვითომ ერთ კაცთან სოდომური ცოდვისას, ათ მილიონ მამაკაცს რომ წარმოადგენდა, გრძნობდა, როგორ ღვრიდა მასში სპერმას ათი მილიონი კაცი, მაშინ, როცა ერთი „იარაღიც“ კი ანძასავით ატყორცნიდა აალებული მზეების ცენტრში), სულფურობას, მონიკას, ლეოს სახელებს. საღამოობით ხშირად დადიოდნენ პატარა, ვიწრო ბარებში, რომელთა ატმოსფეროც ღამის ორაზროვანი მხიარული წვეულებებისთვის არ იყო შექმნილი. ძრწოლაში, რომელსაც ჩვენში უნატიფესი ოცნება აჩენს, ისინი ერთმანეთს ესიყვარულებოდნენ. ჩვენს სიყვარულს რაღაცნაირი ნაღვლიანი მხიარულება გამოარჩევს და თუმცა მასში გონივრული უფრო მეტია, ვიდრე იმ კვირის შეყვარებულების სიყვარულში, მდინარის პირას რომ სხედან, ჩვენი გონივრულობა უბედურებებს იზიდავს. აქ სიცილი დრამიდან იბადება. ეს ტკივილის ყვირილია. ერთ-ერთ ამ ბარში, როგორც ყოველთვის, საღამოობით დივინი ზის და თავზე რიოში მარგალიტების გვირგვინი ადგას (ბარონესასავით). იგი ჰერალდიკურ გვირგვინოსან არწივს ჰგავს, ბოას ბუმბულებიდან ამოჩრილ ყელზე ძარღვები ეტყობა. მის პირდაპირ მინიონი ზის. ირგვლივ სხვა მაგიდებს უსხედან მიმოზები, ანტინეა, პირველი ზიარება. ისინი იმ დაქალებზე საუბრობენ, ჯერ რომ არ მოსულან. შემოდის იუდიტი და დივინს იატაკამდე უკრავს თავს:

- გამარჯობათ, ქალბატონო.

- ჩერჩეტო! - კივის დივინი.

- Die Puppe hat gesprochen, - ამბობს ერთი ახალგაზრდა გერმანელი. დივინი ხარხარებს. მარგალიტის გვირგვინი იატაკზე ეცემა და ტყდება. ამას თანაგრძნობის სიტყვები მოჰყვება, ბოროტი სიხარული კი ამ სიტყვების ინტონაციას ამდიდრებს: „დივინი დაემხო!.. დიდი დამარცხებული!.. საცოდავი გაძევებული!..“ წვრილი მარგალიტები იატაკზე გაშლილ ნახერხზე ეფინება და მინის იაფფასიან მძივებს ჰგავს - ასეთებს ქუჩის ვაჭრები ბავშვებს მიჰყიდიან ხოლმე - ესენი კი, თავის მხრივ, იმ მინის მძივებსა ჰგავს, ჩვენ რომ ყოველდღე ვასხამთ თითბრის მავთულზე კილომეტრობით და სხვა საკნებში მისგან სამგლოვიარო გვირგვინებს წნავენ, რომელთა მსგავსითაც ჩემი ბავშვობის დროინდელი სასაფლაო იყო მოფენილი - ქარისა და წვიმისგან დაჟანგულით, დამსხვრეულით, გაბნეულით, ოდნავ ჩაშავებული თითბრის მავთულის ბოლოში ფაიფურის პაწია, ცისფერფრთიანი, ვარდისფერი ანგელოზი მაინც რომ შერჩენოდა. ბარში ყველა პედერასტი მოულოდნელად მუხლს იყრის. მხოლოდ მამაკაცები დგანან. უცბად დივინს ყურისწამღები სიცილი აუტყდება. ყველა ყურებს ცქვეტს: ეს მისი ნიშანია. ღია პირიდან ხელოვნურ ყბას იღებს, თავზე იდებს და ჩაცვენილი ტუჩებით, შეცვლილი ხმით, მღელვარედ, მაგრამ ძლევამოსილად იძახის:

- ეშმაკმა დალახვროს, ქალბატონებო, მე მაინც დედოფალი ვარ.

როცა ვთქვი, დივინი წმინდა წყლისგან არის-მეთქი შექმნილი, უნდა დამეზუსტებინა, რომ იგი ცრემლისგან იყო გამოკვეთილი. მაგრამ მისი პირველი ჟესტის სილამაზე აშკარად გაფერმკრთალდა იმ სიდიადესთან შედარებით, რომელიც იმისათვის დასჭირდა, რომ შემდეგი მიეყოლებინა: თავიდან ხელოვნური ყბა ჩამოიღო, ისევ პირში ჩაიბრუნა და ჩაიმაგრა.

სამეფო გვირგვინის დადგმის ეს პაროდია მისთვის უმნიშვნელო არ იყო. ჯერ კიდევ მაშინ, როცა ერნესტინთან ერთად შიფერისსახურავიან სახლში ცხოვრობდა:

კეთილშობილური წარმომავლობა ადამიანს ხიბლავს. თანასწორობის ყველაზე თავგამოდებული მომხრე, ამასთან შერიგება რომ არ სურდეს კიდეც, მაინც გრძნობს და მორჩილდება. კეთილშობილების თვალსაზრისით ქცევის ორი მანერაა დასაშვები: თვითდამცირება ან ამპარტავნობა; ორივე მისი ძალაუფლების სრული აღიარებაა. ტიტულები წმინდაა. ეს სიწმინდე გარს გვარტყია და გვიმონებს. იგი ერთ ხორცს მეორეს უმორჩილებს. ეკლესია წმინდაა. მისი აუჩქარებელი ესპანური გალიონებივით ოქროთი

დამძიმებული, უძველესი აზრით აღვსილი, სულიერებისაგან შორს მდგარი რიტუალები, ეკლესიას ისეთსავე ძლიერებას ანიჭებს, როგორიც სილამაზეს და კეთილშობილებასა აქვს. ამჩატებულ კიულაფრუას მისი ძალაუფლებისგან დასხლტომის უნარი არ ჰქონდა და ნეტარებით მიენდო, ისევე, როგორც მიენდობოდა ხელოვნებას, რომ სცოდნოდა ის. კეთილშობილებს უჩვეულოდ დამძიმებული სახელები აქვთ, ისევე, როგორც გველებს (ისეთივე რთული, როგორიც უძველეს ღვთაებათა სახელებია), უცნაური, როგორც ნიშნები, გერბები ან საკულტო ცხოველები, ძველი გვარეულობების ტოტემები, საბრძოლო შეძახილები, ტიტულები, ბეწვეული, მინანქარი - გერბები, მათი მფლობელების იდუმალ კავშირს რომ განამტკიცებს ისევე, როგორც ბეჭედი, რომლითაც ამოწმებენ პერგამენტს, ხელნაწერს, ეპიტაფიას, საფლავს. კეთილშობილება ხიბლავდა ბავშვს. მისი მუდმივი კორტეჟი სასტიკი მეომრებისა - ბუნდოვანი და ამავე დროს აშკარად ხილული, და არსებული - რომელთა ბოლო ხორცშესხმადაც საკუთარი თავი მიაჩნდა - კორტეჟი, რომლის არსებობის აზრიც მხოლოდ ეს შედეგი იყო: გაფითრებული ბიჭი, სოფლის ქოხმახების ტყვე - უფრო მეტად აღელვებდა, ვიდრე მზემოკიდებული მეომრების ეს ხილული კორტეჟი, რომლის სათავეშიც ვითომდა თვითონ იდგა. ოღონდ ეგ იყო, რომ კეთილშობილი არ იყო. ამ სოფელში არც არავინ იყო კეთილშობილი, ყოველ შემთხვევაში, კეთილშობილების ნიშანი არავის ედო. ერთ დღეს სხვენზე ხარახურაში კაპეფიგის ძველი ისტორია აღმოაჩინა. იქ ნახსენები რაინდებისა და ბარონების ათას სახელს შორის მან მხოლოდ ერთი დაინახა: პიკინი. ერნესტინის ქალიშვილობის გვარი პიკინი იყო. ეჭვი არ იყო, იგი კეთილშობილური გვარის წარმომადგენელი გახლდათ. მოგვყავს ნაწყვეტი წიგნიდან: „საფრანგეთის კონსტიტუციური და ადმინისტრაციული ისტორია“, მოთხრობილი ბატონი კაპეფიგის მიერ (გვ. 447): „...შტატების საიდუმლო მოსამზადებელი თათბირი, მარსელისა და პარიზის ქალაქისთავების მიერ ჩატარებული“. მოკლედ, აი, როგორ ჩაიარა. ჟან დე პიკინი და რამდენიმე მეომარი პატარა ციხე-დარბაზს მიადგნენ, სადაც ნავარის მეფე ჰყავდათ დამწყვდეული. „ჟან დე პიკინი არტუას გუბერნატორი იყო და მეომრებმა - ამიენის ბურჟუაზიამ - კედელს კიბეები მიადგეს და მცველებს მოულოდნელად დაესხნენ თავს; მათთვის ზიანი არ მიუყენებიათ...“. ამ ოჯახზე დაწვრილებით რომ შეეტყო, კაპეფიგის „ისტორია“ მთლიანად წაიკითხა. მის განკარგულებაში ბიბლიოთეკები რომ ყოფილიყო, სულ გადაქექავდა, გაურკვეველ ხელნაწერებს გაშიფრავდა - სწორედ ასე აღმოცენდება ხოლმე ერუდიტთა გატაცებებიც - მაგრამ ვერაფერი აღმოაჩინა, გარდა ამ პატარა კუნძულისა, რომელიც კეთილშობილთა სახელების ზღვიდან ამოცურდა. რატომ არ ერთვოდა ერნესტინის გვარს კეთილშობილური ნაწილაკი? სად იყო გერბი? როგორი იყო? იცოდა თუ არა ერნესტინმა წიგნის ამ ნაწყვეტის არსებობა და თავისი კეთილშობილური წარმომავლობა? კიულაფრუა ცოტა უფროსი რომ ყოფილიყო და არც ასეთი მეოცნებე, შეამჩნევდა, რომ 447-ე გვერდის არე თითებისგან იყო გაპოხილი. ერნესტინის მამამ იცოდა ამ წიგნის არსებობა. ეს წიგნი ასევე სასწაულებრივად გადაიშალა ამავე გვერდზე და ერნესტინის მამას ეს სახელი აჩვენა. კიულაფრუას მოეწონა, რომ კეთილშობილება ერნესტინს ხვდა წილად და არა მას, და ამ შტრიხშიც შეგვიძლია მისი ბედისწერის ნიშანი დავინახოთ. ერნესტინის გვერდით ყოფნის შესაძლებლობა, მისი სიახლოვით, განსაკუთრებული წყალობებით ტკბობა კიულაფრუას მოსწონდა, მის სულს ეხმიანებოდა, ისევე, როგორც ვიღაცას მოსწონს უფლისწულის ფავორიტად ყოფნა და არა უფლისწულად, ან ღმერთის ქურუმად და არა თვით ღმერთად, რადგან ამგვარად მან შეიძლება მოწყალება დაიმსახუროს. კიულაფრუამ თავი ვერ შეიკავა და გადაწყვიტა, თავისი აღმოჩენის შესახებ ერნესტინისთვის ეთქვა, მაგრამ არ იცოდა, როგორ დაეწყო და მოკლედ მოჭრა:

- კეთილშობილი ხარ. შენი გვარი საფრანგეთის ძველ ისტორიაში ვნახე.

კიულაფრუა ირონიულად იღიმებოდა, რომ დაერწმუნებინა იგი თავის ზიზღში არისტოკრატიის მიმართ, რომლის მედიდურობაზეც მუდამ მაღალფარდოვნად მოუთხრობდა ხოლმე სკოლის მასწავლებელი, როცა 4 აგვისტოს ღამის მოვლენებზე ლაპარაკობდა. კიულაფრუას ეგონა, რომ ზიზღი გულგრილობას ნიშნავდა. ბავშვები, და პირველ რიგში კი საკუთარი შვილი, ერნესტინში უხერხულობის გრძნობას იწვევდა, თითქმის ისევე, როგორც ჩემში მსახური იწვევს. ერნესტინი წითლდება და ჰგონია, რომ მიუხვდნენ; ან ჰგონია, რომ მიუხვდნენ და წითლდება, ზუსტად არ ვიცი. მასაც

უნდოდა, კეთილშობილი ყოფილიყო. იმავე კითხვით მიმართა მამასაც, რომელიც ზუსტად ასევე გაწითლდა. როგორც ეტყობა, ეს „ისტორია“ ოჯახში დიდი ხანია იდო და, გარკვეული აზრით, საგვარეულო სიგელის როლსაც თამაშობდა. ვინ იცის, იქნებ მეტისმეტად მდიდარი წარმოსახვით გატანჯულმა ერნესტინმა, ხან უბედურ გრაფინიად რომ აქცია წიგნმა, ხანაც მძიმე გერბებითა და გვირგვინებით დამშვენებულ ერთ ან ერთდროულად რამდენიმე მარკიზადაც, წიგნი შორს, სხვენში გააძევა, რომ მისი ჯადოსთვის დაეღწია თავი; მაგრამ არ იცოდა, რომ მისი ჩასახლებით საკუთარ თავს ზემოთ მისგან ვერასოდეს გათავისუფლდებოდა; ერთადერთი წარმატებული საშუალება წიგნის დამარხვა, წყალშიგადაგდება ან დაწვა იყო. ერნესტინმა არ უპასუხა, მაგრამ კიულაფრუას მისი სულის წაკითხვა რომ შეძლებოდა, დაინახავდა სულის სიცარიელეს, გამოწვეულს ამ მხოლოდ და მხოლოდ არაღიარებული კეთილშობილებით, რომელშიც თვითონაც არ იყო დარწმუნებული, და რომელიც კიულაფრუას თვალში მას თანასოფლელებზე და ქალაქიდან ჩამოსულებზეც მაღლა აყენებდა. ერნესტინმა გერბიც აღწერა, რადგან ჰერალდიკურ მეცნიერებას ახლა უკვე იცნობდა. პარიზამდე ჩავიდა, დ'ოზიეს თხზულებები რომ ექექა. იქ ისწავლა ისტორია. უკვე ვთქვით, რომ სწავლულები სხვა განზრახვით თითქმის არასოდეს მოქმედებენ. ფილოლოგი არ აღიარებს (თუმცა არც იცის), რომ ეტიმოლოგიის მიმართ მისი ინტერესი პოეზიიდან მოდის (სულერთია, სჯერა თუ არა ან შეეძლო თუ არა დაეჯერებინა, მაგრამ სინამდვილეში მასზე ხორცი ზემოქმედებს), რომელიც სიტყვა „კლავიშშია“, სადაც, თუ თვითონ სურს, შეიძლება ამოიცნოს სიტყვა „გასაღები“ ან სიტყვა „მუხლი“. ერთ მშვენიერ დღეს ახალგაზრდა კაცი, გაიგებს თუ არა, რომ დედალი მორიელი თავის მამალს ჭამს, ენტომოლოგი ხდება, სხვა კი - ისტორიკოსი, როცა ამოიკითხავს, რომ ფრიდრიხ მეორე გერმანელი ბავშვების აღზრდას მარტოობაში მოითხოვდა. ერნესტინი ეცადა, აზნაურად ყოფნის სანუკვარი ოცნების სირცხვილს ნაკლებად სამარცხვინო ცოდვის სწრაფი აღიარებით გაჰქცეოდა. ეს ძველი ფანდია: ნაწილობრივი აღიარების ეშმაკობა. საკუთარი ინიციატივით ცოტას ვაღიარებ, რომ საიმედოდ დავფარო მთავარი. გამომძიებელმა ჩემს ადვოკატს უთხრა, თუ კომედიას თამაშობს, მაშინ ბრწყინვალედ გამოსდისო. მაგრამ მე მხოლოდ დროდადრო ვთამაშობდი კომედიას. დაცვის შეცდომებს შეცდომებს ვუმატებდი და ეს ძალიან კარგი იყო. სასამართლოს მდივანს, ალბათ, ეგონა, გულუბრყვილობას - დაუდევრობის დედას ვიგონებდი. მოსამართლეს თითქოს სჯეროდა ჩემი გულწრფელობისა. ორივე ცდებოდა. მე მართლაც მივუთითებდი მაკომპრომეტირებელ დეტალებზე, რაზეც მათ თავიდან არაფერი იცოდნენ (მრავალჯერ გავიმეორე: „ეს ღამით მოხდა“, რაც ჩემს შემთხვევაში დამამძიმებელი გარემოებაა, როგორც გამომძიებელმა მითხრა, მაგრამ ისიც ვიფიქრე, რომ გამოცდილი დამნაშავე ამაში არ გამოტყდებოდა: მინდოდა, ახალბედად მომეჩვენებინა თავი. სწორედ გამომძიებლის კაბინეტში მომივიდა აზრად, მეთქვა: „ეს ღამით მოხდა“, რადგან იმ ღამით სხვა ამბებიც მოხდა, რომლებიც უნდა დამემალა. უკვე ვაპირებდი, ბრალდება იმ ღამით მომხდარი ახალი დანაშაულისაკენ წამეყვანა, მაგრამ, რაკი მაშინ არანაირი კვალი არ დამიტოვებია, ამიტომ მნიშვნელობაც აღარ მივანიჭე. მოგვიანებით მნიშვნელობამ ზრდა და განვითარება დაიწყო - არ ვიცი, რატომ - და უნებურად წამომცდა „ღამით“, უნებურად, მაგრამ დაჟინებით. მეორე დაკითხვაზე უცბად მივხვდი, რომ მოვლენებსა და თარიღებს ერთმანეთში კარგად არ ვურევდი. ყველაფერი ისეთი სიზუსტით გამოვთვალე და გავითვალისწინე, გამომძიებელს თავგზა აებნა. ძალიან მარჯვედ მოვახერხე. მე მხოლოდ საკუთარ საქმეზე უნდა მეზრუნა, იმას კი ოცამდე საქმე ჰქონდა. გამომძიებელი იმას არ მეკითხებოდა, რაც უნდა ეკითხა, ცოტა გამჭრიახი რომ ყოფილიყო ან უფრო მეტი დრო ჰქონოდა, და რაზეც პასუხებიც მზად მქონდა, არამედ უფრო დიდ დეტალებს შეეხო, რაზეც მე აღარ შევჩერებულვარ, რადგან არ მეგონა, რომ გამომძიებელს ამდენი ფიქრის უნარი ჰქონდა). ერნესტინს დრო არ ეყო, რომ დანაშაული გამოეგონებინა - გერბი აღწერა: „ათად გაყოფილ მოვერცხლისფრო-ლაჟვარდოვან ფონზე მეწამული ლომის ხახა, ყველგან ოქროთი მოვარაყებული. ჩაჩქანზე კი ფერია მელუზინა“. ეს ლუზინიანების გერბი გახლდათ. კიულაფრუა ისმენდა ამ ბრწყინვალე პოემას. ერნესტინმა დაწვრილებით იცოდა ისტორია ამ საგვარეულოსი, საიდანაც იერუსალიმის მეფეებიც გამოვიდნენ და კვიპროსის მბრძანებლებიც. ვითომ მათი საგვარეულო ციხე-დარბაზი ბრეტონში მელუზინას აშენებული ყოფილიყოს; ერნესტინი ამით არ დაკმაყოფილდა: ეს

ლეგენდა იყო, მისი გონება კი ირეალური შენობის ასაგებად უფრო მტკიცე მასალას მოითხოვდა. ლეგენდა ქარსა ჰგავს. ერნესტინს ფერიებისა არ სჯეროდა, რომლებიც იმისთვის იყვნენ შექმნილი, რომ მეოცნებე უტიფრები სწორი გზიდან გადაეცდინათ. ქრონიკების კითხვისას მთელი მისი არსება მღელვარებამ შეიპყრო: „...ზღვის გაღმელი შტო... გერბი, რომელიც ხოტბას ასხამს...“.

ერნესტინმა იცოდა, რომ ტყუოდა. ძველი წარმოშობით სახელის მოხვეჭის სურვილით შეპყრობილი ღამის ძახილს დანებდა, მიწისა და ხორცის ძახილს დანებდა. იგი თავის ფესვებს ეძებდა. უნდოდა, შეეგრძნო გამანაყოფიერებელი დინასტიური ძალის უხეში, დაკუნთული ძლიერება. მოკლედ, ჰერალდიკური გამოსახულება სახელს გაუთქვამდა.

ამბობენ, „მოსეს“ ჩაცუცქული პოზა მიქელანჯელოს იმ მარმარილოს ფორმამ უკარნახა, რომელიც უნდა დაემუშავებინაო. დივინს გამუდმებით ხვდებოდა მარმარილოს უცნაური ნატეხები, რომლებიც აიძულებდა, შედევრები შეექმნა. კიულაფრუასაც ექნება ასეთი შემთხვევა, როცა გაქცევის შემდეგ ქალაქის ბაღში აღმოჩნდება. ხეივნებში სეირნობისას, როცა ერთი მათგანის ბოლოში აღმოჩნდა, უცბად შეამჩნია, რომ უკან უნდა გამობრუნებულიყო, თორემ გაზონს გადათელავდა. მობრუნებისას გაიფიქრა: „მკვეთრი ბრუნი გააკეთა“, და სიტყვა „ბრუნმა“, რომელსაც მაშინვე ჩაეჭიდა, აიძულა, მსუბუქი ნახევარბრუნი გაეკეთებინა. ის-ის იყო ცეკვა უნდა დაეწყო თავშეკავებული, ჯერ ბოლომდე მოუფიქრებელი, მხოლოდ ჩანაფიქრში არსებული მოძრაობებით, რომ დაგლეჯილი ფეხსაცმლის ლანჩა ქვიშაზე აეთრია და სამარცხვინოდ ვულგარული ხმა გამოსცა (აუცილებელია, ისიც აღვნიშნოთ, რომკიულაფრუა თუ დივინი, მათთვის დამახასიათებელი ნატიფი გემოვნებით, ასე ვთქვათ, პრანჭია, კურტუაზული გემოვნებით - ჩვენი გმირები ხომ თავიანთ წარმოსახვაში მუდამ ახალგაზრდა გოგონების ურჩხულებისაკენ სწრაფვის სცენებს თამაშობენ - მუდამ ისეთ სიტუაციაში აღმოჩნდებიან ხოლმე, რომლებიც მათთვისაც კი საზიზღარია). მას მიწაზე ფეხსაცმლის ლანჩის თრევის ხმა შემოესმა. წესრიგისაკენ მოწოდების ამ ხმამ თავის ჩაღუნვა აიძულა. მაშინვე ჩაფიქრებული სახე მიიღო და ნელი ნაბიჯით წავიდა უკან. მოსეირნეები უყურებდნენ და კიულაფრუამ იცოდა, რომ ისინი მის სიფითრესა და სიგამხდრეზე ლაპარაკობდნენ, ბილიარდის ბურთივით მძიმე, მრგვალ და დაშვებულ ქუთუთოებზეც. უფრო მეტად დაღუნა თავი, უფრო მეტად შეანელა ნაბიჯი, ისეთი სახე ჰქონდა, თითქოს ვიღაცას რაღაცას ევედრებაო, და მან - არც უფიქრია, ისე - წამოიძახა, ოღონდ მყვირალა ჩურჩულით:

- უფალო, შენს რჩეულთა შორის ვარ.

იმ დროის განმავლობაში, რომელიც ამ რამდენიმე ნაბიჯის გადადგმას დასჭირდა, უფალმა იგი აღიტაცა და თავის ტახტთან დააყენა.

დივინი - დავუბრუნდეთ მას - ბულვარში ხეზე მიყრდნობილი იდგა. აქ მყოფ ახალგაზრდებს შორის ისეთი არავინ იყო, ვინც მას არ იცნობდა. სამი ადგილობრივი ხულიგანი მისკენ მოდიოდა. ჯერ სიცილით მოდიოდნენ, კაცი ვერ მიხვდებოდა, რაზე იცინოდნენ, იქნებ დივინზეც, მერე დივინს მიესალმნენ და საქმე როგორ მიდისო, ჰკითხეს. დივინს ხელში ფანქარი ეჭირა; ფანქარი უნებურად ფრჩხილებზე აათამაშა, ჯერ უსწორმასწორო არშია დახატა, მერე შეგნებულად რომბი გამოიყვანა, როზეტი, ჭყორის ფოთოლი. ხულიგნებმა დაცინვა დაუწყეს. ეკითხებოდნენ, მართლა ძალიან უსიამოვნოა ყლეებიო, რომლებსაც მოხუცები... რომ ქალებში მეტი მომხიბვლელობაა... რომ თვითონაც სუტენიორები არიან... და სხვა; ცხადია, უბოროტოდ ლაყბობდნენ, მაგრამ მათმა სიტყვებმა დივინს გული დაუკოდა. მისი უხერხულობა იზრდებოდა. ისინი ხომ ჯერ სულ პატარა ბიჭები იყვნენ, ის კი ოცდაათი წლისა, შეეძლო, ერთი გარტყმით გაეჩუმებინა ისინი. მაგრამ ისინი მამაკაცები არიან. ჯერ ისევ პატარები, მაგრამ მაგარი კუნთები და მტკიცე გამოხედვა აქვთ. აგე, აქ დგანან, ხეებივით უდრეკად. დივინს ლოყები უხურს. ისეთ სახეს იღებს, თითქოს ფრჩხილების მოხატვით სერიოზულად იყოს გართული და სხვა არაფერი აინტერესებდეს: „აი, რა შემიძლია ვუთხრა ამათ, - გაიფიქრა მან, - რომ დავაჯერო, რომ შეცბუნებული არა ვარ“. ბიჭებს მოხატულ ფრჩხილებს აჩვენებს და ღიმილით ამბობს:

- ახალ მოდას შემოვიტან. დიახ, დიახ, ახალ მოდას. ნახავთ, ლამაზი იქნება. ქალები-ჩვენ და ქალები-სხვები ფრჩხილებზე არშიებს დაიხატავენ. სპარსეთიდან მხატვრებს მოიწვევენ, და ისინი მინიატურებს დახატავენ, რომელთა დანახვაც ლუპით იქნება შესაძლებელი! აჰ, ღმერთო დიდებულო!

სამივე დაიბნა და ერთმა ყველას მაგივრად თქვა:

- ოჰ, ეს შეჩვენებული დივინი.

და წავიდნენ.

ზუსტად ამ ადგილზე და ამ დღეს ფრჩხილების სპარსული მინიატურებით დამშვენების მოდა დაიბადა.

დივინს ეგონა, მინიონი კინოში იყო, ნოტრ-დამი კი რომელიმე დიდი მაღაზიის თაროებს სწავლობდა. საღამოსკენ, ამერიკულ ფეხსაცმელებში გამოწყობილი, თავზე ურბილესი შლაპით და მაჯაზე ოქროს ჯაჭვით მინიონი კიბეზე ჩავიდა. ზღურბლს გადააბიჯა თუ არა, სახეზე მარმარილოს ქანდაკების სიმტკიცე და მოცისფრო ფოლადის ანაბზინი გაუქრა. თვალი იმდენად დაუტკბა, რომ გამოხედვა გაუქრა და ორ ღიობად ექცა, რომლებშიც ცა შეიჭრა. სიარულით კი, როგორც ყოველთვის, რწევით წავიდა. ტიუილრიმდე მივიდა და თუჯის სავარძელში ჩაჯდა.

კაცმა არ იცის, საიდან, ნოტრ-დამიც გამოჩნდა სტვენა-სტვენით მომავალი. ქარი თმას უწეწავდა; იქვე მეორე სავარძელში ჩაჯდა; და დაიწყო:

- რაზე შეჩერდი?

- ცხადია, ბრძოლა მოვიგე. ახლა დღესასწაული იქნება. ოფიცრები ჩემს პატივსაცემად ზეიმს აწყობენ. მე ჯილდოებს დავარიგებ. შენ? შენ რას შვრები?

- მე... მე ძველებურად ისევ უბრალოდ უნგრეთის მეფე ვარ, მაგრამ შენ ისე მოაწყობ, რომ დასავლეთის იმპერატორად ამირჩიონ. ჩაავლე? მინიონ, ხომ მაგარია! და შენთან დავრჩები.

- რასაკვირველია, ძველო.

მინიონმა ნოტრ-დამ-დე-ფლერს კისერზე მოხვია ხელი; კოცნაც უნდოდა, რომ უცბად ნოტრ-დამიდან რვა ახალგაზრდა ველური გადმოხტა: ისინი, ბრტყელები, თითქოს მას გამოეყვნენ, თითქოს მის სისქეს შეადგენდნენ, თავად მის სხეულს; მინიონს ისე ეცნენ, გეგონება მისი მოხრჩობა უნდათო. ესეც ნიშანი გახლდათ. მან ნოტრ-დამის კისერს ხელი უშვა, და ბაღში სიმშვიდემ დაისადგურა, მან (ბაღმა) ღვარძლის გარეშე მიუტევა. იმპერატორისა და მეფის საუბარი განახლდა. ნოტრ-დამმა და მინიონმა ერთმანეთზე დაახვიეს თავიანთი ფანტაზიები, რომლებიც ერთიმეორეს ორი ვიოლინოს მელოდიასავით გადაეხლართა, როგორც დივინი ახლართავდა თავისი კლიენტების სიცრუეს საკუთარ სიცრუეს. ასე რომ, უჩვეულო ხლართი შეიქმნა, ბრაზილიის ტყეებში ლიანების ამონაყარზე უფრო მჭიდროდ გადასკვნილი. და არც ერთი მოსაუბრე აღარ იყო დარწმუნებული, საკუთარ თემას აგრძელებდა თუ მეორისაზე ლაპარაკობდა. ეს შეგნებული თამაშები იმისთვის კი არ იყო, რომ ტყუილი ეთქვათ, არამედ იმისთვის, რომ ერთმანეთი მოეხიბლათ. ამ საუბარს პარკის ხეების ჩრდილიდან იწყებდნენ ან გაცივებული ნაღებიანი ყავის ფინჯნებთან და პაემნების სახლამდე აგრძელებდნენ. იქ კი ჩურჩულით წარმოთქვამდნენ სახელს, მალულად აჩვენებდნენ საბუთს; და კლიენტები აუცილებლად იმ სუფთა და ვერაგ წყალში იძირებოდნენ, როგორიც დივინი იყო. იგი ძალდაუტანებლად, ერთი სიტყვით, მხრების ერთი მოძრაობით თუ თვალის ერთი დახამხამებით ააშკარავებდა სიცრუეს, და ამგვარად საამო დაბნეულობას იწვევდა, რაღაცით იმ მღელვარების მსგავსს, მე რომ განვიცდი, როცა წიგნს ვკითხულობ, ნახატს ვუყურებ, მელოდიას ვისმენ, როცა, ბოლოს და ბოლოს, შთაგონება მომდის. ასე ნატიფად, მოულოდნელად, ნათლად და ცხადად წყდება კონფლიქტი ჩემს სიღრმეებში. ამის დამამტკიცებელია ის სულიერი სიმშვიდე, ამას რომ მოსდევს. ეს კონფლიქტი შეიძლება იმ საზღვაო კვანძებს შევადაროთ, მეზღვაურები ბოზურს რომ უწოდებენ.

როგორ ავხსნა ის ფაქტი, რომ დივინი ახლა ოცდაათი წლისაა ან იქნებ მეტისაც? ხომ საჭიროა, ჩემი ასაკისა იყოს, რომ ბოლოს და ბოლოს საკუთარ თავზე ლაპარაკის, წუწუნისა და კიდევ იმის მოთხოვნილება დავიოკო, რომ მკითხველმა შემიყვაროს! გავიდა ის დრო, ოცსა და ოცდაშვიდს შორის, როცა დივინი იშვიათად ჩნდებოდა ჩვენ შორის და სხვის ხარჯზე მცხოვრები გოგოს რთული, არამყარი, არეული ცხოვრება ჰქონდა. კარგი დრო იყო. ხმელთაშუა ზღვაზე კრუიზში იმოგზაურა, მერე უფრო შორსაც, ზონდის კუნძულებზე, თეთრი იახტით დაუსრულებლად მოგზაურობდა საყვარელთან, ერთ ახალგაზრდა ამერიკელთან ერთად, რომელიც მორცხვად ამაყობდა თავისი სიმდიდრით. როცა იახტამ ვენეციაში ჩაუშვა ღუზა, დივინით რომელიღაც კინორეჟისორი მოიხიბლა. რამდენიმე თვეს იცხოვრეს ნახევრად დანგრეული ციხესიმაგრის უზარმაზარ დარბაზებში, რომლებიც უზარმაზარი მცველებისთვის ან აბჯარასხმული მხედრებისთვის უფრო გამოდგებოდა.

მერე ვენა - მოოქრული, მდიდრული სასტუმრო შავი არწივის ფრთებქვეშ იყო მოკუნტული. ინგლისელი ლორდის მკლავებში ფარდებიან და ბალდახინიან საწოლში გატარებული ღამეები. გასეირნებები მძიმე ლიმუზინით. პარიზში დაბრუნება. მონმარტრი და იქაური დაქალები. ვიზიტი რენესანსის სტილის ნატიფ სასახლეში და გი დე რობიურანის საზოგადოებაში ტრიალი. დივინი სასახლის მფლობელია. არც დედას ივიწყებს და არც მინიონს. მინიონს ფულს უგზავნის, ზოგჯერ ძვირფასეულობასაც, რომელსაც ის ერთ საღამოს ატარებს და მაშინვე ყიდის, რომ მეგობრების ვახშმის დანახარჯი გადაიხადოს. პარიზში დაბრუნება, ახალი მოგზაურობები და მუდამ თბილ, ოქროსფერ ფუფუნებაში ცხოვრება. თანაც ისეთ ფუფუნებაში, რომ, საკმარისია, დროდადრო მახსოვრობაში მისი საამო მყუდროება აღვიდგინო, ჩემი საცოდავი პატიმრული ცხოვრების უსიამოვნებები გაქრეს და დავმშვიდდე; დავმშვიდდე იმის გამო, რომ ეს ფუფუნება არსებობს. და რადგანაც იმ ცხოვრებაში მე არ შემესვლება, ისეთი სასოწარკვეთილი გულმოდგინებით მინდა მისი წარმოდგენა, რომ ზოგჯერ (და არაერთხელ) მჯერა, საკმარისია იმ გეგმის, რომლითაც ვცხოვრობ, რაღაც უმნიშვნელო, მსუბუქი, შეუმჩნეველი შეცვლა, და ეს ფუფუნება გარს შემომერტყმება, რეალური გახდება, და ნამდვილად ჩემი იქნება, რომ საკმარისი იქნება ფიქრებისთვის ოდნავ ძალის დატანება და იმ ჯადოქრულ სიტყვას ვიპოვი, რომელიც ყველა რაბის საკეტს გახსნის.

დივინისთვის ყველაზე მყუდრო აპარტამენტებს ვიგონებ და მე თვითონ ვიწყებ შიგ ცხოვრებას.

ბოლოს, უკან დაბრუნებული, უფრო ღრმად ეფლობა პედერასტთა ცხოვრებაში. მას ყველგან შეხვდებით, ყველა პაწაწკინტელა ბარში. ნაბანავები ფრინველივით იბერტყება და იბურძგლება და სჯერა, რომ თავის გარშემო და ჩვენ შორის ვარდების, როდოდენდრონებისა და იორდასალამების ფურცლებს ფანტავს, როგორც სოფლელი გოგოები აფენენ ხოლმე „უფლის სხეულის“ დღესასწაულისას მსვლელობის გზაზე ყვავილებს. მისი ყველაზე დიდი მტერ-მოყვარე მიმოზა მეორეა. რომ მივხვდეთ, ეს ვინ არის, მაგალითები უნდა მოვიყვანოთ „მიმოზას ცხოვრებიდან“.

დივინს:

- მომწონს, როცა ჩემს საყვარლებს ჟოკეივით მოხრილი ფეხები აქვთ; ასე უფრო მაგრად მეკვრიან ბარძაყებზე, როცა მიმორჩილებენ.

„ტავერნაკლში“, მისი დაქალი პედერასტები:

- მარტო, მარკიზ დე?..

- მიმოზა მეორემ სთხოვა, მისთვის გრაფ ა-ს გერბი მიეხატა... დუნდულებზე. დიდგვაროვანთა ოცდათექვსმეტი თაობა ტრაკზე; ფერადი მელნით.

დივინმა მას ნოტრ-დამ-დე-ფლერი გააცნო. მეორე დღეს კი ამ კეთილმა გოგომ მიმოზას მკვლელის ფოტო უჩვენა.

მიმოზამ ფოტო აიღო, ენაზე დაიდო და გადაყლაპა.

- ვაღმერთებ შენს ნოტრ-დამს. მისით ვეზიარები.

დივინზე, პირველ ზიარებას:

- წარმოგიდგენია, დივინი დიდი ტრაგიკული მსახიობი ქალივით იქცევა, იცის, როგორ გაათამაშოს თავისი კარტი. თუ სახე უმტყუნებს, პროფილს უჩვენებს და თუ არც ის გაამართლებს, მაშინ - ზურგს. და მერი გარდენივით უხმაუროდ უჩინარდება კულისებში.

„ტავერნაკლისა“ და მისი მიმდებარე ბარების ყველა პედერასტი მიმოზაზე:

- ჭირია.

- ყოვლად უვარგისია.

- ძუკნაა, მეგობრებო, ძუკნა.

- დემონია.

- Venenosa.

დივინი მსუბუქად იღებს ფარვანას ამგვარ ცხოვრებას. შეზარხოშებულია ალკოჰოლისა და ნეონის სინათლისაგან, განსაკუთრებით კი შემთვრალი პედერასტების ჟესტებისა და სიტყვებისაგან. „ეს სატანურად ცხოვრება მაგიჟებს“. „სატანურადო“ ისე ამბობდა, როგორც იტყვიან ხოლმე: „თმა ძაღლურად“, „ხალი პომპადურულად“, „ჩაი რუსულად“. მინიონი სხვენში უფრო და უფრო იშვიათად ჩნდებოდა. ისეც მომხდარა, რამდენიმე ღამეს მიყოლებით არ გამოჩენილა. „დედაკაცების“ მთელი ქუჩა და შარბონიერის ქუჩა მას ერთმანეთს ხელიდან ხელში გადასცემდნენ. ბოლოს ერთ ქალთან

დამკვიდრდა. ჩვენ მას დიდხანს ვეღარ ვნახავთ. ვიტრინებში გამოფენილ საქონელს უკვე აღარ იპარავს და ნებას იძლევა, რომ შეინახონ. მისი უზარმაზარი „იარაღი“ შთაბეჭდილებას ახდენს, ხოლო მაქმანიანი ხელები სატრფოს ჩანთას უცბად აცარიელებს. მერე ნოტრ-დამის გაქრობის ჯერიც დადგა, მაგრამ მას მალევე ვნახავთ.

მეც და დივინიც ფეხებზე დავიკიდებდით ყველა ამ მშვენიერი მარკეტის ბედ-იღბალს, ჩემი დიდებული თავგადასავლების დროს გადატანილ ტანჯვას რომ არ მახსენებდნენ და დივინს თავის უმწეობას რომ არ აგონებდნენ. პირველ ყოვლისა, ნოტრ-დამ-დე-ფლერის ნაამბობმა თითქოს დააწყნარა ახლანდელი დრო, რადგან მკვლელის ბაგეთაგან წარმოთქმული სიტყვებიც კი ჯადოსნური ხდება და ვარსკვლავებად იფანტება იმ უჩვეულოდ ლამაზი ვიგინდარების სიტყვებივით, რომლებიც სიტყვა „დოლარში“ მახვილს სწორად სვამენ. მაგრამ რა უნდა თქვა ერთ ყველაზე უცნაურ პოეტურ ფენომენზე: დაე მთელ სამყაროს - თავისთავად საშინლად უშნოს, შავზე შავს, დანახშირებულს, იანსენისტივით გამომშრალს, ქარხნის მუშათა მკაცრ და შიშველ სამყაროს - გარს ეხვეოდეს სასწაულები, ისეთი, როგორიცაა ქარში დაკარგული ხალხური სიმღერები, უმდიდრესი ოქროსფერი, ალმასებით მოწინწკლული, აბრეშუმოვანი ხმებით ნამღერი; ამ სიმღერებში ისეთი ფრაზებიც არის, რომლებზეც სირცხვილით ვფიქრობ, რადგან ვიცი, რომ მათ მუშების სერიოზული ხმები ასრულებენ, ფრაზები, სადაც ასეთ სიტყვებს ვხვდებით: „ძალ-ღონე ელევა... სინაზე... სიმთვრალე... ვარდების ბაღი... ვილა... მარმარილოს საფეხურები... სატრფო... ლამაზი საყვარელი... თვალ-მარგალიტი... გვირგვინი... ო, ჩემო დედოფალო... მშვენიერი უცნობი ქალი... მოოქრული სასტუმრო ოთახი... მაღალი წრის მანდილოსანი... ყვავილების კალათი... სხეულის საგანძური... ოქროსფერი დაისი... ჩემი გული გაღმერთებს... ყვავილებით მოფენილი... საღამოს ფერი... ნატიფი და ვარდისფერი...“ მოკლედ, მკაცრი ფუფუნების სიტყვებია, სიტყვები, რომლებმაც ლალით მოოჭვილი ხანჯალივით უნდა დაჩეხოს მათი სხეულები. ისინი ამ სიტყვებს მღერიან და ალბათ, ამაზე არც კი ფიქრობენ, უსტვენენ კიდეც ჯიბეებში ხელებჩაწყობილნი. მე კი, საცოდავი და მორცხვი, ვძრწი, რადგან ვიცი, რომ ამ მუშებს შორის ყველაზე უხეშიც კი დღის განმავლობაში ბევრჯერ იმკობს თავს ყვავილების - რეზედებისა და ვარდების - გირლანდებით. ეს ყვავილები დიდებულ, ოქროსფერ, ალმასისებრ ხმებს შორისაა გაფურჩქნილი და უბრალო ან დიდებულ გოგონებს, მწყემსებსა თუ პრინცესებს ჰგავს. შეხედეთ ერთი, რა საუცხოონი არიან ეს მუშები! მანქანებისაგან დაღრეცილი მათი სხეულები ისე იკაზმებიან, როგორც ორთქლმავალი პირველ რეისში გასვლის წინ, როგორც ასიათასობით ვიგინდარას სხეული ირთვება გულის შემძვრელი გამოთქმებით. ხალხური გადმოცემები ხომ ქაღალდზე დაუწერელია, ამიტომაც არის მსუბუქი, მსუბუქია და ბაგიდან ბაგეზე ქარივით დაფრინავს. ამ გადმოცემებში მათზე ნათქვამია: „ჩემი პატარა ეშმაკი“, „პატარა ავაზაკი“, „ლამაზი საძაგელი“, „პატარა ვიგინდარა“ (სიტყვა „პატარა“, თუ იგი მე მეხება ან რამეს, რაც ჩემთვის მახლობელია, მაღელვებს; მაშინაც კი, როცა მეუბნებიან: „ჟან, შენი პატარა თმა“ ან „შენი პატარა თითი“, აღელვებული ვარ). ამ გამოთქმებს, უეჭველია, მელოდიური კავშირი აქვს ჭაბუკებთან, და ზეადამიანურ სილამაზეს ფლობენ, რომელთა მომხიბვლელობაც ბინძური ოცნებებიდან მოდის, ისეთი ძლიერიდან, უცბადვე გვაიძულებს, მისით განვიმსჭვალოთ, და ვგრძნობთ, რომ მას „ვფლობთ“ (სიტყვის ორი მნიშვნელობით: მისით ვართ სავსე და მისი გარეგნული ხიბლიც დაძლეული გვაქვს), ისე სრულყოფილად და მთლიანად ვფლობთ, რომ ამ სრულყოფილ ფლობაში უმცირესი კითხვისთვისაც კი აღარ რჩება ადგილი. ზოგიერთი ცხოველი თავისი გამოხედვით ასე გვაიძულებს, მაშინვე ვიქცეთ მისი აბსოლუტური არსის მფლობლად: გველები, ძაღლები. თვალის ერთი შევლებით მათ უკვე ისე „ვიცნობთ“, იმდენად კარგად, რომ გვგონია, მათ ეს იციან და ამის გამო შიშთან შეზავებულ მოუსვენრობას განვიცდით. ეს გამოთქმები მღერიან. და პატარა ეშმაკუნები, ლამაზი ავაზაკები, პატარა საძაგლები, ალერსიანი ვიგინდარები ისეთი მგრძნობიარენი არიან, როგორც ბროლი თითებთან შეხებისას, ეს მელოდიური ხვეულები, რომელთა უკეთ გადმოსაცემად ნოტები იქნებოდა საჭირო, რადგან ვხედავ, როგორ იჭრებიან ქუჩის სიმღერაში და იქიდან შეუმჩნეველნი გამოდიან. მაგრამ, როცა მათ მოქანავე ან მოკრუნჩხულ სხეულებს ვამჩნევ, ვხვდები, რომ ამ ხვეულებს ჩასწვდნენ და მთელი მათი არსება მათთან კავშირზე მიანიშნებს.

აი ლუ-დივინის ბავშვობის რა საშინელი პერიოდი იყო განკუთვნილი იმისთვის, რომ მისი ნაღველი დაეამებინა. შიფერისსახურავიანი სახლიდან გაქცევის შემდეგ იგი ციხეში მოხვდა. დაპატიმრების წვრილმანების მოყოლა საჭირო არ არის. უბრალო პოლიციელიც კი საკმარისი იყო, რომ მასში ისეთი შფოთვა გამოეწვია, როგორიც სიკვდილმისჯილებსა აქვთ, შფოთვა, რომელიც ყველას განუცდია, ისევე, როგორც ყოველ ადამიანს ჰქონია ცხოვრებაში სასიხარულო აღგზნება, რომელიც მონარქის მეფედ კურთხევას ახლავს. სახლიდან გაქცეული ყველა ბავშვი იმიზეზებს, რომ უხეშად ექცეოდნენ; ცხადია, მათ არავინ დაუჯერებდა, მაგრამ მათ ისე იოლად შეუძლიათ ამ მიზეზის ახალი გარემოებებით შელამაზება,ისე მოარგებენ თავის სახელსა და სახესაც კი, ისეთი განსაკუთრებულობით, რომ ყველა რომანი და ქრონიკა, რომლებიც გატაცებულ, უკანონოდ თავისუფლებაწართმეულ, შერცხვენილ, გაყიდულ, მიტოვებულ, გაუპატიურებულ, წამებულ ბავშვებს ეხება, მაშინვე მახსოვრობაში ამოტივტივდება და ბუნებით ყველაზე უნდო ადამიანებიც კი - გამომძიებლები, მღვდლები და ჟანდარმები - ხმამაღლა არაფერს იტყვიან, მაგრამ ფიქრით კი გაიფიქრებენ: „ვინ იცის?“ და გოგირდის ანაორთქლი, ნელა ამომავალი იაფფასიანი რომანების დამძიმებული გვერდებიდან, ნანას უმღერის მათ, აქებს და ეალერსება. კიულაფრუამ მთელი ისტორია შეთხზა ბოროტ დედინაცვალზე. ციხეში წაიყვანეს; ბოროტებისა და გულქვაობის კი არა, უბრალოდ, ჩვეულების გამო. მისი საკანი ბნელი იყო, ვიწრო და დასახლებული. ბნელ კუთხეში ბინძური საბნების გროვა აფუთფუთდა და ჭუჭყიანი ხუჭუჭა, შავთმიანი, მოღიმარე თავი გამოათავისუფლა:

- აბა, ძმაო, რა ხდება?

კიულაფრუას ამაზე ბინძური არაფერი ენახა, ვიდრე ეს დილეგი იყო და არაფერი უფრო საზიზღარი, ვიდრე ეს თავი. მან არაფერი უპასუხა, სული ეხუთებოდა. მხოლოდ საღამომ მოუტანა სიმშვიდე, უფრო მიმნდობი გახადა და ენაც გაუხსნა.

- შენს ბებრებს გამოექეცი?

სიჩუმე.

- შეგიძლია ილაპარაკო. ჩემთან ნურაფრის გეშინია. კაცები არა ვართ?

მან გაიცინა და წვრილი თვალები მოჭუტა. როცა თავისი ჭუჭყიანი ჩვრების შეკვრისაკენ შებრუნდა, რკინის ღრჭიალი გაისმა. ნეტა რას უნდა ნიშნავდეს? ბნელოდა. დაკეტილი პატარა სარკმლიდან ცივი ცა კაშკაშებდა, თავისი თავისუფალი და მოძრავი ვარსკვლავებით. და მოხდა სასწაული - როგორც საშინელი კატასტროფა - მათემატიკური ამოცანის ამოხსნასავით დამაბრმავებელი, რომელიც გაოცებს თავისი სიზუსტით. პატარა ავაზაკმა კეკლუცად ასწია საბანი და სთხოვა:

- მომეხმარე რა ფეხის მოხსნაში.

ხის ფეხი ჰქონდა, რომელიც ტაკვზე ღვედებისა და აბზინდების სისტემით მაგრდებოდა. ფიზიკური ნაკლის დანახვაზე კიულაფრუა ისეთსავე ზიზღს გრძნობდა, როგორც ქვეწარმავლების დანახვისას. იმავე შიშმა შეიპყრო, რომელიც გველებთან მიკარებაში უშლიდა ხელს; აქ უკვე აღარ იყო ალბერტო, რომ ბიჭისთვის თავისი ყოფნით, გამოხედვით, მძლავრი ხელებით შთაენერგა თვითრწმენა, მთებს რომ შეარყევდა. საკუთარი თავისთვის უდიდესი ძალდატანებით ლუმ გაიმარჯვა. ხის ფეხთან ხელი ისე მიიტანა, როგორც ცეცხლთან მიაქვთ ხოლმე, თავისკენ მიიზიდა და პროთეზი უცბად გულზე მიიკრა. ახლა ეს ორგანო ცოცხალი ორგანიზმი იყო, ისეთი, როგორიც სხეულიდან ქირურგიული ოპერაციის შედეგად მოშორებული ხელი ან ფეხია. ხის ფეხმა ღამე კედლის კუთხეში აყუდებულმა გაატარა. პატარა ხეიბარმა ისიც სთხოვა, იქნებ რამე იმღეროო, მაგრამ ლუს ალბერტო გაახსენდა და უპასუხა, მგლოვიარედ ვარო; ამ მიზეზს არც ერთი გაუოცებია და არც მეორე. კიულაფრუამ ეს მიზეზი სამკაულადაც გამოიყენა და იმისთვისაც, რომ მას შავი მარმაშივით იგი სიცივისა და უმწეობისაგან დაეცვა.

- ზოგჯერ მინდა, ბრაზილიაში დავახვიო, მაგრამ ამ ჩემი გიჟური თათის გამო გაჭირდება.

ამ კოჭლი ბიჭისთვის ბრაზილია ზღვებისა და მზეების იქით მდებარე კუნძული იყო, სადაც ქარდაკრულსახიანი, ათლეტებივით მხარბეჭიანი ადამიანები უზარმაზარ კოცონებს ირგვლივ უსხედან, როგორც წმინდა ჟანის დღესასწაულის დროს, და ხვიარა პატარა ღვედებად ქერქს აცლიან დიდ ფორთოხლებს, რომელიც ცალ ხელში უჭირავთ, მეორეში კი გრძელი დანა, როგორც სურათებზე გამოსახულ იმპერატორებს უჭირავთ ცალ ხელში ოქროს

სამეფო სფერო, მეორეში კი სკიპტრა. ეს ხილვა იმგვარი დაჟინებით სდევდა თან, რომ წამოსცდა კიდეც: „...მზეები...“. ეს სიტყვა-პოემა მისი ხილვიდან გადმოვარდა და გაქვავება დაიწყო; საკნის ღამის კუბი, სადაც მზეებივით ტრიალებენ (იქვე გაიელვებს ლაჟვარდოვან ტრიკოში გამოწყობილი აკრობატის ფეხებიც, რომელიც ღერძზე უზარმაზარ სალტო „მზეს“ ასრულებს) სიტყვა „ბრაზილიით“ მოზიდული ფორთოხლებიც. მაშინ კი ლუმ თავისი ფიქრების ფრაგმენტს, ერთხანს მის გონებაში გზას რომ იკვლევდა, თავისუფლება მისცა და თქვა: „რას მოითხოვს ხალხი?“ ამ ფრაზამ ერთ საღამოს გაუელვა გონებაში, ეტყობა, გრძნობდა, რომ ციხეში აღმოჩნდებოდა. მაგრამ როდის იგრძნო ეს? იქნებ მაშინ, როცა ტუალეტის მაგიდის წითელ ხეს დაჰყურებდა, ან იქნებ გაუცნობიერებელმა აღქმამ შეაერთა ის ადგილი (მისი ოთახი) და ის დრო ამ სიტყვასთან და ამ მომენტთან (მაშ რაღამ გამოიწვია მასში ოთახის მოგონება?) და ორი აზრი ერთმანეთზე ისე დააწყო, რომ აიძულა, წინათგრძნობა დაეჯერებინა?

ბავშვებმა ჩაიძინეს. მერე, ალბათ, მეურვეს გადასცემენ, ანუ ეგრეთ წოდებულ „ბავშვობის გამოსასწორებელ“ კოლონიაში გაგზავნიან. გამოსასწორებელ სახლში მოხვედრის პირველსავე დღეს ლუ-დივინი საკანში მოათავსეს. მთელი დღე იქ გაატარა ჩაცუცქულმა. ყველაფერს ყურადღებით აკვირდებოდა, რაშიც დაწყევლილი ბავშვების საიდუმლოს ვარაუდობდა (იმათი, ხელზე „ბედკრულები“ რომ აქვთ ამოსვირინგებული). ეზოში პატარა, დამტვერილი ფეხები ნელა სწევდნენ და დგამდნენ მძიმე ფეხსაცმელს. ამ მოძრაობაში დასჯილი ბავშვების მდუმარე ფერხული იგრძნობოდა.

პაუზის დროს აი რა შემოესმა:

- ...საზეინკლოს ფანჯრით.

- ...

- ...ეს გერმანელი.

- ...

- ჰო, თუ ამ საღამოს ვნახავ.

- ...

- აბა როგორ, სამუშაოა ასეთი.

დაბალი ხმა, რომელიც შემოესმა, დაგუდული იყო, როგორც ძველი დროის მაწანწალების ფარნის სინათლე და ბავშვის ბაგესთან მიტანილი ლოკოკინასავით მოღუნული ხელისგულით ერთი წერტილისაკენ იყო მიმართული: მეგობრისაკენ საკანში. მისი პასუხები კიულაფრუას არ ესმოდა. იქნებ პატიმარზეც საუბრობდნენ, რომელიც ბავშვთა კოლონიის მახლობლად მდებარე ცენტრალური ციხიდან გაიქცა. ასე რომ, კოლონია ყველა იმ მზის - მამაკაცების - ჩრდილქვეშ მკრთალდებოდა, ჭუჭყიან საკნებში რომ ციალებდნენ, და ბიჭები ელოდნენ, როდის მისცემდა მათ ასაკი იქით გადაბარგების საშუალებას, იმ ყოჩაღ ბიჭებთან, რომლებსაც აღმერთებდნენ, და რომლებიც, მათი წარმოდგენით, თავხედები და მშვენიერები, გაბედულად ეჭინჭყლებოდნენ ზედამხედველებს. ბიჭები ელოდნენ, როდის მიეცემოდათ ბოლოს და ბოლოს ნამდვილი დანაშაულის ჩადენის საშუალება, რომელიც მათი ჯოჯოხეთში გამგზავრების მიზეზი იქნებოდა.

საქველმოქმედო საზოგადოების კოლონიის პატარა ავაზაკი ბიჭები მოხერხებულად თამაშობდნენ ცელქი პირველაღმომჩენების როლს. ლექსიკონი შეთქმულთა გამოთქმებით ჰქონდათ სავსე. მათი ჟესტები ველური იყო და ამავე დროს ისინი გახსენებდნენ ქუჩაბანდებს, ბინდბუნდის ნაგლეჯებს, კედლებისა და ზღუდეების ნაწილებს, რომლებზეც თავგამოდებით დაძვრებოდნენ. ამ პატარა სამყაროში, რომელიც ზუსტად იმდენად იყო მოწესრიგებული, რომ გარეთ არაფერი გამოსულიყო, გარდა უსირცხვილო ჩაცინებისა, მოძრაობდნენ მონაზვნები თავიანთი ბალერინის კაბის მსგავსი ფუშფუშა ქვედა კაბებით. კიულაფრუამ მათთვის მაშინვე შეთხზა გროტესკული ბალეტი. ლიბრეტოს თანახმად, ეს ნაცრისფერი დები - ჰიპერბორეული ღამეების მცველები - მონასტრის ეზოში გამოდიოდნენ და, თითქოს შამპანურით შემთვრალნი, ფეხმორთხმით სხდებოდნენ, ხელებს მაღლა სწევდნენ და თავებს აყანყალებდნენ. მდუმარედ. მერე წრეში დგებოდნენ, მოწაფე გოგონების მსგავსად ფერხულში ტრიალს იწყებდნენ და მოცეკვავე დერვიშებივით იქამდე ტრიალებდნენ, ვიდრე ბოლოს სიცილით გაგუდულნი არ დაცვივდებოდნენ. ამ დროს კაპელანს ღირსეულად უნდა ევლო მათ შორის ბარძიმით ხელში. ცეკვის მკრეხელობა - მკრეხელობა, რომელიც თვით ჩანაფიქრში იმალებოდა - კიულაფრუას ისე აღელვებდა, როგორც ებრაელი გოგოს გაუპატიურება ააღელვებდა, მამაკაცი რომ ყოფილიყო.

ძალიან მალე, მიუხედავად მეოცნებეობისაკენ მისი მიდრეკილებისა, ან იქნებ სწორედ ამ მიდრეკილების გამოც, იგი გარეგნულად სხვებს დაემსგავსა. თუ თანაკლასელები თამაშებში თავიდან იცილებდნენ, ამით შიფერისსახურავიანი სახლისაგან იყო დავალებული, რომელმაც პრინცად წარმოაჩინა. მაგრამ აქ სხვა ბიჭების თვალში მხოლოდ და მხოლოდ დაპატიმრებული მაწანწალა იყო, როგორიც თვითონ იყვნენ, დამნაშავე მხოლოდ იმ უპირატესობით - სხვათა შორის, არსებითით - რომ შორიდან მოვიდა. თავისმა ნატიფმა, მკაცრმა გარეგნობამ, გაზვიადებულად უხამსმა ჟესტებმა და უხეშმა ლაპარაკმა ისეთი სახე შეუქმნა, რომ ბავშვებმა, ცინიკოსებმაც და გულუბრყვილოებმაც, თავისიანად მიიღეს; თვითონ კი, რადგან უნდოდა, კეთილსინდისიერი ყოფილიყო და გამოგონილი პერსონაჟის როლი ბოლომდე ეთამაშა, ზრდილობის გამო მასთან შეხამებას ცდილობდა. არ უნდოდა, მათთვის იმედი გაეცრუებინა. ბავშვების ყველა თავხედურ წამოწყებაში მონაწილეობდა. რამდენიმე ბავშვთან ერთად ნამდვილ ბანდასავით ორგანიზებული გუნდი ჩამოაყალიბა; კოლონიაში პატარა ქურდობის ხელშემწყობიც გახდა. ქალბატონი წინამძღვარი, როგორც ამბობდნენ, წარჩინებული გვარის შთამომავალი ბრძანდებოდა. იმას, ვინც ცოტაოდენ ალერსს ითხოვდა, მუდამ ეუბნებოდა: „მე მხოლოდ უფლის მსახურის მსახური ვარ“. ასეთი ქედმაღლური კვარცხლბეკი ყველას შიშს იწვევს. მან ლუს ჰკითხა, რატომ იქურდეო; ლუმ ამის თქმაღა მოახერხა:

- იმიტომ, რომ სხვებმა იფიქრონ, რომ ქურდი ვარ.

ქალბატონი წინამძღვარი ამ ბავშვურ სინატიფეს ვერაფრით მიხვდა. ლუ თვალთმაქცად გამოაცხადეს. კიულაფრუას ეს მონაზონი ისედაც ეზიზღებოდა და ეს გრძნობა ფრიად უცნაურად გაუჩნდა: მოსვლის დღეს წინამძღვარმა თავის პატარა სასტუმრო ოთახში შეიყვანა - კოპწიაღ მორთული სენაკი იყო - და ქრისტიანული ცხოვრების წესებზე დაუწყო ლაპარაკი. ლუმ მშვიდად მოუსმინა, და მისთვის უნდა ეპასუხა წინადადებით, რომელიც ასე იწყებოდა: „ჩემი პირველი ზიარების დღეს...“, მაგრამ წამოსცდა: „ჩემი ქორწინების დღეს...“. უხერხულობისაგან დაიბნა. ისეთი შთაბეჭდილება გაუჩნდა, რომ არასაკადრისი საქციელი ჩაიდინა. გაწითლდა, ენა დაება, დაიძაბა, რომ გონზე მოსულიყო, მაგრამ ამაოდ. ქალბატონი წინამძღვარი ღიმილით უყურებდა, რომელსაც თვითონ ლმობიერს უწოდებდა. იმით შეშინებულ კიულაფრუას, რომ საკუთარ სულში ასეთი მორევი დაატრიალა (რომელმაც, შლამიან ფსკერს ჩააღწია თუ არა, იქიდან თეთრი სატინის შლეიფიან კაბაში გამოწყობილი, ხელოვნური ნარინჯის ყვავილით თავდამშვენებული ამოაგდო), დედაბერი შესძულდა, რადგან იგი მიზეზი და მოწმე შეიქნა ამ უმშვენიერესი და იდუმალი მოვლენისა. „ჩემი ქორწილის!“

აი, როგორი იყო ღამეები ამ საქველმოქმედო თავშესაფარში, თუ გნებავთ, კოლონიაში. უძრავი საწოლების საბნებქვეშ თავები უჩინარდება. უფროსი თავის ოთახში შედის, რომელიც საძინებლის ბოლოშია. სიჩუმე ნახევარ საათს გრძელდება - ჯუნგლების სიჩუმე - სავსე სიმყრალითა და ქვის ურჩხულებით, რომელიც გალურსული ვეფხვის შეკავებული სუნთქვით ჩასაფრებულა. რიტუალის თანახმად, ბავშვები მკვდრეთით აღდგებიან. თავები ფრთხილად იწევა, როგორც გველისა, ისეთივე საზრიანი, ეშმაკური, გესლიანი და შხამიანი, მერე სხეულები ისე გადმოძვრებიან საწოლებიდან, ერთი ჭრაჭუნის ხმაც არ ისმის. საძინებლის საერთო სახე, თუ ზევიდან დახედავ, არ იცვლება. ეშმაკუნა კოლონისტებმა იციან, როგორ დააწყონ და აჩეჩონ საბნები ისე, თითქოს მათ ქვეშ სხეულები იწვეს. ყველაფერი ქვევით ხდება. სწრაფად, ცოცვით ამხანაგები ერთად იკრიბებიან. ჩამოკიდებული ქალაქი დაცარიელდა. რკინის კვესი აკვესებს, აბედი ინთება და ჩალის ღერივით წვრილ სიგარეტებს ეკიდება. ისინი ეწევიან. საწოლებქვეშ პატარა ჯგუფებად გაწოლილები გაქცევის დაწვრილებით გეგმებს ადგენენ, რომლებიც ჩაფლავებისთვისაა განწირული. კოლონისტები ცხოვრობენ. მათ იციან, რომ თავისუფლები არიან და ღამის მბრძანებლებად გრძნობენ თავს; თავის სამეფოს ქმნიან მკაცრი კანონებითა და თავისი დესპოტით, პერებითა და რაზნოჩინელებით. მათ ზევით კი მიტოვებული ჩამოსაკიდებელი თეთრი საწოლები განისვენებენ. ღამის მთავარი საქმიანობა, ღამის შეგრძნებებს ჯადოსნურ ხიბლს რომ მატებს, სვირინგების კეთებაა. წვრილი ნემსის ათიათასობით ჩხვლეტა კანიდან სისხლს ადენს და თქვენთვის ყველაზე ექსტრავაგანტური ფიგურები ყველაზე მოულოდნელ ადგილებში ჩნდება. როცა რაბინი თორას ნელა შლის, იდუმალება კანკალით მსჭვალავს მთელ მის კანს. იგივე ხდება, როცა უყურებ, როგორ იხდის კოლონისტი

ტანსაცმელს. თეთრ კანზე დაგრეხილი სილურჯე გაურკვეველ, მაგრამ ძლიერ ხიბლს ანიჭებს ბიჭს, ისევე, როგორც სუფთა და გულგრილი სვეტი იქცევა წმინდა ადგილად მასზე ამოტვიფრული იეროგლიფების მეშვეობით. ტოტემური ბოძივით. ზოგჯერ სვირინგები ქუთუთოებს უფარავთ, იღლიებს, საზარდულებს, დუნდულებს, სასქესო ორგანოებს, ფეხისგულებსაც კი. ნიშნები ბარბაროსული იყო, აზრით სავსე, ისეთი, როგორიც ბარბაროსულ ნიშნებს ეკადრება: გამონათქვამები, მშვილდი, გახვრეტილი გული, წვეთებად ჩამომდინარე სისხლი, ვარსკვლავები, ნამგალა მთვარე, შუბი, ისრები, მერცხლები, გველები, გემები, ხანჯლები, დევიზები და გაფრთხილებები, მთელი წინასწარმეტყველური და საზარელი ლიტერატურა.

საწოლებქვეშ ამ საქმიანობის მაგიაში იბადებოდა, მძაფრდებოდა და კვდებოდა სიყვარული, ყველაფრით, რაც ჩვეულებრივ ახლავს ხოლმე სიყვარულს: სიძულვილით, სიხარბით, სინაზით, ნუგეშით, შურისგებით.

ის, რაც კოლონისტების სამეფოს ადამიანთა სამეფოსაგან განასხვავებს, გახლავთ სიმბოლოების შეცვლა, და, ზოგ შემთხვევაში - ფასეულობებისაც. კოლონისტებს თავისი დიალექტი ჰქონდათ, ციხის დიალექტის მონათესავე, და, აქედან, განსაკუთრებული მორალი და პოლიტიკაც. მმართველობის რეჟიმი, რელიგიაზე მოზელილი, ძალის - სილამაზის მფარველის - რეჟიმი გახლდათ. თავიანთ კანონებს სერიოზულად იცავდნენ: არ იღებდნენ სიცილს მისი გამანადგურებელი ძალით. განსაკუთრებულ მიდრეკილებას იჩენდნენ ქცევის ტრაგიკული მანერისადმი. დანაშაული გვერდზე მოგდებული ბერეტით იწყება. ეს კანონები აბსტრაქტული დეკრეტებით როდი იყო დაბადებული: ისინი ძალისა და სილამაზის ციდან დაშვებულმა რომელიღაც გმირმა გადასცა, რომლის ხორცია და სულიც მართლაც ღვთაებრივი სამართლისგან გახლდათ. მოკლედ, გმირთა ხვედრს ვერც ვერსად გაექცეოდნენ, და კოლონიის ეზოში, მოკვდავთა შორის, ყოველთვის შეიძლება შეხვდეთ მათ მეფუნთუშისა თუ ზეინკლის ნაკვთებში. კოლონისტების შარვალს მხოლოდ ერთი ჯიბე აქვს: აი, კიდევ ერთი, რაც მათ დანარჩენი სამყაროსაგან ყოფს. ერთადერთი ჯიბე, მარცხნივ. მთელი საზოგადოებრივი სისტემა შეწუხებულია კოსტიუმის ამ უბრალო დეტალის გამო. მათ შარვლებს მხოლოდ ერთი ჯიბე აქვს, ისევე, როგორც ეშმაკის შარვალს საერთოდ არა აქვს ჯიბე, მეზღვაურის შარვალს კი - წინ ჩასახსნელი, და ეს, უეჭველია, ამცირებს მათ, თითქოს მამაკაცური ღირსება წაართვესო, - აი, რაშია საქმე; ჯიბე დიდ როლს თამაშობს ბავშვობაში და ჩვენთვის გოგოებზე უპირატესობის სიმბოლოს წარმოადგენს. კოლონიაში, ისევე, როგორც ფლოტში, მთავარი შარვალია, და თუ გინდა, ნამდვილი მამაკაცი იყო, „შარვალს გაუფრთხილდი“. აღტაცებული ვარ უფროსების გამბედაობით, რომლებმაც სემინარიები დაუწესეს ბავშვობას, რომელიც ოცნების გმირის როლისათვის ემზადება, და ასე კარგად შეძლეს ამოცნობა დეტალებისა, რომლებიც ბავშვებისაგან ჰატარა ურჩხულებს შექმნის: ბოროტებსა თუ სათუთებს, ფუქსავატებსა თუ ბრწყინვალეებს, მკაცრებს, ცბიერებს, მიამიტებს.

მონაზვნის ტანსაცმელმა კიულაფრუას გაქცევის იდეა მიაწოდა. მხოლოდ გეგმის განხორციელებაღა რჩებოდა, რომელიც თვით ამ ტანსაცმელმა ჩაიფიქრა. მონაზვნები სარეცხს ღამით საშრობში კიდებდნენ, წინდებსა და ჩაჩებს საერთო ოთახში ტოვებდნენ, რომლის კარიც და მისი გაღების საშუალებაც კიულაფრუამ მალე იპოვა. თავის გეგმებზე ჯაშუშის სიფრთხილით ერთ თამამ ბიჭს უამბო.

- ვინმეს რომ მოენდომებინა...

- ჰა, გავიქცეთ?

- ...აჰა!

- გგონია, შორს წავალთ?

- ცხადია. უფრო შორს, ვიდრე ამით (თავისი სასაცილო ფორმა აჩვენა), მერე შეიძლება მოწყალებაც ვითხოვოთ.

ამას დაუჯერებელ ამბად ნუ გამოაცხადებთ. ის, რაც შემდეგ მოხდება, ტყუილია და არც არავინ არის მოვალე, მართალი ეგონოს. სიმართლე საჩემო არ არის. მაგრამ „უნდა ცრუობდე, რომ მართალი გამოჩნდე“. და იმაზე შორსაც უნდა წახვიდე. რომელ სიმართლეზე მინდა გელაპარაკოთ? თუკი მართლაც პატიმარი ვარ, რომელიც თავისი შინაგანი ცხოვრების სცენებს თამაშობს (თამაშობს საკუთარი თავისთვის), მაშინ თქვენ არაფერს მოითხოვთ, გარდა თამაშისა.

მაშ ასე, ჩვენი ბავშვები ღამეს - მათი საქმიანობისთვის შესაფერის დროს

დაელოდნენ და თითოეულმა თითო ქვედაკაბა, კოფთა და ჩაჩი გაიტაცა; მაგრამ ფეხისთვის ვერაფერი იპოვეს, გარდა ძალიან ვიწრო ფეხსაცმლისა, და ისევთავიანთი საბოები დაიტოვეს. ტუალეტის ფანჯრიდან ბნელ ქუჩაში გადაძვრნენ. შუაღამე იქნებოდა. ჭიშკრის ქვეშ ერთმანეთის დახმარებით სასწრაფოდ გამოიცვალეს და გულმოდგინედ ჩამოიცვეს ჩაჩები. ღამის სიბნელე რამდენიმე წამით შალის ქსოვილის შარიშურმა, კბილებში გაჩხერილი ქინძისთავების ხმამ და ჩურჩულმა დაარღვია: „თასმები გამიჭირე... ცოტა გაიწი“. პატარა ქუჩაში, ფანჯარასთან, ოხვრა გაისმა. ამ მონაზვნად აღკვეცამ ქალაქი პირქუშ მონასტრად აქცია, მკვდარ ქალაქად, მწუხარების ველად.

როგორც ეტყობა, კოლონიაში ტანსაცმლის მოპარვა უცბად ვერ შეამჩნიეს, რადგან მთელი დღის განმავლობაში „გაქცეულების შესაჩერებლად“ გამოდევნება არავის უფიქრია. სწრაფად მიდიოდნენ. გლეხები არც გაოცებულან; უფრო ამ ორი პატარა მონაზვნის სერიოზული სახე მოსწონდათ, ერთს რომ ხისლანჩიანი ფეხსაცმელი ეცვა, მეორე კი ოდნავ კოჭლობდა, რომლებიც სწრაფად მიდიოდნენ და თან ორი თხელი თითით მძიმე ნაცრისფერი ქვედაკაბის სამი ნაკეცი სათუთად აეწიათ მაღლა. მერე შიმშილმა მუცლის გვრემა მოჰგვარათ. ვინმესთვის პურის თხოვნა ვერ გაბედეს, რადგან იმ გზაზე იდგნენ, კიულაფრუას სოფლამდე რომ მიდიოდა, ცხადია, მალეც მიაღწევდნენ იქამდე, საღამოს პიერთან მწყემსის ძაღლს რომ არ მიერბინა და არ დაესუნა. მწყემსმა, ახალგაზრდა და ღვთისმოშიშმა კაცმა, ძაღლს დაუსტვინა, მაგრამ ცხოველი არ დაემორჩილა. პიერმა იფიქრა, აღმოგვაჩინესო და შეშინებულმა ცქვიტად მოცოცხა, კოჭლობით გზისპირას მარტოდ მდგარ ფიჭვთან მიირბინა და ზედ აძვრა. კიულაფრუა მეორე ხეზე აფოფხდა. ამის დანახვაზე ძაღლი ლურჯი ცის ქვეშ საღამოს სუფთა ჰაერზე მუხლზე დაეცა და ლოცვა წარმოთქვა: „თუ მონაზვნები ფიჭვებზე ბუდეს იკეთებენ კაჭკაჭებივით, მაშინ მეც მომიტევე ცოდვანი ჩემნი, უფალო“. მერე პირჯვარი გადაიწერა, ადგა და ნახირს დაუბრუნდა; ფიჭვების სასწაული თავის პატრონს უამბო და იმავე საღამოს მთელმა სოფელმა გაიგო ეს ამბავი.

ისევ დივინზე უნდა ვილაპარაკო, ოღონდ იმ დივინზე, თავის მანსარდაში რომ არის, ნოტრ-დამს - მარმარილოს გულსა და გორგის შორის. ქალი რომ ყოფილიყო, ეჭვიანი არ იქნებოდა. არც წყენა დარჩებოდა გულში, საღამოობით ბულვარზე მარტო ივლიდა კლიენტების გამოსაჭერად. რა იმის საქმე იქნებოდა, თუ ეს ორი „მამალი“ საღამოებს ერთად გაატარებდა? პირიქით, ოჯახური გარემო, აბაჟურის სინათლე მთელ მის არსებას აავსებდა; მაგრამ დივინი მამაკაციცაა. უპირველესად იგი ნოტრ-დამზე ეჭვიანობს, უბოროტო, ახალგაზრდა და მშვენიერ ნოტრ-დამზე, რომელიც თავს საფრთხეში იგდებს, რადგან შეიძლება საკუთარი სახელის - ნოტრ-დამის - ხიბლს დაემორჩილოს: უეშმაკოსა და ინგლისელი ქალივით პრანჭიას. მას გორგის შეგულიანებაც შეუძლია და მისი პროვოცირებაც. ამის გაკეთება ძალზე ადვილია. წარმოვიდგინოთ, რომ ერთ დღეს კინოში არიან, დღისით, გვერდიგვერდ სხედან ხელოვნური ღამის სიბნელეში.

- სეკ, ცხვირსახოცი გაქვს?

ეტყვის და მისი ხელიც უკვე ზანგის ჯიბეზე დევს. ოო! საბედისწერო ჟესტია. დივინი გორგიზე ეჭვიანობს. ზანგი მისი კაცია. ეს არამზადა ნოტრ-დამი კი ლამაზი და ახალგაზრდაა. ბულვარის ხეებქვეშ დივინი ძველ კლიენტებს ეძებს და ორმაგი ეჭვის შიში აწამებს. მერე დივინი - მამაკაცი - გაიფიქრებს: „თანაც ორივეს უნდა ვაჭამო. მონა ვარ“. ღიზიანდება. კინოში მოწაფეებივით კეთილგონივრულად იქცევიან (მაგრამ, საკმარისია, მოწაფეებმა თავი მერხზე დახარონ, რომ მათ თავზე უკვე დალივლივებს თავდასასხმელად გამზადებული გიჟური ონავრობა), ნოტრ-დამი და გორგი ეწევიან და ეკრანზე მხოლოდ სურათებს ხედავენ. ახლა ისინი მშვიდად წავლენ თითო კათხა ლუდის დასალევად, მერე სხვენში დაბრუნდებიან; ნოტრ-დამი ტროტუარზე წვრილ ფისტონებს გააბნევს, გორგი აცელქდება, ფეხსაცმლის რკინის ქიმებით ზედ დააწვება, მის ფეხქვეშ ფისტონები გასკდება და ნაპერწკლები სუტენიორთა სტვენასავით აქეთ-იქით გაიფანტება.

მანსარდიდან სამივე ერთად გამოდის. მზად არიან. გორგის გასაღები უჭირავს. პირში სიგარეტები აქვთ გაჩრილი. დივინი ასანთს ანთებს (ყოველ ჯერზე იმ ფიჩხს უკიდებს ცეცხლს, რომელიც იმისთვისაა გამზადებული, რომ სიკვდილით დასაჯონ), თავის სიგარეტს უკიდებს, მერე ნოტრ-დამისას, მერე გორგის აწვდის.

- არა, - ამბობს გორგი, - ოღონდ მესამე არა. ცუდის ნიშანია.

დივინი:

- ამას ნუ ეხუმრები: კაცმა არ იცის, სად მიგვიყვანს.

დივინი დაღლილი ჩანს და უვარდება ასანთი, რომელიც გაშავებული და ჭრიჭინასავით გამო.მხმარია და უმატებს:

- უბრალო ცრურწმენით იწყებენ და მერე უფლის ხელებში აღმოჩნდებიან ხოლმე.

ნოტრ-დამი გაიფიქრებს: „უფრო სწორად, კიურეს ლოგინში“.

ლეპიკის ქუჩის თავში პატარა კაბარეა, რომელზეც უკვე გელაპარაკეთ - „ტავერნაკლი“, სადაც ჯადოქრობენ, შინაურ წამლებს ამზადებენ, მკითხაობენ ბანქოზე, ყავის ნალექზე, მარცხენა ხელისგულის ხაზებს შიფრავენ (თუკი ეკითხებიან, ბედი მუდამ სიმართლის თქმისაკენ იხრებაო, თქვა ოდესღაც დივინმა), სადაც ახალგაზრდა, ლამაზი ყასაბი ბიჭები ზოგჯერ პრინცესებად იქცევიან, რომლებსაც შლეიფიანი კაბები აცვიათ. კაბარე პატარაა, დაბალჭერიანი; მართავს პრინც-მონსენიორი. აქ იკრიბება ყველა, უპირველესად კი პირველი ზიარება, ბანჯო, რუმინეთის დედოფალი, ჟინეტი, სონია, პერსეფესი, კლორინდა, აბატისა, აგნესა, მიმოზა, დივინი და მათი კავალრები. ყოველ ხუთშაბათს კარი პატარა წკირითიკეტება ბურჟუა კლიენტებისა და შემთხვევითი გამვლელებისათვის. კაბარე „რამდენიმე რჩეულს“ ეთმობა. პრინც-მონსენიორი მასპინძლობს (ერთხელ, როცა გატეხილ სეიფებზე ლაპარაკობდნენ, რომლებიც მისი ძალაყინის ქვეშ ჭრიალებენ, თქვა: „მათ ყოველღამე ვატირებო“). ისე ვართ, როგორც საკუთარ სახლში. მუსიკა უკრავს. სამი ბიჭი გვემსახურება და თვალებში გარყვნილი და მხიარული ეშმაკუნები დაუხტით. ჩვენი კაცები კამათელსა და პოკერს თამაშობენ. ვცეკვავთ. აქ მოსასვლელად ისე უნდა გეცვას, როგორც ჩვენ გვაცვია. სხვა არავინაა, გარდა გიჟურად ჩაცმული ქალებისა, რომლებსაც ახალგაზრდა „ხვადები“ ელაციცებიან. და არც ერთი ასაკოვანი ადამიანი არ არის. გრიმი და განათება გარეგნობას ისედაც კარგად ცვლის, მაგრამ აქ კიდევ შავი ნიღბების გაკეთება უყვართ და მარაო უჭირავთ, რათა სიამოვნება მიიღონ, როცა სიარულის მანერით, გამოხედვით ან ხმით იცნობენ ერთმანეთს, ანდა შეცდომის სიამოვნება განიცადონ და ერთმანეთს სხვადასხვა სახე მიუსადაგონ. მკვლელობის ჩასადენად იდეალური ადგილი იქნებოდა - ისეთი იდუმალებით მოცული, რომ შეშინებული და პანიკაში ჩავარდნილი „გოგოები“ (თუმცა დედობრივი სიმკაცრით აღვსილი რომელიმე მათგანი სწრაფად შეძლებდა მიზანდასახულ და ზუსტ პოლიციელად გარდაქმნას) და მათზე აკრული, შიშისაგან სახედამახინჯებული, მუცელატკივებული, პატარა „ხვადი“ ბიჭები ამაოდ ეცდებოდნენ მიხვედრას, ვინ მსხვერპლი იყო და ვინ - მკვლელი. დანაშაული მასკარადზე.

იმ საღამოსთვის დივინმა 1900-იანი წლების ყაიდის აბრეშუმის ორი კაბა მოძებნა, რომლებსაც დიდმარხვის მესამე კვირის ხუთშაბათების სამახსოვროდ ინახავდა. ერთი შავი იყო, გიშრით გაწყობილი. ამას თვითონ ჩაიცვამს, მეორეს ნოტრ-დამს შესთავაზებს.

- შენ რა, ავადა ხარ? მერე მეგობრები?

მაგრამ გორგი დაჟინებით მოითხოვს და ნოტრ-დამმაც იცის, რომ ეს ყველა ნაცნობს გაამხიარულებს, დაცინვას კი არავინ დაუწყებს - ისინი პატივს სცემენ. კაბა ნოტრ-დამის შიშველ სხეულს აბრეშუმის გარსში იმწყვდევს. მშვენივრად გრძნობს შიგ თავს. ფეხებს ერთმანეთს უახლოებს, ბუსუსით დაფარულ, ოდნავ ბანჯგვლიან ბარძაყებსაც ერთმანეთს აკრავს. იხრება, ტრიალდება, სარკეში იყურება. კაბაში, რომელიც ტანზე ზუსტად ადგას, გავა კარგადა აქვს გამოკვეთილი და ვიოლონჩელს მოგვაგონებს. გაჩეჩილ თმაში ხავერდის ყვავილიც გავუკეთოთ. დივინის ყვითელი ტყავის ფეხსაცმელს იცვამს, ბალთიანსა და მაღალქუსლიანს, რომელსაც ქვედა კაბის ფურჩალი უფარავს. იმ საღამოს სწრაფად მოემზადნენ, რადგან უამრავი სიამოვნება ელოდათ. დივინმა შავი აბრეშუმის კაბა ჩაიცვა, ზემოდან ვარდისფერი ჟაკეტი შემოიცვა და მბრწყინავი წინწკლებით მოჩითული ტიულის მარაო დაიჭირა. გორგის ფრაკი აცვია და თეთრი ჰალსტუხი უკეთია. ამას ასანთის სცენა მოჰყვება. კიბეზე ჩადიან. ტაქსი. „ტავერნაკლი“. შვეიცარი, სრულიად ახალგაზრდა და უზომოდ ლამაზი, სამჯერ სწრაფად გახედავს მათ. მას ნოტრ-დამი უბრძანებს თვალს. შედიან მარმაშისა და აბრეშუმის ტალღებზე აბრიალებულ ფოიერვერკში, თამბაქოს კვამლს რომ ერევა. აქ კვამლის ცეკვას ცეკვავენ. მუსიკას ეწევიან. პირიდან პირით სვამენ. მეგობრები ნოტრ-დამ-დე-ფლერის პატივსაცემად ტაშს უკრავენ და ოვაციას უწყობენ. მან ვერ გაითვალისწინა, რომ მისი ძლიერი ბარძაყები ასე მძლავრად დაჭიმავდა

ქსოვილს. საერთოდ კი, მიუფურთხებია, თუ ვინმე დაინახავს, როგორ ებერება„იარაღი“, მაგრამ მეგობრების თვალწინ მაინც ერიდება. დამალვა უნდა. ოდნავ გაწითლებული, გორგის მიუბრუნდება, გამობერილ კაბას აჩვენებს და ჩურჩულით ეკითხება:

- სეკ, ეს სად დავმალო?

ის ნაძალადევად ჩაიცინებს. მგონი, თვალები ცრემლით აქვს სავსე, გორგის ვერ გაუგია, მხიარულებისა თუ წყენისაგან; მკვლელს მხრებში ხელს მოჰკიდებს, მიიზიდავს, რომ დაფაროს, ზედ მიიწებებს, მკვრივ ბორცვს, აბრეშუმის კაბას მაღლა რომ სწევს, უზარმაზარ ბარძაყებში შეიდებს, თან გაიტაცებს, გულზე მიკრულს დაატრიალებს ვალსსა და ტანგოში, რომელიც დილამდე გაგრძელდება. დივინს ჯავრისაგან ტირილი მოუნდა; უნდოდა, ფრჩხილებითა და კბილებით დაეგლიჯა ბატისტის ცხვირსახოცები. ამ მდგომარეობამ უცბად გონებაში ამოუტივტივა: „მგონი, ესპანეთში იყო. ბიჭები „Maricona“-ს ძახილით დაედევნნენ და ქვები დააყარეს. სათადარიგო რკინიგზამდე სირბილით მივიდა და გაჩერებულ ვაგონში აძვრა. ბიჭები ქვემოდან აგრძელებდნენ მის შეურაცხყოფას და ვაგონის კარს ქვებს უშენდნენ. ვაგონის სკამქვეშ მოკრუნჩხული დივინი სასოწარკვეთით წყევლიდა ბავშვების ურდოს და სიძულვილით ხიხინებდა. გული გაუსივდა; უნდოდა, ღრმად ჩაესუნთქა, სიძულვილს რომ არ დაეხრჩო. მერე ნათლად იგრძნო, ამ ბავშვებს ვერ გაწყვეტდა, კბილებითა და ფრჩხილებით ვერ დაგლეჯდა, როგორც უნდოდა, და მან ისინი შეიყვარა. მოჭარბებული მრისხანებისა და სიძულვილისაგან მიტევება იშვა და დამშვიდდა. ახლა მრისხანების გამო თანახმა იყო, უკვე ის სიყვარული შეეყვარებინა, ზანგსა და ნოტრ-დამს შორის რომ აღმოცენდა. დივინი პრინც-მონსენიორის ოთახშია; სავარძელში ზის; ხალიჩაზე ნიღბები ყრია. ქვევით ცეკვავენ. ეს-ესაა დივინმა ყველას ყელები დასჭრა და ახლა კარადის სარკეში ხედავს - თითები რომანების ყდებზე გამოხატული დიუსელდორფელი ვამპირივით ეკლანჭება. მაგრამ ვალსები მიჩუმდა. ნოტრ-დამი, სეკი და დივინი მათ შორის არიან, ვინც ბოლო ტოვებს ბალ-მასკარადს. დივინმა კარი გააღო და ნოტრ-დამმა სრულიად ბუნებრივი მოძრაობით გორგის ხელკავი გამოსდო. კავშირი, დამშვიდობებამ ერთი წამით რომდაარღვია, უცბადვე აღდგა და გაუბედაობის თვალთმაქცობა გააშიშვლა, და დივინმა მისი უგულებელყოფით გამოწვეული მწარე კბენა იგრძნო გვერდში. ის კარგი მოთამაშე იყო და წაგებაც იცოდა; უკან დარჩა, თითქოს წინდის შესაკრავს ისწორებდა. დილის ხუთ საათზე ლეპიკის ქუჩა პირდაპირი ხაზით ზღვამდე, ანუ კლიშის ბულვარამდე, ჩადიოდა. განთიადი ნაცრისფერი იყო, ოდნავ შეზარხოშებული, არცთუ ისე დარწმუნებული, რომ არ დაეცემოდა და არ არწყევდა. განთიადი გულის ამრევი იყო, როცა ტრიო ჯერ კიდევ ქუჩის თავში იდგა. დაეშვნენ. გორგიმ თავისი შაპოკლიაკი - დასაკეცი ცილინდრი ძალზე მოხერხებულად დაიდო ხუჭუჭა თმაზე, ყურისკენ ოდნავ გადაწეულად. პერანგის გულისპირი ისევ გაშეშებული ედგა. დიდი ქრიზანთემა ღილკილოში ჩამჭკნარიყო. სახე უცინოდა. ნოტრ-დამს მისთვის მკლავში ჩაევლო ხელი. ისინი ნაცრითა და ჭუჭყიანი ნავარცხნით სავსე სანაგვე ყუთების ორ რიგს შორის მიდიოდნენ - ამ სანაგვეებზე ეცემა მოქეიფეთა პირველი ალმაცერი მზერა - სანაგვეებზე, რომლებიც ტროტუარის გასწვრივ ირიბად ჩამწკრივებულიყო.

თეატრალური პიესის დადგმა რომ დამჭირვებოდა ქალი პერსონაჟებით, მოვითხოვდი, მათი როლები ჭაბუკებს შეესრულებინათ. ამის შესახებ მაყურებელს მთელი წარმოდგენის განმავლობაში დეკორაციების ორივე მხარეს ჩამოკიდებული პლაკატებით გავაფრთხილებდი. თეთრი მაქმანით გაწყობილ ღია ცისფერ ფერიას კაბაში გამოწყობილი ნოტრ-დამი საკუთარ თავს სჯობნის. იგი თვითონვე იყო და ამავე დროს საკუთარი თავის დამატებაც. მიყვარს მასკარადი. ზოგჯერ ჩემი ტუსაღური ღამეების წარმოსახვითი საყვარელი პრინცია, მაგრამ ვაიძულებ, მათხოვრის ტანსაცმელი ეცვას, ზოგჯერ ხულიგანია, რომელსაც სამეფო ტანსაცმელს ვაცმევ; ყველაზე დიდი სიამოვნება იქნებ იმ მომენტშიც განვიცადო, როცა ვითამაშებ და თავს ძველისძველი იტალიური გვარეულობის მემკვიდრედ წარმოვიდგენ, ოღონდ თვითმარქვია მემკვიდრედ, რადგან ჩემი ნამდვილი წინაპარი ვარსკვლავებით მოჭედილი ცის ქვეშ ფეხშიშველად მოხეტიალე უმშვენიერესი მაწანწალა იქნება, რომელსაც თავხედობა ეყოფა და გრაფ ალდინის ადგილის დაკავებას მოისურვებს. მიყვარს სიცრუე. მაშ ასე, ნოტრ-დამი ქუჩაზე ეშვება, ისე ეშვება, როგორც მხოლოდ დიდი, ყველაზე დიდი კურტიზანი ქალები ეშვებოდნენ. მაშასადამე, არც ისე დაძაბულად, გვერდების

არც ისეთი ძლიერი ქნევით. არც შლეიფს გაჰკრავს ფეხს, რომელიც გულგრილად გვის ნაცრისფერ ქვაფენილს, თან მიაქვს ჩალის ღეროები, ხის პატარა ტოტები, გატეხილი სავარცხელი და ნიუკას გაყვითლებული

ფოთოლი. ცა იწმინდება. დივინი კარგა შორს დარჩა; გამძვინვარებულია და მათ შორიდან ადევნებს თვალს. ზანგი და მკვლელი, ორივე მორთული, ოდნავ ბარბაცებდნენ და ერთმანეთს ეყუდებოდნენ. ნოტრ-დამი მღეროდა:

ტარაბუმ, დიე!

ტარაბუმ, დიე! ტარაბუმ, დიე!

სიცილით მღეროდა. ღამის მხიარულებით, ცეკვებით, ალიაქოთით, ღვინითა და სიყვარულით არეული (აბრეშუმის კაბა დასვრილი ჰქონდა) მისი ნათელი, უულვაშო სახე დღის დაწყებას ეგებებოდა, როგორც მიცვალებულის გაყინულ კოცნას. თმაში გაჩხერილი ვარდები ქსოვილისა იყო, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ისინი თითბრის მავთულებზე მაინც ჩამომჭკნარიყო, თუმცა ძველებურად მტკიცედ იდგა საყვავილესავით, რომელშიც წყლის გამოცვლა დავიწყებიათ. ქსოვილის ვარდები დახოცილიყვნენ. მათთვის უფრო მიმზიდველი სახე რომ მიეცა, ნოტრ-დამმა შიშველი ხელი ასწია. და მკვლელის ამ მოძრაობაში ცოტა მეტი სიუხეშე იგრძნობოდა, ვიდრე იმ მოძრაობაში, რომლითაც ემილიენ დ'ალანსონი ისწორებდა თავის შინიონს. ის მართლაც ჰგავდა ემილიენ დ'ალანსონს. მისი ლურჯი კაბის ტურნიურს („ყალბ უკანალს" რომ ეძახიან) დიდი და ყოჩაღი ზანგი გამოთაყვანებამდე მიჰყავდა. დივინი უყურებდა, როგორ ეშვებოდნენ ისინი პლაჟისკენ. ნოტრ-დამი სანაგვე ყუთებს შორის მღეროდა. წარმოიდგინეთ ვინმე ქერათმიანი ეჟენი ბიუფე, აბრეშუმის კაბაში გამოწყობილი, დილაობით ფრაკიან ზანგთან ხელგაყრილი ეზოებში რომ მღერის. გასაოცარია, რომ ქუჩაში ერთი ფანჯარაც არ გაღებულა და კვერცხითა და კარაქით მოვაჭრის ან მისი მეგობრის ნამძინარევი სახე არ გამოჩენილა. ამ ხალხმა არასოდეს იცის, რა ხდება მათი ფანჯრების ქვეშ, და ეს ძალიან კარგია, თორემ დარდისაგან დაიხოცებოდნენ. ნოტრ-დამს თეთრი ხელი (ჭუჭყიანფრჩხილებიანი) სეკ გორგის მკლავზე ედო. ორივე ხელი ისე ნაზად ეხებოდა ერთმანეთს (იყო რაღაც ამაში კინოდან), რომ შეიძლებოდა შეგვედარებინა რაფაელის მადონების მზერისათვის, და იქნებ ასეთი უმანკოც იმიტომ ჩანდა, რომ მის წმინდა სახელს ატარებდა და პატარა ტობიას გამოხედვასაც ნათელს ჰფენდა. ლეპიკის ქუჩა პიკივით შვეულად ეშვებოდა. ფრაკიანი ზანგი ისე იღიმებოდა, როგორც შამპანურის დალევის შემდეგ იღიმებიან - საზეიმო, ესე იგი

გამოცარიელებული სახით. ნოტრ-დამი მღეროდა:

ტარაბუმ, ტარაბუმ, დიე!

ტარაბუმ, დიე!

გრილოდა. პარიზული დილის სიცივე მხრებს უსუსხავდა, კაბა თავიდან ბოლომდე უცახცახებდა.

- გცივა? - ჰკითხა გორგიმ და შეხედა.

- ცოტათი.

გონს მოსვლაც ვერავინ მოასწრო, რომ სეკის ხელი ნოტრ-დამის მხრებს მოეხვია. უკან მომავალი დივინი შებრუნდა, შეეცადა, ისეთი სახე მიეღო, რომ ერთსაც და მეორესაც ეფიქრათ, თითქოს თავისი ტუალეტის თვალიერებით იყო გართული. თუმცა, როგორც ჩანდა, არც არავის ანაღვლებდა დივინის ყოფნა-არყოფნა. დილის ზარების რეკვისა და რძის ჭურჭლის რახარუხის ხმები გაისმა. თუმცა უკვე ნათელი იდგა, სამმა მუშამ ანთებულფარნიანი ველოსიპედებით ჩაიარა ბულვარზე. სახლში მიმავალმა პოლიციელმა ისე გაიარა, მათთვის არც შეუხედავს; სახლში, ალბათ, ცარიელი საწოლი ელოდება, გაიფიქრა დივინმა, რადგან პოლიციელი ძალიან ახალგაზრდა იყო. ნაგვის ყუთებს სარეცხი ნიჟარებისა და დიასახლისების სუნი ასდიოდა. ეს სუნი აჰყვა ნოტრ-დამის თეთრმაქმანიან კაბასა და დივინის ვარდისფერი ჟაკეტის ყვავილწნულების ფურჩალებს. ნოტრ-დამი ისევ სიმღერას განაგრძობდა, ზანგი კი იღიმებოდა. მოულოდნელად სამივე სასოწარკვეთის პირას აღმოჩნდა. ზღაპრული გზა უკან დარჩა. ახლა გლუვი, ერთფეროვანი, მოასფალტებული ბულვარი იწყებოდა, ჩვეულებრივი ბულვარი, სრულიად განსხვავებული იმ იდუმალებით აღსავსე ბილიკისაგან, ახლახან რომ გაიკვლიეს შეზარხოშებულ განთიადში, თავიანთი სურნელით, აბრეშუმით, სიცილით, სიმღერით იმ სახლებს შორის, საკუთარი შიგნეულობა რომ დაეკარგათ, ფასადებდახეთქილ სახლებს შორის, სადაც ძილს აგრძელებდნენ მოხუცები, ბავშვები, ალფონსები, ალფონსინები - თვალყვავილა გოგონები, ბარმენები; ეს გზა, რომლითაც ახალგაზრდები ტაქსისაკენ წავიდნენ, რომ მალე გასცლოდნენ ამ მოსაწყენი ყოველდღიურობის დაბრუნებას, სულაც არ ჰგავდა, როგორც ვთქვი, იმ იდუმალებით სავსე ბილიკს. ტაქსიც ელოდათ. მძღოლმა კარი გააღო და ნოტრ-დამი პირველი ჩაჯდა. ჯერ გორგი უნდა

ჩამჯდარიყო - მანქანასთან ყველაზე ახლოს ის იდგა, მაგრამ გაიწია და ნოტრ-დამი გაუშვა წინ. დაე ილაპარაკონ, „ხვადი“ არასოდეს დაუთმობს გზას ქალსო, მით უმეტეს დეიდა-ჰედერასტ-საყვარელს, რადაც ამ ღამეს მისთვის ნოტრ-დამი იქცა; ეტყობა, გორგი მას ძალიან აფასებდა. დივინი გაწითლდა, როცა მან უთხრა:

- შედი, დანი.

და მაშინვე დივინი, რომელმაც იგი ლეპიკის ქუჩაზე ჩამოსვლისას დატოვა, რათა უფრო მკვირცხლად ეფიქრა, რადგან, თუ იგი „ქალად“ გრძნობდა თავს, ფიქრით მაინც „მამაკაცურად“ ფიქრობდა, ისევ დივინად იქცა. შეიძლება ისიც გვეფიქრა, რომ, თუკი დივინი ასეთი სიმსუბუქით უბრუნდება თავის ნამდვილ ბუნებას, მაშინ იგი ფერუმარილწასმული „მამალია“, ყალბი ჟესტებით გამძვინვარებული; მაგრამ არა, აქ საქმე მშობლიური ენის ფენომენს როდი ეხება, რომელსაც მძიმე წუთებში მიმართავენ. ნათლად რომ ეაზროვნა, დივინს არასოდეს დასჭირვებია თავისი აზრების ხმამაღლა ჩამოყალიბება. ცხადია, მომხდარა და ხმამაღლა უთქვამს, საცოდავი გოგო ვარო, მაგრამ გრძნობით არ უგრძნია, და როცა ამას ამბობდა, ასე უკვე აღარც ფიქრობდა. მაგალითად, როცა მიმოზასთან იყო, სერიოზულ საკითხებზე „ქალივით“ უწევდა ფიქრი, მაგრამ მთავარზე - არასოდეს. მისი ქალურობა მხოლოდ მასკარადი იყო. ნამდვილი ქალივით ფიქრში თავისი ორგანოები უშლიდა ხელს. ფიქრი რაღაც მოქმედებას ნიშნავს. რომ იმოქმედო, აუცილებელია, თავიდან მოიშორო ფუქსავატობა და ფიქრის მტკიცე საფუძველი შეუქმნა. მაშინ მასთან დასახმარებლად სიმტკიცის ცნება მოდიოდა, რომელსაც ვაჟკაცობის ცნებასთან აერთებდა, და იგი ზუსტად გრამატიკის სფეროში ხდებოდა მისთვის ხელმისაწვდომი. რადგან, თუ თავისი მდგომარეობის გამოსახატავად დივინი ბედავდა და მდედრობით სქესს იყენებდა, მაშინ თავისი მოქმედების გამოსახატავად ამის გაკეთება არ შეეძლო. და ყოველი „ქალური“ მსჯელობა, რომელსაც იგი აყალიბებდა, სინამდვილეში პოეტური დასკვნა იყო. ამიტომ დივინი მხოლოდ ამ დროს იყო ნამდვილი. საინტერესოა იმის გაგებაც, თუ რას შეესაბამებოდნენ ქალები დივინის გონებაში, უპირველესად კი მის ცხოვრებაში. თვითონ, ცხადია, ქალი არ იყო (ასე ვთქვათ, ქვედაკაბიანი დედალი); მაგრამ თავის ქალურობას

უფრთხილდებოდა, რადგან ეს გახლდათ შესაძლებლობა, დამორჩილებოდა მბრძანებელ მამალს, და ერნესტინიც, რომელიც დედა იყო მისი, მისთვის ქალი არ იყო. ხოლო ყველა ქალურობა იმ ერთ პატარა გოგოში იყო მოქცეული, რომელსაც კიულაფრუა სოფელში იცნობდა. სოლანჟი ერქვა. პაპანაქება დღეებში პატარა ფარდაგივით ვიწრო და თხელ ჩრდილქვეშ, თეთრი ქვის სკამზე ისხდნენ; ფეხებს წინსაფრების ქვეშ იკეცავდნენ, მზეს რომ არ დაეწვა; და ხის ჩრდილში ისინი ერთნაირად გრძნობდნენ და ფიქრობდნენ. კიულაფრუას გოგო შეუყვარდა და როცა სოლანჟი მონასტერში მიაბარეს, მის სანახავადაც ჩავიდა. კროტოს კლდეც მოინახულა. იქაური დედები გრანიტის ამ ლოდს საფრთხობელად იყენებდნენ, შვილები რომ დაეშინებინათ, მის ღრმულებს ბოროტი სულებით, სილით მოვაჭრეებით, თასმების, ქინძისთავების, ბედ-იღბლის გამყიდველებით ასახლებდნენ. ბავშვების უმეტესობა დედების სიფრთხილით ნაკარნახევ ამ ისტორიებს დიდ მნიშვნელობას არ ანიჭებდა. მხოლოდ სოლანჟი და კიულაფრუა, როცა იქით მიდიოდნენ - და ცდილობდნენ ხშირადაც ევლოთ - განიცდიდნენ ამ წმინდა შიშს. ზაფხულის ერთ საღამოს, ჭექა-ქუხილის მოლოდინში რომ განაბულიყო, კლდეს მიადგნენ. კლდე წინ ისე იყო წამოწეული, როგორც გემის ცხვირი დასცქერის ცისფერ ანაბზენდაკრულ ოქროსფერ ხორბლის ზღვას. ცა დედამიწაზე დაშვებულიყო, როგორც ცისფერი ფხვნილი წყლიან ჭიქაში. იდუმალი და მისტიკური ატმოსფერო იდგა, როგორიც ტაძრებშია, და რომელიც ისეთმა ადგილებმა შემოინახა, ადამიანთა საცხოვრებლიდან რომაა დაშორებული და წელიწადის ყოველ დროს შეხვდებით: სალამანდრებით დასახლებული ტბორი, ნაძვის პატარა ხეებით გარშემორტყმული, რომელთა ჩრდილებიც მომწვანო წყალში ირეკლება. საოცარი ხეებია ნაძვები, რომლებსაც იტალიელთა ნახატებზე ხშირად ვამჩნევდი: ქრისტე რომ იშვა, იმ ბაგასაც ამ ხისგან აკეთებენ და მათ ისეთივე ხიბლი აქვთ, როგორიც ზამთრის ღამეებს, გრძნეულებს, ბოშა მუსიკოსებსა და საფოსტო ღია ბარათებით მოვაჭრეებს, ჰიმნებს, ღამით ნოხზე ფეხშიშველა მიღებულ და გაცემულ კოცნებს. კიულაფრუა მუდამ ელოდა, რომ მათ ტოტებში იპოვიდა მშვენიერ ქალწულს, რომელიც, დასრულებული სასწაული რომ გამხდარიყო, შეღებილი თაბაშირისაგან უნდა ყოფილიყო გაკეთებული.

ეს იმედი აუცილებელი იყო იმისათვის, რომ ბუნება აეტანა. საძულველი, არაპოეტური ბუნება, კაციჭამია, ყოველგვარი სულიერების შთამნთქმელი. ისეთივე კაციჭამია, როგორიც ღორმუცელა სილამაზეა. პოეზია სამყაროს ხედვაა, ძალისხმევით მიღწეული, ხშირად ამ ძალების დაძაბვისაგან ღონემიხდილიც და მოკაკულიც. პოეზია თავნებაა; ის შებოჭილი არ არის; არც მსუბუქად შემოდის სულში გონების მეშვეობით; მგრძნობელობასაც არ ერევა, მაგრამ ეწინააღმდეგება მას და ჩნდებოდა, მაგალითად, შაბათობით, როცა უახლოეს ველზე გავდიოდით, რომ ჩვენი ოთახები, წითელი ხავერდის სავარძლები და სკამები, მოოქრული სარკეები და წითელი ხის მაგიდები წესრიგში მოეყვანათ.

სოლანჟი კლდის წვერზე იდგა. ოდნავ უკან გადაიწია, თითქოს ღრმად უნდა ჩაისუნთქოსო. პირი დააღო, უნდოდა, რაღაც ეთქვა, მაგრამ გაჩუმდა. ჭექა-ქუხილს ელოდა ან შთაგონებას, მაგრამ არც ერთი არ მოვიდა. შთაგონებაში არეულმა შიშმა და სიხარულმა რამდენიმე წამში გაიარა. მერე დაბალი ხმით თქვა:

- ერთ წლის შემდეგ აქედან კაცი გადახტება.

- რატომ ერთ წლის შემდეგ? ვინ?

- იდიოტი.

და აღწერა კაცი, რომელიც თითქოსდა სქელი იქნებოდა, ეცმებოდა ნაცრისფერი შარვალი და სანადირო ქურთუკი. კიულაფრუა ისე აფორიაქდა, თითქოს ეთქვათ, თვითმკვლელობა ეს-ესაა აღსრულდა და ჯერ ისევ თბილი ნეშტი კლდის ძირას, მაყვლის ბუჩქებში ძევსო. მღელვარება მასში მსუბუქ, სწრაფ, ყოვლის შთამნთქმელ ტალღებად შევიდა და იქიდან - ფეხებიდან, ხელებიდან, თმიდან, თვალებიდან - გამოვიდა იმისათვის, რომ ბუნებაში ჩაკარგულიყო, იმისდა მიხედვით, თუ როგორ აღწერდა სოლანჟი ამ ძნელმისახვედრი, რთული დრამის ფაზებს, ისეთისა, როგორი ძნელსაცნაურიცაა, ალბათ, იაპონური დრამა. მასში საკუთარი თავით ტკბობის ელფერიც ჩართო და ამისთვის ტრაგიკული რეჩიტატივის ტონი აირჩია, რომელშიც ხმა არასოდეს ეცემა ტონიკაზე.

- ეს ადამიანი შორიდან მოდის, არავინ იცის, რატომ. ბაზრიდან მომავალი ღორებით მოვაჭრე უნდა იყოს.

- მაგრამ გზა აქედან შორს არის. აქ რატომ უნდა ამოვიდეს?

- რომ მოკვდეს, სულელო. გზაზე ხომ არ მოიკლავს თავს.

გოგომ მხრები აიჩეჩა და თავი გადააქნია. მშვენიერმა კულულებმა ლოყებზე გაუტყლაშუნა ტყვიის შოლტებივით. პატარა პითია ჩაცუცქდა. თავისი წინასწარმეტყველებისთვის დამაჯერებელ სიტყვებს ეძებდა; დედალს ჰგავდა, ქვიშაში რომ იქექება, რათა მარცვალი იპოვოს და წიწილებს უჩვენოს. მერე ხშირად ამოვლენ ამ კლდეზე, რომელიც მათი გატაცების ადგილი იქნება. ისე ივლიან, როგორც საფლავზე დადიან ხოლმე. მომავალი მიცვალებულის ამ პატივისცემამ მათში რაღაც შიმშილის მსგავსი გრძნობა წარმოშვა ან სისუსტის ერთი იმ შეტევათაგანი, ციებ-ცხელებას რომ ახლავს.

ერთ დღეს კიულაფრუამ გაიფიქრა: „ცხრა თვე გავიდა, ივნისში სოლანჟი ბრუნდება. მაშასადამე, ივლისში აქ იქნება, რომ ნახოს, როგორ დატრიალდება ის ტრაგედია, რომლის ავტორიც თვითონ იყო“. სოლანჟი დაბრუნდა. და კიულაფრუა უცბად მიხვდა, რომ გოგონა ნაწილი გამხდარიყო იმ სამყაროსი, რომელიც მისი სამყაროსაგან განსხვავდებოდა. იგი მას აღარ ეკუთვნოდა. სოლანჟმა დამოუკიდებლობა მოიპოვა, და ახლა ეს პატარა გოგო იმ ნაწარმოებებს ჰგავდა, დიდი ხნის წინ რომ მიატოვეს თავიანთი ავტორი - უკვე ეს წუთია ხორციელად მოშორებულნი მის ხორცს აღარ ეკუთვნიან და უფლებას კარგავენ მის დედობრივ სინაზეზე. სოლანჟი ნაკელის გროვას დაემსგავსა, კიულაფრუა შავი მოცხარის ბუჩქებს რომ უყრიდა ბაღის კედელთან. როცა ნაკელი ჯერ კიდევ თბილი იყო, კიულაფრუა ერთხანს მისი სუნით ნაზ სიამოვნებას იღებდა, მაგრამ გულგრილად იგერიებდა - ზოგჯერ კი შიშითაც - როცა იგი უკვე აღარ იყო ის, რაც იყო. და თუ სოლანჟი უმანკო გოგო აღარ იყო, მისი ნეკნიდან შექმნილი, გოგონა, რომელსაც ჩვეულებად ჰქონდა, თმა პირთან მიეტანა და კბილებით ეწიწკნა, მაშინ თვითონაც ალბერტოს გვერდით ცხოვრებით თითქოს ფერფლად იქცა. მასში მოხდა ქიმიური რეაქცია, რომელმაც ახალი შენაერთი წარმოქმნა. ორივე ბავშვისთვის წარსული უკვე კარგა შორს დარჩა: აღარც გასული წლის თამაშებსა და ლაპარაკს დაბრუნებიან. ერთხელ იმ თხილნარამდე მივიდნენ, სადაც გასულ ზაფხულს იქორწინეს, თოჯინები მონათლეს და თხილით იქეიფეს. იმ ადგილის ხელახლა ნახვამ, იქ მობალახე თხების მცდელობით

უწინდელი სახე რომ შეენარჩუნებინა, კიულაფრუას კროტოზე თქმული წინასწარმეტყველება გაახსენა. უნდოდა, სოლანჟთან ამაზე ელაპარაკა, მაგრამ გოგონას ეს ამბავი უკვე დავიწყებული ჰქონდა. ზუსტად რომ გამოვთვალოთ, ვაჭრის საზარელი სიკვდილი მან ცამეტი თვის წინ გამოაცხადა, მაგრამ აქამდე არაფერი მომხდარა. კიულაფრუამ ნახა, როგორ იქცა ფერფლად კიდევ ერთი ზებუნებრივი თვისება. რაღაც ნაწილი კიდევ დაემატა იმ სასოწარკვეთას, სიკვდილამდე რომ უნდა მიჰყოლოდა. ჯერ არ იცოდა, რომჩვენი ცხოვრების ყოველი მოვლენის მნიშვნელობა მხოლოდ იმ რეზონანსშია, რომელსაც იგი ჩვენში იწვევს, ასკეტიზმის იმ საფეხურში, რომლის გადალახვასაც იგი გვაიძულებს. მას ცხოვრებაში, დარტყმების გარდა, არაფერი მიუღია, მაგრამ თავის კლდეზე სოლანჟი მასზე მეტად არ იყო აღფრთოვანებული. უფრო საინტერესო რომ გამოჩენილიყო, სოლანჟი როლს თამაშობდა; და თუ საიდუმლო ერთი დარტყმით დაიმსხვრა, გაჩნდა მეორე, უფრო ძნელად მისახვედრი: „სხვებს, - ფიქრობს კიულაფრუა, - შეუძლიათ წარმოაჩინონ, რომ ისინი ისინი არ არიან, ვინც სინამდვილეში არიან. ესე იგი, მე არა ვარ გამონაკლისი არსება!“ მოკლედ, თავისთვის მოულოდნელად ქალური ელვარების ერთ-ერთი წახნაგი აღმოაჩინა. იმედი გაუცრუვდა, მაგრამ, მთავარია, იგრძნო, სხვა სიყვარულით იყო სავსე, და ცოტა შეებრალა კიდეც ეს ფერმკრთალი, სუსტი და უკვე შორეული გოგო. როგორც შპილი იზიდავს მეხს, ისე მიიზიდა ალბერტომ შინაგანი სამყაროს ყველა სასწაული. კიულაფრუამ ორი სიტყვით უამბო სოლანჟს, რა არის გველების დაჭერა და დახელოვნებული მსახიობივით შეძლო გულის ხვაშიადის დაფარვა. სოლანჟი თხილის ტოტით მიწას გვიდა. ზოგიერთ ბავშვს, თვითონაც რომ არ იცის ეს, ჯადოსნობის იარაღი უპყრია ხელთ და, გულუბრყვილოებს, აოცებთ ის ცვლილებები, რომლებიც მათ ცხოველებისა და ოჯახების კანონებში შეაქვთ. სოლანჟი, როგორც გადმოცემა გვაუწყებს, ოდესღაც დილის ობობების - სევდის მაუწყებლების - ფერია იყო. აქ ამბავს ვწყვეტ, რათა თვალი ვადევნო „ამ დილის“ ობობას, ჩემი საკნის ყველაზე ბნელ კუთხეში აბლაბუდას რომ ქსოვს. ბედისწერამ ჩემი მზერა ფარულად ობობასა და მის აბლაბუდაზე გადაიტანა. წინასწარმეტყველება გაცხადდა. ისღა დამრჩენია, წყევლა-კრულვის გარეშე ქედი მოვიხარო: „შენ შენი საკუთარი ბედი ხარ; შენ შენი საკუთარი ჯადო მოქსოვე“. შეიძლება მხოლოდ ერთი უბედურება დამემართოს, ესე იგი ყველაზე საშინელი. ჰოდა, ღმერთებს შევურიგდი კიდეც. საღვთისმეტყველო მეცნიერებები კითხვებს არ მიჩენს, რადგან ისინი ღვთაებრივია. დავუბრუნდებოდი ისევ სოლანჟს, დივინს, კიულაფრუას, ამ მქრქალ და სევდიან არსებებს, რომლებსაც ხანდახან უმშვენიერესი მოცეკვავეებისა და არამზადების გულისთვის ვტოვებ ხოლმე, მაგრამ ისინიც კი, და უპირველესად ისინი, შორეულები გახდნენ ჩემთვის მას შემდეგ, რაც შემძრა ამ წინასწარმეტყველებამ. სოლანჟი? ის, როგორც ქალი, კიულაფრუას გულახდილ ლაპარაკს უსმენდა. ერთ წამს შეკრთა და გაიცინა, ისე გაიცინა, თითქოს მაგრად დაჭერილ კბილებზე ჩაქუჩიანი ჩონჩხი დახტოდა და კბილებზე ურაკუნებდა. შუაგულ სოფელში სოლანჟმა ტყვედ იგრძნო თავი. თითქოს ეს-ესაა შეკრესო. ეჭვი, ქალური. ნერწყვი ძლივს ეყო, რომ ეკითხა: „მართლა გიყვარს?“ მერე ეს სიტყვები ისეთი ტკივილით ჩაყლაპა, თითქოს მთელი კონა ქინძისთავები გადააყლაპესო. კიულაფრუა შეყოყმანდა და პასუხი დაუგვიანა. ფერიას დავიწყების საფრთხე დაემუქრა. იმ წუთში, როცა ამის გაკეთება იყო საჭირო, როცა პასუხი სრულად და ნათლად იყო „დიახ“, სოლანჟს თხილის ჯოხი გაუვარდა და ასაღებად სასაცილო პოზაში ზუსტად იმ დროს დაიხარა, როცა საბედისწერო კივილი, საქორწინო „დიახ“ გაისმა; ასე რომ, იგი შეერია ქვიშის ხმაურს, რომელსაც სოლანჟი ფხოჭნიდა; კივილი დაიხშო და სოლანჟის ელდაც შერბილდა. ეს იყო და ეს, დივინს ქალებთან საქმე აღარასოდეს ჰქონია.

ტაქსისთან საფიქრალი აღარაფერი ჰქონდა და ისევ ძველ დივინად იქცა. მანქანაში ჩაჯდომის მაგივრად (შავი კაბის ქობას უკვე მოჰკიდა ორი თითი და მარცხენა ფეხიც ასწია) - გორგი უკვე შიგ იჯდა და მასაც იწვევდა ჩასაჯდომად - ყურისწამღები სიცილი ატეხა - სიხარულით თუ სიგიჟით სავსე, კაცი ვერ გაარჩევდა - მძღოლისკენ მიბრუნდა, პირში შესცინა და უთხრა:

- არა, არა. მძღოლთან. მუდამ მძღოლთან ვჯდები. დიახ.

ნაზი და ალერსიანი გახდა.

- მძღოლსაც ხომ ეს უნდა?

მძღოლი მხიარული ბიჭი იყო, თავისი საქმის მცოდნე (ტაქსის ყველა მძღოლი ყოფს ყველგან ცხვირს და ვაჭრობს თეთრი პუდრით). დივინის

ხელში მარაო არ გაშლილა; არც აუღია, რადგან უნდოდა, მძღოლისთვის თავგზა აებნია; გული დასწყდებოდა, ერთ-ერთ იმ საშინელ, დიდძუძუებიან ქალში რომ არეოდა. „ოო! ეს ქალები, საძაგლები, საძაგლები და საზიზღრები, მეზღვაურების ბოზები, კონკიაჟღარუნები, ბინძურები. ოო! ეს ქალები, როგორ მძულს!“ - იტყოდა ხოლმე. მძღოლმა თავის მხარეს კარი გამოაღო და თავაზიანი ღიმილით უთხრა:

- დაბრძანდი, პატარავ.

- ოო! ეს მძღოლი არის, არის, არის...

ტაფტის ტყვიამფრქვევის კაკანმა მძღოლს დიდებული ლაჯები დაუცხრილა.

მანსარდამდე რომ ააღწიეს, დღემ საბოლოოდ გაიღვიძა, მაგრამ ფარდებდახურული ოთახის ბინდბუნდმა, ჩაის სურნელმა, უფრო მეტად კი გორგის სუნმა, ისევ ჯადოსნურ ღამეში ჩაძირა ისინი. დივინი ჩვეულებისამებრ თეჯირის უკან გავიდა, რომ სამგლოვიაროო კაბა გაეხადა და პიჟამა ჩაეცვა. ნოტრ-დამი საწოლზე ჩამოჯდა, სიგარეტს მოუკიდა. მისი კაბის აუარება მაქმანმა ფეხებთან მოცახცახე კვარცხლბეკის მსგავსი რაღაც შექმნა; იდაყვებით მუხლებზე დაყრდნობილი ხედავდა - შემთხვევამ ისინი მიიღო და მაშინვე მოაწესრიგა- როგორ მიიღო ნოხზე მის წინ დაყრილმა გორგის ფრაკმა, თეთრი სატინის ჟილეტმა, ფეხსაცმელებმა სამხილის სახე, რომელსაც რომელიღაც გაკოტრებული ჯენტლმენი ღამის სამ საათზე ტოვებს სენის ნაპირთან. გორგი სრულიად შიშველი დაწვა. გამოჩნდა დივინი მწვანე პიჟამით, რადგან ოთახში ქსოვილის მწვანე ფერი ძალიან უხდებოდა მის ჟანგმიწით დაპუდრულ სახეს. ნოტრ-დამს სიგარეტის მოწევა ჯერ არ ჰქონდა დამთავრებული.

- წვები, დანი?

- კი, კი, მოიცა, ახლავე მოვრჩები.

როგორც სჩვეოდა, ახლაც ღრმა ფიქრებში ჩაძირული ადამიანივით უპასუხა. ნოტრ-დამი არაფერსაც არ ფიქრობდა და სწორედ ამიტომაც ჩანდა, თითქოს ვიღაცის წყალობით, ერთი შეხედვით იცოდა ყველაფერი. იყო კი შემოქმედის რჩეული? იქნებ უფალმა განდობილადაც აქცია? მისი გამოხედვა უფრო სუფთა (ცარიელი) იყო, ვიდრე დიუ ბარის გამოხედვა თავის მეფე-საყვარელთან ახსნა-განმარტების შემდეგ (დიუ ბარივით ამწუთში ამანაც არ იცოდა, რომ ეშაფოტისაკენ მიდიოდა პირდაპირი გზით; მაგრამ, რადგანაც ლიტერატორები გვიხსნიან, რომ პატარა იესოებს ქრისტიანთა ვნებების წინასწარჭვრეტისაგან თვალები მუდამ მომაკვდინებლად ნაღვლიანი აქვთ, მაშინ სრული უფლება მაქვს, გთხოვოთ, ჩახედეთ ნოტრ-დამს გუგების სიღრმეში და შეუიარაღებელი თვალისთვის შეუმჩნეველი, გილიოტინის მიკროსკოპიული სურათი დაინახეთ-მეთქი). ის გაქვავებულს ჰგავდა. დივინმა ნოტრ-დამ-დე-ფლერს ქერა თმაზე გადაუსვა ხელი.

- გინდა, მოგეხმარო?

უნდოდა, კაბა გაეხსნა მისთვის და გაეხადა.

- მიდი.

ნოტრ-დამმა ნამწვი დააგდო, ნოხზე დააჭყლიტა, ჭვინტის მიშველებით ფეხსაცმელები გაიხადა, ჯერ ერთი, მერე მეორე. დივინმა ზურგზე კაბის თასმები გაუხსნა. ნოტრ-დამ-დე-ფლერს ერთი ნაწილი წაართვა, მისი სახელის ყველაზე ლამაზი ნაწილი. ნოტრ-დამი ოდნავ მთვრალი იყო. ბოლო სიგარეტმა ცუდად გახადა. თავბრუ დაეხვა და თავი უცბად მკერდზე ჩამოუვარდა, როგორც მონეტის ჭრილში ჩაშვების შემდეგ ჩამოუვარდებათ ხოლმე თაბაშირის მწყემსებს, მუხლი რომ აქვთ მოდრეკილი შობის ბაგასთან. თვლემამ და ცუდად შერგებულმა ღვინომ სლოკინი აუტეხა. დივინს არც მიხმარებია, ისე დაანება კაბის გახდა; გაშიშვლებულს დივინმა ფეხები აუწია და საწოლზე გადააყირავა; ის სეკს მიუგორდა. ჩვეულებრივ, დივინს მათ შორის ეძინა ხოლმე. ახლა მშვენივრად მიხვდა, რომ დღეს საწოლის კიდეზე მოუწევდა წოლა, და ეჭვიანობამ, ლეპიკის ქუჩაზე ჩამოსვლისას და „ტავერნაკლშიც“ რომ დაეუფლა, კვლავ განუახლა ჯავრი. სინათლე გამორთო. ცუდად დახურული ფარდებიდან დღის სინათლის წვრილი სხივი შემოიჭრა და თეთრ მტვერს შეერია. ოთახში პოეტური დილის შუქ-ჩრდილი დადგა. დივინიც დაწვა. უცბად ნოტრ-დამი თავისკენ მიიზიდა, რომელსაც სხეულში თითქოს არც ძვლები ჰქონდა და არც ნერვები - მხოლოდ რძით ნაკვები კუნთები. ტუჩებზე გაურკვეველი ღიმილი უთრთოდა. ასეთივე შემწყნარებლური ღიმილი ჰქონდა მსუბუქი გართობის წუთებშიც, ოღონდ დივინმა მხოლოდ იმ მომენტში შეამჩნია, როცა თავზე ხელები მოჰკიდა და

თავისკენ შემოაბრუნა სახე, რომელიც მანამდე გორგისკენ ჰქონდა მიმართული. გორგი ზურგზე იწვა. ღვინომ და სხვა ალკოჰოლმა ისიც მოადუნა ნოტრ-დამივით. არ ეძინა. დივინმა ნოტრ-დამის მოკუმული ტუჩები თავის ტუჩებში მოიქცია. როგორც ცნობილია, პირიდან მყრალი სუნი ამოსდიოდა. ასე რომ, დივინი ეცადა, ტუჩებში კოცნის ხანგრძლივობა შეემცირებინა. საწოლის სიღრმეში ჩაძვრა, გზადაგზა ნოტრ-დამის ღინღლით დაფარულ სხეულს ლოკავდა, რომელიც სურვილისაგან უკვე იღვიძებდა. დივინმა მკვლელის ლაჯებშორისს და მუცელს თავი მიაბჯინა და მოლოდინით გაიტრუნა. ეს სცენა ყოველ დილით მეორდებოდა, ჯერ ნოტრ-დამთან, მერე გორგისთან. ლოდინი დიდხანს არ მოუხდა. ნოტრ-დამი უცბად ზურგზე გადაბრუნდა, ხელით მიეხმარა და ჯერ კიდევ მორჩილი, რბილი ასო დივინს ოდნავ ღია პირში უხეშად ჩასჩარა. დივინმა თავი გასწია და ტუჩები მაგრად მოკუმა. გაგიჟებული სირი გაქვავდა (აბა, თუ ბიჭები ხართ, კონდოტიერებო, რაინდებო, პაჟებო, გარყვნილებო, თავზე ხელაღებულებო, მიდით აბა, თქვენი ატლასების ქვეშ თქვენი შამბალებიც ადგნენ, დივინის ლოყაზე მიკრული), უნდოდა, ძალით შეჭრილიყო მოკუმულ პირში. ხან თვალში ეტაკა, ხან ცხვირში, ხან ნიკაპზე, ლოყებზეც ჩასრიალდა. ეს თამაში გახლდათ. ბოლოს პირიც იპოვა. გორგის არ ეძინა. ნოტრ-დამის შიშველი გავის მოძრაობით იგრძნო, რაც ხდებოდა.

- თქვე დამპლებო, მიმატოვეთ, ხომ? მეც მინდა. თესლი მომაწვა.

ისიც დაიძრა. დივინს მიჰყავდა თამაში, სთავაზობდა და უკან იხევდა. ნოტრ-დამი აქშინდა. დივინმა ორივე ხელი მის გვერდებს შემოხვია, ეფერებოდა, ეალერსებოდა, მსუბუქად, რათა მათი თრთოლა თითის წვერებით ეგრძნო, ისე, როცა უნდათ იგრძნონ, როგორ დაგორავს ქუთუთოებს ქვეშ თვალის კაკალი. ხელები ნელა ჩაცოცდა ნოტრ-დამის დუნდულებზე, და დივინი ყველაფერს მიხვდა. გორგი ქერათმიან მკვლელზე შემჯდარიყო და მასში შეღწევას ცდილობდა. საშინელმა ღრმა, უსაზღვრო სასოწარკვეთამ გამოთიშა იგი ამ ორი მამაკაცის თამაშიდან. ნოტრ-დამი ისევ დივინის პირს ეძებდა, ხან ქუთუთოებს შეეჯახა, ხან თმას და მძიმე ქშენისაგან დახშული ხმით, ოღონდ ღიმილით ჰკითხა:

- მზადა ხარ, სეკ?

- კი, - უპასუხა ზანგმა.

მისმა სუნთქვამ, ალბათ, ნოტრ-დამის ქერა თმა აათამაშა. დივინის ზემოდან გაშმაგებული მოძრაობა ატყდა.

„ასეთია ცხოვრება“, - მოასწრო გაფიქრება დივინმა. პაუზა მოჰყვა, რაღაც ვიბრაციის მსგავსი. დაზვინული სხეულები სინანულის უფსკრულში აღმოჩნდნენ. დივინმა თავით ზევით, ბალიშებამდე აიწია. მარტო დატოვეს, მიაგდეს. ვნება გაუქრა. და ეს პირველი შემთხვევა იყო, რომ ტუალეტში წასვლის მოთხოვნილება ვერ იგრძნო, რათა ხელით დაემთავრებინა ხსენებული სიყვარული. დივინი, ალბათ, თავს დაიმშვიდებდა, სეკსა და ნოტრ-დამს შეურაცხყოფა მის საკუთარ სახლში რომ არ მიეყენებინათ. დაივიწყებდა კიდეც. მაგრამ ეს შეურაცხყოფა შეიძლება ქრონიკულიც გამხდარიყო, რადგან, როგორც ეტყობოდა, სამივე მტკიცედ დამკვიდრდა სხვენზე. დივინს ერთნაირად სძულდა სეკიცა და ნოტრ-დამიც, მაგრამ ნათლად გრძნობდა, სიძულვილი გაუქრებოდა, ეს ორი ერთმანეთს რომ დაშორებოდა. ასე რომ, მათ არაფრის გულისთვის აღარ დაიტოვებს მანსარდაზე. „აღარ მსურს, ეს ორი ციყვი ვასუქო“. ნოტრ-დამი, როგორც მეტოქე, ისე შეეზიზღა. საღამოს, როცა ადგნენ, გორგმა ნოტრ-დამი მხრებით მიიზიდა და კეფაზე სიცილით აკოცა. დივინი ჩაის ამზადებდა და დაბნეული სახე მიიღო, მაგრამ თავი ვერ შეიკავა და თვალი ნოტრ-დამის შარვლის შესაკრავისაკენ გაეპარა. გაბრაზების ახალმა შეტევამ მოუარა: ნოტრ-დამს უდგებოდა. ეგონა, მისი გამოხედვა შეუმჩნეველი დარჩა, მაგრამ თავი ზუსტად იმწუთას ასწია, როცა ნოტრ-დამმა ცბიერი მზერით ზანგს მასზე ანიშნა.

- სხვა თუ არაფერი, ზრდილობის წესები მაინც დაიცავით, - თქვა დივინმა.

- ცუდს არაფერს ვშვრებით, - უპასუხა ნოტრ-დამმა.

- ჰოო, ასე ფიქრობ?!

მაგრამ დივინს არ უნდოდა, ისე გამოჩენილიყო, თითქოს შენიშვნას შეყვარებულებს აძლევდა, არც ის, რომ მათი სატრფიალო შეთქმულება აღმოაჩინა. და დაუმატა:

- ერთ წუთსაც ვერ ძლებთ, რომ არ იკინკლაოთ.

- არ ვკინკლაობთ, სულელო. აი, ნახე.

მოცახცახე ქსოვილის ქვეშ ამობურცული ადგილი მუშტში მოიქცია და

აჩვენა.

- საქმე სერიოზულადაა, - თქვა მან სიცილით.

გორგიმ ნოტრ-დამს ხელი გაუშვა. ფეხსაცმელი გაიწმინდა. ჩაი დალიეს. უწინ დივინს არასოდეს უფიქრია, რომ ნოტრ-დამ-დე-ფლერის გარეგნობისა შეშურდებოდა. ოღონდ ყველა საფუძველი გვაქვს, ვიფიქროთ, რომ ეს შური მასში იდუმალად, ფარულად არსებობდა. მხოლოდ რამდენიმე პატარა ფაქტი გავიხსენოთ: ერთ დღეს დივინმა ნოტრ-დამს წამწამების ტუში არ ათხოვა; ის სიხარული (მაშინვე დაფარული), როცა პირველად იგრძნო ნოტრ-დამის პირიდან ამომავალი მყრალი სუნი; ისე, თავადაც არ მიუნიჭებია მნიშვნელობა, კედელზე, სხვა სურათებს შორის ნოტრ-დამის ყველაზე უვარგისი სურათი მიაკრა. ამჯერად მისი გარეგნობის მიმართ შური (ცნობილია, რა მწარეა) მისთვის ნათელი გახდა. მოიფიქრა და გონებაში აღასრულა კიდეც საშინელი შურისძიების გეგმა: ფხაჭნიდა, ხევდა, ჭრიდა, გლეჯდა, გოგირდმჟავას ასხამდა. „ნეტავ საზიზღარ ხეიბრად იქცეს“, - ფიქრობდა ის. ფინჯნებს ამშრალებდა და სასტიკად უსწორდებოდა მათ. ჭურჭლის ტილო მიუგდო, ისევ სათუთ ადამიანად იქცა, მაგრამ თავიდან ვერ მოიშორა დამცირების გრძნობა. ამან მის ქცევასაც დაასვა დაღი. მეტოქე პედერასტზე შურისძიებით, უეჭველია, დივინი წმინდა სებასტიანის მოწამებრივ სასწაულებსაც აჯობებდა. რამდენიმე ისარსაც გაისროდა, ოღონდ ისეთივე სინატიფით, როგორითაც იტყოდა ხოლმე: „თვალთა ისრებს დაგაყრი“ ან „ავტობუსს გესვრი“. რამდენიმე ცალკეულ ისარს. მერე ისრების ჯერს. ამ დეიდა-პედერასტის კონტურებს ისრებით ზუსტად შემოხაზავდა; ისრების გალიაში ჩაკეტავდა, ბოლოს და ბოლოს სასიკვდილოდ მიალურსმავდა. ნოტრ-დამის წინააღმდეგ უნდოდა ამ მეთოდის გამოყენება; ოღონდ ეს მაყურებლის წინაშე უნდა აღსრულებულიყო. თუკი ნოტრ-დამი სხვენში ყველაფერს იტანდა, თავისი მეგობრების თანდასწრებით დაცინვას ხომ ვერ მოითმენდა. წყენია იყო. დივინის ისრები გრანიტს შეეჯახა. დივინი ჩხუბის მიზეზს ეძებდა, და, ბუნებრივია, იპოვა კიდეც. ერთხელ ბოროტმოქმედების ადგილზე წაასწრო, ისეთ დანაშაულზე, ეგოიზმზე უარესი რომაა. სხვენში იყვნენ. დივინი ისევ იწვა. წინადღეს ნოტრ-დამმა „კრავენი“ იყიდა. გაღვიძებულმა კოლოფი მოძებნა: ორი ღერიღა დარჩენილიყო. ერთი გორგის გაუწოდა, მეორე თავისთვის დაიტოვა და მოუკიდა. დივინს არ ეძინა, მაგრამ თვალს არ ახელდა და თავს იმძინარებდა. „ვნახოთ ერთი, რას იზამენ“, - ფიქრობდა თავისთვის. ამ ცრუპენტელამ მშვენივრად იცოდა, ეს მიზეზი საშუალებას მისცემდა, შეურაცხყოფილი არ გამოჩენილიყო, თუ განაწილებისას დაივიწყებდნენ, და ღირსებასაც შეანარჩუნებინებდა. ოცდაათი წლისას ღირსების გრძნობის მოთხოვნილება გაუჩნდა. ცოტა რამეც კი შოკში აგდებდა. თუ ახალგაზრდობაში მისი თავხედობის გამო ბარმენები კანკალებდნენ, ახლა წითლდებოდა და გრძნობდა, რომ წითლდებოდა რაღაც წვრილმანის გამო, რომელიც უმცირესი სიმბოლოთიც კი ახსენებდა იმ გარემოებებს, როცა მართლაც დამცირებულად უნდა ეგრძნო თავი. მსუბუქ ელდასაც კი - და რაც უფრო მსუბუქი იყო, მით უფრო საშინელი - თავისი სიღატაკის ხანაში გადაჰყავდა. გასაოცარია, მაგრამ ასაკის მატებასთან ერთად დივინის მგრძნობიარობაც იზრდებოდა, მაშინ, როცა საერთოდ მიაჩნიათ, რომ ცხოვრების მსავლელობასთან ერთად კანიც უხეშდება. ახლა აღარ რცხვენოდა, მეტრაკე რომ იყო და სხეულით ვაჭრობდა. საჭიროების შემთხვევაში იამაყებდა კიდეც, რომ იგი სწორედ ის მეტრაკე იყო, რომელსაც ცხრავე ხვრელიდან სპერმა სდიოდა. ქალები და კაცები შეურაცხყოფას რომ აყენებდნენ, ესეც სულერთი იყო მისთვის (როდემდე?). მაგრამ საკუთარ თავზე კონტროლი დაკარგა, მაგრად გაწითლდა და, გონზე რომ მოსულიყო, ლამის აყალმაყალი ატეხა. თავის ღირსებას ებღაუჭებოდა. თვალდახუჭულმა წარმოიდგინა, როგორ იგრიხებოდნენ სეკი და ნოტრ-დამი მის წინ და ბოდიშს უხდიდნენ, რომ არ გაითვალისწინეს, და ამ დროს ნოტრ-დამმა გაუფრთხილებლობა გამოიჩინა და ეს მოსაზრება ხმამაღლა წარმოთქვა (რამაც დივინს სასო წარუკვეთა, რაც მისი დახუჭული თვალების ბნელ ღამეში ჩაიმალა), მოსაზრება, რომელიც ხაზს უსვამდა და ამტკიცებდა, რომ ნიშნებით ხანგრძლივი და რთული საუბარი ჰქონდათ დივინზე: „ორი სიგარეტის მეტი არ არის“. დივინმა ეს კარგად იცოდა. ასანთის ჩხაკუნი შემოესმა. „და მაინც, ერთი სიგარეტის ორად გაყოფა არც უფიქრიათ“. და საკუთარ თავს უპასუხა: „აბა რა, მას უნდა გაეყო (ის - ნოტრ-დამი იყო) ან არც აეღო და ჩემთვის დაეტოვებინა“. ამ დროიდან ახალი პერიოდი დაიწყო, როცა უკვე ყველაფერზე უარს ამბობდა, რასაც სეკი და ნოტრ-დამი სთავაზობდნენ. ერთ

დღეს ნოტრ-დამმა ერთი კოლოფი კანფეტი მოიტანა. აი სცენა, რომელიც გათამაშდა. ნოტრ-დამი დივინს:

- კანფეტი გინდა? (დივინმა შეამჩნია, რომ ის უკვე ხურავდა კოლოფს).

დივინმა უპასუხა:

- არა, გმადლობთ.

რამდენიმე წამის შემდეგ დაუმატა:

- კეთილი გულით არაფერს მთავაზობ.

- არა, კეთილი გულით შემოგთავაზე; რომ არ მნდომოდა, არც შემოგთავაზებდი. მეორედ კი არასოდეს ვიმეორებ, თუკი არ მინდა.

უფრო მეტად შერცხვენილმა დივინმა გაიფიქრა: „ჩემთვის ორჯერ არასოდეს არაფერი შემოუთავაზებია“. ახლა სახლიდან გასვლაც მარტო უნდოდა. ასეთ ქცევას მხოლოდ ერთ შედეგი ჰქონდა - ზანგისა და მკვლელის უფრო მჭიდროდ დაახლოება. შემდეგი იყო ბობოქარი საყვედურების ფაზა. დივინმა თავი ვეღარ შეიკავა. მრისხანებამ გონება გაუმახვილა. ყველაფერში წინასწარ განზრახვას ხედავდა. ან იქნებ, თავადაც რომ არ იცოდა, ისე, ნოტრ-დამი დაემორჩილა კიდეც იმ თამაშს, დივინი რომ უკვეთავდა, რომელსაც იგი მარტოობამდე და უფრო შორსაც - სასოწარკვეთამდე მიჰყავდა? ის ნოტრ-დამს ლანძღავდა. ნოტრ-დამი კი იმ სულელივით იყო გულჩახვეული, მოტყუება რომ არ შეეძლო. ხაფანგში მომწყვდეული, ზოგჯერ წითლდებოდა, სახე უგრძელდებოდა, ამ სიტყვის სრული გაგებით, რადგან ბაგესთან ორი ნაკეცი სიგრძეზე ეძაბებოდა და ქვევით ეწეოდა. საცოდავად გამოიყურებოდა. არ იცოდა, რა ეპასუხა, და მხოლოდ ღიმილიღა შეეძლო. ეს ღიმილი, მთელი თავისი არაბუნებრიობით, ნაკვთებს უსწორებდა და განწყობას უმაღლებდა. შეიძლება ითქვას, რომ რაღაცა აზრით მზის სხივივით დაფლეთილად გადიოდა კვრინჩხის ბუჩქში, ლანძღვა-გინების ბუჩქში, მაგრამ იქიდან გამოსულს, შეეძლო ისე უვნებლად ეჩვენებინა თავი, თითქოს თითზე ერთი ნაკაწრიც არ ჰქონოდა. მაშინ გამძვინვარებულმა დივინმა გესლიანი დაცინვით დაუწყო დევნა. ულმობელი გახდა, თანაც ისეთი, როგორიც მისი დევნისას შეეძლო ყოფილიყო. საბოლოო ანგარიშით კი მისი ისრები ცოტა რამეს თუ აკლებდა ნოტრ-დამს, უკვე ვთქვით, რატომაც, და თუ ზოგჯერ უფრო სუსტ ადგილს აღმოაჩენდა და წვერს მოიკიდებდა, დივინს ისარი ბოლომდე შეჰყავდა, ბუმბულებამდე, და მერე მოსაშუშებლად ბალზამს უსვამდა. თან დაჭრილი ნოტრ-დამის მრისხანებისა ეშინოდა, საკუთარ თავს სულ იმას საყვედურობდა, ბევრი სიავე გამოვიჩინეო, რადგან ეგონა (თუმცა ამაოდ), ნოტრ-დამს ეს გაახარებდა. ყოველ მოწამლულ შენიშვნას რბილ სამკურნალო გულითადობას უმატებდა. რამდენადაც ნოტრ-დამი მუდამ იმ სიკეთისკენ იყო მიმართული, მისთვის რომ სურდათ, რადგან მიმნდობ და უბოროტო ადამიანად მიაჩნდათ, ან იქნებ იმიტომაც, რომ მხოლოდ წინადადების დასასრულს ჩაეჭიდებოდა ხოლმე, ამ დასასრულით მსჯელობდა და ეგონა, იგი გრძელი ქათინაურის დასასრული იყო. ნოტრ-დამს თითქოს აჯადოებდა ის მზრუნველობა, რომელსაც დივინი იყენებდა, მისთვის ბოროტად რომ დაეცინა და თავადაც ვერ ხვდებოდა, ისე იცხრილებოდა ვნების მომტანი ისრებით. დივინის სურვილის მიუხედავად და მისი წყალობით ნოტრ-დამი ბედნიერი იყო. როცა ერთ დღეს ნოტრ-დამმა ეს დამამცირებელი აღიარება გააკეთა (რომ მარკეტიმ გაქურდა და მიატოვა), დივინს ნოტრ-დამ-დე-ფლერის ხელები ეჭირა. მართალია, დივინი ისე იყო აღელვებული, რომ ყელში რაღაცამ წაუჭირა, მაინც სათნოდ იღიმებოდა, რათა ორივეს გული არ ასჩვილებოდა, სასოწარკვეთაში არ ჩაცვენილიყვნენ, რომელიც, ალბათ, რამდენიმე წუთს გაგრძელდებოდა, მაგრამ მთელ მათ ცხოვრებაზე თავის კვალს დატოვებდა, და კიდევ იმიტომ, რომ ნოტრ-დამი ამ დამცირებაში არ გახსნილიყო. ასეთივე ტკბილმა სინაზემ გულის სიღრმემდე შემძრა, როცა:

- რა გქვია? - მკითხა მეტრდოტელმა.

- ჟანი.

და როცა პირველად უნდოდა ჩემთვის ოფისში დაეძახა, დაიყვირა: „ჟან!“. ჩემი სახელის გაგონება ისე მესიამოვნა, თავი ოჯახურ გარემოში ვიგრძენი, მსახურებისა და პატრონების სითბოს წყალობით ხელახლა რომ შევიძინე. დღეს გამოგიტყდებით: არასოდეს არაფერი მიგრძნია, გარდა იმ ხილული მხურვალე ალერსისა, ერთგვარი ღრმა სინაზით გამსჭვალული გამოხედვისა, ჩემ უკან მდგომი ახალგაზრდა ლამაზი არსებისადმი რომ იყო მიმართული, და რომელიც ჩემში გადიოდა და მაფორიაქებდა. გორგი თითქმის არასოდეს ფიქრობდა, ან ფიქრობდა და მალავდა, რომ ფიქრობდა. იგი დივინის ბუზღუნის თანხლებით მშვიდად დადიოდა და მხოლოდ თავის საცვლებზე

ზრუნავდა. ერთხელ დივინის ეჭვიანობით შობილმა ნოტრ-დამთან სიახლოვემ ზანგს მაინც ათქმევინა:

- კინოში წავიდეთ, ბილეთები მაქვს.

მერე უცებ გაახსენდა:

- რა სულელი ვარ, სულ მგონია, რომ მარტო ორნი ვართ.

დივინისთვის ეს უკვე მეტისმეტი იყო და გადაწყვიტა, ამისთვის ბოლო მოეღო. მაგრამ რომლისთვის? დივინმა იცოდა, სეკს მოსწონდა ასეთი ბედნიერი ცხოვრება - თავშესაფარი ჰქონდა, საჭმელი, მეგობრობა და მშიშარა დივინს მისი მრისხანებისა ეშინოდა - ცხადია, ის მანსარდიდან შურისძიების გარეშე არ წავიდოდა. გავიდა მცირე ხანი და, ისევ გადაჭარბებული ვაჟკაცობა ამჯობინა, და ამ გაგებით, სეკი მას აკმაყოფილებდა. ნოტრ-დამი შესწიროს? მაგრამ როგორ? რას იტყვის გორგი? ამ საქმის მოგვარებაში მიმოზა დაეხმარება, რომელსაც ქუჩაში შეხვდა. მიმოზა, ბებერი ქალბატონი:

- ის ვნახე! ბა-ბე-ბი-ბო-ბუ, შენი ნოტრ-დამი მიყვარს. მუდამ ისეთი ნორჩია, მუდამ ისეთი ღვთაებრივი. ნამდვილი დივინი სწორედ ის არის.

- მოგწონს? (დეიდა-პედერასტები ერთმანეთში თავიანთ მეგობრებზე მდედრობით სქესში ლაპარაკობენ). გინდა?

- ეს რა მესმის. აღარ უნდიხარ? მოსწყინდი, ჩემო ბებრუხანა?

- თავი მომაბეზრა. ჯერ ერთი, სულელია; თან დონდლოდაც მეჩვენება.

- მის აღგზნებასაც ვეღარ ახერხებ?

დივინმა გაიფიქრა: „მე შენ გიჩვენებ, კახპავ“.

- მართლა მითმობ?

- მარტო აღებაღა გჭირდება, თუ შეძლებ.

თან იმედი ჰქონდა, რომ ნოტრ-დამი არ დანებდებოდა:

- ხომ იცი, ვერ გიტანს.

- დიახ, დიახ, დიახ. დიახ, დიახ, დიახ. ჯერ ვერ მიტანენ, მერე მაღმერთებენ. მისმინე, დივინ, ჩვენ შეიძლება კარგი დაქალებიც ვიყოთ. ნოტრ-დამი მინდა და დამითმე. ხელი ხელს ბანს, ჩემო ლამაზო, შეგიძლია, ჩემში ეჭვი არ შეგეპაროს.

- ოო, მიმო, არც კი იცი, რა კარგად გიცნობ. გენდობი, ჩემო ძალიან, ძალიან.

- კარგად თქვი. გარწმუნებ, შინაგანად ძალიან კარგი გოგო ვარ. ერთ საღამოს მომიყვანე.

- აბა როჟე, შენი კაცი?

- ჯარში მიდის. ხომ იცი, იქ ოფიცრებთან დამივიწყებს. აჰ! ძალიან, ძალიან ქვრივი ვიქნები! მაშ ასე, ნოტრ-დამი მიმყავს და დავიტოვებ კიდეც. შენ ორი გყავს. ყველაფერი გაქვს!..

- კარგი, მოველაპარაკები. საღამოს ხუთი საათისთვის შემოიარე, ჩაი დალიე.

- რა კეთილი გოგო ხარ, დივი, ო, როგორ გეხვევი. ჯერ კიდევ ლამაზი ხარ, ხომ იცი. ოდნავ კი შეითელე, მაგრამ ძალიან სასიამოვნოდ შეითელე, და ძალიან კარგი ხარ.

ეს მოხდა შუადღისას, ალბათ, ორი საათი იქნებოდა; ნეკა თითები ერთმანეთისთვის კავივით გამოედოთ და ისე მიდიოდნენ. ცოტა მოგვიანებით დივინმა გორგი და ნოტრ-დამი ერთად ნახა. დაელოდა, ვიდრე ზანგი, რომელიც ნოტრ-დამს ერთი ნაბიჯითაც არ ტოვებდა, ტუალეტში წავიდოდა, და აი, როგორ შეამზადა დივინმა ნოტრ-დამი:

- მისმინე, დანი, გინდა ასიანი გააკეთო?

- რაშია საქმე?

- რაშია და მიმოზას უნდა, ერთ-ორ საათს შენთან დაწვეს. როჟე ჯარში მიდის. მიმოზა მარტო რჩება.

- ოო, ასი ცოტაა. თუ ფასი შენ დაადგინე, მაშინ ცუდად გარჯილხარ.

მან ჩაიცინა.

დივინი:

- ფასი მე არ დამიდგენია. მომისმინე, წადი იმასთან და ყველაფერი მოგვარდება. თუ ბიჭი მოსწონს, მიმოზა ძუნწი არ არის. ცხადია, ისე უნდა მოიქცე, როგორც გსურს. მე მითქვამს და შენ როგორც გინდა. ყოველ შემთხვევაში, ის ჩვენთან, სხვენში, ხუთი საათისთვის შემოივლის. მხოლოდ გორგის ჩამოშორება იქნება საჭირო, თავი თავისუფლად რომ იგრძნო, ხომ გესმის!

- სხვენში შენთან ერთად ვიქერავებთ?

- არა, არა, იმასთან წახვალ. მოლაპარაკების დროც გექნება. ოღონდ იქ არაფერი ააცოცო, გთხოვ, თორემ უსიამოვნებები გექნება.

- აქვს რამე, რომ ავაცოცო? დამშვიდდი, ამხანაგებისგან არაფერს ვიღებ.

- ეცადე, დიდხანს გაუძლო. ივაჟკაცე.

დივინმა ქურდობა განგებ და მარჯვედ ჩააწვეთა. ეს საიმედო საშუალება იყო დანის ასამუშავებლად. გორგი? როცა დაბრუნდა, ნოტრ-დამმა ყველაფერი უამბო.

- უნდა წახვიდე, დანი.

ასი ფრანკის გარდა, ზანგმა ვერაფერი დაინახა. მოულოდნელად ეჭვი შეეპარა; აქამდე ეგონა, ფულს, რომელიც ნოტრ-დამს ჰქონდა, კლიენტებისაგან იღებდა, მაგრამ იმან, რაც დღეს აღმოაჩინა, აიძულა, სხვა რამეზე აეღო ეჭვი; უნდოდა გაეგო, ზუსტად რა იყო ეს, მაგრამ მკვლელი გველხოკერასავით დაუძვრა. ნოტრ-დამი კოკაინით ვაჭრობას დაუბრუნდა. ელიზე-დე-ბოზ-არის ქუჩაზე მდებარე პატარა ბარში, რომელიც სატუსაღოს საკნების სტილით იყო გაკეთებული, ოთხ დღეში ერთხელ მარკეტის ხვდებოდა, რომელიც პარიზში უგროშოდ დაბრუნდა, და ახლა მას ნარკოტიკებით ამარაგებდა. ნარკოტიკი შეფუთული იყო აბრეშუმის ქაღალდის პატარა პაკეტებში, რომლებიც უფრო დიდ ყავისფერი ქსოვილის პარკში ეწყო. და აი, რა მოიფიქრა: მარცხენა ხელს შარვლისგახვრეტილ ჯიბეში იყოფდა, რომ ან თავის მოუთვინიერებელ შიბლას მოჰფერებოდა ან დაემშვიდებინა. ამავე ხელით ეჭირა გრძელი ზონარიც, რომელზეც შარვალში მოქანავე ყავისფერი ქსოვილის ტომსიკა ეკიდა.

- თუ პოლიცია გამოჩნდება, ზონარს ხელს ვუშვებ და ტომარა უხმაუროდ ეცემა მიწაზე. ძალიან მოსახერხებელია.

ეს ძაფი ერთ საიდუმლო ორგანიზაციასთან აკავშირებდა. ყოველთვის, როცა მარკეტი ნარკოტიკს გადასცემდა, ეუბნებოდა: „კარგი, პატარავ“, თან ნაჩქარევად თვალს შეავლებდა. ასეთი რამ ნოტრ-დამს იმ კორსიკელებისთვის შეუნიშნავს, ქუჩაში რომ ხვდებოდნენ ერთმანეთს და ჩაიბუტბუტებდნენ:

- Ciao, Rico.

მარკეტი ნოტრ-დამს ეკითხებოდა, გამბედაობა გეყოფაო?

- ჯიბეები სავსე მაქვს გამბედაობით, - უპასუხებდა ნოტრ-დამი.

- ოო, მტრედუნია. - ეხმაურებოდა ვიღაცა.

აქ არ შემიძლია, არ დავუბრუნდე არგოს იმ სიტყვებს, რომლებიც „ხვადების“ ბაგეს მოსწყდება ხოლმე, მაგალითად, ისეთს, როგორიცაა გაკუება (მარგალიტები), მინიონის აზიზ უკანალს რომ წასცდება ხოლმე. ერთი, რომელიც სხვებზე მეტად მაღელვებს - ანუ, როგორც მინიონი იტყოდა, მტანჯავს, რადგან სასტიკია - გავიგე სურისიერის ერთ საკანში, რომელსაც „ოცდათექვსმეტ ქვის ფილას“ ვეძახით, და გემის კორიდორივით ვიწრო საკანია. ერთხელ შემომესმა, როგორ ჩაიბუზღუნა ვიღაცამ ერთ ბრგე ზედამხედველზე: „ერთი მაგის თავი მომცა გემბანზე“, მერე, მოგვიანებით: „ანძაზე გავსვამდი“. და მაშინვე ნათელი გახდა - ამ სიტყვების მთქმელს შვიდი წელი მაინც ჰქონდა გატარებული გემზე. ამ გამოთქმის მშვენიერებამ - ანძამ ძელის მაგივრად - თავით ფეხამდე თრთოლა მომგვარა. მოგვიანებით იმავე კაცმა თქვა: „ან, თუ პედერასტი ხარ, შარვალს იხდი და გამომძიებელი მიზანში გესვრის...“. მაგრამ ეს მეტისმეტად თავისუფალი ხუმრობა გახლდათ; საუბედუროდ, უადგილო იყო და წინას მომხიბვლელობა დაარღვია, და მე ისევ იმ მყარ საფუძველზე დავრჩი, რასაც ხუმრობა წარმოადგენს, მაშინ, როცა პოემა ფეხქვეშ მუდამ მიწას გვაცლის და სასწაულთა ღამის წიაღში გვითრევს. ზოგჯერ, როცა ყველაზე ნაღვლიანი წუთები მაქვს და ზედამხედველები თავს მაბეზრებენ, ჩემთვის ამ სიტყვებს ვმღერი: „ანძაზე გავსვამდი!“, რომელსაც, ცხადია, არავის ვუძღვნი, მაგრამ ძალიან მამშვიდებს, დაუღვრელ ცრემლს მიშრობს, დამშვიდებული ზღვებისკენ მიმასეირნებს, იმ ეკიპაჟის მეზღვაურებისკენ, რომლებიც დაახლოებით 1700 წელს ვნახეთ კიულაფრუას ფრეგატზე.

მინიონი ერთი დიდი მაღაზიიდან მეორეში დაეხეტებოდა. ეს მაღაზიები ერთადერთი ფუფუნება იყო, რომელთანაც შეეძლო ძალიან ახლოს მისულიყო და აელოკა. ლიფტები იზიდავდა, სარკეები, ხალიჩები (განსაკუთრებით ხალიჩები, რომლებიც მისი სხეულის შინაგანი ორგანოების მუშაობის ხმას ახშობდა; სიჩუმე ფეხებიდან შესდიოდა, შიგნიდან მთლიანად ბურავდა და ისეთი სიმშვიდე ეუფლებოდა, საკუთარ თავს ვეღარ გრძნობდა); გამყიდველი ქალები არც ისე იზიდავდა, რადგან უნებურად, თუმც ძალზე

შეკავებულად, დივინის ჟესტებსა და ჩვევებს იმეორებდა. ჯერ გაბედა და რამდენიმე გაიმეორა, ისე, უბრალოდ, რომ გაეცინათ; მაგრამ მერე მათ ნელა, თვალთმაქცურად დაიპყრეს ციხესიმაგრე და მინიონმა ვერც შეამჩნია, ისე გარდაიქმნა. ცოტა გვიან - და ვიტყვით, როგორც - იგი მიხვდა თავისი წამოძახილის მთელ სიყალბეს, ერთ საღამოს რომ გაისმა: „მამალი“, რომელიც მეორე „მამალს“ დაქერავს, ორმაგად „მამალია“. ვიდრე ლაფაიეტის გალერეაში შევიდოდა, საქამრეზე ჩამოკიდებული ოქროს ძეწკვი მოიხსნა, შარვლის ჩასახსნელს რომ ეხლებოდა. როცა ქუჩაში იდგა, ბრძოლა კიდევ შესაძლებელი იყო, მაგრამ ჩაიკარგა მომცრო შესახვევების მარყუჟებში, სადაც დახლები და ვიტრინები მოძრავ ქსელს წნავენ. იგი „სხვის“ ჟინს ემორჩილებოდა უკვე, ჯიბეებს სხვადასხვა საგნებით რომ უვსებდა და როცა თავის ოთახში მაგიდაზე გადმოალაგა, ზოგიერთი ვერც იცნო, რადგან ნიშანს, რომელმაც ქურდობის მომენტში მათი არჩევა უკარნახა, ძალიან ცოტა ჰქონდა საერთო ღვთაებრივთან და მინიონთან. იმწამს, როცა „სხვა“ ეუფლებოდა, მინიონის თვალებიდან, ყურებიდან, ოდნავ გაღებული თუ მოკუმული პირიდან ფრთების მკვირცხლი ფარფატით გამოცვივდებოდნენ ხოლმე და ქრებოდნენ პატარა ნაცრისფერი თუ წითელი ფრთოსანკოჭებიანი მერკურები. მინიონი, მკაცრი, ცივი, ურყევი „ხვადი“ მინიონი, გამოცოცხლდებოდა იმ ციცაბო კლდესავით, რომლის ყოველი ხავსმოდებული, ნოტიო ღრმულიდან ცოცხალი ბეღურები გამოძვრებიან ხოლმე და საკუთარი თავის ირგვლივ ფრთოსანი პენისების გუნდივით ფარფატებენ. მოკლედ, უნდა დაეთმო, ანუ მოეპარა. უკვე არაერთხელ აჰყოლია ამ თამაშს: ვიტრინაზე, იქ გამოფენილ საგნებს შორის, ყველაზე ძნელად მისადგომ ადგილას, ვითომ დაუდევრად, უკვე ნაყიდ და შორეულ სალაროში წესისამებრ გადახდილ რაღაც წვრილმან ნივთს დებდა. რამდენიმე წუთს იქ ტოვებდა, თვალს აშორებდა და სხვა ნივთებს ათვალიერებდა. როცა ეს საგანი ვიტრინაში გამოფენილ სხვა საქონელში კარგად აირეოდა, თავის ნაყიდ ნივთს იპარავდა. ორჯერ დაიჭირა ინსპექტორმა, ორჯერ მოუწია დირექციას ბოდიშის მოხდა, რადგან მინიონმა მათ გადახდის ჩეკი უჩვენა.

ვიტრინიდან მოპარვა რამდენიმე მეთოდით ხდება, და, ალბათ, ვიტრინის ყოველი ფორმა ერთ რომელიმე მეთოდს მოითხოვს. მაგალითად, ცალი ხელი შეიძლება ორ პატარა საგანს (საფულეებს) ჩაავლო, ისე დაიჭირო, თითქოს ერთი იყოს და აუჩქარებლად დაუწყო სინჯვა, თან ამ დროს ერთი საგანი სახელოში ჩაიცურო, მეორე კი ისევ თავის ადგილზე დადო, ვითომ არ მოგეწონა. აბრეშუმის გროვასთან პალტოს გახვრეტილ ჯიბეში დაუდევრად უნდა ჩაიყო ხელი. დახლს იქამდე უახლოვდები, ვიდრე მუცლით არ მიაწვები. მანამდე კი თავისუფალი ხელი ქსოვილებს შლის, ერთმანეთში ურევს, ჯიბეში ჩაყოფილი ხელი დახლის ზედაპირამდე (ჭიპის დონემდე) იწევა, გროვიდან ყველაზე ქვედა ნაჭერს ითრევს თავისკენ (ის ხომ დამყოლია) და პალტოს ქვეშ მალავს. აქ მე ის რეცეპტები მომყავს, რომლებიც ყველა დიასახლისისთვის, ყველა მყიდველი ქალისთვისაა ცნობილი. მინიონი ამჯობინებდა, ისე მოეპარა ნივთები, რომ ვიტრინიდან მის ჯიბემდე სწრაფი პარაბოლა გამოსულიყო. თავხედური იყო, მაგრამ ლამაზი. სუნამოს ფლაკონები, ჩიბუხები, სანთებელები მოწყვეტილი ვარსკვლავებივით გორდებოდა მოკლე, სწორი მრუდით და თეძოებს უბერავდა. სახიფათო თამაში იყო. ღირდა კი ჩიტი ბდღვნად? ეს მხოლოდ მინიონს შეეძლო განესაჯა. ეს თამაში მეცნიერება გახლდათ, რომელიც მომზადებასა და ვარჯიშს მოითხოვდა, როგორც სამხედრო მეცნიერება. უპირველესად, სარკეების განლაგების, მათი წახნაგების მიმართულების შესწავლაა საჭირო, არც ჭერზე კუთხით დაკიდებული სარკეების დავიწყება შეიძლება, ხალხს თავდაყირა რომ აჩვენებს, მაძებრები კი, თვალთვალის სისტემის მეშვეობით, მათ თავში რომ მუშაობს, ისე იყენებენ, როგორც საჭიროა, მშვენივრად იკვლევენ გზას სივრცეში. მომენტის შერჩევაა საჭირო, როცა გამყიდველი ქალის თვალი სხვაგან იმზირება, მყიდველები კი, რომლებიც მუდმივი ჩამშვებები არიან, არ გიყურებენ. დასასრულ, საჭიროა მოიძებნოს, როგორც დაკარგული ნივთი - ან უკეთ რომ ვთქვათ, როგორც გამოცანების პერსონაჟი, დესერტის თეფშებზე დახატულ ღრუბლებში თუ ხეთა სილუეტებში რომაა მიმალული - დეტექტივი. უნდა იპოვოთ დეტექტივი. ის ქალია. კინო - სხვა თამაშთა შორის - ბუნებრიობას ასწავლის, მაგრამ ბუნებრიობას, რომელიც მთლიანად ხელოვნურობისგან შედგება და ათასგზის უფრო მომატყუებელია, ვიდრე სიმართლე. დეტექტივი ფილმებიდან დაჟინებით ცდილობს

კონგრესმენთან ან ბებიაქალთან მსგავსების მიღწევას და ამით ნამდვილ კონგრესმენსა და ნამდვილ ბებიაქალს დეტექტივს ამსგავსებს. ნამდვილმა დეტექტივებმა კი, ამ ერთმანეთში არეული სახეების უწესრიგობით გაგიჟებულებმა, საბოლოოდ გატანჯულებმა, ისევ დეტექტივის სახე აირჩიეს, რაც არაფერს ამარტივებს... „ჯაშუში, რომელიც ჯაშუშს ჰგავს, ცუდი ჯაშუში იქნებოდა“, - მითხრა ერთხელ ერთმა მოცეკვავე ქალმა (ჩვეულებრივ ამბობენ ხოლმე: „ერთმა მოცეკვავე ქალმა, ერთ საღამოს“). არა მჯერა.

მინიონი უკვე მაღაზიიდან გამოსვლას აპირებდა. უსაქმურობისაგან და იმიტომაც, რომ უფრო ბუნებრივი გამოჩენილიყო, და კიდევ იმიტომ, რომ ძნელი იყო თავის დაღწევა ამ ხმაურისაგან, ამ ბროუნის მოძრაობისაგან, რომელიც ისევე მრავლად იყო დასახლებული, ისეთივე ქაოსური და მღელვარე იყო, როგორიც დილის სიმშვიდე, გზადაგზა აუჩქარებლად ათვალიერებდა ვიტრინებს, სადაც გამოფენილი იყო პერანგები, წებოს ქილები, ჩაქუჩები, ბეჭდები, კაუჩუკის ღრუბლები. ჯიბეში ორი მოვერცხლილი სანთებელა ედო და პორტსიგარი. მას უთვალთვალებდნენ. კართან, რომელსაც გიგანტი უნტერი იცავდა, სულ ახლოს იყო მისული, რომ პატარა მოხუცმა ქალმა მშვიდად ჰკითხა:

- რა მოიპარეთ, ახალგაზრდავ?

მინიონი სიტყვა „ახალგაზრდამ“ მოხიბლა. ეს რომ არა, უკანმოუხედავად გაიქცეოდა. ყველაზე უწყინარი სიტყვები ყველაზე საშიშია, ზუსტად მათ უნდა ერიდო. თითქმის მაშინვე გიგანტიც მასთან აღმოჩნდა და მაჯაში ჩაავლო ხელი. თავს ისე დაატყდა, როგორც უშველებელი დიდებული ტალღა პლაჟზე ჩათვლემილ მობანავეს. მოხუცი ქალის სიტყვებმა და მამაკაცის მოძრაობამ მინიონს მოულოდნელად ახალი სამყარო გადაუშალა: გამოუსწორებლობის სამყარო. ის იგივე იყო, რომელშიც ჩვენ ვიმყოფებით, მაგრამ აი, როგორი თავისებურებით: იმის მაგივრად, რომ ვიმოქმედოთ და ვიგრძნოთ, რომ მოქმედი ვართ, მხოლოდ ზემოქმედებას განვიცდით. გამოხედვა - შეიძლება ეს ჩვენ თვითონვე ვიყურებით - მოულოდნელად ნათელმხილველის სიზუსტესა და სიმახვილეს იძენს და ამ სამყაროს წესრიგი - უკუღმა პირიდან დანახული - ისეთი გარდაუვალი სრულყოფილებით წარმოდგება, რომ სამყაროს ისღა რჩება, გაქრეს. თვალის დახამხამებაში ეს ხდება კიდეც.

სამყარო ხელთათმანივით ამობრუნდება. აღმოჩნდება, რომ ხელთათმანი მე ვარ, და მე, ბოლოს და ბოლოს, ვხვდები, რომ უფალი განკითხვის დღეს ჩემივე საკუთარი ხმით დამიძახებს: „ჟან, ჟან!“

მინიონმა ჩემსავით ძალიან კარგად იცოდა, რა იყო ეს სამყაროს დასასრული იმისათვის, რომ მორიგი ასეთი დასასრულის შემდეგ გონზე მოსვლისას დამწუხრებულიყო ან აღშფოთებულიყო. აღშფოთება კობრის ფიცარზე სხმარტალივით დამთავრდებოდა და სასაცილო გამოჩნდებოდა. თოკზე გამობმულივით ანდა ძილში მყოფივით მორჩილად გაჰყვა მეკარესა და დეტექტივ ქალს სარდაფში, მაღაზიასთან არსებულ პოლიციის განსაკუთრებული დანიშნულების კომისრის ბიუროში. ჩავარდა, გაება. იმავე საღამოს პოლიციის მანქანამ წინასწარი დაკავების საპატიმროში მიიყვანა, სადაც ღამე მაწანწალების, მათხოვრების, ქურდების, თაღლითების, სტუდენიორების, ყალბისმქმნელების საზოგადოებაში გაატარა: ყველაზე ბნელ ჩიხებში ერთმანეთის პირდაპირ აღმართული სახლების ცუდად დაწყობილ ქვებს შორის დარჩენილი ნაპრალებიდან გადმოსულ ხალხში. მეორე დღეს მინიონი სხვებთან ერთად ფრესნის ციხის გზას გაუყენეს. თავისი გვარი უნდა ეთქვა, დედის გვარი და მამის სახელი, რომელიც დღემდე იდუმალებით იყო მოცული (მან მოიგონა: რომუალდი!). თავისი ასაკიც თქვა და პროფესიაც.

- თქვენი პროფესია? - ჰკითხა სასამართლოს მდივანმა.

- ჩემი?

- ცხადია, თქვენი.

მინიონმა თითქმის დაინახა კიდეც, ტუჩებს როგორ მოსწყდა: „მომვლელი ქალი“, მაგრამ უპასუხა:

- პროფესია არა მაქვს. ვირულ მუშაობას ჩვეული არა ვარ.

თუმცა მინიონისთვის ამ სიტყვებს ფასი ედო და „მომვლელის“ მნიშვნელობა ჰქონდა.

ბოლოს გახადეს, მისი ტანსაცმელი, ნაწიბურების ჩათვლით, გამოიკვლიეს. პოლიციელმა აიძულა, პირი გაეღო, დაუთვალიერა, ხელი ხშირ თმაში შეუცურა, სხვას რომ არ დაენახა, თმა შუბლზე ჩამოუჩაჩა, მერე კეფაზე მსუბუქად გადაუტარა, ჯერ კიდევ ჩაზნექილ, თბილ, მთრთოლარე და მგრძნობიარე კეფაზე, რომელიც მუდამ მზად იყო, უმცირესი მოფერებისასაც

კი საშინელი ზიანი მიეყენებინა. ზუსტად ამ კეფით ვხვდებით, რომ მინიონს შეეძლო, შესანიშნავი მეზღვაური დამდგარიყო.

ბოლოს პოლოციელმა უთხრა:

- წინ გადაიხარეთ.

გადაიხარა. პოლიციელმა უკანა ტანში შეხედა და შავი ლაქა დაუნახა.

- ...აიარეთ! - დაიყვირა პოლიციელმა.

მინიონმა ჩაახველა, მაგრამ შეცდა. პოლიციელმა „გაიარეთ!“ დაიყვირა. შავი ლაქა კი განავლის კარგა დიდი ნაჭერი იყო, რომელიც ყოველდღე იზრდებოდა, და რომლის ამოძრობასაც მინიონი ბევრჯერ ეცადა, მაგრამ ამისთვის ან ბეწვები უნდა ამოეგლიჯა, ან თბილი აბაზანა მიეღო.

- შარვალში ჩაგისვრია, - უთხრა პოლიციელმა („შარვალში ჩასვრა“ შიშსაც ნიშნავს, მაგრამ პოლიციელმა ეს არ იცოდა).

მინიონი თავისი კეთილშობილური მანერებით, ჩამოქნილი ბარძაყებითა და უმოძრაო მხრებით! კოლონიაში ერთმა ზედამხედველმა (ოცდახუთი წლისა იყო, მოყავისფრო ტყავის ჩექმები ეცვა და ალბათ, ბანჯგვლიან ბარძაყებამდე სწვდებოდა) შეამჩნია, რომ კოლონისტებს პერანგების კალთები განავლით ჰქონდათ დასვრილი. ყოველ კვირას, დილით, თეთრეულის გამოცვლისას გვაიძულებდა, პერანგები გვეჩვენებინა, რომლებიც სახელოებით უნდა გვჭეროდა. ვისი პერანგის ბოლოც საეჭვოდ მოეჩვენებოდა, ამ დამამცირებელი გარემოებით ისედაც სახედაღრეჯილ ტუსაღს ვირტუოზულად ურტყამდა წკეპლას სახეში. ტუალეტში სიარულს ვეღარ ვბედავდით, მაგრამ, როცა უეცრად წამოვლილი მუცლის გვრემა იქით გაქცევას გვაიძულებდა, რადგან იქ ქაღალდი არ იყო, კირიან კედელს, შარდისგან ისედაც ჩაყვითლებულს, თითს ვაწმენდდით, ოღონდ პერანგის ბოლოებს ვიწევდით (ახლა ვამბობ „ვიწევდით“-მეთქი, თორემ მაშინ თითოეული პატიმარი ფიქრობდა, რომ ამას მარტო თვითონ აკეთებდა) და მაშინ თეთრი შარვლის უბე ისვრებოდა. ყოველ კვირადილას ფარისევლური ქალწულებრივი სიწმინდის გრძნობას განვიცდიდით. ვინმე ლაროშდიე კვირის ბოლოს მუდამ თავისი პერანგის კალთებში იხლართებოდა და სვრიდა. ამაში საშინელი არაფერი იყო, მაგრამ გამოსასწორებელ ციხეში გატარებული სამი წელი მოწამლული ჰქონდა ამ ყოველკვირეული დათვალიერებით - ისინი მოყვითალო განავლის მსუბუქი მოსმით აფერადებული პატარა პერანგების გირლანდებით მორთულად მეჩვენება, როგორც წირვაზე წასვლის წინ - ასე რომ ის საბრალო შაბათ საღამოს თავისი პერანგის ბოლოებს კირიან კედლებს უსვამდა და მის გათეთრებას ცდილობდა. უკვე თავმოჭრილისა და სამარცხვინო ბოძის ჯვარზე თხუთმეტი წლიდან გაკრულის წინ ჩავლისას მტაცებელივით თვალაბრიალებული ტყავისჩექმებიანი ზედამხედველი მოულოდნელად შეჩერდებოდა. უხეშ ნაკვთებზე (გრძნობები, რომლებზეც ვილაპარაკებთ, ამ სიუხეშის წყალობით სახეზე შარჟივით ესახებოდა) უცბად ზიზღის, სიძულვილისა და შეძრწუნების გრიმასა უჩნდებოდა. გაშეშებულ ლაროშდიეს გაქვავებული სახის შუაში შეაფურთხებდა, რომელიც არც არაფერს ელოდა, გარდა ამ შეფურთხებისა. რაც შეგვეხება ჩვენ, ვინც ამას ვკითხულობთ, მშვენივრად ვხვდებით, რომ ზედამხედველს პერანგის კიდეებიცა და მისი ამხანაგის შიდა მხარეც მძღნერით ჰქონდა დასვრილი. ასე რომ, მინიონ-პაწია-ფეხი გრძნობდა, რაც ხდებოდა საცოდავი ლაროშდიეს სულში, რომელსაც ტრაკზე აფურთხებდნენ. მაგრამ იგი თითქმის არც აქცევდა ყურადღებას ამ წამიერ სულიერ ცვლილებას. ვერასდროს ხვდებოდა, ბედისწერის რამდენიმე დარტყმის შემდეგ რატომ აღმოაჩენ ხოლმე გაოცებული, თითქოს არაფერი მომხდარა. სიტყვაც არ უთქვამს. ის და პოლიციელი გასახდელში მარტო იყვნენ. სიბრაზისაგან გული უსკდებოდა. სირცხვილისა და მრისხანებისაგან. ოთახიდან თავისი კეთილშობილი ტრაკი გამოათრია - სწორედ ამ უკანალით ჩანდა, რომ მისგან ბრწყინვალე ტორეადორი დადგებოდა. საკანში ჩაკეტეს. ბოლოს და ბოლოს ციხეში თავისუფლად და სუფთად იგრძნო თავი, მისი ნამსხვრევები ისევ ერთ მთელად შეწებდა და ისევ მინიონად იქცა, ახალ მინიონად, სათუთ მინიონად. მისი საკანი ყველგან შეიძლებოდა ყოფილიყო. კედლები თეთრია, ჭერი - თეთრი, იატაკი კი შავი ჭუჭყით არის დაფარული. ეს საკანს დედამიწაზე უშვებს და იქ ტოვებს, ანუ ათასობით სხვა საკანს შორის, რომლებიც, თუმც კი მსუბუქები ჩანს, მაინც ჭყლეტს ამ საკანს ფრესნის სატუსაღოს მესამე სართულზე. აი, ჩვენც იქა ვართ. ყველაზე გრძელი შემოვლითი გზა, ბოლოს და ბოლოს, იქ მიმიყვანს, ჩემს ციხეში, ჩემს საკანში. ახლა შემეძლება, თითქმის შეუფერადებლად, დაუმახინჯებლად, შუამავლის

გარეშე გიამბოთ ჩემს აქაურ ცხოვრებაზე. ჩემს ახლანდელ ცხოვრებაზე.

საკნების გასწვრივ მთელ სიგრძეზე გალერეაა, რომელშიც იღება ყველა კარი. კარს იქით ჩვენ ვდგავართ, იმპოზაში, რომელიც თითოეული ჩვენგანისთვის არის დამახასიათებელი და ველით, როდის გააღებს ზედამხედველი; მაგალითად, აი იმ ფრაერის პოზა, გაწვდილი ქუდი რომ უჭირავს, მიანიშნებს, რომ ჩვეულებრივ იგი ტაძრის კართან დგას და მოწყალებას თხოულობს. სეირნობიდან დაბრუნებულ და ზედამხედველის მომლოდინე პატიმრებს, არ შეიძლება, არ შემოესმათ გიტარაზე შესრულებული სერენადა, ან მავთულისბადიან საწოლზე მიწოლილებმა არ იგრძნონ, როგორ მკვეთრად ყირავდება მთვარის ქვეშ უზარმაზარი გემი და ჩაძირვას იწყებს. ჩემი საკანი ზუსტად კუბის ფორმისაა. საღამოს, როგორც კი მინიონი საწოლზე იშოტება, ფანჯარას დასავლეთისკენ მიჰყავს იგი, აგურის ბლოკებს გადალახავს, გარბის და მასაც თან მიითრევს აეროსტატის გონდოლასავით. დილით, როგორც კი კარი იღება - ყველა კარი, რა თქმა უნდა, დაკეტილია და ესეც დიდი საიდუმლოა მოცარტის ჰარმონიის იდუმალებასავით, ანდა, როგორც ტრაგედიაშია, სცენაზე ქოროს შემოსვლის იდუმალებასავით (სატუსაღოებში კარებს უფრო კეტავენ, ვიდრე აღებენ) - ელასტიკური ძალა სივრციდან, რომელშიც ქანაობს, ამოათრევს და თავის ადგილზე აბრუნებს: ეს ის დროა, როცა პატიმარი უნდა ადგეს. ის, თელასავით სწორი და მაგარი, უნიტაზში აფსამს, თავის მორბილებულ ასოს მსუბუქად აქნევს; შარდისგან გათავისუფლება აქტიურ ცხოვრებაში აბრუნებს, მიწაზე აყენებს (ოღონდ ფრთხილად, სათუთად), ღამის თასმებს უხსნის, და იგი იცვამს. მერე ცოცხით აქა-იქ მტვერსა და ფერფლს აგროვებს. ზედამხედველი მოდის, ხუთი წამით აღებს კარს ნაგვის გასატანად. მერე ისევ კეტავს. პატიმარი უცაბედი გაღვიძებით მოგვრილი გულისრევის შეგრძნებისაგან ბოლომდე ვერ გათავისუფლებულა. პირში სიმშრალეს გრძნობს. საწოლი ისევ თბილია, მაგრამ არ წვება. ყოველდღიურ იდუმალებასთან ომი უნდა გამართოს. რკინის საწოლი კედელზეა მიმაგრებული, პატარა ფიცარი კედელზეა მიმაგრებული, მაგარი ხის სკამიც კედელზეა ჯაჭვით მიმაგრებული. ეს ჯაჭვი ძველი დროის გამოძახილია, როცა ციხეებს საპყრობილეს ან დილეგს ეძახდნენ, როცა პატიმრები, მეზღვაურებივით, გალერეებზე კატორღელები იყვნენ; ის ბრესტული ან ტულონური რომანტიკული ბურუსით ანესტიანებს თანამედროვე საკანს, ჩვენი დროისგან აშორებს მას და მოხერხებულად აიძულებს მინიონს, ეჭვისგან შეაკანკალოს, რომ იგი ციხესიმაგრეშია გამომწყვდეული (ჯაჭვი საზარელი სიძლიერის სიმბოლოა, ბირთვით დამძიმებული, იგი კატორღელთა გაშეშებულ ფეხებს სამეფო გალერეებზე აკავებს და არსად უშვებს) - აღმოსავლელი დედოფლის სარკოფაგივით მშრალი და ვიწრო ლეიბი, ზღვის ბალახით გატენილი, და ჭერიდან დაშვებული შიშველი ნათურა ისე მტკიცეა, როგორც მცნება, როგორც გაშიშვლებული ძვლები და მოყანყალებული კბილები. სხვენზე დაბრუნებული მინიონი, როცა ჯდება, წვება ან ჩაის სვამს, ვერასოდეს დაივიწყებს, რომ სავარძლისა თუ დივნის ჩონჩხზე ისვენებს ან სძინავს. ხავერდისხელთათმნიანი რკინის ხელი წესრიგისკენ მოუწოდებს. დაე ასწიონ ეს საბურველი. საკნების მარტოხელა ბინადრები, თეთრი ქაშანურის უნიტაზები, მკერდის რიტმივით (თითქოს ქშინავენო) შეთანხმებულად გამოსცემენ დამამშვიდებელ სუნთქვას. ისინი ადამიანებივით არიან.

ტუსაღი მინიონი მოკლე ნაბიჯებით, რწევით დადის. მარტოა თავის საკანში. ნესტოებიდან აკაციისა და იის ყვავილის ფურცლებს იძრობს; მერე კარისკენ, საიდანაც განუწყვეტლივ უთვალთვალებს უსახელო თვალი, ზურგით შებრუნებული, ჭამს მათ, და ამობრუნებული ცერით, რომელზეც სწავლულის ფრჩხილი აქვს გაზრდილი, კიდევ ეძებს სხვას. მინიონი ნამდვილი „ხვადი“ არ არის. გეგმები, რომლებსაც ამზადებს, მოულოდნელად პოეტურ ბოდვებში ეშვება. თითქმის მუდამ თანაბარი და გაუცნობიერებელი ნაბიჯებით დადის: აკვიატებული აზრი აწუხებს. დღეს საკანში წინ და უკან დადის. არაფერს აკეთებს, რაც იშვიათი შემთხვევაა, რადგან თითქმის გამუდმებით მუშაობს, საიდუმლოდ და ხელს იმსიმაღლეზე სწევს, რა სიმაღლეზეც სხვენში კარადაში შენახული რევოლვერი დევს, მაგრამ თავისი ვარამის ერთგული მაინც რჩება. თაროს უახლოვდება. კარის საკეტი, გეგონება ჭედავენო, ხმამაღალი ღრჭიალით იღება და ზედამხედველი ყვირის:

- ჩქარა, პირსახოცები!

მინიონი, ჭუჭყიანის სანაცვლოდ მიღებული სუფთა პირსახოცებით ხელში,

ისევ იმავე ადგილზე დგას. მერე, თავადაც ვერ ხვდება ისე, ნახტომით აგრძელებს დრამის მოძრაობებს, რომელსაც თამაშობს. საწოლზე ჯდება; შუბლზე ხელს ისვამს. ყოყმანობს... ბოლოს დგება და კედელზე მიკრულ ერთფრანკიან პატარა სარკესთან მიდის, ქერა თმას უკან იწევს და გაუაზრებლად ეძებს საფეთქელზე ტყვიის ნაკვალევს.

ღამე მინიონს მოხალისე „ხვადის“ მტკიცე კორსეტის თასმებისგან ათავისუფლებს. ძილში გული ულბება, მაგრამ შეუძლია, მუთაქას ჩასჭიდოს ხელი, ხაოიან ტილოს ლოყით ნაზად მიეკრას, იმ ბიჭის ლოყით, რომელიც მზად არის, ატირდეს, და დაიძახოს: „დარჩი, გთხოვ, დარჩი, საყვარელო“. ყოველი „მამაკაცის“ გულის სიღრმეში ხუთწამიანი ტრაგედია თამაშდება ლექსად. ჩხუბი, ყვირილი, ხანჯლების ელვარება ან ციხე კვანძის გახსნასთან მიდის, გათავისუფლებული ადამიანი სულ ახლახან პოეტური ნაწარმოების შექმნის მოწმე და თემა გახდა. დიდხანს მჯეროდა, რომ პოეტური ნაწარმოები კონფლიქტებს ქმნის: იგი მათ ანადგურებს.

ციხის სქელი კედლების ძირში ქარი მუხლს იყრის. ციხეს თან მიაქვს ყველა საკანი, სადაც პატიმრებს სძინავთ, მსუბუქდება და გარბის. იჩქარეთ, ცენზორებო, ქურდები შორს არიან. ყაჩაღები ადიან, კიბეებითა თულიფტით. მარჯვედ იპარავენ. იმალებიან. კაბებს აძრობენ. კიბის ბაქანზე შუაღამისას ძილგამკრთალი ბურჟუა დგას თავზარდაცემული, რომ შეიცნო პატარა ქურდი ბიჭის საზარელი საიდუმლო, ჭაბუკისა, კარებს გასაღებებით რომ აღებს, და გაქურდული ბურჟუა ვერ ბედავს ყვირილს: „ქურდი!“ თავს ძლივს ატრიალებს. ქურდი თავებს შემობრუნებას აიძულებს, სახლებს - რყევას, ციხე-დარბაზებს - ცეკვას, სატუსაღოებს - ფრენას.

მინიონს კედლის ძირას სძინავს. იძინე, მინიონ, წვრილმანის ქურდო, წიგნების ქურდო, ზარების თოკების, ცხენების ფაფრისა და ძუის, ველოსიპედებისა და ძვირფასი ძაღლების ქურდო. მინიონ, ცბიერო მინიონ, რომელმაც იცი, როგორ მოჰპარო ქალებს საპუდრეები; მღვდლებს წებოსა და ჯოხის მეშვეობით, შემოწირულობათა ყუთიდან - ფული; მორწმუნეებს - ჩანთები, ზიარების მიღებისას სალოცავ სკამებზე რომ ტოვებენ; „ხვადებს“ - მათი კლიენტები; პოლიციელებს - დამსმენების შეღავათები; კონსიერჟებს - ვაჟები და ქალიშვილები; იძინე, იძინე, ეს-ესაა ირიჟრაჟა, იძინე, ვიდრე ამომავალი მზის სხივი შენს ქერა თმაზე დაეშვება და ისევ შენს ციხეში გამოგამწყვდევს. და ეს დღეები, ერთმანეთს რომ მიჰყვება, შენს ცხოვრებას გრძელს უფრო ხდის, ვიდრე ფართოს.

ადგომის შემდეგ მორიგე პატიმარი სართულს შემოირბენს და ყველა კარზე მუშტით აბრახუნებს. ერთიმეორის მიყოლებით, ერთი და იმავე მოძრაობით. სამი ათასი პატიმარი საკნების მძიმე ატმოსფეროს შეაჯანჯღარებს, დგება და დილის წვრილმან საჭირო საქმეებს აკეთებს. მოგვიანებით ზედამხედველი 329-ე საკნის კარში დატანებულ პატარა ფანჯარას გამოაღებს, სუპი რომ გადააწოდოს. უსიტყვოდ იყურება. ამ ისტორიაში ზედამხედველებსაც თავიანთი როლი აქვთ. ყველა სულელი როდია, მაგრამ ყველა სრულიად გულგრილია იმ როლის მიმართ, რომელსაც თამაშობს. თავიანთი როლის ხიბლისა არაფერი გაეგებათ. არც ისე დიდი ხანია, მუქლურჯ ფორმის ტანსაცმელს ატარებენ, რომელიც მფრინავების უნიფორმის ზუსტი ასლია, და ასე მგონია, თუ კეთილშობილური სული აქვთ, მაშინ გმირების კარიკატურებად ყოფნისა უნდა რცხვენოდეთ. ზეციდან ციხეში ჩამოვარდნილი მფრინავები არიან, დაცემისას შუშის სახურავი რომ ჩამოამსხვრიეს. ისინი ციხეში გამოიქცნენ. საყელოზე ჯერ კიდევ შემორჩათ ვარსკვლავები, რომლებიც ახლოდან თეთრი და ამოქარგული ჩანდა, რადგან დღის სინათლეზე დავინახეთ. ძნელი მისახვედრი არ არის, რომ შიშით დაზაფრულები გადმოხტნენ თავიანთი თვითმფრინავიდან (დაჭრილი ბიჭი გიუინმე შიშისგან დაკრუნჩხული ვარდებოდა, შეუბრალებელი ქარის ნაკადისაგან გადამსხვრეული ფრთით, ქარის ნაკადისაგან, რომლის გაპობაც უწევდა; სხეულიდან სისხლის მაგიერ ცისარტყელად აფერადებული ბენზინი სდიოდა და ზუსტად ეს ნიშნავდა დიდების დროს ჩამოვარდნას); ბოლოს იმათ შორის აღმოჩნდნენ, ვინც მათ არ აოცებს. მათ შეუძლიათ, უფლება აქვთ, ყველა საკნის წინ ჩაიარონ, კარი არ გააღონ და სათუთ და მორჩილგულიან დამნაშავეებს უყურონ. არა. მათზე არც ფიქრობენ, რადგან არ სურთ ისინი. ცაში დაფრინავდნენ და ახლა კარზე გამოღებაც არ სურთ პატარა სათვალთვალოსი, რომელსაც აგურის ტუზის ფორმა აქვს, არ უნდათ, თვალი მოჰკრან მკვლელებისა და ქურდების უბრალო მოძრაობებს; არ სურთ, წაასწრონ, როცა თეთრეულს რეცხავენ,

საწოლებს დასაძინებლად იმზადებენ, ფანჯრის ნახვრეტებს ქოლავენ, ასანთის ღერებს გამოსაზოგად მსხვილი თითებითა და ქინძისთავით ორ ან ოთხ ნაწილად აპობენ და არ უნდათ, მათ ბანალური, ესე იგი ადამიანური, სიტყვა უთხრან, რომ არ დაინახონ, ისინი უცბად ფოცხვერებად ან მელიებად ხომ არ გადაიქცევიან. ისინი საფლავების მცველები არიან; აღებენ და ხურავენ კარებს, არც აინტერესებთ ის საგანძური, კარს იქით რომ არის დაფარული. მათი პატიოსანი (უფრთხილდით სიტყვა „კეთილშობილურსა“ და სიტყვა „პატიოსანს“, რომელიც ეს-ეს არის ვიხმარე), მათი პატიოსანი სახე, ქვევით ჩამოგრძელებული, უპარაშუტოდ შვეულად დაშვებით გაკრიალებული, ვერ დაამახინჯა თაღლითების, ქურდების, „ხვადების“, ნაქურდალის შემსყიდველების, ყალბისმქმნელების, მკვლელების, ყალბი ფულის მჭრელების შეხებამ. არც ერთ ყვავილს არ დაუსვრია მათი ფორმის ტანსაცმელი, არც ერთი ნაოჭი საეჭვო ელეგანტურობისა, და თუ შევძელი და რამდენიმე დღის შემდეგ ერთ იმათგანზე ვთქვი, „ხავერდის“ ფეხებით დადიოდა-მეთქი, ესეც იმიტომ, რომ ღალატი უნდა ჩაედინა, მოპირდაპირე ბანაკში უნდა გადასულიყო, მფრინავთა ბანაკში, რათა იღლიაში სკივრამოჩრილი კვლავ ცაში აჭრილიყო... ის წირვაზე ეკვდერში შევამჩნიე. ზიარებისას მღვდელი საკურთხევლიდან ჩამოვიდა და ერთ იქვე მდებარე საკანთან მივიდა (ეკვდერიც ხუთას საკნად - ფეხზე მდგარ კუბოებადაა დაყოფილი), სეფისკვერი მიუტანა ტუსაღს, რომელიც დაჩოქილი ელოდა. იმ ზედამხედველმა, რომელსაც თავზე ფორმის ქუდი ეხურა, საკურთხევლის შემაღლების კუთხესთან იდგა ჯიბეებში ხელებჩაწყობილი, ფეხებგაფარჩხული, პოზაში, რომელიც ასეთი სიამოვნებით აღვწერე ალბერტოზე ლაპარაკისას, გაიღიმა, მაგრამ რაღაც სანდომიანი, მხიარული ღიმილით, როგორსაც მცველისგან არ ველოდი. მისი ღიმილი წმინდა ზიარებასა და ცარიელი სანაწილის დაბრუნებას ახლდა, ვიფიქრე, ალბათ, მორწმუნეებს დასცინის და მარცხენა ხელით ყვერებს ისრესს-მეთქი. საკუთარ თავს ერთხელ უკვე ვკითხე, ნეტავ რა მოჰყვება ახალგაზრდა, ლამაზი ზედამხედველისა და ახალგაზრდა, ლამაზი დამნაშავის შეხვედრას-მეთქი. სიამოვნებით წარმოვიდგინე ეს ორი სურათი: სისხლიანი და სასიკვდილოდარტყმა თუ სპერმისა და ვნებიანი ქშენის მორევში ნაპერწკლების მფრქვეველი ხვევნა-ალერსი. ეს ზედამხედველი ადრე არ შემინიშნავს და ახლა ვნახე. ჩემი საკნიდან, რომელიც ბოლო რიგში იყო, მისი სახე კარგად ვერ გავარჩიე, რომ მისი ნაკვთები იმ ახალგაზრდა და მშიშარა მექსიკელ მეტისზე გადამეტანა, რომლის გამოსახულებაც სათავგადასავლო რომანის ყდიდან ამოვჭერი. „პირუტყვო, მე შენ მიგაღებინებ ზიარებას-მეთქი!“ - ვფიქრობდი. ამ მოდგმისადმი შიშმა და სიძულვილმა უფრო ძლიერად აღმაგზნო და ვიგრძენი, როგორ დამებერა შიბლა თითებს შორის. იქამდე ვაჯანჯღარე, ვიდრე ბოლოს... - თან ზედამხედველისთვის თვალი არ მომიშორებია, რომელიც ისევ საამოდ იღიმებოდა. ახლა შემიძლია, საკუთარ თავს პატიოსნად ვუთხრა, რომ ის მეორე პოლიციელს ან მკვლელს უღიმოდა და რადგან მე მათ შორის ვიყავი, ამ მანათობელმა ღიმილმა ჩემში გაიარა და ნაწილებად დამშალა. მომეჩვენა და უფლებაც მაქვს, ასე ვიფიქრო, რომ ზედამხედველი უკვე დამორჩილებული იყო და მადლიერებით აღვსილიც.

ზედამხედველებთან მინიონი პატარა ბიჭად გრძნობდა თავს. სძულდა და პატივს სცემდა მათ. მთელი დღე იქამდე ეწევა სიგარეტს, ვიდრე საწოლზე არ დავარდება. მის ნანთხევში ნათელი ლაქები კუნძულებს ქმნის: ეს სატრფოს ჟესტია, ეს უწვერულვაშო და გადატკეცილი სახეა, როგორიც მოკრივეს ან პატარა გოგოსა აქვს. ნამწვებს ისვრის და ამ ჟესტისაგან სიამოვნებას იღებს (სხვას რას უნდა ელოდე „ხვადისგან“, რომელიც სიგარეტებს თვითონვე ახვევს, რადგან ეს მოძრაობა თითებს თავისებურ სინატიფეს აძლევს; რომელიც კაუჩუკისლანჩიან ფეხსაცმელს ატარებს, რომ უხმაურო ნაბიჯებით გააოცოს შემხვედრი გამვლელები, რომლებიც განცვიფრებით შეხედავენ, მოუწონებენ ჰალსტუხს, შეშურდებათ მისი ბარძაყების, მისი მხრების, კეფისა და ისე, თავადაც ვერ გრძნობენ და მას არც იცნობენ, ერთიმეორის მიყოლებით რიგში დგებიან, მის ფერადოვან ამალას ქმნიან, დროდადრო პატივისცემასაც გამოხატავენ, რაც ამ უცნობის წყვეტილ, წუთიერ მეფობაზე მიანიშნებს; და მბრძანებლის ყველა ატრიბუტი აუცილებლად იქამდე მიიყვანს, რომ სიცოცხლის დასასრულს მონარქად იგრძნობს თავს). საღამოობით გაფანტულ თამბაქოს აგროვებს და აბოლებს. საწოლზე ზურგით გაშოტილი, ფეხებგაჩაჩხული, მარჯვენა ხელით სიგარეტს ფერფლს აცლის. მარცხენა ხელი თავქვეშ უდევს. ბედნიერების წამებია, წარმტაცი

სიმსუბუქისგან ნაქსოვი. ამ პოზაში მინიონი თავის ყველაზე იდუმალ რაობას იძენს, რომელიც მას ნამდვილი ცხოვრებით ცხოვრებას აიძულებს. ამ მაგარ საწოლზე რომ იწვა მინიონი, სიგარეტს რომ აბოლებდა, ვინ შეიძლებოდა ყოფილიყო? იგი არასოდეს დაიტანჯება, მუდამ იოლად შეძლებს სიძნელეების გადალახვას, ისევე იოლად, როგორც იმავე მდგომარეობაში აღმოჩენილი რომელიმე სათაყვანებელი ტიპის ჟესტებს გადმოიღებს ხოლმე, და, თუ წიგნებიდან ან ანეკდოტებიდან მის შესაქმნელად მასალას ვერ მოიპოვებს, მაშინ მისი სურვილი (ეს კი გვიან შეამჩნია, როცა უკან დასახევი დრო აღარ იყო) აღარც ის სურვილი იქნებოდა, ყოფილიყო კონტრაბანდისტი, მეფე, ჟონგლიორი, მოგზაური, მონებით მოვაჭრე, არამედ იქნებოდა სურვილი, გამხდარიყო ერთ-ერთი კონტრაბანდისტი, ერთ-ერთი მეფე, ჟონგლიორი და ასე შემდეგ... ესე იგი, როგორც... ყველაზე საშინელ მდგომარეობაში ყოფნისას მინიონი შეძლებს და მუდამ გაიხსენებს, რომ ასეთივე მდგომარეობაში აღმოჩნდა რომელიღაც მისი კერპიც (და თუ არა, მაშინ აიძულებდა, რომ აღმოჩენილიყო) და მისი მდგომარეობა კურთხეული გახდება, და ამის გამო უფრო უკეთესიც, ვიდრე ასატანია (ამგვარად, ის მე მგავს, ამ ხალხის - ვაიდმანის, პილორჟის, სოკლეის - ხელახლა შემქმნელს; შევქმენი, რადგან მსურდა, ისინი ვყოფილიყავი; მაგრამ, ჩემგან განსხვავებით, იგი ამ პერსონაჟებისადმი ერთგულებით გამოირჩევა, მე კი, დიდი ხანია, შევურიგდი აზრს, რომ მე მხოლოდ მე ვარ. მაგრამ სწორედ ჩემმა სანუკვარმა ოცნებამ ბრწყინვალე ბედზე შეკუმშა, თუ შეიძლება ასე ითქვას, რაღაც შემცირებულ, კომპაქტურ, მტკიცე და დამაბრმავებლად მოელვარე ასლამდე ჩემი განვლილი ცხოვრების მეწამული ფერით შეფერადებული ტრაგიკული ელემენტები; ამიტომ ზოგჯერ დივინის იმ რთული სახის მფლობელი ვხდები, რომელიც პირველ რიგში თვითონ ის არის, იმავე დროს კი - სახის ნაკვთებსა და მოძრაობებში - ზოგჯერ ისეთი რეალური, თუმც წარმოსახვითი, რჩეული არსებები არიან, რომლებთანაც შინაგანად დიდი ჩხუბი აქვს, რომლებიც მას აწამებენ ან აღაგზნებენ, არასოდეს ასვენებენ და ნაოჭების ოდნავ შესამჩნევი მოძრაობითა თუ თითების კანკალით დივინს სიმრავლის შემაშფოთებელ იერს აძლევენ, რადგან დივინი მუნჯი და გულდახურულია, როგორც საფლავი, სიბილწით სავსე). ამ მაგარ საწოლზე მწოლიარე, სიგარეტის მწეველი მინიონი ვინ შეიძლებოდა ყოფილიყო? „ის, ვინც ამ პოზაში თავის ყველაზე სანუკვარ რაობას იძენს, ესე იგი დაპატიმრებული „ხვადი“, რომელიც სიგარეტს ეწევა, მაშასადამე, თვითონ“. ასე რომ, გასაგებია, რამდენად განსხვავდებოდა დივინის შინაგანი ცხოვრება მინიონის შინაგანი ცხოვრებისაგან.

მინიონმა დივინს წერილი მისწერა, იძულებული გახდა, კონვერტზე მიეწერა „ბატონ...“; ნოტრ-დამ-დე-ფლერსაც მისწერა წერილი. დივინი კლინიკაში იყო. ხუთასი ფრანკი გაუგზავნა. მინიონის წერილს მოგვიანებით წავიკითხავთ. ნოტრ-დამმა არ უპასუხა.

ზედამხედველი კარს აღებს და საკანში ახალ პატიმარს უბიძგებს. ვინ მიიღებს ახალბედას - მე თუ მინიონი? მას თან ლოგინი, კარდალა, ტოლჩა, ხის კოვზი და თავისი ამბები მოაქვს. პირველივე სიტყვებს ვაწყვეტინებ. ის ლაპარაკს აგრძელებს, მაგრამ მე უკვე სხვაგანა ვარ.

- რა გქვია?

- ჟანი.

ეს საკმარისია. ჟანი ჰქვია ჩემსავით და იმ მკვდარი ბავშვივით, ვისთვისაც ვწერ. მნიშვნელობა არ ექნებოდა, თუნდაც შეუხედავი ყოფილიყო, მე ხომ ბედი მაინც არ მწყალობს. ჟანი იქ. ჟანი აქ. როცა ერთ-ერთს ვეტყვი, მიყვარხარ-მეთქი, უკვე ეჭვი მიჩნდება, ეს მე ხომ არა ვარ. აქ აღარა ვარ, უკვე შორსა ვარ, რადგან ვცდილობ, ხელახლა განვიცადო ის, რაც განვიცადე მაშინ, როცა რამდენჯერმე მოფერების უფლება მომცა. ყველაფერი გავბედე და რომ მომეშინაურებინა, იმაზეც დავთანხმდი, ჩემზე „მამლის“ უპირატესობა მოეპოვებინა; კუტუ მამაკაცივით მაგარი ჰქონდა, ხოლო ჭაბუკური სახე თვით სიტკბოება იყო; ასე რომ, როცა ჩემს ოთახში, ჩემს საწოლში გაშოტილმა, სწორმა და უმოძრაომ, პირში გამითავა, უბიწოება არ დაუკარგავს. აქ უკვე სხვა ჟანი მიამბობს თავის ამბებს. ახლა მარტო აღარა ვარ და ამიტომაც ასე მარტო არასოდეს ვყოფილვარ. ამით იმის თქმა მინდა, რომ საპატიმროს მარტოობა საშუალებას მაძლევდა, ასამდე ჟან ჟენესთან ვყოფილიყავი, იმ მომენტში თვალმოკრულებთან, როცა ასობით გამვლელს მათ ნაკვთებს ვპარავდი: მე ხომ მინიონს ვგავარ, სხვა მინიონებს რომ იპარავდა; მისი ერთი დაუფიქრებელი ჟესტი ყველა უცნობს აფრთხობდა, ვისაც კი გაეკარებოდა;

მაგრამ ახალი ჟანი ჩემში აბრუნებს - როგორც დაკეცილი მარაო ნახატებს გაზის ქსოვილზე - თავადაც არ ვიცი, რას. მაგრამ მისდამი მტრულად არა ვარ განწყობილი. თანაც საკმაოდ სულელია, მისდამი რამე სინაზე რომ ვიგრძნო. პატარა შავი თვალები, მუქი კანი, გაჩეჩილი თმა და აღგზნებული სიფათი... იმ ბერძენი გაიძვერა ბიჭის მსგავსი, რომელიც შეიძლება მერკურის უხილავი ქანდაკების ძირთან ჩაცუცქული შეამჩნიოს კაცმა; ბატივით სულელად მოაქვს თავი, მაგრამ ცალი თვალით ღმერთს უთვალთვალებს, რომ სანდლები ასწაპნოს.

- აქ რისთვის?..

- „ხვადი“ ვარ. პიგალელ გამძრომ-გამომძრომს მეძახიან.

- რაღაც არ გამოდის. ისე არა ხარ ჩაცმული. პიგალზე მხოლოდ დეიდა-პედერასტები არიან. მიდი, მიამბე.

ბერძენი ბიჭი ჰყვება, რომ ზუსტად მაშინ დაიჭირეს, როცა რომელიღაც ბისტროს სალაროს უჯრიდან ბანკნოტების ბღუჯა უნდა ამოეღო.

- შურს ვიძიებ. როგორც კი აქედან გავალ. ღამე ყველა ფანჯარას ქვებით ჩავამსხვრევ. ვიდრე ქვებს ავკრეფ, მანამდე ხელთათმანებს ჩავიცვამ, რომ კვალი არ დავტოვო. ცუდი ვარ.

იაფფასიანი რომანების კითხვას ვაგრძელებ. ჩემი სიყვარული კმაყოფილდება დიდებულის ტანსაცმელში გადაცმული ნაძირალებით. ასევე სიცრუისადმი, სიყალბისადმი ჩემი მიდრეკილებაც, რაც, ალბათ, მაიძულებდა, სავიზიტო ბარათზე დამეწერა: „ჟან ჟენე, ცრუ გრაფი დე ტიიანკური“. ამ სქელი წიგნების ჩაჭყლეტილშრიფტიანი გვერდებიდან უამრავი სასწაული მეცხადება. ჩნდებიან შროშანებივით წელგამართული ჭაბუკები. ისინი, ნაწილობრივ ჩემი წყალობით, ერთსა და იმავე დროს პრინცებიც არიან და მათხოვრებიც. თუ ჩემგან დივინს ვქმნი, მათგან - მის საყვარლებს: ნოტრ-დამს, მინიონს, გაბრიელს, ალბერტოს, ბიჭებს, რომლებმაც მაგარი სტვენა იციან, რომელთა თავებზეც, თუ კარგად დავაკვირდებით, შეიძლება, შარავანდედში სამეფო გვირგვინიც შევამჩნიოთ. ვერ შევძელი, ისე გამეკეთებინა, რომ ნაღველი მორეოდათ იაფფასიანი რომანების ლონდონისა და ვენეციის ცასავით ნაცრისფერი ქაღალდის გვერდების მიმართ, რომლებიც ტუსაღების მიერ ნახატებითა და ავის მომასწავებელი ნიშნებით იყო აჭრელებული: ანფასის თვალებით პროფილებზე, გასისხლიანებული გულებით. გონებისთვის ამ სულელურ ტექსტებს ვკითხულობ, მაგრამ ჩემთვის საინტერესო არ არის წიგნი, საიდანაც თავს მატყდება მოწამლული ისრებივით შებუმბლული ფრაზები. ხელი, რომელიც მათ ისვრის, მოხაზავს და რამდენიმე ადგილას აჭედებს ჟანის ბუნდოვან სილუეტს, რომელიც საკუთარ თავს ცნობს, განძრევას ვერ ბედავს, ელის იმ ისარს, რომელიც პირდაპირი დამიზნებით გულში მოხვდება და სასიკვდილო აგონიურ კანკალს მოჰგვრის. ციხე რომ მიყვარს, ისე სიგიჟემდე მიყვარს ეს მჭიდრო, კომპაქტური ხაზები, უწმინდურების გროვის მსგავსი, მსგავსი კატების მკვდარი ჩანასახების სისხლიანი ნაკვალევით დასვრილი თეთრი ზეწრებისა და უკვე აღარ ვიცი, ესენი უდრეკად აღმართული შამბალებია, მკაცრ რაინდებად ქცეული თუ რაინდები არიან ვერტიკალურ შამბალებად გარდაქმნილი.

და თანაც, განა საჭიროა, ასე პირდაპირ, უშუალოდ, ჩემს თავზე ვილაპარაკო? გაცილებით მომწონს, საკუთარი თავი ალერსისას აღვწერო, რასაც ჩემი საყვარლებისთვის ვინახავ. კიდევ ცოტაც და, ეს ახალი ჟანი მინიონად იქცეოდა. რა აკლდა? როცა მკვეთრი ხმაურით გაზებს უშვებს, ოდნავ ჩაჯდება ხოლმე, ხელებს ჯიბიდან არ იღებს, სხეულსაც ცოტა შემოაბრუნებს, თითქოს ტანი ჩახრახნაო. საჭესთან მდგარი მეზღვაურის მოძრაობა გახლავთ. იგი მინიონს ქმნის, რომელშიც სხვა რამეებთან ერთად ესეც მომწონდა: როცა იავურ მელოდიებს მღეროდა, საცეკვაო პას ასრულებდა, ხელებს წინ ისე იშვერდა, თითქოს პარტნიორი ქალის სხეულს ეხვევაო (სურვილის მიხედვით ამ სხეულს ხან თხელს წარმოადგენდა, ხანაც სქელს, ერთმანეთს აშორებდა და აახლოებდა თავის მუდმივად მოძრავ ხელებს); ისიც ჩანდა, თითქოს ველოსიპედის მგრძნობიარე საჭეს უჭერდა ხელს, თითქმის სწორ გზაზე რომ მიაქანებს; და კიდევ აღგზნებულ მოკრიალეს ჰგავდა, მსუბუქი და მტკიცე მოძრაობებით ღვიძლში დარტყმებს რომ იგერიებს; ეს მოძრაობა დამახასიათებელი იყო იმ მრავალი გმირისათვის, რომლებადაც უცბად იქცეოდა მინიონი, და მისი ეს ჟესტი ყოველთვის ყველაზე ნატიფი „მამლის“ ზუსტი სიმბოლო იყო. იგი იმ ჯადოსნურ ჟესტებს აკეთებდა, რომელთა წყალობითაც მათ მუხლებზე აღმოვჩნდებით ხოლმე. მკაცრი ჟესტები, დეზებს რომ გვკრავს და კვნესას გვაიძულებს, ჩემ მიერ ნანახ

ქალაქს მაგონებს, რომელსაც გვერდებიდან სისხლივით სდიოდა ერთ რიტმში მოძრავი ძილმორეული ქანდაკებების თხევადი ნაკადი. მთვარეულთა ბატალიონები ქუჩებში ისე მოძრაობენ, როგორც მფრინავი ხალიჩა ანდა ბორბალი, ჯაყჯაყით, ხტუნვა-ხტუნვით ნელი და მძიმე რიტმით მომავალი. მათი ფეხები ღრუბლებზე ბორძიკობენ, ეღვიძებათ, რომელიღაც ოფიცერი რაღაცას ამბობს და ისევ იძინებენ და ძილში მიდიან, ჩექმებზე კი, კვარცხლბეკივით მძიმე ჩექმებზე, მტვერი ედებათ. მინიონების ჰგვანან, რომლებიც ჩვენში გადიან, და თავიანთ ღრუბლებზე შორეულნი არიან. ერთადერთი მათი განმასხვავებელი რკინის ლაჯებია, რომლებიც მათ არასოდეს მისცემს საშუალებას, მოქნილ და მოხერხებულ „ხვადებად“ იქცნენ. აღტაცებული ვარ, რომ სუტენიორმა ჰორსტ ვესელმა, როგორც ამბობენ, დასაბამი დაუდო ლეგენდასა და ხალხურ დატირებას.

უმეცარნი, ოქროს მტვერივით გამანაყოფიერებლები, თავს დაატყდნენ პარიზს, რომელიც მთელი ღამე გულს იმშვიდებდა.

ჩვენ კი ჩვენს საკნებში ვცახცახებთ, როგორც კი ამ „მამლების“ დროსტარებას წარმოვიდგენთ, გაძლიერებული ავხორცობისაგან ვმღერით და ვგოდებთ, ისე ვტკბებით, თითქოს ლაჯებგაჩაჩხული გაბრექილასოიანი გიგანტი დაგვენახოს.

თითქმის უკვე სამ თვეს იყო მინიონი ციხეში - იმ ხანებში ხშირად ვხვდებოდი პატარა ბიჭებს, რომლებსაც, როგორც მე მეჩვენებოდა, მიუხედავად მათი ახალგაზრდობისა, სახეზე ნებისყოფა და სიმკაცრე ეწერათ, რაც უფრო აშკარას ხდიდა ჩემს დონდლო, თეთრ სხეულს, რომელიც უკვე აღარაფრით მაგონებდა იმ დაუნდობელ პატიმარს მეტრეიდან, თუმცა იმ ბიჭების გამოცნობა არ გამჭირვებია და მეშინოდა მათი - როცა ის შეხვედრების ოთახში ჩავიდა. იქ ვიღაც ახალგაზრდა ნოტრ-დამ-დე-ფლერზე ელაპარაკა. რასაც თავიდან ბოლომდე გიამბობთ, მინიონმა სხვადასხვა წყაროებიდან შეიტყო: აფარებულ ხელს მიღმა საიდუმლოდ წარმოთქმული სიტყვებიდან, უამრავი სხვადასხვა შეხვედრიდან. მთელი თავისი გამაბრუებელი ცხოვრების განმავლობაში მინიონი, რომელიც ყველაფრის საქმის კურსში იყო, ვერასოდეს ვერაფერს გაიგებს. მისთვის უცნობი დარჩება, რომ ნოტრ-დამი მისი ვაჟია; არც ის ეცოდინება, რომ ამ ამბავში, რომელსაც ბიჭი უყვება, პიერო კორსიკელი ნოტრ-დამია, ეს მეტსახელი კი იმიტომ დაირქვა, რომ ნარკოტიკებით ევაჭრა. მაშ ასე, ნოტრ-დამი ამ ბიჭთან იყო, რომელიც მერე მთხრობელი იქნება. ამ დროს კიბის ბაქანზე ლიფტი გაჩერდა. ლიფტის გაჩერების ხმამ ის წამი აღნიშნა, საიდანაც გარდაუვალს უნდა შერიგებოდი. ვისაც ლიფტის გაჩერების ხმაური შემოესმება, გულს აუჩქარებს, როგორც სადღაც შორს ლურსმნის ჩაჭედების ხმა. იგი სიცოცხლეს მინასავით მსხვრევადად აქცევს. კარზე დარეკეს. ზარის ხმა ისე საბედისწეროდ არ ისმის, როგორც ლიფტის ხმაური; საკუთარი თავის რწმენა ნაწილობრივ დაუბრუნდა, ყოველდღიურობის შეგრძნებაც. ლიფტის ხმაურის შემდეგ რომ არაფერი მომხდარიყო, ის ბიჭი და ნოტრ-დამი შიშით დაიხოცებოდნენ. კარი ბიჭმა გააღო.

- პოლიცია! - თქვა ორიდან ერთმა და თქვენთვის ცნობილი მოძრაობით პიჯაკის ლაცკანი გადმოაბრუნა.

ახლა ჩემთვის ფატალურია ის სამკუთხედი, რომელსაც სამი ადამიანი ქმნის იმდენად ბანალური მანერით, რომ საფრთხეს გრძნობ. დავუშვათ, ქუჩაში მივდივარ. სამივე ტროტუარზე დგას მარცხნივ. მე ჯერ ვერ ვხედავ. მაგრამ მათ უკვე შემამჩნიეს: ერთი მარჯვენა ტროტუარზე გადადის, მეორე მარცხენა მხარეს რჩება, მესამე ოდნავ ანელებს ნაბიჯს და იმ სამკუთხედის წვერს ქმნის, რომელშიც სადაცაა აღმოვჩნდები: ეს პოლიციაა.

- პოლიცია.

მან წინკარი გაიარა. მთელ იატაკზე ხალიჩა ეგო. საკუთარი ყოველდღიური ცხოვრების არეულობა - სადაც ფეხსაცმლის თასმებს იხსნიან, ღილებს იკერებენ, სახიდან ფერიმჭამელებს იცილებენ - დეტექტიური რომანის მსგავს თავგადასავლებთან თანხმობაში რომ მოიყვანო, გარკვეული აზრით, თვითონ უნდა ფლობდე ფერიას სულს. პოლიციელები მოდიოდნენ და პიჯაკის ჯიბეში ჩაყოფილ ხელს ჩახმახშეყენებულ რევოლვერს უჭერდნენ. ბინის სიღრმეში, ბუხრის ზემოთ, უზარმაზარი სარკე იყო აღმართული, ბროლის როკაილებიანი, რთულწახნაგებიანი ჩარჩოთი; ყვითელაბრეშუმგადაკრული რამდენიმე სავარძელი სხვადასხვა ადგილას იდგა. ფარდები ჩამოფარებული იყო. სინათლე პატარა ჭაღიდან ეცემოდა: შუადღე იყო. პოლიციელებმა დანაშაულის სუნი იგრძნეს, და მართლებიც

იყვნენ, რადგან ამ ოთახის დახუთული ატმოსფერო ზუსტად იმეორებდა იმ ოთახის გარემოს, სადაც აქოშინებულმა ნოტრ-დამმა შებორკილი თავაზიანობითა და შიშნარევი მოძრაობებით გაგუდა ბერიკაცი. მათ პირდაპირ, ბუხარზე, ვაზა იდგა ვარდებით და ნიუკებით. როგორც მოხუცთან, აქაც მხოლოდ გალაქული ავეჯის ხვეულები ჩანდა. სინათლე იქიდან თითქოს უფრო გამოდიოდა, ვიდრე ზედ ეცემოდა, როგორც ყურძნისმარცვლები ასხივებს სინათლეს. პოლიციელები წინ მიიწევდნენ და ნოტრ-დამი უყურებდა, როგორ მოძრაობდნენ ისინი საზარელ მდუმარებაში, იდუმალი სივრცის მარადიულ მდუმარებას რომ ჰგავდა. ისინი მასავით მარადიულობაში დადიოდნენ.

ზუსტად მოარტყეს. ოთახის შუაგულში, დიდ მაგიდაზე, ზედ წითელი ხავერდის ფარდაგზე, დიდი შიშველი სხეული გაშოტილიყო. მაგიდასთან მდგარი ნოტრ-დამ-დე-ფლერი ყურადღებით აკვირდებოდა პოლიციელების მოახლოებას. უმძიმესი აზრი გაუჩნდათ მკვლელობაზე და იმავდროულად იმასაც მიხვდნენ, რომ ეს მკვლელობა ნამდვილი არ იყო და ამან გაანადგურა მკვლელობა; ასეთი ხელმოცარვის გამო წყენის გრძნობამ, მისი აბსურდულობისა და შესაძლებლობის გამო წყენამ, რომ ეს ნამდვილი მკვლელობა არ იყო, პოლიციელები დააბნია. სრულიად ნათელი იყო, რომ ამ გვამს, კაცისა იყო თუ ქალის, აქ არავინ ჩეხდა და ანაწევრებდა. პოლიციელებს ნამდვილი ოქროს ბეჭდები ეკეთათ და ჰალსტუხის კვანძებიც ნამდვილი ჰქონდათ. როგორც კი - მანამდეც - მაგიდის კიდესთან აღმოჩნდნენ, უკვე კარგად დაინახეს, რომ გვამი ცვილის მანეკენი იყო, ისეთი, მკერავები რომ ხმარობენ. ოღონდ მკვლელობაზე შექმნილმა აზრმა ამოცანის უბრალო პირობა აურია. „სიფათზე გეტყობა, რის გამკეთებელიც ხარ“. უთხრა ნოტრ-დამ-დე-ფლერს ასაკით უფროსმა პოლიციელმა, რადგან ნოტრ-დამს სახე ისე უბრწყინავდა, ყველა მაშინვე იფიქრებდა, ყალბიაო, ეს ანგელოზი ორსახოვანი იქნებაო, ალისა და კვამლისაგან შემდგარი, და რადგან თითოეულს ცხოვრებაში ერთხელ მაინც აქვს შემთხვევა, თქვას: „შუბი ხალთაში არ დაიმალებაო“, ამიტომ ცდილობს, რადაც უნდა დაუჯდეს, ბედისწერაზე მოხერხებული აღმოჩნდეს.

მაშ ასე, სცენაზე ყალბი მკვლელობა გაბატონდა. პოლიციელები მხოლოდ კოკაინს ეძებდნენ - რომელიღაც ჩამშვებმა სუნი აიღო.

- აბა, მოიტა კოკაინი, ჩქარა.

- კოკაინი არა გვაქვს, უფროსო.

- ჩქარა, ბიჭებო; თუ არადა, დაგაკავებთ და ჩხრეკას ჩავატარებთ. თქვენთვის უარესი იქნება.

ბიჭი წამით შეყოყმანდა, სამი წამით. პოლიციის მეთოდები იცოდა და ისიც იცოდა, რომ ჩავარდა. და გადაწყვიტა.

- აი, მეტი არა გვაქვს.

და პაწაწინა ტომსიკა გაუწოდა, წამლით სავსე სააფთიაქო პაკეტივით დაკეცილი, რომელიც მაჯის საათის თავსახურიდან გამოაძვრინა; პოლიციელმა გამოართვა და ჟილეტის ჯიბეში ჩაიდო.

- ამას?

- მაგას არა აქვს. ასეა, უფროსო, შეგიძლია გაჩხრიკო.

- ეს საიდანღა გაჩნდა?

მანეკენი. აქ უკვე, ალბათ, დივინის გავლენა უნდა ვაღიაროთ. ის ყველგანაა, სადაც აუხსნელი რამე გაჩნდება. ეს გიჟი, დაგებულ მახეებს იტოვებს უკან, ფარულ ხაფანგებს, ნარცხის ორმოებს. მკვეთრი მოხვევისას თავადაც შეიძლება გაებას შიგ. მისი წყალობით მინიონის, ნოტრ-დამისა და მათი ძმაბიჭების თავებში სრულიად უაზრო იდეები დაფუთფუთებს. ეს დოყლაპიები განუწყვეტლივ ვარდებიან და ყველაზე საშინელი ხვედრისათვის წირავენ თავს. ეს ბიჭიც, ნოტრ-დამის მეგობარი, მძარცველია; ერთხელ, ღამით, ნოტრ-დამ-დე-ფლერთან ერთად გაჩერებული მანქანიდან მუყაოს ყუთი მოიპარა; ყუთი გახსნეს და შიგ ცვილის დაშლილი მანეკენის შემზარავი ნაწილები აღმოაჩინეს.

ძაღლებმა პალტოები ჩაიცვეს. არაფერი უპასუხეს. ბუხარზე დალაგებული ვარდები მშვენიერი იყო, მძიმე კეთილსურნელებას აფრქვევდა. პოლიციელებს ეს მხოლოდ რწმენას აკლებდა. მკვლელობა ყალბი იყო ან დაუსრულებელი. ისინი ნარკოტიკების საძებნელად მოვიდნენ. ნარკოტიკები... მოსამსახურე გოგოების ოთახებში მოწყობილი ლაბორატორიები... რომლებიც ფეთქდება... და ირგვლივ ყველაფერს აფუჭებს... მაშ, კოკაინი საშიშია? ორივე ახალგაზრდა განყოფილებაში

წაიყვანეს; იმავე საღამოს კომისართან ერთად ოთახში დაბრუნდნენ ჩხრეკის ჩასატარებლად, რამაც მათ სამასი გრამი კოკაინი მოუტანა. ამის შემდეგ ბიჭსა და ნოტრ-დამს თავი უკვე აღარ გაანებეს. პოლიციელებმა ყველაფერი ქნეს, რაც შეეძლოთ, მათგან მეტი ინფორმაცია რომ გამოეწურათ. აწვებოდნენ, წურავდნენ, ცდილობდნენ, ხელთ ეგდოთ რომელიღაც ძაფის ბოლო, რომელიც ახალ ნადავლთან მიიყვანდა. თანამედროვე წამების მეთოდებიც გამოიყენეს: მუცელში წიხლის ჩარტყმა, გასილაქება, ნეკნებში სახაზავით ცემა და სხვა თამაშები - ერთიდან მეორეზე გადადიოდნენ.

- გამოტყდი! - ყვიროდნენ ისინი.

ბოლოს ნოტრ-დამი მაგიდის ქვეშ გაგორდა. მრისხანებისაგან გაცოფებული ერთი პოლიციელი ეცა, მეორემ ხელი სტაცა, შეაჩერა, რაღაც წაუბუტბუტა, ხმამაღლა კი თქვა:

- თავი დაანებე, გობერ. კანონის საწინააღმდეგო მაინც არაფერი გაუკეთებია.

- ვისა, ამ თოჯინასსახიანს? სწორედ ეგ იქნება გამკეთებელი.

შიშისგან აკანკალებული ნოტრ-დამი მაგიდის ქვეშიდან გამოძვრა. სკამზე დასვეს. ბოლოს და ბოლოს, საქმე ხომ მხოლოდ კოკაინს ეხება; მეზობელ ოთახში მეორე ბიჭს უფრო ასატანად მოექცნენ. განყოფილების უფროსი, რომელმაც ეს ცემა-ტყეპა შეაჩერა, ნოტრ-დამთან მარტო დარჩა. ის დაჯდა და ნოტრ-დამს სიგარეტი გაუწოდა.

- მიამბე, რაც იცი. საშიში არაფერია. ერთი ბეწო კოკაინისთვის გილიოტინაზე არავის აგზავნიან.

გამიჭირდება, ზუსტად ავხსნა და დაწვრილებით აღვწერო, რა ხდებოდა ნოტრ-დამის სულში. ამ შემთხვევაში, არა მგონია, შეიძლებოდეს, ვილაპარაკოთ პოლიციელის უფრო ალერსიანი ტონის მიმართ მადლიერებაზე. ჯერ კიდევ არაფერს ნიშნავდა განტვირთვა, რომელიც ნოტრ-დამმა განიცადა პოლიციელის მიერ ამ წინადადების წარმოთქმისას: „საშიში არაფერია“. პოლიციელმა უთხრა:

- იმ თქვენმა მანეკენმა გამოიყვანა წონასწორობიდან.

მან გაიცინა და სიგარეტი მოქაჩა.საკუთარი სიტყვებით დატკბა. ეშინოდა კი ნოტრ-დამს მცირე სასჯელისა? ჯერ ღვიძლიდან წამოვიდა და კბილებს მოადგა ბერიკაცის მკვლელობის აღიარება. მაგრამ არ გამოტყდა. მაგრამ აღიარება სულ ზევით-ზევით მოიწევდა. პირს თუ დააღებდა, ყველაფერს დაფქვავდა. იგრძნო, იღუპებოდა. უცბად თავბრუ დაეხვა. ნათლად დაინახა საკუთარი თავი არცთუ მაღალი ტაძრის ფრონტონზე. „თვრამეტი წლისა ვარ. და შეიძლება სიკვდილი მომისაჯონ“, - სწრაფად გაუელვა თავში. საკმარისია, თითები გაშალოს, და წამოსცდება. მაგრამ გონს მოდის და თავს ერევა. არა, არაფერს იტყვის. ეთქვა, კარგი იქნებოდა, დიდებული; მაგრამ არა, არა და არა! ღმერთო, არა!

აჰ! გადარჩა. პირს მომდგარი აღიარება უკან იხევს ისე, ამოსვლაც ვერ მოასწრო.

- ბერიკაცი მე მოვკალი.

ნოტრ-დამი ტაძრის ფრონტონს მოსწყდა და მშვიდმა სასოწარკვეთამ მაშინვე თვლემა მოჰგვარა. ცოტა დამშვიდდა. პოლიციელი არც განძრეულა.

- ვინ? რომელი ბერიკაცი?

ნოტრ-დამი გამოფხიზლდა. გაიცინა:

- არა, არა, ვიხუმრე, უბრალოდ ვღადაობ.

თავბრუდამხვევი სისწრაფით ალიბის ამზადებს: მკვლელი საკუთარი ინიციატივით მკვლელობას აღიარებს, ოღონდ იდიოტურად, მკვლელობის შეუძლებელი დეტალებით, რათა იგი გიჟად მიიღონ და მასზე ეჭვი მოხსნან. ამაოდ დაშვრება. ნოტრ-დამს ისევ აწამებენ. ტყუილად ყვირის, ვიხუმრეო, პოლიციელებს სურთ, ყველაფერი იცოდნენ. ნოტრ-დამმა იცის, ისინი ყველაფერს გაიგებენ, მაგრამ, რადგან ახალგაზრდაა, თავის დაღწევას ცდილობს. ეს უკვე დამხრჩვალი კაცია, საკუთარ მოძრაობებს მაინც რომ ებრძვის და რომელშიც ნელ-ნელა ისადგურებს სიმშვიდე - იცით თქვენ, დამხრჩვალთა სიმშვიდე. იგი ნელა ეშვება. ახლა პოლიციელები ასახელებენ ბოლო ხუთი თუ ათი წლის მანძილზე მოკლულებს, რომელთა მკვლელებიც ნაპოვნი არ არიან. სია იზრდება; ნოტრ-დამი უსარგებლო აღმოჩენას აკეთებს პოლიციის უკიდურეს გაუთვითცნობიერებლობაზე. მის თვალწინ ძალადობრივი სიკვდილის მთელი მწკრივი გადის. პოლიციელები ასახელებენ გვარებს, გვარებს და ურტყამენ. ბოლოს პოლიციელები აპირებენ, ნოტრ-დამს ჰკითხონ: „იქნებ მისი სახელი არ იცი?“ ჯერ არა. ისინი

ისევ გვარებს ასახელებენ და ბავშვის აწითლებულ სახეს დაჟინებით აკვირდებიან. ეს თამაშია. გამოცნობანას თამაში. ნუთუ ახლა დავიწვები? რაგონი?.. სახე ისე აქვს დასივებული, მის მიხედვით კაცი ვერაფერს მიხვდება; ყველაფერი ერთმანეთში შეერია. ნოტრ-დამი ყვირის:

- ჰო, ჰო, ეგ არის! თავი დამანებეთ.

თვალებზე თმა ჩამოეყარა. თავის ერთი გადაქნევით უკან გადაიყარა, და ეს უბრალო მოძრაობა, რომელიც მისი ერთი საუკეთესო კეკლუცობათაგანი იყო, მისთვის სამყაროს ამაოებას ნიშნავდა. პირიდან ჩამოსულ დორბლს ძლივს იწმენდს. ისეთი სიმშვიდე ვარდება, რომ არავინ იცის, მერე რაღა აკეთოს.

მეორე დღეს ნოტრ-დამ-დე-ფლერის სახელი უცბად მთელი საფრანგეთისთვის გახდა ცნობილი; საფრანგეთი კი დომხალს უკვე მიჩვეულია. ისინი, ვინც გაზეთებს მხოლოდ ათვალიერებს, ნოტრ-დამ-დე-ფლერის სახელს ყურადღებას არც მიაქცევენ. ისინი კი, ვინც სტატიების სიღრმეებს სწვდება, ალღოთი უცებ იგრძნობენ უჩვეულოს, კვალში ჩაუდგებიან და მშვენიერი თევზაობა გამოუვათ: ასეთი მკითხველები მოწაფეები არიან, კიდევ ერნესტინივით პროვინციაში ჩარჩენილი მოხუცი ქალები, მოხუცებად რომ დაიბადნენ ებრაელების ბავშვებივით, ოთხი წლისას ისეთივე სახე და მოძრაობები აქვთ, როგორიც ორმოცდაათი წლის ასაკში. ზუსტად ერნესტინის გამო მოკლა ნოტრ-დამმა ბერიკაცი, მისი სიცოცხლის მიწურულის მწუხარებაში ხიბლი რომ შეეტანა. მას შემდეგ, რაც ერნესტინმა თავისი საბედისწერო ამბებისა თუ ისტორიების თხზვა წამოიწყო, დუნე, ბანალური მოქმედებებით, რომლებშიც ზოგი ისეთი ფეთქებადი ფრაზაც იყო, ფარდას ხევდა და გაგლეჯილი ადგილიდან, თუ შეიძლება ასე ითქვას, კულისების ნაწილი ჩანდა, ყველა გაოცებით მიხვდა, რატომაც ლაპარაკობდა ასე. პირი ზღაპრებით ჰქონდა სავსე და, საინტერესოა, როგორ ებადებოდა ეს ზღაპრები თავში, როცა საღამოობით მხოლოდ უმარილო მასალებით სავსე გაზეთს კითხულობდა: მისი ზღაპრები საგაზეთო სტატიებიდან იბადებოდა, როგორც ჩემი ნაწარმოებები - იაფფასიანი რომანებიდან. ჩასაფრებულივით იჯდა ფანჯრის მინებს იქით და ფოსტალიონს ელოდა. რაც უფრო ახლოვდებოდა ფოსტის მოსვლის დრო, მტანჯველი მღელვარება უფრო ემატებოდა, დაბოლოს, როცა ნაცრისფერ ფოროვან, გათამაშებული დრამის სისხლმდინარე გვერდებს ხელს შეავლებდა (სისხლის სუნს ქაღალდისა და სტამბის საღებავის სუნში ურევდა), როცა მუხლებზე გადაიშლიდა, გატანჯული, ძველ წითელ სავარძელში ღრმად ეფლობოდა.

როგორც კი სოფლის მოძღვარმა გაიგო, რომ მის ირგვლივ ნოტრ-დამ-დე-ფლერის სახელი ლივლივებდა, ეპარქიის განკარგულებისთვის აღარ დაუცდია და საკვირაო ქადაგებაში მრევლს მოუწოდა, ახალ კულტზე განსაკუთრებული მოწიწებით ელოცათ. თავიანთ სკამებზე მსხდარმა სულის სიღრმემდე შეძრულმა მორწმუნეებმა სიტყვა ვერ დაძრეს და გაფიქრებითაც ვერაფერი გაიფიქრეს.

ერთ პატარა სოფელში ყვავილის სახელმა, რომელსაც „ველთა დედოფალს“ ეძახიან, პატარა გოგონას, რომელიც განუწყვეტლივ ყვავილების ღვთისმშობელზე ფიქრობდა, კითხვა გაუჩინა:

- დედიკო, ეს არის სასწაული?

სხვა სასწაულებიც ხდებოდა, მაგრამ დრო არ მეყოფა მათ მოსაყოლად.

მდუმარე და აღგზნებული მოგზაური ქალაქში ჩასვლისას არ აყოვნებს და პირდაპირ ჯურღმულებს, ბუნაგებს, ცუდი სახელის მქონე კვარტალებსა და ბორდელებს მიაშურებს ხოლმე. იდუმალ გრძნობას მიჰყვება, რომელიც ფარული სიყვარულისკენ მოუწოდებს; იქნებ ჩვევასაც, მარშრუტებსაც იქაურობის ხშირი სტუმრებისა, რომლებსაც საამური ნიშნებითა თუ პაროლებით ცნობს, ერთმანეთს ქვეცნობიერის დონეზე რომ უცვლიან, და რომლებსაც ნდობით აღვსილი მიჰყვება. აი ასე ეწაფებოდა ერნესტინიც წვრილი ასოებით აწყობილი შემთხვევების რუბრიკას - საგაზეთო Barrios Chin-ს, რომელიც მკვლელობების, ქურდობების, გაუპატიურებების, შეიარაღებული თავდასხმების შესახებ იუწყება. ეძინა და სიზმრებშიც მათ ხედავდა. მათი ლაკონური სიმკაცრე და სიზუსტე არც სივრცეს ტოვებდა და აღარც დროს იმისათვის, რომ მათში რაიმე ოცნებას გაეღწია: ისინი ანადგურებდა ერნესტინს. უხეშად ჩნდებოდნენ, ცოცხალ ფერებად, ხმაურით: მოცეკვავე ქალის სახეზე დაწყობილი წითელი ხელები, მწვანე სახეები, ლურჯი ქუთუთოები. როცა ეს ბობოქარი ღელვა დაცხრებოდა, რადიორუბრიკაში ყველა მუსიკალური ნაწყვეტის სათაურს კითხულობდა,

მაგრამ მის ოთახში მუსიკის ჰანგებს რომ შეეღწია, ვერ აიტანდა, რადგან მელოდია, ყველაზე მსუბუქიც კი, პოეზიას ამახინჯებს. გაზეთები ისეთ შეშფოთებას იწვევდნენ, თითქოს მათ მხოლოდ შემთხვევების სვეტები, საწამებელი ბოძებივით სისხლიანი და დასახიჩრებული სვეტები, ავსებდა. და მართალია, პროცესს, რომლის ამბავსაც ხვალ წავიკითხავთ, პრესამ ძუნწად დაუთმო შორიშორს განლაგებული ათიოდე სტრიქონი, რათა მეტისმეტად მკაცრ სიტყვებს შორის ჰაერს ემოძრავა, ამ ათმა ხაზმა - რომელთაც უფრო ძლიერი ჰიპნოზის ძალა ჰქონდა, ვიდრე ჩამომხრჩვალის შარვლის უბეს ან სიტყვა „სახრჩობელას“, ანდა სიტყვებს „საჯარიმო ასეული“ - ამ ათმა ხაზმა დედაბრებსა და შურიან ბავშვებს ძალუმად აუჩქარა გული. პარიზს არ ეძინა. პარიზს იმედი ჰქონდა, რომ ხვალ ნოტრ-დამს სიკვდილს მიუსჯიდნენ: პარიზს ეს სურდა.

დილით დამლაგებლებმა, სიკვდილმისჯილთა სინაზისა და მწუხარებისადმი უგრძნობმა ხალხმა - მკვდარია თუ არა, რა მნიშვნელობა აქვს მათთვის, რაკი ნაფიც მსაჯულთა პალატამ მათ აქ მიუჩინა ადგილი - მძაფრი ბუღი დააყენეს, პარკეტი მორწყეს, იფურთხეს, იგინეს, სასამართლო აღმასრულებლებთან ერთად, საქმეებს რომ აწესრიგებენ, იცინეს. მოსმენა ზუსტად თორმეტ საათსა და ორმოცდახუთ წუთზე დაიწყება. და შუადღისას მეკარემ კარი ფართოდ გააღო.

დარბაზი დიდებული არ არის, მაგრამ ძალიან მაღალია, ამიტომ ვერტიკალური ხაზები დომინირებს და მშვიდი წვიმის შთაბეჭდილებას ქმნის. შესვლისთანავე თვალში გხვდება კედელზე დაკიდებული დიდი სურათი, რომელზეც გამოსახულია ნაკეცებიანი წითელი ქსოვილით მოსილი ქალისსახიანი მართლმსაჯულება; სხეულის მთელი სიმძიმით მოუდრეკავ ხმალს ეყრდნობა, აქ რომ „მახვილს“ ეძახიან. მის ქვეშ ამაღლებული ადგილია და მაგიდა, სადაც მანტიებსა და წითელ ტანსაცმელში გამოწყობილი თავმჯდომარე და ნაფიცი მსაჯულები დაბრძანდებიან, რომ ბავშვი გაასამართლონ. თავმჯდომარეს „ბ-ნი თავმჯდომარე ვაზ დე სენტ-მარი“ ჰქვია. და ბედისწერა, კიდევ ერთხელ რომ მიაღწიოს თავის მიზანს, მდაბალ მეთოდებს იყენებს. თორმეტი ნაფიცი - ეს თორმეტი ყოჩაღია, რომლებიც უცბად უზენაეს მოსამართლეებად იქცევიან. მაშ ასე, შუადღისას დარბაზი ივსება. საბანკეტო დარბაზი. სუფრა გაშლილია. მინდოდა, ამ ნაფიცთა ბრბოზე სიმპათიით მელაპარაკა, იმიტომ კი არა, რომ ნოტრ-დამ-დე-ფლერისადმი მტრულად არ იყვნენ განწყობილი - ეს ჩემთვის სულერთია - არამედ იმიტომ, რომ ათას პოეტურ ჟესტად ელვარებენ. მერდინივით თრთიან. ნოტრ-დამი ხიშტებამოშვერილი უფსკრულის პირას სახიფათო ცეკვას ასრულებს. ბრბოს არ უხარია, მომაკვდინებელი სევდა დაუფლებია. სკამებზე მიჯრით სხდებიან, მუხლებს ერთმანეთს უჭერენ, დუნდულებსაც, ცხვირს იხოცავენ, ბრბოს ასობით საჭიროებას იშორებენ, რომლის სიმძიმეც დიდებულებას დაბლა სწევს. პუბლიკა აქ მხოლოდ იმიტომ მოდის, რომ ერთ, ერთადერთ სიტყვას შეიძლება თავის მოკვეთა მოჰყვეს, და მერე ისე მიდის, როგორც წმინდა დიონისე, რომელსაც ხელით თავისი მოკვეთილი თავი მიაქვს. ზოგჯერ ამბობენ, სიკვდილი ადამიანებს თავს დასტრიალებსო. გაიხსენეთ, რა იყო ჩამომხმარი, ჭლექიანი იტალიელი ქალი კიულაფრუასთვის და შემდეგ რა გახდება დივინისთვის. აქ სიკვდილი მხოლოდ უსხეულო შავი ფრთაა, ქოლგის წვრილი ჩხირების კარკასზე გადაჭიმული შავი მარმაშის ნაკუწებისაგან მოქსოვილი ფრთა, მეკობრეთა უტარო ალამი. მარმაშის ეს ფრთა სასახლის თავზე დალივლივებდა და ყოვლად შეუძლებელია, სხვაში აგვერიოს, რადგან ეს მართლმსაჯულების სასახლეა. იგი თავისი ნაკეცებით გარს ეხვევა სასახლეს და დარბაზში თავის წარმომადგენელს - ჩინური აბრეშუმის მწვანე ჰალსტუხს გამოყოფს. თავმჯდომარის მაგიდაზე ჰალსტუხი ერთადერთი ხილული ნივთმტკიცება გახლდათ. ხილული სიკვდილი აქ მხოლოდ ჰალსტუხი იყო და მე მომწონს, რომ ეს ასეა: ეს მსუბუქი სიკვდილი იყო.

ბრბოს რცხვენოდა, რომ მკვლელი თვითონ არ იყო. იღლიაში საქაღალდეამოჩრილი შავი ადვოკატები ღიმილით მიმოდიოდნენ ერთმანეთთან. ზოგჯერ პატარა სიკვდილსაც თავხედურად უახლოვდებოდნენ. ადვოკატები ქალები იყვნენ. ჟურნალისტებიც ადვოკატებთან იდგნენ. სამეურვეო საზოგადოების წარმომადგენლები ხმადაბლა ელაპარაკებოდნენ ერთმანეთს. ისინი ადამიანის სულისთვის ედავებოდნენ ერთმანეთს. იქნებ კამათელიც უნდა გაეგორებინათ, რომ იგი ვოგეზებში გაეგზავნათ? მიუხედავად იმისა, რომ აბრეშუმის გრძელი შავი კაბები ეცვათ, ადვოკატებს

სასულიერო პირებისთვის დამახასიათებელი სიკვდილისკენ მიმსწრაფი თვინიერი შესახედაობა არ ჰქონდათ. ისინი ჯგუფ-ჯგუფად იკრიბებოდნენ და იშლებოდნენ, ამაღლებულ ადგილთან, სადაც მოსამართლენი წამოჯიმულიყვნენ, ძალიანახლო იდგნენ და ხალხს ესმოდა, როგორ აწყობდნენ ინსტრუმენტებს სამგლოვიარო მარშის შესასრულებლად. ბრბოს რცხვენოდა, რომ არ კვდებოდა. ეს მომენტის რელიგია გახლდათ - ახალგაზრდა მკვლელის მოლოდინი და მის მიმართ შური. მკვლელი შემოვიდა. ბრბომ მხოლოდ მცველები, უზარმაზარი გვარდიელები დაინახა. ბიჭი ერთ-ერთის მხარეს გამოჩნდა, მეორემ ბორკილი მოხსნა. ბრბოს მღელვარება ცნობილი დამნაშავის გამოჩენისას ჟურნალისტებს აღწერილი აქვთ; ასე რომ, თუ მოისურვებენ, შემიძლია, მკითხველებს მათი სტატიები გავუგზავნო, რადგან ჩემი როლი და ხელოვნება იმაში არ მდგომარეობს, რომ ბრბოს ძლიერი განცდები აღვწერო. და მაინც გავბედავ და ვიტყვი, რომ ყველას თვალებში იკითხებოდა ნოტრ-დამ-დე-ფლერის აურაში აღბეჭდილი სიტყვები: „მე უმანკო ჩასახვის ნაყოფი ვარ“. მიუხედავად იმისა, რომ ჩემს საკანში არც სინათლე კმაროდა და არც ჰაერი, მისი სახე არც ძალიან გაფითრებული ჩანდა და არც ძალიან დასივებული; მისი მოკუმული ბაგის სურათი მკაცრი ღიმილის სურათი გახლდათ; მისმა ნათელმა თვალებმა არ იცოდნენ, ჯოჯოხეთი რა იყო; მისი სახე (შეიძლება თქვენთვის ციხისნაირი რაღაცაც იყო, რომელიც ღამით სიმღერით მიმავალი ქალისთვის მხოლოდ და მხოლოდ შიშის მომგვრელ კედლებად რჩებოდა, როცა სინამდვილეში ყველა მისი საკანი ამ სიმღერით აფორიაქებული პატიმართა ხელების ფათქუნით - თითქოს ფრთები ყოფილიყოს - შეუმჩნევლად მაღლდებოდა ჰაერში), მისი გარეგნობა და ჟესტები ტყვე დემონებს ათავისუფლებდა ან გასაღების რამდენიმე გადატრიალებით სინათლის ანგელოზებს ატყვევებდა. ნაცრისფერი ფლანელის რბილი კოსტიუმი ეცვა, პერანგის საყელო გადაღეღილი ჰქონდა. ქერა თმა თვალებზე ჩამოშლას ჯიუტად ცდილობდა - თქვენც ხომ იცით, რანაირი მოძრაობით იყრიდა უკან. მაშ ასე, ნოტრ-დამი წარდგა დარბაზის წინაშე, ეს მკვლელი ესა, რომელიც, თავის მხრივაც, სადაცაა მოკვდება, თვალი ჩაუკრა და თავის მსუბუქი მოძრაობით უკან გადაიყარა თმა, რომელიც თითქმის ცხვირამდე ჩამოშლოდა. ეს უბრალო

სცენა აღგვამაღლებს, უფრო სწორად, ეს წამი აღამაღლა, ისევე, როგორც ამ სამყაროს უარმყოფელი ფაკირი მაღლდება და შეშდება ჰაერში. წამი უკვე მიწიერი კი არა, ზეციური იყო. ირგვლივ ყველაფერი იწვევდა შიშს, რომ სხდომა ამ სასტიკი წუთიერი გაელვებებით შეწყდებოდა, რომ მოსამართლეთა, ადვოკატთა, ნოტრ-დამის, მცველების ფეხქვეშ ლუკები დაიხსნებოდა და ისინი სამარადისოდ ჰაერში გაშეშებულ ფაკირებად დარჩებოდნენ, ვიდრე ერთი ღრმა ამოსუნთქვა თვით სიცოცხლეს არ მიიტანდა მათთან.

დაჭედილი ჩექმების ბრაგუნითა და ხიშტების ჩხარაჩხურით შემოვიდა საპატიო ყარაულის ოცეული (კოლონიური ჯარის ჯარისკაცები). ნოტრ-დამმა გადაწყვიტა, რომ ეს ის რაზმი იყო, რომელსაც განაჩენი უნდა მოეყვანა სისრულეში.

ნეტავ უკვე ვთქვი? პუბლიკა ძირითადად მამაკაცებისგან შედგებოდა; მაგრამ ეს მამაკაცები, მუქი ფერის ტანსაცმელი რომ ეცვათ, ხელში ქოლგები ეჭირათ ან ჯიბეში გაზეთები ეწყოთ, უფრო მეტად თრთოდნენ, ვიდრე გლიცინიის ხეივანი ან მაქმანებიანი აკვნის ფარდა. ნოტრ-დამი იყო მიზეზი იმისა, რომ სასამართლო დარბაზი, რომელსაც საზეიმოდ გამოწყობილი უცნაური ხალხი შესეოდა, მაისის წნულ ღობედ იქცა. მკვლელი განსასჯელის სკამზე იჯდა. ჯაჭვისგან გათავისუფლებული ხელები ჯიბეში ჩაეწყო; გეგონებოდა, აქ კი არა, დასაქმების რომელიღაც კანტორის მისაღებში ზის, ან ქალაქის ბაღის სკამზე და კიოსკში შორიდან პოლიშინელის ფიგურას ათვალიერებსო, იქნებ ეკლესიაშიც იყო, ხუთშაბათის კატეხიზმოზე. გეფიცებით, ასე იყო. რასაც გინდა, იმას ელოდა: უცბად ჯიბიდან ხელი ამოიღო, როგორც წუთის წინ, ახლაც თავისი მშვენიერი, პატარა თავის უეცარი მოძრაობით ქერა კულული უკან გადაიგდო. ბრბომ სუნთქვა შეწყვიტა. მოძრაობა დაამთავრა, თმაზე უკან, კეფისკენ ხელი გადაისვა, და ისევ უცნაური შთაბეჭდილება მეუფლება: როცა გაღმერთებულ პერსონაჟს უცბად ჩვეულ ჟესტს შეამჩნევ, რაღაც უფერულ თვისებას (ვთქვათ, თავის უეცარი მოძრაობით თმის უკან გადაყრას), რომელიც გაქვავებულ ქერქს ამსხვრევს, მაშინ მომხიბლავი ნაპრალიდან - ისეთიდან, მაგალითად, როგორიც ღიმილია ანდა შეცდომა - ცის ნაწილი ჩანს. რაღაც ამგვარი უკვე შევამჩნიე ნოტრ-დამის ათასი წინამორბედიდან

ერთს, იმ უმანკო ანგელოზ-მახარობელს, პატარა ქერა ბიჭს („ბიჭებივით ქერაკულულებიანი გოგოები...“. ვერასოდეს მოვიშორებ ამ წინადადებას, რომელიც ისევე მაცდუნებელია, როგორც ეს გამოთქმა: „ქალი კავალერისტი“), რომელიც ტანვარჯიშის ილეთებს ასრულებდა. მისი მოძრაობა ფიგურებზე იყო დამოკიდებული, რომლებიც უნდა გამოეხატა, ამიტომ ის მხოლოდ ნიშანი იყო. მაგრამ ყოველთვის, როცა მიწაზე მუხლი უნდა დაეყრდნო და როგორც რაინდს რაინდად კურთხევის დროს, ბრძანებისას ხელები გაეშალა, თვალებზე თმა ეშლებოდა და იგი გიმნასტიკური ფიგურის ჰარმონიას არღვევდა, როცა თმას უკან იყრიდა, საფეთქლებისკენ, მერე პატარა ყურების უკან ორივე მოხრილი ხელის მოძრაობით თმაზე წამით ხელს შეივლებდა და თავისი მოგრძო თავის ქალა დიადემასავით ეჭირა. ეს შეიძლება მონაზვნის მოძრაობაც ყოფილიყო საბურველის აწევის მომენტში, თვითონ თავი რომ არ გაექანებინა, როგორც ფრინველს წყლის დალევის შემდეგ.

ღმერთში ადამიანის ასეთივე აღმოჩენამ ერთ მშვენიერ დღეს კიულაფრუა აიძულა, ალბერტო შეეყვარებინა მისი სიმხდალისათვის.ალბერტოს მარცხენა თვალი ამოუგდეს. სოფელში ასეთი მოვლენა პატარა საქმე არ არის. მოკლედ, პოემიდან (თუ არაკიდან), რომელსაც მან დაუდო სათავე (ანა დე ბოლეინის განახლებული სასწაული: ორთქლადენილი სისხლიდან ვარდის ბუჩქი აღმოცენდება, ალბათ, თეთრი, მაგრამ უეჭველად სურნელოვანი), მხოლოდ ძირითადი აიღეს, მარმარილოს ქვეშ უწესრიგოდ მიმოფანტულ სიმართლემდე რომ მისულიყვნენ. აქედან ჩანდა, რომ ალბერტო თავისი გოგოს გამო მეტოქესთან ჩხუბს ვერ ასცდებოდა. ის მხდალი იყო და ეს მთელმა სოფელმა იცოდა. ამან მის მოწინააღმდეგეს გამარჯვების მომტანი დიდი უპირატესობა მიანიჭა სისწრაფეში: დანის ერთი დარტყმით თვალი ამოსთხარა. და კიულაფრუას სიყვარულიც, თუ შეიძლება ასე ითქვას, გაიბერა, გასივდა, როცა მომხდარი ამბავი შეიტყო. ტანჯვისაგან, გმირობისა და დედობრივი სინაზისაგან გასივდა. ალბერტო მას სიმხდალისთვის შეუყვარდა. ამ საზარელ ნაკლთან შედარებით სხვა დანარჩენი უფერულად და უწყინრად გამოიყურებოდა; ისინი შეიძლებოდა ნებისმიერ სათნოებას გაეწონასწორებინა, უპირველესად კი ულამაზესს

(ჩვეულებრივ სიტყვას ჩვეულებრივი გაგებით ვხმარობ, რომელიც მას ასე კარგად მიესადაგება და ყველაზე უკეთ გამოხატავს მადლიერებას ხორციელი სიძლიერისადმი - სიმამაცეს). ნაკლით წამხდარ ადამიანზე შეიძლება თქვან: ჯერ ყველაფერი დაკარგული არ არის, ვიდრე აი, „ის“ ნაკლი არა აქვსო. ალბერტოს კი „ის“ ნაკლი ჰქონდა. ამიტომ მნიშვნელობაც აღარ ჰქონდა, სხვა დანარჩენი ექნებოდა თუ არა. მისი შერცხვენა ამით მეტად აღარ გაიზრდებოდა. ყველაფერი დაკარგული არ არის, ვიდრე გამბედაობა მაინც რჩება, ალბერტოს კი გამბედაობაც აკლდა. ამ ნაკლის მოსპობაზე, მაგალითად, გადაჭრით მის უარყოფაზე, ფიქრსაც კი არ ჰქონდა აზრი, მაგრამ მისი დამამცირებელი ზემოქმედების მოსპობა ადვილი იყო, თუკი ალბერტო მისი სიმხდალის გამო გეყვარებოდა. მისი გადაგვარების ნიშნები აშკარა იყო და, თუ იგი ალბერტოს არ ამშვენებდა, პოეტურს მაინც ხდიდა. იქნებ ესეც იზიდავდა კიულაფრუას. ალბერტოს გამბედაობა მას არ გააოცებდა და არც გულგრილს დატოვებდა, მაგრამ ამის მაგივრად მან სხვა ალბერტო აღმოაჩინა, უფრო ადამიანი, ვიდრე ღმერთი. მან ხორცი აღმოაჩინა. ქანდაკება ტიროდა. სიტყვა „სიმხდალეს“ აქ არა აქვს მორალური - ან ამორალური - აზრი, როგორსაც ჩვეულებრივ ანიჭებენ ხოლმე, და კიულაფრუას სწრაფვა ლამაზი, ახალგაზრდა, ძლიერი და მხდალი კაცისაკენ არც ახირება იყო და არც გაუკუღმართება. კიულაფრუა ახლა ალბერტოს თვალში ხანჯალგარჭობილს, დამახინჯებულს ხედავდა. მოკვდება? ამ აზრმა აიძულა, ქვრივების დეკორაციულ როლზე ეფიქრა, უკან რომ გრძელი კრეპი მოსთრევთ, თვალებზე კი თოვლის გუნდასავით შეკრული, შეკუმშული, ჩასრესილი პატარა თეთრი ცხვირსახოცები აქვთ აფარებული. ახლა მხოლოდ თავისი ტანჯვის გარეგნულ ნიშნებსღა აქცევდა ყურადღებას, მაგრამ, რადგან მისი ტანჯვა ადამიანებისთვის შესამჩნევი არ უნდა ყოფილიყო, ამიტომ იძულებული გახდა, ის თავის შიგნით გადაეტანა, როგორც წმინდა ეკატერინე სიენელმა გადაიტანა თავისი სენაკი. გლეხებმა ბავშვი დაინახეს, რომელსაც უკან ცერემონიული ძაძები მოსთრევდა; იგი ვერ იცნეს. ვერ მიხვდნენ მისი ნელი სვლის, თავის დახრის, მისი დაბნეული მზერის აზრს. მათთვის ყველაფერი ეს მხოლოდ პოზა იყო, იმ ბავშვის მედიდურობით ნაკარნახევი, რომელიც შიფერისსახურავიან სახლში

დაიბადა.

ალბერტო საავადმყოფოში წაიყვანეს, სადაც გარდაიცვალა - ბოროტი სული სოფლიდან განდევნეს.

ნოტრ-დამ-დე-ფლერი. პირი ოდნავ ღია ჰქონდა. მისი მზერა ზოგჯერ ქვევით, ფეხებისკენ იყო მიმართული, რომლებზეც, როგორც ბრბო იმედოვნებდა, საბალეტო ფეხსაცმელი ეცვა. სრულიად უსაფუძვლოდ, მისგან მოცეკვავის მოძრაობას ელოდნენ. მოხელეები განუწყვეტლივ საბუთებში იქექებოდნენ. პატარა, მოქნილი სიკვდილი მაგიდაზე უძრავად იდო და უსულოს ჰგავდა. ხიშტებმა და ქუსლებმა იელვა.

- სასამართლო მოდის!

სასამართლო ფარული კარიდან შემოვიდა, რომელიც მსაჯულთა მაგიდის უკან, გობელენში იყო გაკეთებული. ნოტრ-დამს ციხეში ბევრი რამ სმენოდა სასამართლოს ბრწყინვალებაზე და ახლა წარმოიდგინა, რომ დღეს რაღაც უზარმაზარი შეცდომის წყალობით ის ფართოდ გაღებული მთავარი შესასვლელიდან შემოვიდოდა, როგორც გაოცებული მორწმუნეების ზურგს უკან ჩნდება ხოლმე ბზობას სამღვდელოება, რომელიც, ჩვეულებრივ, ქორედის გვერდითა კარიდან გამოდის. სასამართლო, პრინცების ფამილიარული დიდებულებით, სასამსახურო კარიდან შემოვიდა. ნოტრ-დამს წინათგრძნობა გაუჩნდა, რომ სხდომას გააყალბებდნენ და საღამოს მისი თავი მოკვეთილი აღმოჩნდებოდა, როგორც სარკეებით გაკეთებულ ტრიუკში ხდება ხოლმე. ერთმა გვარდიელმა მხარში ხელი ჩაავლო, შეანჯღრია და უთხრა:

- ადექი.

უნდოდა ეთქვა, „ადექითო“, მაგრამ ვერ გაბედა. დარბაზი მდუმარედ იდგა ფეხზე. მერე ხმაურით დაეშვა სკამებზე. ბატონი ვაზ დე სენტ-მარი მონოკლს ატარებდა. მან ალმაცერად გადახედა ჰალსტუხს და ორივე ხელით დაიწყო საქმის ფურცვლა. საქმე ისევე იყო დეტალებით გატენილი, როგორც გამომძიებლის კაბინეტი - საქმეებით. ნოტრ-დამის პირდაპირ მჯდარი პროკურორის მოადგილე სამარესავით დუმდა. გრძნობდა, რომ მისი ერთი სიტყვა, მეტისმეტად ჩვეულებრივი ჟესტი მას მაშინვე ეშმაკის ადვოკატად აქცევდა და მკვლელის კანონიზაციას დაადასტურებდა. მძიმე მომენტი იყო; პროკურორის მოადგილე თავის რეპუტაციას საფრთხეში აგდებდა. ნოტრ-დამი დაჯდა. ბატონი ვაზ დე სენტ-მარის ხელის მსუბუქმა მოძრაობამ ისევ ადგომა აიძულა.

დაკითხვა დაიწყო:

- თქვენი სახელი და გვარი ადრიან ბაიონია?

- დიახ, ბატონო.

- 1920 წლის 19 დეკემბერს დაიბადეთ?

- დიახ, ბატონო.

- სად?

- პარიზში.

- ასე. რომელ ოლქში?

- მეთვრამეტეში, ბატონო.

- კარგი. თქვენს... თქვენს წრეში მეტსახელად გიწოდეს... (შეყოყმანდა. მერე:)

- მოახსენეთ, სასამართლოს.

მკვლელმა არაფერი უპასუხა, მაგრამ სახელი, არწარმოთქმული, ბრბოს თავიდან ფრთაგაშლილი ამოფრინდა და დარბაზს გადაუარა, უჩინარმა, სურნელოვანმა, იდუმალმა და საიდუმლოებით მოცულმა.

თავმჯდომარემ ხმამაღლა უპასუხა:

- დიახ, ასეა. და თქვენ ხართ შვილი...

- ლუსი ბაიონისა.

- მამა უცნობია. დიახ. ბრალდება... (აქ მსაჯულებმა - თორმეტნი იყვნენ - ისეთი მოხერხებული მდგომარეობა მიიღეს, როგორიც მათ მიდრეკილებებს უწყობდა ხელს და ამავე დროს ღირსების შენარჩუნების საშუალებასაც აძლევდა. ნოტრ-დამი ისევ ფეხზე იდგა, ხელები ტანის გასწვრივ ისე ჩამოეშვა, როგორც მოწყენილ, მოჯადოებულ მეფისწულს, რომელიც სასახლის კიბის საფეხურებიდან სამხედრო პარადს უყურებს).

თავმჯდომარემ გააგრძელა:

- ...1937 წლის 7-8 ივლისის ღამეს, ისე, რომ თითქმის არავითარი კვალი არ დაუტოვებია, ბინაში შეიჭრა, რომელიც ვოჟირარის ქუჩაზე, ნომერ 12 სახლის მეხუთე სართულზე მდებარეობს და სამოცდაშვიდი წლის ბატონ

რაგონ პოლს ეკავა.

თავი ასწია და ნოტრ-დამს შეხედა:

- ამ ფაქტებს აღიარებთ?

- დიახ, ბატონო.

- გამოძიება აზუსტებს, რომ კარი თვითონ ბატონმა რაგონმა გაგიღოთ. ყოველ შემთხვევაში, თქვენ ასე განაცხადეთ, მაგრამ დამამტკიცებელი საბუთი არ წარმოგიდგენიათ. ადასტურებთ ამას?

- დიახ, ბატონო.

- მერე ბატონ რაგონს, რომელიც თქვენი ნაცნობი იყო, ვითომ თქვენი მისვლა გაუხარდა და დასალევი შემოგთავაზათ. შემდეგ, მისთვის მოულოდნელად, ამ... (შეყოყმანდა)... ჰალსტუხის დახმარებით მოახრჩვეთ.

თავმჯდომარემ ჰალსტუხი აიღო.

- აღიარებთ, რომ ჰალსტუხი თქვენი საკუთრებაა და დანაშაულის იარაღს წარმოადგენს?

- დიახ, ბატონო.

თავმჯდომარეს ეჭირა ეს რბილი ჰალსტუხი, გამოძახებულ სულს რომ ჰგავდა, ჰალსტუხი, რომლისთვისაც, ვიდრე ჯერ კიდევ დრო იყო, უნდა გეყურებინა, რადგან შეიძლებოდა წუთი წუთზე გამქრალიყო, ან, როგორც სასქესო ორგანო, მაგრად დაჭიმულიყო თავმჯდომარის გამომშრალ ხელში; თავმჯდომარემ იგრძნო, თუკი ან ერთი მოხდებოდა, ან მეორე, იგი სასაცილო გამოჩნდებოდა. ამიტომ იჩქარა და დანაშაულის იარაღი პირველ მსაჯულს გადასცა, მან თავის მეზობელს გადააწოდა და ასე შემდეგ, თანაც ვერც ერთმა ვერ გაბედა მისი ხელში დიდხანს გაჩერება და კარგად დათვალიერება, რადგან, თითქოს ეშინოდათ, ესპანელ მოცეკვავე ქალებად არ ქცეულიყვნენ. მაგრამ ამ ბატონების სიფრთხილე ამაო გამოდგა, რადგან თავადაც ვერ შეამჩნიეს, ისე შეიცვალნენ და გალამაზდნენ. მსაჯულთა მოკრძალებულმა ჟესტებმა, რომლებიც თითქოს ბედისწერასთან ერთად წარმართავდნენ ბერიკაცის მკვლელობას, უძრავმა მკვლელმა, მედიუმის გამოძახებულ სულს რომ ჰგავდა, ამ უძრაობის წყალობით იქ არმყოფმა და თვით ამ არყოფნის ადგილმა დარბაზი წყვდიადში ჩაძირა, ბრბოს კი ყველაფრის ნათლად დანახვა უნდოდა. თავმჯდომარე ლაპარაკობდა და ლაპარაკობდა. და აი, ამ კითხვამდეც მივიდა:

- მკვლელობის ამ საშუალების გამოყენების იდეა ვინ მოგაწოდათ?

- იმან.

და ქვეყანა მიხვდა, რომ ეს „იმან“ მკვდარი ბერიკაცი იყო, უკვე დასაფლავებული, ჭიაღუასაგან დახრული, რომელიც კვლავ ასრულებდა თავის როლს.

- მოკლულმა!

თავმჯდომარეს საზარელი ყვირილი აღმოხდა:

- თვითონ მოკლულმა მიგანიშნათ, რა საშუალებით უნდა მოგეკლათ? აბა, აბა, ნათლად აგვიხსენით.

ნოტრ-დამი შეწუხებულს ჰგავდა. ნაზი სირცხვილის გრძნობა ლაპარაკს უშლიდა. გაუბედაობაც.

- დიახ. ასეა... - თქვა მან, - ბატონ რაგონს ჰალსტუხი ეკეთა, რომელიც ყელში უჭერდა. სულ წითელი იყო. და მოიხსნა.

და მკვლელმა ძალიან ნელა, თითქოს უპატიოსნო გარიგებას დებს ან კეთილ საქმეს აკეთებსო, წარმოთქვა:

- მაშინ გავიფიქრე, რომ, თუ უფრო მაგრად მოვუჭერდი, უარესი იქნებოდა.

და ცოტა უფრო ჩუმად, მხოლოდ მცველებსა და თავმჯდომარეს რომ გაეგოთ (ბრბომ კი ვერ გაიგო):

- რადგან ძალიან კარგი ხელები მაქვს.

დათრგუნვილმა თავმჯდომარემ თავი ჩაკიდა:

- უბედურო! - თქვა მან. - კი, მაგრამ რატომ?

- ზღაპრულად გაჭირვებული ვიყავი.

რადგან სიტყვა „ზღაპრულს“ სიმდიდრის განმსაზღვრელად ხმარობენ, ეგონა, სიღარიბის განმსაზღვრელადაც გამოდგებოდა. ამ ზღაპრულმა გაჭირვებამ ნოტრ-დამს ღრუბლიანი კვარცხლბეკი აღუმართა: ის ისევე განსაცვიფრებლად დიდებული იყო, როგორც სხეული ქრისტესი, რომელიც მაღლდებოდა, რომ შუადღის მზით გაკაშკაშებულ ცაში მარტო და უძრავად დარჩენილიყო. თავმჯდომარე ლამაზ ხელებს იმტვრევდა. ხალხი სახეს იღუშავდა. მდივნები გადასაღებ ქაღალდებს ჭმუჭნიდნენ. ადვოკატებმა

მოულოდნელად ნათელმხილველი ქათმების გამოხედვა შეიძინეს. გვარდიელები მღვდელმსახურებდნენ. პოეზია თავის მასალაზე მუშაობდა. მხოლოდ ნოტრ-დამი დარჩა მარტოობაში და ღირსებას ინარჩუნებდა, ესე იგი ისევ ძველი მითის პერსონაჟი იყო და არც თავისი ღვთაებრიობისა გაეგებოდა რამე და არც თავისი გაღმერთებისა. დანარჩენებმაც არ იცოდნენ, რა ეფიქრათ, არაადამიანურძალებს იყენებდნენ, რომ ნაპირზე დარჩენილიყვნენ. ფრჩხილებდაგლეჯილი ხელებით ყველანაირ მხსნელ ფიცარს ეჭიდებოდნენ: ფეხს ფეხზე იდებდნენ, პიჯაკზე ლაქას აშტერდებოდნენ, გაგუდულის ოჯახზე ფიქრობდნენ, კბილებს იჩიჩქნიდნენ.

- უამბეთ სასამართლოს, როგორ მოქმედებდით.

ეს უკვე სიმკაცრე იყო. ნოტრ-დამს ისევ უნდა აეხსნა. პოლიციელები დაწვრილებით დეტალებს მოითხოვდნენ, გამომძიებელიც. ახლა სასამართლოს რიგი იყო. ნოტრ-დამს შერცხვა. არა, თავისი ქცევისა კი არა (ეს შეუძლებელი იყო), არამედ იმისა, რომ კიდევ ერთხელ უნდა მოეყოლა იგივე ამბავი. ისე დაიღალა თავისი ნაამბობის ამ სიტყვებით დამთავრებით: „ვიდრე სული არ ამოუვიდა“, რომ მკვლელობის ახალი ვერსიის შექმნის თავხედურმა აზრმა გაუელვა. გადაწყვიტა, რაღაც სხვა მოეყოლა. მაგრამ ზუსტად იმავე ამბავს მოჰყვა იმავე სიტყვებით, პოლიციელებს, გამომძიებელს, ადვოკატს, ფსიქიატრებს რომ უამბო. ნოტრ-დამისთვის ხომ ყოველგვარი ჟესტი პოემა იყო და მხოლოდ ერთი და იმავე სიმბოლოთი გამოხატული, ყოველთვის ერთი და იმავე სიმბოლოთი. ორი წლის წინანდელი საქციელიდან კი აღარაფერი შემორჩა, გარდა გულგრილი ფრაზებისა. თავის დანაშაულს ხელახლა ისე კითხულობდა, როგორც მატიანეს კითხულობენ ახლიდან, მაგრამ ახლა მთლად დანაშაულზე არ ლაპარაკობდა. მთელი ამ ხნის გამავლობაში მის პირდაპირ კედელზე ჩამოკიდებული საათი წიკწიკებდა; მაგრამ დრო აირია, მოიშალა. ასე რომ, ისრები ყოველ წამს გრძელ და მოკლე ინტერვალებად ითვლიდნენ.

თორმეტი პატივცემული მოხუცი მსაჯულიდან ოთხს სათვალე ეკეთა. ამ შუშებით - ცუდი გამტარებით, უფრო იზოლატორებით - მსაჯულები დარბაზისგან იყვნენ გამოყოფილი და თავისებურად ადევნებდნენ თვალყურს იმას, რაც ხდებოდა. სინამდვილეში კი თითქოს არც არავის აინტერესებდა ამ მკვლელობის საქმე. ერთი მოხუცი განუწყვეტლივ წვერზე ისვამდა ხელს; მარტო მას ეტყობოდა, რომ ყურადღებით იყო, მაგრამ უკეთ თუ დავაკვირდებოდით, დავინახავდით, რომ ქანდაკებასავით ცარიელი თვალები ჰქონდა. მეორე თვლემდა. მესამე მაგიდის მწვანე მაუდზე წრეებსა და ვარსკვლავებს ხატავდა; ჩვეულებრივ ცხოვრებაში ის მხატვარი იყო; იუმორის გრძნობაც ჰქონდა და ზოგჯერ ბოსტნის საფრთხობელაზე შემომჯდარ ცბიერ ბეღურებს ღებავდა სხვადასხვაფრად. მეოთხე დროდადრო კბილის პროთეზს ღია ცისფერ - ფრანგული სიცისფრის - ცხვირსახოცში აფურთხებდა. ისინი წამოდგნენ და პატარა ფარული კარით თავმჯდომარეს მიჰყვნენ. თათბირი ისეთივე საიდუმლოა, როგორიც ავაზაკთა მეთაურის არჩევა ან საძმოს შიგნით მოღალატის დასჯა. ხალხმა ამოისუნთქა, დაამთქნარა, გაიჭიმა, ამოაბოყინა. ნოტრ-დამის ადვოკატი სკამიდან ადგა და თავის კლიენტს მიუახლოვდა:

- მხნედ იყავ, პატარავ, მხნედ! - უთხრა და ხელი ჩამოართვა. - მშვენივრად უპასუხეთ, გულწრფელიც იყავით. ვფიქრობ, სასამართლო ჩვენკენაა.

ვიდრე ლაპარაკობდა, ნოტრ-დამს ხელს ართმევდა, მისი ხელი ეჭირა ან თვითონ ეჭიდებოდა ხელზე. ნოტრ-დამს ბაგეზე ისეთი ღიმილი გაუკრთა, მოსამართლეებს გააშმაგებდა. ისეთი ლაჟვარდოვანი ღიმილი ჰქონდა, მცველებმაც კი ინტუიციურად ირწმუნეს ღმერთისა და გეომეტრიის დიდი პრინციპების არსებობა. წარმოიდგინეთ გომბეშოს თითქოსდა მთვარის შუქისაგან ნაქსოვი ყიყინი: ისეთი სუფთაა, რომ ღამით მაწანწალაც კი ჩერდება გზაზე და არ ინძრევა, ვიდრე ამ ხმას ისევ არ გაიგებს.

- მოტვინეს? - ჰკითხა და თვალი ჩაუკრა.

- კი, კი, ყველაფერი რიგზეა, - უთხრა ადვოკატმა.

საპატიო ყარაული გაიჭიმა და კედლიდან თავშიშველი მოსამართლეები გამოჩნდნენ. ბატონი ვაზ დე სენტ-მარი მდუმარედ დაჯდა, მერე დანარჩენები დასხდნენ ხმაურით. თავმჯდომარემ თეთრი, ლამაზი ხელები თავზე შემოიჭდო და თქვა:

- შევუდგეთ მოწმეთა დაკითხვას. აჰ, ჰო, ჯერ პოლიციის მოხსენება მოვისმინოთ. კომისარიატის წარმომადგენლები აქ არიან?

გასაოცარი ამბავია, სასამართლოს თავმჯდომარე ისე იყო დაბნეული, რომ ასეთი მნიშვნელოვანი რამ დაავიწყდა. ამ შეცდომამ ნოტრ-დამი ისე ჩააგდო შოკში, როგორც ციხის დებულებაში გაპარული ორთოგრაფიული შეცდომა (ორთოგრაფია რომ სცოდნოდა) ჩააგდებდა. სასამართლო აღმასრულებელმა ის ორი პოლიციელი შემოუშვა, რომლებმაც ნოტრ-დამი დააპატიმრეს. ის, ვინც ორი წლის წინ გამოძიებას აწარმოებდა, მოკვდა. მათ მოკლედ გადმოსცეს ფაქტები: მოჰყვნენ გამაოგნებელ ამბავს, როგორ დაეხმარა მათ ყალბი მკვლელობა ნამდვილის აღმოჩენაში. შეუძლებელია, გავიფიქრე. „არაფრის გამო!“ მაგრამ უკვე შემიძლია, ამ უაზრო შემთხვევის სასიკვდილო დასასრულის შესაძლებლობა დავუშვა მას შემდეგ, რაც ზედამხედველმა ხელნაწერები ჩამომართვა, რომლებიც სეირნობისას თან დამქონდა. ვგრძნობ, ეს კატასტროფაა და ვერ ვბედავ ვივარაუდო, რომ ეს კატასტროფა შეიძლება ასეთი უმნიშვნელო წინდაუხედაობის ლოგიკური შედეგი იყოს. მერე ვფიქრობ, რომ დამნაშავეები თავს კარგავენ ასეთი წვრილმანი წინდაუხედაობის გამო, ისეთი წვრილმანისა, რომ უფლება უნდა ჰქონდეთ, გამოასწორონ, ყველაფერი უკან დააბრუნონ და რომ მოსამართლემ პატივი უნდა სცეს ასეთ თხოვნას; ხომ ადვილია, მაგრამ ამის გაკეთება შეუძლებელია. მიუხედავად მათი განათლებისა, რომელსაც ისინი კარტეზიანულს უწოდებენ, მსაჯულები ამაოდ გაირჯებიან, როცა რამდენიმე საათის შემდეგ ნოტრ-დამს სიკვდილს მიუსჯიან. ისინი დაეჭვდებიან: რისთვის? იმისთვის, რომ თოჯინა მიახრჩო, თუ იმისთვის, რომ ვიღაც ბერიკაცი აკუწა? პოლიციელები, ეს წამქეზებელ-ანარქისტები, თავმჯდომარეს მონური თავმდაბლობით დაემშვიდობნენ და გავიდნენ.გარეთ თოვდა. დარბაზში ეს ხელების მოძრაობით შეიმჩნეოდა: პალტოების საყელოებს მაღლა იწევდნენ. მოქუშული ამინდი იყო. სიკვდილი მგლის ნაბიჯებით მოიწევდა თოვლში. სასამართლო აღმასრულებელმა მოწმეები გამოიძახა. ისინი დარბაზის გვერდით ერთ პატარა ოთახში იცდიდნენ, რომლის კარიც განსასჯელის სკამის პირდაპირ მდებარეობდა. კარი ყოველ ჯერზე ზუსტად იმოდენაზე იღებოდა, რომ შემომსვლელი გვერდულად შემოსულიყო და მათ ერთიმეორის მიყოლებით, წვეთ-წვეთად უშვებდნენ პროცესზე. ისინი ბარიერთან მიდიოდნენ, მარჯვენა ხელს მაღლა სწევდნენ და „ვფიცავო“ პასუხობდნენ კითხვაზე, რომელსაც კაციშვილი არ უსვამდა. ნოტრ-დამმა დაინახა, როგორ შემოვიდა მიმოზა მეორე. ოღონდ სასამართლო აღმასრულებელმა დაიძახა: „ჰირშ რენე“. მერე, „ბერთოლე ანტუანის“ გამოძახებაზე, პირველი ზიარება გამოჩნდა, მერე „მარსო ეჟენის“ დაძახებაზე - სამოთხის ვაშლი. ამგვარად, გაოცებული ნოტრ-დამის თვალში ყველა „გოგომ“ ბლანშიდან პიგალამდე თავისი საუკეთესო სამკაული დაკარგა: მათი სახელები ფურცლებს კარგავდა იმ ქაღალდის ყვავილებივით, მოცეკვავეს რომ უჭირავს თითის წვერებით და სპექტაკლის ბოლოს მათგან მხოლოდ რკინის მავთულიღა რჩება. ხომ არ აჯობებდა, მთელი სპექტაკლი უბრალო რკინის მავთულით ხელში ეცეკვა? საკითხი შესწავლას იმსახურებს. ამ გოგო-პედერასტებმა ის ჩონჩხი გამოაჩინეს, რომელსაც მინიონი ყველა სავარძლის აბრეშუმისა და ხავერდის გადასაკრავის ქვეშ ამჩნევდა. არარაობამდე იყვნენ დაყვანილი, და ამას კიდევ რა უშავდა იმასთან შედარებით, რაც აქამდე გააკეთეს. ისინი ან გამომწვევად შემოდიოდნენ, ან მორცხვად, სუნამონაპკურებნი, შეღებილნი და დახვეწილ ლაპარაკს იწყებდნენ. ისინი აღარ ჰგავდნენ ქაღალდის ყვავილებს, კაფეების ტერასებზე რომ ყვავილობს. ისინი ფერად-ფერადად შეღებილი უბადრუკობები იყვნენ (საიდან ჩნდება დეიდა-პედერასტების მეტსახელები? ჯერ უნდა შევნიშნოთ, რომ არც ერთი მისი მფლობელის არჩეული არ არის. რაც შემეხება მე - სხვა საქმეა. არა მგონია, შევძლო იმ მიზეზების ახსნა, რომლის მიხედვითაც ავირჩიე ესა თუ ის სახელი: დივინი, პირველი ზიარება, მიმოზა, ნოტრ-დამ-დე-ფლერი, პრინც-მონსენიორი; ეს სახელები შემთხვევით არ გაჩენილა. მათ შორის ნათესაური კავშირია, როგორც საკმევლისა და ჩამოღვენთილი სანთლის სურნელს შორის; ზოგჯერ ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, თითქოს ისინი ღვთისმშობლის ეკვდერში ხელოვნურ თუ ცოცხალ ყვავილებს შორის ამოვირჩიე მაისის თვეში იმ თაბაშირის ქანდაკის ქვეშ, რომელიც ალბერტოს უყვარდა და რომლის უკანაც ბავშვობაში ჩემი სპერმით სავსე შუშას ვინახავდი). ზოგიერთი დასაზუსტებლად რაღაც საშინელ სიტყვებს ამბობდა, მაგალითად: „ბერტის ქუჩაზე, ნომერ 8-ში ცხოვრობდა“ ან „ბოლოს 17 ოქტომბერს შევხვდი. გრაფთან“. ნეკი, რომელიც ისე ჰქონდათ გაწეული, თითქოს ცერით და საჩვენებელი თითით ჩაის ფინჯანი ეჭირათ, სასამართლო სხდომის მძიმე

სერიოზულობას არღვევდა, და ამ ურჩი ჩალის ღეროთი ამოიცნობოდა მისი ტრაგიკული სიმძიმეც. სასამართლოს აღმასრულებელმა დაიძახა: „ბატონი კიულაფრუა ლუი“. შემოვიდა დივინი - ერნესტინზე დაყრდნობილი, უჩვეულოდ გამართული, შავებში ჩაცმული, პროცესზე შემოსულ „ქალებს“ შორის იგი ერთადერთ ნამდვილ ქალად გამოჩნდა. ყველაფერი, რაც მისი სილამაზიდან შემორჩენილიყო, თვალდათვალ ქრებოდა. შიშით შეპყრობილი ჩრდილები და ხაზები თავიანთ პოსტებს ტოვებდნენ და გარბოდნენ: სასტიკი დამარცხება იყო. მისი მშვენიერი სახე გულისშემძვრელ გოდებას გამოსცემდა, მიცვალებულის კივილივით ტრაგიკულს. აქლემის ბეწვის განიერი პალტო ეცვა, ყავისფერი, აბრეშუმივით ელვარე. ამანაც თქვა:

- ვფიცავ.

- რა იცით დამნაშავეზე? - ჰკითხა თავმჯდომარემ.

- დიდი ხანია ვიცნობ, ბატონო თავმჯდომარევ, და შემიძლია გითხრათ, რომ ძალიან გულუბრყვილო და ძალიან ბავშვურია. სხვას ვერაფერს გეტყვით, გარდა იმისა, რომ ძალიან თავაზიანია. შეიძლებოდა ჩემი შვილიც ყოფილიყო.

ისიცა თქვა, ოღონდ ძალიან ტაქტიანად, რომ დიდხანს ცხოვრობდნენ ერთად. მინიონზე ლაპარაკი არ ყოფილა. დივინი ბოლოს და ბოლოს იქცა მოწიფულ ადამიანად, რაზეც სხვაგან ყველგან უარს ეუბნებოდნენ. აბა რა, აი, ისიც, ბავშვ კიულაფრუადან, როგორადაც იგი აქამდე რჩებოდა, მოწმედ გამოიჩეკა. თუ მთელი თავისი ცხოვრება მარტივად არაფერი გაუკეთებია, ისიც იმიტომ, რომ მარტო ზოგიერთ მოხუცს ხვდა წილად, ყოფილიყო მარტივი, ესე იგი ნახაზივით სუფთა, განწმენდილი და გამარტივებული და იქნებ არის კიდეც ეს სწორედ ის მდგომარეობა, რაზეც იესო ამბობს: „...იყავით მსგავსი ბავშვებისა“. სინამდვილეში არც ერთი ბავშვი ასეთი არ არის - მთელი ცხოვრების განმავლობაში გამასავათებელი შრომითაც კი ყოველთვის როდი მიიღწევა ეს. მარტივად არაფერი უკეთებია, არც კი გაუღიმია უბრალოდ; ღიმილს გასართობად, პირის მარჯვენა კუთხით გამოხატავდა ან მთელ სახეზე გადაიჭიმავდა ხოლმე კბილებმოჭერილი.

ადამიანის სიდიადე არ არის დამოკიდებული მარტო მის შესაძლებლობებზე, გონებასა და ნიჭზე, როგორიც უნდა იყოს ისინი: ის გარემოებებისგანაც იქმნება, რომლებმაც ის აირჩიეს, რომ საყრდენად გამოადგნენ. ადამიანი დიადია, თუ დიადი ბედი აქვს; მაგრამ ასეთი სიდიადე ხილული სიდიადეა, სიდიადით განზომილი. გარედან დანახული დიდებულია, შიგნიდან დანახული კი შეიძლება საცოდაობაც იყოს; იგი შეიძლება პოეტურიც გახდეს, თუ დამეთანხმებით, რომ პოეზია განხეთქილებაა (ან უფრო განხეთქილების წერტილში შეხვედრაა) ხილულისა და უხილავისა. კიულაფრუას ბედი საცოდაობა იყო და ამიტომაც მისი ცხოვრება იდუმალი საქციელებისაგან შედგებოდა, რომელთაგან თითოეული თავისი არსით პოემაა, როგორც ბალიელი მოცეკვავე ქალის თითის ყველაზე მოუხელთებელი მოძრაობაა ნიშანი, რომელსაც სამყაროს ამოძრავება შეუძლია, რადგან იმ სამყაროდან ამოდის, რომლის მრავალაზრიანობის გაცნობიერებაც შეუძლებელია. კიულაფრუა დივინი გახდა; პოემად იქცა, მხოლოდ მისთვის დაწერილ პოემად, და მიუწვდომელია იმათთვის, ვისაც მისი გასაღები არა აქვს. არსებითად, ამაშია მისი იდუმალი დიდებაც, იმის მსგავსი, რაც საკუთარ თავს ვუძღვენი, ბოლოს და ბოლოს სიმშვიდისთვის რომ მიმეღწია. და მე მას ვფლობ, რადგან ბაზრობაზე ბოშა ქალმა ხელზე მიმკითხავა და მითხრა, რომ ერთ დღეს სახელგანთქმული გავხდები. მაგრამ რით გავითქვამ სახელს? თრთოლა მმსჭვალავს. და მაინც ეს წინასწარმეტყველება საკმარისია, რომ დავიკმაყოფილო ჩემი დიდი ხნის მოთხოვნილება: საკუთარი თავი გენიოსად ჩავთვალო. ფრთხილად დავატარებ მკითხავის ნათქვამს: „ერთ დღეს სახელს გაითქვამ“. იგი იდუმალად ცხოვრობს ჩემში და ამით იმ ოჯახებს ვემსგავსები, საღამოობით ლამპის შუქზე ელვარე მოგონებებს რომ მისცემიან თავიანთ სიკვდილმისჯილზე, თუკი ასეთი ჰყავთ. ეს მასხივოსნებს და მაძრწუნებს. ეს შესაძლო სახელგანთქმულობა ისე მაკეთილშობილებს, როგორც ჩანაწერები პერგამენტზე, რომლის ამოკითხვასაც ვერავინ შეძლებს, როგორც გასაიდუმლოებული წარჩინებული წარმომავლობა, როგორც სამეფო ოჯახში ქორწინების გარეშე დაბადება, როგორც ნიღაბი ან იქნებ ღვთაებრივთან ნათესაობაც - მოკლედ, რაღაც იმის მსგავსი, რაც განიცადა ჟოზეფინამ, რომელსაც მუდამ ახსოვდა, რომ გააჩინა ის, ვისგანაც სოფლის უმშვენიერესი ქალი დადგებოდა - მარი, სოლანჟის დედა - ქოხში დაბადებული

ღმერთქალი, რომლის სხეულიც უფრო სქლად იყო დაფარული გერბებით, ვიდრე მიმოზას დუნდულები და ჟესტები, და შამბიურებზე კეთილშობილი იყო. ამ სახის ხელდასხმამ ჟოზეფინა მისი ასაკის სხვა ქალებს (სხვა დედებს) დააშორა. სოფელში მისი მდგომარეობა ახლო იყო იმ მდგომარეობასთან, იესოს დედას რომ ეჭირა გალილეველ დედებს შორის. მარის სილამაზემ სოფელს დიდება მოუტანა. ღვთაების ადამიანურ დედად ყოფნა უფრო ღირსსაცნობი მდგომარეობაა, ვიდრე ღვთაებრივად ყოფნა. იესოს დედას, ალბათ, წარმოუდგენელი განცდები ჰქონდა, როცა ვაჟს ატარებდა მუცლით, მერე თავის ვაჟთან ერთად ცხოვრობდა და მის გვერდით ეძინა, ვაჟთან, რომელიც ღმერთი იყო - მაშასადამე, იყო ირგვლივ ყველაფერი, დედასთან ერთად - და რომელსაც შეეძლო, ისე მოქცეულიყო, რომ სამყაროს შეეწყვიტა არსებობა, რომ დედამისს, თვითონ მასაც შეეწყვიტათ არსებობა, ღმერთი, რომლისთვისაც დედას ყვითელი სიმინდის შეჭამანდი უნდა მოემზადებინა, როგორც ჟოზეფინა უმზადებდა მარის.

მოკლედ, ვერ ვიტყვით, რომ კიულაფრუა - ბავშვი და დივინი - იშვიათი დახვეწილობის არსება იყო, არა, მაგრამ იშვიათი გარემოებების უცნაურობებმა აირჩია იგი მის დაუკითხავად და ეს არჩევანი საიდუმლო დამწერლობითაც განამტკიცა. იგი ხელს უწყობდა პოემის შექმნას, რომელიც რითმის ახირების გამო ყოველგვარ აზრს იყო მოკლებული. ეს მოგვიანებით იქნება, სიკვდილის ჟამს. ის შეძლებს და გაოცებული თვალით გადაიკითხავს თავის ცხოვრებას, თვალდახუჭულმა რომ დაიწერა ხორცზე. ახლა კი დივინი გარეთ გამოდის თავისი შინაგანი დრამიდან, იმ ტრაგიკული მარცვლიდან, რომელსაც საკუთარ თავში ატარებს და, ცხოვრებაში პირველად, ამ მოკვდავთა აღლუმში მას სერიოზულ ადამიანად მიიჩნევენ. პროკურორის თანაშემწემ ეს აღლუმი შეწყვიტა. ოდნავ შეღებული კარიდან ისევ შემოვიდნენ მოწმეები. წამით ჩნდებოდნენ და მაშინვე იწვებოდნენ: რაღაც გამოუცნობი ნთქავდა მათ. სიცოცხლის ნამდვილი ცენტრი იყო მოწმეთა ოთახი - სასწაულთა კვარტალი - და სათათბირო ოთახი, რადგან მათში დეტალურად აღადგენდნენ წინასწარგანზრახული მკვლელობის ოთახს. ის გასაოცარი საგანი, ჰალსტუხი, ისევ იქ იყო, მწვანე მაგიდაზე მოკრუნჩხულიყო, ჩვეულებრივზე მეტად გაფითრებულიყო, მოდუნებულიყო, მაგრამ მაინც მზად იყო ნახტომისთვის კომისარიატის სკამზე უხალისოდ გაშხლართული ხულიგანივით. ხალხი ძაღლივით მოუსვენრობდა. გამოაცხადეს, სიკვდილი რელსებიდან გადავარდა და იგვიანებსო. უცბად ჩამობნელდა. ბოლოს თავმჯდომარემ ექსპერტ-ფსიაქიატრის სახელი წარმოთქვა. აი ეს კი მართლაც უჩინარი კოლოფის უჩინარი საძვრენიდან ამოხტა. ის მაყურებელთა შორის იჯდა, მაყურებელს კი ეჭვიც არ ჰქონდა, ვინ იყო. ადგა და ბარიერთან მივიდა. მსაჯულებს თავისი მოხსენება წაუკითხა. ამ ფრთოსანი მოხსენებიდან დედამიწაზე ასეთი სიტყვები ცვიოდა: „გაუწონასწორებლობა... ფსიქოპათია... არაჯანსაღი ფანტაზიები... სომატური ნერვული სისტემა... შიზოფრენია... გაუწონასწორებლობა, გაუწონასწორებლობა, გაუწონასწორებლობა... ...უწონასწორე...“, და უცბად გულშემზარავად, სისხლმდინარედ წარმოთქვა: „დიდი სიმპათიკური“. აღარ გაჩერდა: „...გაუწონასწორებელი... ნახევრად შეურაცხადი... სეკრეცია... ფროიდი... იუნგი... ადლერი... სეკრეცია...“. ამ კაცის მუხანათური ხმა ზოგიერთ მარცვალს ეალერსებოდა, ჟესტებით კი თითქოს მტერს ეომებოდა: „მამაო, ფრთხილად მარცხნიდან, ფრთხილად მარჯვნიდან“; ზოგიერთი სიტყვა რიკოშეტით სხლტებოდა მისი მუხანათური ხმიდან (როგორც იმ ჟარგონულ სიტყვებში, რომელთა მარცვლებს შორისაც სხვა სიტყვა უნდა იგულისხმო, გულუბრყვილო თუ საზიზღარი). გასაგები კი იყო შემდეგი: „რა არის ბოროტმოქმედი? ჰალსტუხი, რომელიც მთვარის შუქზე ცეკვავს; ბნედიანი ხალიჩა, კიბე, რომელიც ფორთხვით მიცოცავს ზევით; ხანჯალი, რომლსაც სამყაროს დასაბამიდან იყენებენ; გაცოფებული საწამლავიანი შუშა; ხელთათმნიანი ხელები ღამის სიბნელეში; მეზღვაურის ცისფერი საყელო; ღია თანამიმდევრობა, უბრალო და ლმობიერი ჟესტების რიგი, მდუმარე ურდული“. დიდმა ფსიქიატრმა ბოლოს და ბოლოს თავისი დასკვნა წაიკითხა: „რომ იგი (ნოტრ-დამ-დე-ფლერი) ფსიქიკურად გაუწონასწორებელი, ადვილად აღგზნებადი და ამორალურია. ამასთან, ყოველგვარი დანაშაულებრივი მოქმედება, როგორც, საერთოდ, ყველანაირი ქმედება, შეიცავს ნებისყოფის ნაწილსაც, რომელიც საგანთა გამაღიზიანებელი ზემოქმედების შედეგს არ წარმოადგენს. მოკლედ, ბაიონი ნაწილობრივ პასუხისმგებელია მკვლელობაზე“.

თოვდა. დარბაზის ირგვლივ მდუმარება იყო გამეფებული. ყველასგან მიტოვებული ნაფიც მსაჯულთა პალატა სივრცეში ჩაკარგულიყო. იგი დედამიწის კანონებს აღარ ემორჩილებოდა და გამალებით მიექანებოდა ვარსკვლავებსა და პლანეტებს შორის. იქ, სივრცეში, იგი ქვის სახლი იყო ღვთისმშობლისა. მგზავრები გარედან შველას აღარ ელოდნენ. ბაგირები გადაჭრილი იყო. ზუსტად იმ მომენტში, როცა დარბაზის დაბნეულ ნაწილს (ხალხს, მსაჯულებს, ადვოკატებს, გვარდიელებს) მუხლი უნდა მოეყარა და ჰიმნები ეგალობათ, მძიმე ხორციელი ქმედებებისგან გათავისუფლებულმა (მოკვდინება ხორციელი ქმედებაა) დარბაზის მეორე ნაწილმა (ნოტრ-დამმა) დუეტი შექმნა, რათა ემღერა: „ცხოვრება სიზმარია... მშვენიერი სიზმარი...“. მაგრამ ბრბოსთვის სიდიადის გრძნობა უცხოა. იგი ამ დრამატულ განაწესს არ დაემორჩილა და კაცს არ უნახავს იმაზე ნაკლებ სერიოზული, რაც ამას მოჰყვა. თვით ნოტრ-დამმაც კი იგრძნო, როგორ უსუსტდებოდა სიამაყე. პირველად შეხედა თავმჯდომარე ვაზ დე სენტ-მარის ადამიანური თვალით. სიყვარულის გრძნობა იმდენად ტკბილია, რომ მან ვერ შეძლო, ამ სიტკბოში არ გახსნილიყო და თავმჯდომარისადმი მიმნდობი სისათუთით არ აღვსილიყო. „იქნებ არც ისეთი პირუტყვია!“ - გაიფიქრა მან. მოულოდნელად მისი ტკბილი უგრძნობლობა სადღაც დაინთქა და შვება, რომელიც ამ დროს განიცადა, ღამის თავშეკავების შემდეგ შარდისგან გათავისუფლებას ჰგავდა. გაიხსენეთ, გამოღვიძების შემდეგ მინიონი მხოლოდ მას შემდეგ გრძნობდა თავს დედამიწაზე მყარად, რაც გემრიელად მოფსამდა. ნოტრ-დამმა თავისი ჯალათი, თავისი პირველი ჯალათი შეიყვარა. ეს გახლდათ რაღაც გაუბედავი, უმწიფარი მიტევება, ყინულოვან მონოკლს, რკინის თმას, მიწიერ პირს, მომავალ განაჩენს რომ უძღვნა, საშინელი სამსჯავროს შესაბამისად წარმოთქმულს. სინამდვილეში რა არის ჯალათი? პარკების სამოსში გახვეული ვინმე ბავშვია, უმანკო, დანარჩენი სამყაროსგან თავისი დიდებული მეწამული კონკებით გამოყოფილი, ვინმე ღარიბი და ვინმე მორჩილი. ჭაღები და ბრები აანთეს. სიტყვა აიღო საზოგადოებრივმა ბრალმდებელმა. გამჭვირვალე წყლის ლოდისაგან გამოთლილი ჭაბუკი მკვლელის წინააღმდეგ სამართლიანი სიტყვების გარდა არაფერი უთქვამს, თავმჯდომარისა და ნაფიცი მსაჯულების შესაფერისად. რანტიეების დაცვაც ხომ საჭიროა, რომლებიც ხანდახან ლამის სახურავის ქვეშ ცხოვრობენ, და მათი მკვლელი ბავშვების მოკვლაც... ყოველივე ეს აზრიანი იყო და მოხდენილად და დროდადრო კეთილშობილური ტონითაც წარმოითქვა, თავის ქნევით:

- ...დასანანია (მინორში, მერე ისევ იწყებს - მაჟორში)... დასანანია...

მკვლელისკენ გაშვერილი მისი ხელიდან უხამსობა ქროდა.

- მკაცრად დასაჯეთ! - ყვიროდა. - მკაცრად დასაჯეთ!

ტუსაღები ერთმანეთში მას „პიჟონს“ ეძახდნენ. ამ საზეიმო სხდომაზე ის მასიურ კარზე მიკრული ფირფიტის განსახიერება იყო. შავ ბრბოში ჩაკარგულმა ბებერმა მარკიზამ გაიფიქრა: „რესპუბლიკამ ჩვენიანებს უკვე ხუთს გააგდებინა თავი...“, მაგრამ მისი აზრი უფრო შორს აღარ წასულა. ჰალსტუხი ძველებურად მაგიდაზე იდო. ნაფიცი მსაჯულები ცდილობდნენ, შიში დაეძლიათ. დაახლოებით ამ დროს კედლის საათმა ხუთი აჩვენა. საბრალდებო სიტყვის წარმოთქმისას ნოტრ-დამი დაჯდა. წარმოიდგინა, რომ მართლმსაჯულების სასახლე შენობებს შორის მდებარეობდა, ერთ-ერთი ჭასავით ეზოს სიღრმეში, საითაც სამზარეულოებისა და ტუალეტების ფანჯრები გადის, და წინ გადახრილი, თმაგაჩეჩილი, ყურზე ხელმიდებული მოახლეები დაცქვეტით უსმენენ სხდომას, თან ცდილობენ, სიტყვა არ გამოეპაროთ. ხუთი სართული ოთხსავე მხარეს. მოსამსახურეები უკბილოები არიან, დროდადრო უკან იყურებიან; მზერა სამზარეულოს სიბნელეს კვეთს. იქნებ შეძლონ და მდიდრული ბინების იდუმალებაში ოქროს ქვიშის რამდენიმე მარცვლის ან ხავერდის ბზინვარება შეამჩნიონ, საიდანაც სპილოსძვლისთავიანი ბერიკაცები მშვიდი თვალებით უყურებენ, როგორ უახლოვდებიან ფოსტლებიანი მკვლელები. ნოტრ-დამს ეჩვენება, რომ მართლმსაჯულების სასახლე ამ ჭის ფსკერზეა. იგი პატარა და მსუბუქია, ბერძნული ტაძარივით, რომელიც მინერვას ხელისგულზე უდგას. მარცხენა მცველმა აიძულა ამდგარიყო, რადგან თავმჯდომარემ ჰკითხა: „თავის დასაცავად რას იტყვით?“ სანტეს ციხის საკნის ამხანაგმა, ბებერმა მაწანწალამ, ასწავლა რამდენიმე შესაფერისი სიტყვა, რომელთა თქმაც შესაძლებელი იქნებოდა სასამართლოზე. ნოტრ-დამი შეეცადა, გაეხსენებინა, მაგრამ ვერ შეძლო. წინადადება „ძალით არ მიქნია“ ტუჩებზე დაეკიდა. რომ

ეთქვა კიდეც, ვერავის გააკვირვებდა. ყველაზე უარესს ელოდნენ. თავში ყველა პასუხი არგოზე მოსდიოდა, ზრდილობის გრძნობა კი მისგან ფრანგულად ლაპარაკს მოითხოვდა, მაგრამ თითოეულმა იცის, რომ საპასუხისმგებლო მომენტებში მშობლიური ენა იმარჯვებს. ლამის იყო ბუნებრიობა შეიძინა. თუმცა იმწუთში ბუნებრიობა მსახიობობას ნიშნავდა, მაგრამ უხერხულობამ უაზრობისაგან იხსნა და თავიც მოჰკვეთა. იგი ჭეშმარიტად დიდი იყო. მან განაცხადა:

- ბერიკაცი უკვე განწირული იყო. არავისზე აღარ უდგებოდა.

ბოლო სიტყვა ეგრეევ ვერ ამოვიდაკადნიერი პატარა ბაგიდან; მაგრამ, მიუხედავად ამისა, თორმეტივე ბერიკაცმა სასწრაფოდ და ერთდროულად ორივე ხელი ყურზე აიფარა, რომ შიგ სასქესო ორგანოსავით მაგარი სიტყვა არ შეეშვათ; და ისიც, სხვა ნახვრეტი რომ ვერ იპოვა, გაბზეკილი და თბილი, პირდაპირ მათ ღიად დარჩენილ პირში შევარდა. ჭაბუკის საამო ურცხვობამ თორმეტივე ბერიკაცისა და თავმჯდომარის ვაჟკაცობა მასხარად აიგდო. ყველაფერი ერთ წამში შეიცვალა. ისინი, ვინც თითებზე კასტანიეტებწამოცმული ესპანელი მოცეკვავეები იყვნენ, ისევ ნაფიც მსაჯულებად იქცნენ. ისევ ნაფიც მსაჯულად იქცა დახვეწილი მხატვარიც, მთვლემარე მოხუციც, ბაიყუშიც, ისიც, ვინც პაპი იყო, და ისიც, ვინც ვესტრისი გახლდათ. არ გჯერათ? დარბაზმა გაშმაგებით ამოიქშინა. თავმჯდომარემ ლამაზი ხელებით ისეთი მოძრაობა გააკეთა, როგორსაც ტრაგიკოსი მსახიობი ქალები აკეთებენ ხოლმე თავიანთი ლამაზი ხელებით. მისი წითელი მანტია სამჯერ შეირხა თეატრალურ ფარდასავით, თითქოს მის ბოლოს, კანჭის კუნთებთან ახლოს, მომაკვდავმა კატამ სასოწარკვეთით ჩასჭიდა ბრჭყალები და თათის კუნთები სამი სასიკვდილო შეკანკალებით დაეკრუნჩხაო. მან ნოტრ-დამს ზრდილობის წესების დაცვისაკენ მოუწოდა. სიტყვა დაცვის ადვოკატმა აიღო. მანტიის ქვეშ პატარ-პატარა ნაბიჯებით (მართლა ასე აკეთებდა, თითქოს ჩუმად აკუებდა) ბარიერთან მიცუნცულდა და სასამართლოს მიმართა. სასამართლომ გაიღიმა. სწორედ იმ ღიმილით, რომელიც მკაცრ სახეზე მაშინ იბადება, როცა სამართლიანობასა და უსამართლობას შორის არჩევანი უკვე გაკეთებულია (ხოლო მეფურად მკაცრი ნაოჭი შუბლზე ზღვარს აღნიშნავს) - იმის არჩევანი, ვინც უკვე ნათლად დაინახა, განსაჯა და განაჩენი გამოაქვს. სასამართლო იღიმებოდა. სახეებს დაძაბულობა მოეხსნა, სხეულებს სირბილე უბრუნდებოდა; ვიღაცეებმა გაბედეს და მცირე უკმაყოფილება დაეტყოთ, მაგრამ, შეშინებულები, სწრაფად დაუბრუნდნენ თავიანთ ნაჯუჯებს. სასამართლო კმაყოფილი იყო, ძალიან კმაყოფილიც. ადვოკატი რაც შეეძლო, ცდილობდა: ბევრს ლაპარაკობდა, მისი წინადადებების ნაკადი უშრეტი იყო. იგრძნობოდა, რომ ელვისაგან შექმნილნი, კომეტებს კუდებად უნდა გასდევნებოდნენ. წმინდა სამართლის ცნებას იგი ურევდა იმასაც, რაც, მისი თქმით, ბავშვობის მოგონებები იყო (მისი საკუთარი ბავშვობის მოგონებები, სადაც ვითომ თვითონ მას აცდუნებდა ეშმაკი). მიუხედავად ასეთი შერევისა, წმინდა სამართალი წმინდად დარჩა და სიტყვათა ნაცრისფერ ქაფში მყარი კრისტალის ბზინვა შეინარჩუნა. ადვოკატმა ჯერ წარუმატებლობებით აღზრდაზე ილაპარაკა, ქუჩის მაგალითზე, შიმშილზე, წყურვილზე (ღმერთო ჩემო, ამ ბავშვისაგან მამა დე ფუკოსა და მიშელ ვიეშანჟის შექმნას ხომ არ აპირებდა?), იმ ხორციელ ცდუნებაზეც თქვა, რომელსაც ყელი იწვევს - თითქოს საგანგებოდაა შექმნილი, მოხერხებულად რომ წაეჭიროს ხელიო. მოკლედ, გარეკა. ნოტრ-დამმა ეს მჭევრმეტყველება დაუფასა. ადვოკატის სიტყვებისა ჯერ კიდევ არ სჯეროდა, მაგრამ მაინც მზად იყო, რაც გნებავთ, ის ეთქვა, რაც გნებავთ, ის აეღო საკუთარ თავზე. ოღონდ მოუსვენრობის გრძნობა, რომლის აზრიც გვიან გაიგო, რაღაცით იმაზე მიანიშნებდა, რომ ადვოკატი ღუპავდა. სასამართლო წყევლიდა ასეთ საშუალო ადვოკატს, რომელმაც იმის საშუალებაც კი არ მისცა, რომ შებრალების დაძლევის სიამოვნება მიეღო, რომელსაც, ალბათ, მიჩვეული იყო დასაცავი სიტყვის მოსმენისას. რას თამაშობდა ეს სულელი ადვოკატი? რის მიღწევა უნდოდა? დაე, წარმოეთქვა სიტყვა, გინდ ნაზი და გინდ უხეში, რომელიც დროსა და სივრცეს იმას მაინც აიძულებდა, თვალი ჩაეკრათ და განეგმირათ ჭაბუკი მკვლელი; აიძულებდა მსაჯულებს, მისი გვამისადმი ვნებით ანთებულიყვნენ და ამგვარად ეძიათ შური ბერიკაცის მოხრჩობისათვის და მსაჯულებს, მშვიდად რომ სხედან ამ სითბოში, არანაირი საფრთხე რომ არ ემუქრებათ, გარდა ერთი ბეწო მარადიული წყევლისა - თვითონაც ეგრძნოთ მკვლელის სული საკუთარ თავში. მათი კმაყოფილება ქრება. საჭიროა კი გაამართლონ,

მხოლოდ იმიტომ, რომ მისი ადვოკატი სულელია? მაგრამ განა ვინმემ იფიქრა, რომ ეს სიტყვა შეიძლება პოეტ-ადვოკატის გაწაფული გაიძვერობა ყოფილიყო? ხომ ამბობენ, ნაპოლეონმა ვატერლოო მხოლოდ იმიტომ წააგო, რომ ველინგტონმა უხეში შეცდომა დაუშვაო. სასამართლომ იგრძნო, რომ საჭირო იყო ამ ბიჭის დალოცვა. ადვოკატი დორბლებს ყრიდა. ამ დროს იგი ხელახლა აღზრდის შესაძლებლობაზე ლაპარაკობდა, და ბავშვებსა და მოზარდებზე მზრუნველობის საზოგადოების ოთხი წარმომადგენელი, რომლებიც მათთვის გამოყოფილ სკამებზე ისხდნენ, კამათელში ფსონად ნოტრ-დამ-დე-ფლერის სულს ჩამოვიდა. ადვოკატმა გამართლება მოითხოვა. იხვეწებოდა. მას უკვე აღარ უსმენდნენ. ბოლოს, თითქოს ათასი მომენტიდან მთავარი სათქმელი სიტყვის შესაფერისი დრო ადვილად გამოიცნოო, ნოტრ-დამმა, როგორც ყოველთვის, მწუხარე სახე მიიღო და დაუფიქრებლად თქვა:

- აჰ! კორიდა! არა, არ ღირს. მირჩევნია, სწრაფად ჩავძაღლდე.

ადვოკატი ჯერ გადაირია, მერე ენის გაწკლაპუნებით თავის დანაწევრებულ გონებას თავი მოუყარა და ბორძიკით თქვა:

- შვილო, რას ამბობთ, შვილო! დამაცადეთ, დაგიცვათ. ბატონებო, - მიმართა სასამართლოს (ასეთივე წარმატებით შეეძლო ეთქვა „მადამ“, როგორც დედოფალს მიმართავენ), - ეს ხომ ბავშვია.

ეს იმ დროს, როცა თავმჯდომარე ნოტრ-დამს ეუბნებოდა:

- აბა, რას ამბობთ? მოვლენებს წინ ნუ გავუსწრებთ!

წარმოთქმული სიტყვის სიმძაფრემ მოსამართლენი გააშიშვლადა ტანსაცმლისაგან მხოლოდ ბრწყინვალებაღა დაუტოვა. ბრბომ ამოახველა. თავმჯდომარემ არ იცოდა, რომ „კორიდა“ არგოზე გამოსასწორებელ სახლს ნიშნავს. დინჯი, დიდი, გვარდიელებს შორის, რომლებსაც ყვითელი ტყავის ქამრები ერტყათ, ჩექმები ეცვათ და ჩაჩქნები ეხურათ, ხის სკამზე უმოძრაოდ მჯდარი ნოტრ-დამ-დე-ფლერი თავს ისე გრძნობდა, თითქოს მსუბუქ ჟიგას ცეკვავდა. სასოწარკვეთამ ისარივით გაუარა, როგორც კლოუნი გაივლის ხოლმე აბრეშუმის ქაღალდის სალტეში, გაიარა ისე, რომ მასში აღარაფერი დაუტოვებია, გარდა ნაფლეთებისა, რომლებიც თეთრ სამოსად ექცა. უვნებელი ვერ გადაურჩა, მაგრამ თავი მაინც ყოჩაღად ეჭირა. სამყარო ამ დარბაზში უკვე აღარ იყო. დამსახურებისამებრ. ყველაფერი უნდა დამთავრებულიყო. სასამართლო დაბრუნდა. საპატიო ყარაულის კონდახებმა განგაში დასცეს. თავშიშველა, ფეხზე მდგარმა მონოკლმა განაჩენი ჩაიკითხა. ბაიონის სახელის შემდეგ პირველად წარმოთქვა: „მეტსახელად ნოტრ-დამ-დე-ფლერი“. ნოტრ-დამს სიკვდილი მიუსაჯეს. ნაფიცი მსაჯულები ფეხზე იდგნენ. ეს აპოთეოზი იყო. ყველაფერი დამთავრდა. როცა ნოტრ-დამ-დე-ფლერი მცველებს გადასცეს, მათ მოეჩვენათ, რომ მან შეიძინა ღვთაებრივი თვისება, იმის მსგავსი, ოდესღაც ცოდვების გამოსასყიდად შეწირულ მსხვერპლს - თხა იქნებოდა ეს, ხარი თუ ბავშვი - რომ ჰქონდა, ისეთი, როგორიც დღესაც აქვთ მეფეებსა და ებრაელებს. მცველები ისე ელაპარაკებოდნენ და ემსახურებოდნენ, თითქოს იცოდნენ, რომ მან მთელი სამყაროს ცოდვების სიმძიმე იტვირთა და მხსნელის კურთხევის დამსახურება სურდათ. ორმოცი დღის შემდეგ, გაზაფხულის ერთ ღამეს, საპყრობილის ეზოში მანქანა აღმართეს. გამთენიისას იგი სამუშაოდ უკვე მზად იყო. ნოტრ-დამ-დე-ფლერს თავი ნამდვილი დანით მოჰკვეთეს. და არაფერი მომხდარა. რის გულისთვის? თუ უფალს სული აღმოხდება, მაშინ ტაძრის საბურვლის ჩამოხევა რაღა საჭიროა. ეს არაფერს დაამტკიცებს, გარდა იმისა, რომ ქსოვილი ცუდი ხარისხისაა და გაცვეთილი. თუმც უმჯობესია, ამასაც გულგრილად შევხედოთ, მე იმაზეც თანახმა ვიქნებოდი, თავხედ ონავარს ფეხის დარტყმით გაეგლიჯა იგი და გაქცეულიყო ყვირილ-ყვირილით - სასწაულიო. ეს პიკანტურიცაა და ფრიად შესაფერისიც, რომ ლეგენდას დაედოს საფუძვლად.

დაწერილი თავები გადავიკითხე. ახლა ისინი საბოლოოდ დასრულებულია და ვაღიარებ, რომ არც ერთი პერსონაჟისთვის მხიარული ღიმილის ნება არ მიმიცია: არც კიულაფრუასთვის, არც დივინისთვის, არც ერნესტინისა და არც სხვა ვინმესთვის. ბიჭუნას სახე, შეხვედრების ოთახში რომ შევამჩნიე, ფიქრებს მგვრის და მაიძულებს, ბავშვობა, დედაჩემის კაბის თეთრი ქვედაწელის ფრიალი გავიხსენო. ყოველ ბავშვში, რომელთაც ვხედავ - მე კი მათ ძალზე იშვიათად ვხედავ - ვცდილობ, ის ბავშვი ვიპოვო, მე რომ ვიყავი, შევიყვარო იმისათვის, რაც მე ვიყავი. შეხვედრების ოთახში ბავშვების ნახვისას ამ ორ პატარა სიფათს შევხედე და იქიდან უკიდურესად აღელვებული გამოვედი, რადგან ისინი მე არ ვიყავი, მე სხვა ბავშვი ვიყავი,

გამოუმცხვარი პურივით თეთრი, ძალიან თეთრი ბავშვი. მათში ის მამაკაცები მიყვარს, რომლებიც გახდებიან. როცა ჩემ წინ თეძოების რხევითა და ფართოდ გაშლილი მხრებით ჩაიარეს, ბეჭებზე ამობურცული კუნთები შევამჩნიე, ფრთების ძირებს რომ უფარავდა.

და მაინც, მინდა მჯეროდეს, რომ აი, იმას ვგავდი. მის სახეში საკუთარი თავი შევიცანი, უპირველესად კი, შუბლის ხაზებითა და თვალებით, ის-ის იყო, საბოლოოდ უნდა მეცნო კიდეც ჩემი თავი, რომ, ჰოპ! და გაიღიმა. ეს მე აღარ ვიყავი, რადგან ბავშვობაში, ჩემი ცხოვრების სხვა პერიოდებშიც, არც სიცილი შემეძლო და არც ღიმილი. როგორც კი ბავშვმა გაიღიმა, თუ შეიძლება ასე ითქვას, ჩემსავე თვალში ათას ნაწილად დავიშალე.

როგორც ყველა ბავშვი, მოზარდი თუ ზრდასრული, მეც სიამოვნებით ვიცინოდი, ხანდახან ვხარხარებდი კიდეც; ოღონდ იმის მიხედვით, როგორ მიდიოდა ჩემი ცხოვრება, მის დრამატიზებას ვახდენდი; სიცელქეს, ფუქსავატობასა და ბავშვურობას ვაშორებდი და მხოლოდ საკუთარი დრამის ელემენტებს ვუტოვებდი: შიშს, სასოწარკვეთას, სევდიან სიყვარულს... და მათ რომ დავაღწიო თავი, იმ კონვულსიური ლექსების დეკლამირებას ვიწყებ, სიბილების სახეს რომ ჰგავს. ისინი სულს მისუფთავებენ. მაგრამ თუ ბავშვი, რომელშიც, როგორც მგონია, საკუთარ თავს ვხედავ, იცინის თუ იღიმება, იგი იმ დრამის უკვე დამუშავებულ წყობას არღვევს, რომელიც ჩემი ცხოვრებაა; იგი მას ანგრევს, ამსხვრევს იმიტომაც, რომ მასში ისეთი ქცევები შეაქვს, რომელთა ჩადენაც პერსონაჟს არ შეეძლო; იგი ჰარმონიული (თუმცა მწუხარე) ცხოვრების მოგონებებს ნაწილებად ამსხვრევს, მაიძულებს დავინახო, როგორ ვხდები სხვა და როგორ ემყნობა ერთ დრამას მეორე.

დივინარიანა (გაგრძელება და დასასრული)

ასე და ამგვარად, აი, დივინარიანას ბოლო ნაწილიც. ვჩქარობ, დივინიც თავიდან მოვიშორო. არეულად, სახელდახელოდ ვაკეთებ ამ ჩანაწერებს, რომელთა გარკვევისასაც ყოვლადწმიდის უმთავრესი არსის პოვნას ეცდებით.

მიმიკრიაში დივინი აზრობრივად იქამდე მიდის, რომ ზუსტად ის მდგომარეობა მიიღოს, რომელიც მინიონს ჰქონდა სწორედ ამავე ადგილას. მაშ ასე, თავი მინიონის თავის ადგილზე აქვს, პირი - მინიონის პირის ადგილზე, ასო - მინიონის ასოს ადგილზე და ასე შემდეგ, მერე უკიდურესად შესაძლებელი სიზუსტით იმეორებს, ყოყმანითაც, რადგან ეს ძიება უნდა იყოს (მხოლოდ ძიება, თამაშს რთული ძიება ხდის გაცნობიერებულს) - მინიონის ჟესტები. დივინი თანამიმდევრულად იკავებს მთელ იმ სივრცეს, რომელიც მინიონს ეკავა. იგი მას მიჰყვება და განუწყვეტლივ ავსებს ყველაფერს, რასაც იგი მოიცავდა.

დივინი:

- ჩემი ცხოვრება? საშინლად სევდიანი ვარ; სევდის ველი ვარ.

და ეს ველი - გრიგალში მდგარ შავ ფიჭვებიანად - იმ პეიზაჟებს ჰგავს, რომლებიც საპატიმროს ტილიანი წაბლისფერი საბნების ქვეშ შემძვრალმა ჩემს წარმოსახვით მოგზაურობებში აღმოვაჩინე და სევდის ველი, ნუგეშის ველი, ანგელოზთა ველი ვუწოდე.

ის (დივინი) შეიძლება არაქრისტიანულად იქცეოდა. ამას საყვედურობდნენ კიდეც. ის კი: „განა ოპედან სახლში მიმავალი ლიფარი ცეკვავს?“

ადამიანებს ისე გულგრილად უყურებს, რომ ამბობს: „რაში მაინტერესებს, რას ფიქრობს ხ... იმ დივინზე, რომელიც ვიყავი. რა საქმე მაქვს იმ მოგონებებთან, ჩემზე რომ შემორჩა. ახლა სხვა ვარ. და ნებისმიერ დროს სხვა ვიქნები“. ასე ებრძოდა ამპარტავნობას. ამგვარად, იგი მუდამ მზად იყო ახალი სიბილწის ჩასადენად და უპატიოსნობისა არ ეშინოდა.

წამწამები დაიჭრა, უფრო საზიზღარი რომ გამოჩენილიყო. თან ეგონა, რომ ასე უკან დასახევ გზას არ იტოვებდა.

ტიკები გაუქრა. მოახერხა და თავს ისე იჭერდა, რომ ყველას დაენახა მისი თავშეკავება. სახე გაიყინა. ოდესღაც შეურაცხყოფისთვის, რადაც უნდა დასჯდომოდა, კუნთებს აათამაშებდა. სევდა აიძულებდა ამგვარ თავის მოტყუებას; სახის კუნთები ეკუმშებოდა და ღიმილის მსგავსი გრიმასა უჩნდებოდა. სახე ყინულივით გაუხდა.

დივინი საკუთარ თავზე:

- უზენაესი პედერასტიის ქალბატონი.

დივინმა ვეღარ აიტანა რადიოთი გადმოცემული მარში „ჯადოსნური ფლეიტიდან“. თითებს იკოცნიდა. მერე, გაწამებულმა, მეტი ვეღარ შეძლო და

რადიომიმღები გამორთო.

თავისი უფერული ხმით (ხმით, რომლის გაგონებასაც კინომსახიობისაგან ვისურვებდი, თანაბარი ხმით, რომელსაც სიღრმე არა აქვს), ზეციური ხმით მომმართავს და თითს ჩემი ყურისკენ იშვერს:

- ჟან, მანდაც ნახვრეტი გაქვს.

დივინი ქუჩაში მოჩვენებასავით მიდის. შორიახლო ფეხით ჩაუვლის ახალგაზრდა ველოსიპედისტი, რომელსაც მანქანა საჭით უჭირავს.

მიუახლოვდება თუ არა, დივინი ისეთ მოძრაობას აკეთებს (მკლავს ოდნავ ხრის), თითქოს წელზე ხელი უნდა მოხვიოსო. ველოსიპედისტი მოულოდნელად დივინისკენ ბრუნდება და მართლაც მის მკლავებში აღმოჩნდება. იგი წამით გაოცებული აშტერდება დივინს, მერე ველოსიპედს მოახტება და ქრება.

დივინი თავის ნაჭუჭს უბრუნდება და თავის შინაგან ცაში იჭრება.

წუთიერი სურვილი ახალგაზრდა, ლამაზი ბიჭის იქ ყოფნაში:

- ეს „კიდე“ უკვე ყელში მწვდა.

ახლა იგი მხოლოდ იმიტომღა იცოცხლებს, რომ სიკვდილისკენ მიიჩქაროდეს.

გედს მძიმე თეთრი ბუმბული აკავებს, ლამის ამოსაღებად ჩაყვინთვა არ შეუძლია; არც იესოს შეუძლია ცოდვის ჩადენა.

დივინისთვის დანაშაულის ჩადენა მხოლოდ იმისთვის, რომ მორალის ტვირთისგან თავი დაიხსნას, მორალთან მჭიდრო კავშირსაც ნიშნავს. ლამაზი დანაშაულის ჩადენა არ უნდა. ყველგან იმას გაჰკივის, გემოვნებას ვემორჩილებიო.

ის ქურდობს და მეგობრებს ღალატობს.

ყველაფერი ისე ეწყობა, რომ მის ირგვლივ - მისი სურვილის მიუხედავად - მარტოობა სუფევდეს. იგი უბრალოდ დიდების სიმყუდროვეში ცხოვრობს, თავისი პატარა და ძვირფასი დიდებისა, რომელიც თვითონ შექმნა.

- მე, - ამბობს ის, - ბერნადეტ სუბირუ ვარ შარიტეს მონასტერში ხილვებიდან დიდი ხნის შემდეგ. ისიც ჩემსავით უბრალოდ ცხოვრობდა, მაგრამ არ ავიწყდებოდა, რომ ღვთისმშობელს „შენობით“ ელაპარაკებოდა.

ისეც ხდება, რომ უდაბნოში ჯარი მიდის, და მას - ტაქტიკური მოსაზრებებით - პატარა კოლონა გამოეყოფა და სხვა მიმართულებით წავა. რაღაც დროის განმავლობაში ეს კოლონა შეიძლება ჯარს გვერდით მიჰყვებოდეს, ერთ საათს ან უფრო მეტს. ადამიანებს ორივე ამ ნაწილიდან შეეძლოთ, ერთმანეთთან ელაპარაკათ, ერთმანეთი დაენახათ, მაგრამ არც ელაპარაკებიან ერთიმეორეს და ვერც ხედავენ: როგორც კი კოლონა ახალი მიმართულებით გადადგამს ნაბიჯს, უკვე გრძნობს, რომ მასში ახალი პიროვნება იბადება; იგი ხვდება, რომ მარტოა და მისი მოქმედება მხოლოდ მისი მოქმედებაა.

ადამიანებს რომ ჩამოშორებოდა, დივინმა ასჯერ მაინც წამოიწყო ეს პატარა მანევრი. მაგრამ რაგინდ შორსაც უნდა წასულიყო, ადამიანები მაინც თავისკენ ეძახდნენ.

თავისი ცხოვრება სულ კლდის წვერიდან გადმოხტომაში გაატარა.

ახლა, როცა სხეული აღარა აქვს (ან ძალიან ცოტა შერჩა, გადათეთრებული, გაფითრებული, გაძვალტყავებული და ამავე დროს ძალიან რბილიც), იგი ზეცისკენ ისწრაფვის.

დივინი საკუთარ თავზე:

- ქალბატონი წარმოშობით იდუმალება.

დივინის წმინდანობა.

მრავალი წმინდანისაგან განსხვავებით, დივინმა იცოდა მის შესახებ; ამაში გასაოცარი არაფერია, წმინდანობა ხომ მისი ხედვა იყო უფლისა, უფრო მეტიც, მისი კავშირი შემოქმედთან. ეს კავშირი განსაცდელისა და ტანჯვის გარეშე არ შობილა, თანაც ორივე მხრიდან. დივინის მხრიდან განსაცდელი იმაში მდგომარეობდა, რომ იგი იძულებული გახდა, საუცხოო დიდების ძიების გამო მიეტოვებინა თავისი საიმედო, ჩვეული და მყუდრო მდგომარეობა. თავისი მდგომარეობა რომ შეენარჩუნებინა, იმას აკეთებდა, რაც გონივრულად მიაჩნდა: ჟესტებით მოქმედებდა. მთელი სხეული დარჩენის დაუძლეველმა სურვილმა შეიპყრო. ჰქონდა მძაფრი სასოწარკვეთის ჟესტები, გაუბედავი ცდების ჟესტები, ხელჩასაჭიდი ობიექტის მოძებნის წინ ყოყმანის ჟესტები, რომ დედამიწას ჩასჭიდებოდა და ზეცად არ ამაღლებულიყო. შეიძლება მოგეჩვენოთ, რომ ბოლო წინადადება დივინის ვითომ ცად ამაღლებას გულისხმობს. მსგავსი არაფერი. აქ ცად ამაღლება ნიშნავს: არ

გაინძრეს და დივინადვე დატოვოს ღვთაების გულისთვის. სასწაული სულის სიღრმეში რომ მომხდარიყო, იგი ენით აუწერლად მკაცრი იქნებოდა. რადაც უნდა დასჯდომოდა, უნდა გაეძლო. წინააღმდეგობა უნდა გაეწია უფლისათვის, რომელიც უტყვად უხმობდა. არ უნდა უპასუხოს. მაგრამ ის ჟესტები უნდა მოიშველიოს, დედამიწაზე რომ შეაკავებს და მატერიას მიაწებებს. სივრცეში სულ ახალ-ახალ ბარბაროსულ ფორმებს იღებდა, რადგან ინტუიციურად გრძნობდა: უმოძრაობა უფალს შესაძლებლობას მისცემდა, ამერიკული ჭიდაობის ილეთების წარმატებით გამოყენებით მეტისმეტად ადვილად წაეყვანა თან. და ცეკვავდა. სეირნობისას. ყველგან. მისი სხეული თავს ყველგან ამჟღავნებდა. ათას სხეულში იჩენდა თავს. არავინ იცოდა, რა ხდებოდა და არც არავის უნახავს დივინის ტრაგიკული წამები, უფალს რომ ებრძოდა. გასაოცარ პოზებს იღებდა, იმის მსგავსს, იაპონელი აკრობატები რომ იღებენ. გონდაკარგულ ტრაგიკოს მსახიობ ქალს ჰგავდა, რომელსაც საკუთარი სახის დაბრუნება აღარ შეუძლია და ეძებს, ეძებს... და აი, ერთხელაც, როცა საწოლს უძრავად მიეყინა, მისთვის მოულოდნელად, თვით უფალმა მიიღო იგი წმინდანად. აქ ერთი შემთხვევაც უნდა გავიხსენოთ. თავის მოკვლა მოინდომა. თავის მოკვლა. ჩემი სიკეთის მოკვლა. მაშ ასე, ბრწყინვალე იდეა მოუვიდა და აღასრულა კიდეც: ოდესღაც მისი აივანი დიდი სახლის მერვე სართულიდან მოკირწყლულ ეზოს გადმოჰყურებდა. რკინის მოაჯირის გისოსებს შორის ფართო გასაძრომები იყო დარჩენილი, რომლებსაც მავთულის ბადე ჰქონდა აკრული. ერთ მეზობელს ორი წლის ბავშვი ჰყავდა, პატარა გოგონა, რომელსაც დივინი ხშირად იწვევდა თავისთან და კანფეტებით უმასპინძლდებოდა. ბავშვს აივანზე სირბილი უყვარდა და მავთულის ბადიდან ქუჩაში ყურება. ერთხელ დივინმა გადაწყვიტა: ბადე მოხსნა და მოაჯირის გისოსებზე მიყუდებული დატოვა. როცა ბავშვი მასთან მივიდა, ოთახში ჩაკეტა, თვითონ კი სირბილით კიბეზე დაეშვა. ეზოში ჩასული ელოდა, ვიდრე ბავშვი აივანზე სათამაშოდ გავიდოდა და ბადეს მიეყრდნობოდა. სხეულის სიმძიმემ სიცარიელეში გადააყირავა ბავშვი. დივინი ქვემოდან ადევნებდა თვალს. მისი ერთი პირუეტიც არ გამოჰპარვია. იყო მასში რაღაც ზეადამიანური, ისეთი დიდი, რომ უცრემლოდ, ყვირილისა და კანკალის გარეშე, ხელთათმანები ჩაიცვა და

მოაგროვა ის, რაც ბავშვისგან დარჩა. სამი თვე გაატარა არაწინასწარგანზრახულ მკვლელობაში ეჭვმიტანილის საკანში, მაგრამ სიკეთე მისი უკვე მკვდარი იყო. რადგან: „ახლა რაღაში მჭირდება, ათასგზის კეთილი ვიყო? ეს მოუნანიებელი ცოდვა რომ გამოვისყიდო? ასე რომ, ჯობია, ცუდი ვიყო“.

დანარჩენი სამყაროსადმი სრულიად გულგრილი, როგორც ჩვენ გვეგონა, დივინი კვდებოდა.

ერნესტინმა დიდხანს არ იცოდა, რა დაემართა მის ვაჟს, რომელიც მეორედ გაქცევის შემდეგ მხედველობიდან დაკარგა. როცა ბოლოს და ბოლოს მისი ამბები გაიგო, ის ჯარში იყო. ერნესტინმა მისგან ცოტა მორიდებული წერილიც მიიღო, სადაც ცოტაოდენ ფულს ითხოვდა. ნახვით კი თავისი ვაჟი, უკვე დივინი, უფრო მოგვიანებით ნახა პარიზში, სადაც ერნესტინი, ყველა პროვინციელი ქალის მსგავსად, საოპერაციოდ ჩავიდა. დივინი იმ დროს საკმაოდ შეძლებულად ცხოვრობდა. ერნესტინი, რომელმაც მისი გარყვნილების შესახებ არაფერი იცოდა, ამას თითქმის მაშინვე მიხვდა და გაიფიქრა: „ლუს დუნდულებს შორის ლიონის ბანკის საკრედიტო ბარათი აქვს“. მეტი არაფერი უთქვამს იმაზე, რომ შვა ურჩხული, რომელიც არც მამალი იყო და არც დედალი, არც მემკვიდრე ვაჟი და არც მემკვიდრე ქალი პიკინების გვარისა; ორაზროვანი დასასრული ძირძველი კეთილშობილური საგვარეულოსი, რომლის დიდი დედაც სირინოზი მელუზინა იყო - არც წარმოდგენა შეუცვლია, რომელიც საკუთარ თავზე ჰქონდა. დედა-შვილი ისე შორს იყო ერთმანეთისაგან, თითქოს სიცარიელით ამოვსებული მანძილი აშორებდათ: უგრძნობი სხეულების შეხება. ერნესტინი საკუთარ თავს არასოდეს ეუბნებოდა: „ჩემი ხორცია ხორცთაგანი“. არც დივინს უთქვამს როდისმე: „ეგ არის, მაგან მომჯვა“. როგორც დასაწყისში ვაჩვენეთ, დივინი დედამისისთვის მხოლოდ თეატრალური ჟესტების საბაბი იყო. დივინს კი, იმ ბოზი მიმოზას სიძულვილის გამო, რომელსაც თავისი დედა ეზიზღებოდა, თავი ისე მოჰქონდა, თითქოს საკუთარი მოწიწებით უყვარდა. ეს მოწიწება მოსწონდა მინიონს, რომელსაც, როგორც ნამდვილ „ხვადს“, ნამდვილ „კაი ბიჭს“, სულის სიღრმეში შემონახული ჰქონდა ის, რასაც „მოხუცი დედის კუთვნილ სუფთა, პატარა კუთხეს“ ეძახიან, თუმცა დედას საერთოდ არ

იცნობდა. იგი ემორჩილებოდა მიწიერ კანონებს, სუტენიორებზე რომ ბატონობდა. როგორც პატრიოტსა და კათოლიკეს, დედა უყვარდა. ერნესტინმა მომაკვდავი დივინი მოინახულა. რაღაც ტკბილეულიც მიუტანა და მხოლოდ სოფლელებისთვის შესამჩნევი ნიშნებით, რომლებიც უფრო მრავლისმეტყველია, ვიდრე სამგლოვიარო კრეპი, მიხვდა დივინი მიდიოდა.

„მიდის“, - უთხრასაკუთარ თავს.

მღვდელმა - იმან, რომლის უცნაური მსახურებაც ჩვენ უკვე ვნახეთ - სეფისკვერი შემოიტანა. ჩაის პატარა მაგიდაზე, შავი ჯვარცმისა და ნაკურთხი წყლით სავსე თასის ახლოს, რომელშიც ბზის გამხმარი და მტვრიანი ტოტი სველდებოდა, სანთელი ენთო.

რელიგიაში ერნესტინი მხოლოდ ჯადოსნურს აღიარებდა (და არა საიდუმლოს, დაშენებულს საიდუმლოზე, რომელიც პირველს ფარავდა); ეს ჯადოსნური, მასში რომ პოვებდა, ოქროსავით ნამდვილი იყო. თავად განსაჯეთ: ავდრიან დღეებში იცოდა, რომ ელვასავით მოდიოდა ფანტაზია, ბუხრის მილიდან შემოიჭრებოდა და ფანჯრიდან გაქრებოდა და, სავარძელში მჯდარი, საკუთარ თავს ხედავდა, როგორ გადიოდა ფანჯრის მინებში (თან მკერდიც, ყელიც, ფეხებიც და ქვედა კაბაც გახამებული ქსოვილის ნაკეცებივით ინარჩუნებდა სიმაგრეს) და ბალახზე ეცემოდა ან მიტყუპული ფეხებით ცაში იჭრებოდა, თითქოს ქანდაკება ყოფილიყოს; ასე ვარდებოდა დაბლა ან იჭრებოდა მაღლა, ძველი მხატვრების ტილოებზე გამოსახული ანგელოზებივით ან წმინდანებივითი, ისევე უბრალოდ, როგორც მაღლდება ცად იესო, იმ ღრუბლების გარეშე, რომლებსაც იგი მიჰყავს.

ეს იყო მისი რელიგია. უწინ, დიდ ფაციფუციან დღეებში, მისტიკური თავაშვებულობის დღეებში, თავს ეუბნებოდა: „ხომ არ ვიწამო ღმერთი და გავმხიარულდე?“ და წინასწარი ტკბობისგან თრთოდა.

დივინის სიკვდილის ჟამს გამხიარულდა - ისე ღრმად იწამა ღმერთი, რომ დიდებული სცენების მოწმე გახდა.

ღმერთი დაინახა, რომელიც კვერცხს ყლაპავდა. სიტყვა „დანახვა“ აქ მხოლოდ და მხოლოდ თხრობის მოხერხებულობისთვისაა გამოყენებული. გამოცხადებაზე თითქმის ვერაფერს ვიტყვი, რადგან, არსებითად, მის შესახებ მხოლოდ ის ვიცი, რაც უფლის წყალობით იუგოსლავიის ციხეში გავიგე.

საპატიმრო ვაგონის ეტაპების ახირების გამო ქალაქიდან ქალაქში დამატარებდნენ. ყოველი ქალაქის საპატიმროში ერთ ან ორ, ან უფრო მეტ დღეს ვრჩებოდი. ერთხელ ჩამკეტეს საკმაოდ დიდ საკანში, ოციოდე პატიმრით რომ იყო სავსე. სამ ბოშას იქ ჯიბის ქურდების სკოლა მოეწყო. აი, როგორ ხდებოდა ყველაფერი: ვიდრე ერთ რომელიმე პატიმარს ზემო საწოლზე გაშოტილს ეძინა, ჩვენ რიგრიგობით უნდა ამოგვეღო მისი ჯიბეებიდან - და უკანვე ჩაგვეწყო - ის საგნები, რომლებიც ჯიბეებში ჰქონდა, ისე, რომ არ გაღვიძებოდა. საკმაოდ ფაქიზი სამუშაო იყო, რადგან მძინარესთვის, გინდა-არგინდა, მაინც უნდა შეგეღიტინებინა გადასაბრუნებლად, რომ ჯიბე გათავისუფლებულიყო, რომელსაც თეძოების მთელი სიმძიმით აწვა.

როცა ჩემი რიგი მოვიდა, ბოშამ, რომელიც უფროსობდა, დამიძახა და იმუშავეო, მიბრძანა. პიჯაკის ქსოვილის ქვეშ ვიგრძენი, როგორ უცემდა გული, და გონება დავკარგე. ნარზე გადამიტანეს და იქამდე ვიწექი, ვიდრე გონს არ მოვედი. მოქმედების ადგილი ზუსტად მახსოვდა. საკანი რაღაც ნაწლავს ჰგავდა - ზუსტად იმდენი ადგილი იყო, სიგრძეზე ხის საწოლები რომ გამართულიყო. ერთი ბოლოდან, შემოსასვლელი კარის პირდაპირ რომ მდებარეობდა, ოდნავ მოღუნული და გისოსებაკრული სარკმლიდან, ჩვენთვის უხილავი ციდან, ალმაცერად შემოდიოდა ყვითელი სინათლე, ზუსტად ისე, გრავიურებსა და რომანებში რომ ხატავენ.

როცა გონზე მოვედი, დავინახე, რომ კუთხეში ვარ, ფანჯარასთან ახლოს. ბერბერებისა თუ ბავშვების ყაიდაზე ჩავცუცქდი და ფეხებზე საბანი შემოვიხვიე. დანარჩენები, ერთად შეკრებილი, მეორე კუთხეში იდგნენ.

შემომხედეს და ახარხარდნენ. რადგან მათი ენა არ ვიცოდი, ერთი ჩემკენ მოანიშნებს და ასეთ ჟესტს აკეთებს: თმას ისე იქექავს, თითქოს ტილი მოძებნა და მერე, მაიმუნის მანჭვა-გრეხით, ვითომ ჭამს.

არ მახსოვს, მყავდა თუ არა ტილები. ყოველ შემთხვევაში, ისინი არასოდეს მიჭამია. თავი ქერტლით მქონდა სავსე, კანზე ქერქი გამიჩნდა, რომელთაც ფრჩხილებით ვიძრობდი, მერე კბილებით ვისუფთავებდი ფრჩხილებს, ზოგჯერ ვყლაპავდი კიდეც.

ზუსტად მაშინ მივხვდი, რაც იყო ეს საკანი. რაღაც შეუგრძნობ დროში მისი

არსი შევიცანი: ერთ საკნად დარჩენილი, მსოფლიო ციხედ იქცა. საზარელმა შიშმა (არაკეთილშობილთა სამყაროს) მურტალი სიბილწის კიდეში გადამაგდო, პირდაპირ ჯიბის ქურდების სკოლის დახვეწილ მოწაფეებთან; ნათლად დავინახე („დავინახე“, როგორც ერნესტინის შემთხვევაში), რაც იყო ეს საკანი, ეს ხალხი და რა როლსაც თამაშობდნენ ისინი: ეს კი ყველაზე პირველი როლი გახლდათ სამყაროს მოძრაობაში. ეს როლი იყო დასაბამი სამყაროსი და სამყაროს დასაბამს. გონების რაღაც უჩვეულო გამონათების წყალობით უცებ მომეჩვენა, რომ ამ სისტემას გავუგე. სამყარო და მისი იდუმალება დავიწროვდა, როგორც კი მისგან მომკვეთეს. ეს ნამდვილი ზებუნებრივი წამი გახლდათ, რომელიც იმ წამს ჰგავდა, ყოველგვარი ადამიანურისაგან მოწყვეტის აზრით, შერშ-მიდის ციხის უფროსმა ზედამხედველმა სეზარიმ რომ მაჩუქა, რომელსაც ჩემი ქცევის შესახებ პატაკი უნდა წარედგინა. მან მკითხა: „აი, ეს სიტყვა (ვერ გაბედა ეთქვა „ჰომოსექსუალისტი“) ცალ-ცალკე იწერება?“ და გაშვერილი თითის წვერით ქაღალდი ისე მაჩვენა, სიტყვას არ შეხებია.

აღტაცებული დავრჩი.

ერნესტინიც ჩემსავით მოხიბლული იყო უფლის ანგელოზებით, რომელთა დეტალების, შეხვედრების, დამთხვევების რიგითობა ასეთია: იმ ბალერინის პუანტების დარტყმა ან შეიძლება ბარძაყების გადაჯვარედინებაც, რომელიც ჩემი გულის სიცარიელეში ყვავილივით ამოიზრდება საყვარელიჯარისკაცის ღიმილისაგან. მან უეცრად თითებს შუა მოიქცია მთელი სამყარო და სკოლის მასწავლებელივით მკაცრად შეათვალიერა.

ბოლო ლოცვისთვის მზადებისას დივინი კომიდან გამოვიდა. სანთელი დაინახა, თავისი უკანასკნელი ნავსაყუდელის შუქურა, და შეშინდა. იგრძნო, რომ სიკვდილი მუდამ ცხოვრების ნაწილი იყო, მაგრამ მისი სიმბოლური სახე დაფარული გახლდათ რაღაც ულვაშისნაირით, რომელიც საზარელ სინამდვილეს დღის გემოვნებას აგუებდა. ჯარისკაცის იმ ფრანკულმა მოკრეჭილმა, ძირს დაცვენილმა ულვაშმა დასაჭურისებულივით შეაცბუნა, რადგან სახე უცებ გაუნაზდა და ჩამოუთხელდა, გაუფერმკრთალდა, ნიკაპი დაუპატარავდა, შუბლი გამოეწია და რომანულ ვიტრაჟზე გამოსახული წმინდანისა თუ ბიზანტიელი იმპერატრიცას სახეებს დაემსგავსა, რომლებსაც, ჩვეულებრივ, ვუალიანი მაღალი თავსაბურავებით ხატავენ ხოლმე. სიკვდილი ისე ახლოს იყო, რომ შეიძლებოდა დივინს შეხებოდა კიდეც და თავისი გამომშრალი თითით მასზე ისე დაეკაკუნებინა, როგორც კარზე აკაკუნებენ ხოლმე. დივინმა გაშეშებული თითები მოხარა და ზეწარი დაიჭიმა, რომელიც ასევე გაშეშებულიყო და გაყინულიყო.

- მაგრამ, - უთხრა მღვდელს, - ჯერ ხომ არ მოვმკვდარვარ. გავიგე, ანგელოზები ჭერზე როგორ აკუებდნენ.

„...მოვმკვდარვარ“, - გაიმეორა თავისთვის, და ავხორცულად ტანწერწეტა გულისამრევ საავდრო ღრუბლებში, საერთოდ კი სამოთხისაში, დივინმა ისევ დაინახა მკვდარი, სიკვდილი მკვდართა, ის ბებერი ადელინა სოფლიდან, რომელიც მას - და სოლანჟსაც - შავკანიანების ცხოვრებიდან უამბობდა ამბებს.

როცა მოხუცი (მისი ბიძაშვილი) მოკვდა, ტირილი ვერ შეძლო, მაგრამ სხვები რომ დაერწმუნებინა თავის მწუხარებაში, თვალები ნერწყვით დაისველა. დივინს მუცელში ბოლის გორგალი გადაუგორდა. მერე იგრძნო, როგორ იპყრობდა ზღვის ავადმყოფობასავით ბებერი ადელინას სული, რომლის სიკვდილის შემდეგაც ერნესტინი კიულაფრუას მისი ღილებიანი და მაღალქუსლიანი ფეხსაცმლის ჩაცმას და იმით სკოლაში სიარულს აიძულებდა.

მიცვალებულისთვის ღამისთევისას ცნობისმოყვარეობამ საწოლიდან ააყენა. თითის წვერებზე გამოვიდა ოთახიდან, სადაც ყოველი კუთხიდან გამოფრინდა უამრავი სული, რომლებმაც გადასალახი წინაღობები შეუქმნეს. მათ შუაში შევიდა, თავისი წმინდა მისიის აღსრულებით გაძლიერებული, შეშინებული, აღტაცებული, უფრო მკვდარი, ვიდრე ცოცხალი. სულები, აჩრდილები უზარმაზარ კორტეჟად მოეწყვნენ. სამყაროს დასაბამიდან ჩნდებოდნენ - და სამგლოვიარო განსასვენებლამდე ლანდების მთელი თაობები მოჰყვებოდნენ უკან. ეს შიში იყო. ფეხშიშველი მიდიოდა და ცდილობდა, რაც შეიძლება ნაკლებად ზეიმური ხასიათი მიეცა ამ მსვლელობისათვის.

ახლა ღამის ქურდივით მიდიოდა, ან იქნებ ისეც, როგორც მრავალჯერ მიპარულა კარადასთან, იქიდან ერნესტინისთვის ნათლობისა თუ ქორწილის

დღეს ნაჩუქარი დრაჟე რომ მოეპარა; განსაკუთრებული მოწიწებით აკნატუნებდა ამ დრაჟეს, არა როგორც ჩვეულებრივ ნუგბარს, არამედ როგორც წმინდა საჭმელს, სისუფთავის სიმბოლოს, რომელსაც მინის ბურთის ქვეშ მოთავსებული თეთრი ცვილისაგან გაკეთებული ფლერდორანჟის გვერდით აყენებდა: საკმევლის ოდნავ შესამჩნევი სუნი, თეთრ საბურველთა ლანდები. და ეს მოტივი: ვენი ჩრეატორ...

„თუ მიცვალებულის ღამისმთეველი ადგილზეა, ნეტავ რას იტყვის?..“ მაგრამ ის სამზარეულოში ბრძანდებოდა და ყავას მიირთმევდა.

ოთახი ცარიელი იყო. გამოცარიელებული. სიკვდილი სიცარიელეს სხვანაირად ქმნის, უკეთესად, ვიდრე კომპრესორი. საწოლზე გადაფარებულ ზეწარზე სახის რელიეფი ისე ისახებოდა, როგორც მოქანდაკის მიერ ოდნავ ხელნახლები თიხა.

კიულაფრუამ გაშეშებული ხელი გაიშვირა და ზეწარი ასწია. მიცვალებული ისევ იქ იყო. ნაკლებად რომ შეშინებოდა, ახლოს მივიდა. გაბედა და სახეს ხელი შეახო, აქატის თვლებივით მრგვალსა და გაყინულ ქუთუთოებზეც აკოცა. სხეული სინამდვილისგან განაყოფიერებულს ჰგავდა. იგი ჭეშმარიტებას ღაღადებდა.

იმ წუთში ბავშვი უწინ მოსმენილი თუ წაკითხული ისტორიების უწესრიგო მოგონებებმა შეიპყრო, სახელდობრ: იმან, რომ ბერნადეტ სუბირუს გარდაცვალების მომენტში მისი ოთახი უხილავი იების კეთილსურნელებით აივსო. მანაც უნებურად დაყნოსა, მაგრამ ვერ იგრძნო სურნელი, რომელიც, მიჩნეულია, რომ სიწმინდეს ახასიათებს. უფალმა თავისი მონა დაივიწყა. და ძალიანაც კარგი. ჯერ ერთი, ახლახან გარდაცვლილი შინაბერას საწოლთან ყვავილთა სურნელის ფრქვევა არ ღირდა; მეორეც, სიფრთხილე იყო საჭირო, რომ ბავშვთა სულები პანიკას არ მოეცვა.

მაგრამ თითქოს აი, ამ წამიდან წამოვიდა ძაფი, რომელსაც კიულაფრუა-დივინი უმაღლესი უზენაესის განგებით გარდაუვალთან, სიკვდილთან უნდა მიეყვანა. ხელის ცეცებით ძიება გაცილებით ადრე დაიწყო. შესწავლა-კვლევა თავიდან აღტაცებით მიმდინარეობდა. მომსკდარმა პირველმა პასუხებმა იმ შორეულ, ბურუსით მოცულ, შეუღწეველ ეპოქაში დააბრუნა, როცა იგი ღმერთების ხალხს მიეკუთვნებოდა, გამოქვაბულის იმ ადამიანებივით, შარდის სუნით აქოთებულ კონკებში რომ იყვნენ გახვეული. ისინი ამ ღირსებას ინარჩუნებდნენ, ბავშვებთან და ზოგიერთ ცხოველთან ერთად ინაწილებდნენ. სიდარბაისლესა და კეთილშობილებას სამართლიანად უწოდებენ ანტიკურს. ახლა კი, სამყაროს სუფთა პოეტურ აღქმამდე დაგროვებული ცოდნის წყალობით, ჩვრები მოეხსნათ. ყოველი დაკითხვა თუ გამოკითხვა უფრო და უფრო მეტ სიცარიელეს ტოვებდა, სიკვდილზე მიანიშნებდა, ერთადერთ რეალობაზე, რომელიც აღგვავსებს.

სინამდვილესთან შეჯახების გამო სიხარული დაიკარგა. მასთან მიკარების ყოველ ცდაზე ბრმის პატარა თითი, ხელის ცეცებით ადგილს რომ სინჯავდა, სიცარიელეში ეფლობოდა. კარი თავისით ტრიალებდა და არსად შეჰყავდი. მან დედაბერს თვალებში აკოცა და გველისებრმა სიცივემ შებორკა. ის იყო, უნდა შებარბაცებულიყო, შეიძლება წაქცეულიყო კიდეც, რომ საშველად მოგონება მოევლინა: მოგონება ალბერტოს ხავერდის შარვალზე; იმ კაცივით, რომელსაც მოულოდნელად ბედი გაუღიმებს, თვალი მოჰკრას, როგორც იტყვიან, დაფარული იდუმალების სიღრმეს და საჩქაროდ ზურგს შეაქცევს, რათა ფეხქვეშ მიწა მტკიცედ იგრძნოს, კიულაფრუაც შეშინებული განზე გახტა, თავი მხრებში ჩარგო, და ალბერტოს შარვალზე თბილ მოგონებაში გაეხვია, სადაც მის თვალს სიმშვიდისა და ნუგეშისმომგვრელი წივწივას ბარტყები უნდა ეპოვა.

მერე თავის ოთახს, თავის საწოლს დაუბრუნდა, სადაც ზეციდან ჩამოსულმა ალბერტომ ხელში აყვანილი მიიყვანა, და ატირდა. მაგრამ - დაე ეს ნუ გაგაოცებთ - იმიტომ ატირდა, რომ ტირილი არ შეეძლო.

აი, როგორ მოკვდა ჩვენი დიდი დივინი:

თავისი პატარა ოქროს საათი მოძებნა, რომელსაც ბარძაყებს შორის მიაგნო, მუჭაში მოიქცია და ერნესტინს გაუწოდა, რომელიც სასთუმალთან ეჯდა. მათი ხელები ერთ მუჭად შეერთდა. შუაში საათი ედოთ. ღრმა ფიზიკურმა სიმშვიდემ დივინი დაასუსტა; თითქმის წყლად ქცეული უწმინდურება ქვეშ პატარა თბილ ტბად გაეშალა, რომელშიც ნელა, ძალიან ნელა ჩაიძირა იმ გემივით, რომელიც ჯერ კიდევ ინახავს იმედდაკარგული უკანასკნელი იმპერატორის სითბოს და რომელიც ნემის ტბაში ეშვება, და ამ სიმსუბუქემ ამოახრიალებინა, პირი სისხლით აუვსო, მერე კიდევ ერთი

ამოსუნთქვა - უკანასკნელი.

აი, ასე მიიცვალა, შეიძლება ითქვას, დაიხრჩო.

ერნესტინი ელოდა. არ ვიცი, რა სასწაულით, მაგრამ უცბად მიხვდა, მათი შეერთებული ხელებიდან წამოსული გულისცემა მხოლოდ საათის წიკწიკი იყო.

მიუხედავად იმისა, რომ ნიშნებსა და წინასწარმეტყველებებს შორის ცხოვრობდა, ცრუმორწმუნე მაინც არ იყო. და სულ მარტო შეუდგა მიცვალებულის გაპატიოსნებას; დივინს რიგიანად შეკერილი, ლურჯი შევიოტის ინგლისური კოსტიუმი ჩააცვა.

აი, ის უკვე განსვენებულია. ძალიან, ძალიან განსვენებული. მისი ცხედარი ზეწრებშია გახვეული. თავიდან ფეხებამდეა გახვეული ყინულებში ჩაჭედილი გემივით, უმოძრაოა, გაშეშებული და უსასრულობისკენ მცურავი: შენც, ჩემო ჟან, ჩემო ძვირფასო ჟან, როგორც უკვე ვთქვი, უმოძრაო და გაშეშებული, ჩემი საწოლით ბედნიერი უსასრულობისკენ მიცურავ.

ახლა, როცა დივინი უკვე მოკვდა, რაღა დამრჩა მოსაგვარებელი და სათქმელი?

დღეს საღამოს გაშმაგებული ქარი ალვებს ერთმანეთს ახეთქებს, რომელთა მხოლოდ წვეროებს ვხედავ. ამ მშვიდი სიკვდილით დარწეული ჩემი საკანი დღეს ისეთი კარგია!

ხვალ თავისუფალი რომ გავხდე?

(ხვალ სასამართლოა.)

თავისუფალი, ესე იგი ცოცხლებში გადასახლებული. მე სული საკუთარი საცხოვრებლის ზომაზე შევიქმენი. ჩემი საკანი ისეთი კარგია. თავისუფლად შემიძლია ღვინის დალევა, გაბოლება და ბურჟუების ყურება. როგორ ჩატარდება ხვალინდელი სასამართლო? ყველაზე მკაცრი განაჩენი წარმოვიდგინე, რომლითაც ჩემი დასჯა შეეძლო. გულმოდგინედ მოვემზადე, ჰოროსკოპიც შევირჩიე (იმისდა მიხედვით, რის ამოკითხვაც შევძელი მის შესახებ საკუთარ წარსულში) - ბედისწერის სახე. ახლა, როცა უკვე ვიცი, როგორ მივდიო მას, ჩემი სევდა ისე დიდი აღარ არის. გამოუსწორებლის წინაშე იგი გაქრა. ის ჩემი სასოწარკვეთაა, და ისიც, რაც მოხდება, მოხდება. უარი ვთქვი საკუთარ სურვილებზე. მეც „ეს უკვე გავიარე“ (ვაიდმანი). დაე მთელი ჩემი ადამიანური ცხოვრება აქ, ამ კედლებში, დავრჩე. ხვალ ვიღას გაასამართლებენ? ვიღაც უცნობს, ვისაც ის სახელი ჰქვია, უწინ ჩემი რომ იყო. ამ ქვრივებს შორის შემიძლია სიკვდილი გავაგრძელო ჩემს ნამდვილ სიკვდილამდე. ლამპა, ჯამი, დღის განრიგი, ცოცხი. და ჩალის ლეიბი, ჩემი მეუღლე.

დაწოლა არ მინდა. ხვალინდელი სასამართლოს სხდომა ზეიმი იქნება, რისთვისაც სიფხიზლე აუცილებელია. სწორედ ამ საღამოს მინდოდა გამომეგლოვა ჩემი განშორებები, იმასავით, ვინც რჩება. გონება ისეთი ნათელი მაქვს, გინდაც შიშველი ვყოფილვარ. გარეთ ქარი უფრო შმაგდება და წვიმაში ერევა. ასე იუწყება სტიქია ხვალინდელი დღის ცერემონიას. დღეს, მგონი, 12-ია, ასე არ არის? რაზე შევჩერდი? ამბობენ, გაფრთხილება ღმერთისგან მოდისო. ეს არ მაინტერესებს. უკვე ვგრძნობ, რომ ციხეს აღარ ვეკუთვნი. დამქანცავი ძმობა გაწყდა, რომელიც მიცვალებულებთან მაერთებდა. იქნებ ვიცოცხლო კიდეც...

ზოგჯერ უეცრად ატეხილი მძაფრი ხარხარი, ღმერთმა უწყის, საიდან აღმოცენებული, მაკრთობს. ჩემში ისე ჟღერს, როგორც ნისლში მხიარული შეძახილი, რომელიც, როგორც ეტყობა, ნისლის გაფანტვას ესწრაფვის, მაგრამ არავითარ კვალს არ ტოვებს, გარდა მზესა და დღესასწაულზე დარდისა.

და თუ დამსჯიან? ისევ ჩავიცვამ უხეშ შალეულს და ეს ჟანგისფერი ტანსაცმელი მონაზვნური ჟესტის გაკეთებას მაიძულებს - ხელებს სახელოებში შევმალავ - და ამის კვალდაკვალ სათანადო აზრებიც მომივა: ვიგრძნობ, მორჩილი და სახელოვანი რომ ვხდები, მერე, ჩემს საბნებში ჩამარხული - ეს „დონ ჟუანში“ ცოცხლდებიან და ეხვევიან ერთმანეთს დრამის პერსონაჟები სცენაზე - ძველებურად, ჩემი საკანი რომ მოვაჯადოო, ისევ დავიწყებ მინიონის, დივინის, ნოტრ-დამისა და გაბრიელის ახალი, წარმტაცი ცხოვრების შექმნას.

საოცარი მიგნებებით, სასოწარკვეთით, იმედით, სიმღერებით სავსე გულისშემძვრელი წერილები წავიკითხე; სხვებიც, უფრო თავშეკავებული. მათგან მხოლოდ ერთი ავირჩიე, მინიონმა დივინს ციხიდან რომ მისწერა:

„ძვირფასო,

გიგზავნი ამ პატარა წერილს, რომ ჩემი არცთუ სასიამოვნო ამბები შეგატყობინო. ქურდობაზე დამიჭირეს. ეცადე, შეხვდე ვინმე ადვოკატს, რომელიც დამიცავს. ისიც მოაგვარე, ფული მიიღოს. ფული მეც გამომიგზავნე, რადგან, როგორც იცი, აქ შეიძლება შიმშილით მოკვდეს კაცი. ეცადე, ჩემთან შეხვედრას მიაღწიო და საცვლები მომიტანო. თეთრ-ცისფერი აბრეშუმის პიჟამა ჩამიდე. და ტრიკო. ძვირფასო, საშინლად ვბრაზობ იმაზე, რაც დამემართა.შენც ხომ იცი, უბრალოდ, არ მიმართლებს. ამიტომაც შენი დახმარების იმედი მაქვს. ძალიან მინდა მოგეხვიო, მოგეფერო და მაგრად ჩაგიკრა გულში. გაიხსენე ჩვენი სიამოვნება. ეცადე, რამე გაუგო ამ პუნქტირს. და აკოცე მას. ჩემო სიყვარულო, მიიღე ათასი კოცნა შენი მინიონისაგან“.

პუნქტირი, რომელზეც მინიონი ლაპარაკობს, მისი ასოს სილუეტია. დავინახე, თავის გოგოსთან წერილის მიწერისას როგორ აღეგზნო ეს სუტენიორი, როგორ დაადო ქაღალდს თავისი მძიმე ასო და მისი კონტურები მონიშნა. მინდა, ეს ხაზებიც დაემატოს ჩემ მიერ დახატულ მინიონს.

ფრესნის ციხე, 1942